USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

პოსტ-COVID ეკონომიკური პოლიტიკა

ეკონომიკის აღდგენის და მდგრადი განვითარების გზები

2020 წლის 31 აგვისტო

ავტორები:

ეორენ კოუტსი, სტივენ სიმანსკი, ჯესიკა მაინო, რონ მაკმორანი და ლუის პანიაგა

დათქმა: ანგარიში განსახილველად მოამზადა „დელოიტ კონსალტინგმა“ შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთვის (USAID). ავტორის მიერ გამოცემაში გამოთქმული შეხედულებები შესაძლებელია არ ემთხვეოდეს შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

პოსტ-COVID ეკონომიკური პოლიტიკა

2020 წლის 31 აგვისტო

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

კონტრაქტის ნომერი: 7200AA18D00009

შეკვეთის ნომერი: 72011420F00001

„დელოიტ კონსალტინგი“

USAID | საქართველო

ავტორები				
დოქტორი უორენ კოუტსი მონეტარული ეკონომისტი wcoats@aol.com	დოქტორი სტივენ სიმანსკი ფისკალური ეკონომისტი ssymansky@gmail.com	ჯესიკა მაინო ეკონომიკური მმართველობის მრჩეველი jess@waystone.co	რონალდ მაკმორანი ფისკალური ეკონომისტი rmcmorran@deloitte.com	ლუის პანიაგა ეკონომისტი lupaniagua@deloitte.com

დათქმა: ანგარიში განსახილველად მოამზადა „დელოიტ კონსალტინგმა“ შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთვის (USAID). ავტორის მიერ გამოცემაში გამოთქმული შეხედულებები შესაძლებელია არ ემთხვეოდეს შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

აკრონიმები	
AA	ასოცირების ხელშეკრულება
BPO	ბიზნეს პროცესების აუთსორსინგი
CIS	დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობა (დსთ)
CMWG	კაპიტალის ბაზრის სამუშაო ჯგუფი
DCFTA	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმება
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
EFTA	ევროპის თავისუფალი სავაჭრო ასოციაცია
EU	ევროკავშირი
FDI	უცხოური პირდაპირი ინვესტიციები
FX	უცხოური ვალუტა
GCCI	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
GDP	მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)
GEL	ქართული ლარი
GITA	საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო
GoG	საქართველოს მთავრობა
ICT	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგია
IFI	საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი
IFRS 9	ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები 9
IMF	საერთაშორისო სავალუტო ფონდი
ISET	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა
LCR	ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტები
MOESD	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MOF	ფინანსთა სამინისტრო

NBG	საქართველოს ეროვნული ბანკი
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
PPP	საჯარო-კერძო პარტნიორობა
SDG	მდგრადი განვითარების მიზნები
SME	მცირე და საშუალო საწარმოები
SOE	სახელმწიფო მფლობელობაში არსებული საწარმოები
TVET	საქართველოს ტექნიკური და პროფესიული განათლება და ტრენინგი
USAID	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო
VAT	დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ)

სარჩევი

1. შემაჯამებელი რეზიუმე 1
   - ფისკალური პოლიტიკა და მართვა 1
   - მონეტარული პოლიტიკა 2
   - დარგობრივი პოლიტიკა 3

2. შესავალი 5
   - მაკროეკონომიკური მიმოხილვა 5
   - ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი ძალები 6
   - COVID-ით გამოწვეული ეკონომიკური შოკი და ანტიკრიზისული გეგმა 7
   - პოსტ-COVID გარემოში გადანაცვლება 9

3. ფისკალური პოლიტიკა და მართვა 11
   - საქართველოს მთავრობის რეაგირება პანდემიაზე 11
   - საქართველოს ფისკალური გამოწვევა პოსტ-COVID კრიზისის დასაძლევად 11
   - მთავარი ფისკალური გამოწვევები 12
   - შედარების დიაგრამები 13
   - ფისკალური შედეგები 2020 წელს 15
   - ფისკალური რეაგირება შოკზე 16
   - მონიტორინგისა და შეფასების საკითხი 17
   - ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებული ხედვა 18
   - როგორი ფორმა ექნება აღდგენას? 19
   - მართებულია თუ არა ის ფისკალური პოლიტიკის ინიციატივები რომლებსაც საქართველოს მთავრობა უჭერს მხარს? 23
   - ფისკალური პოლიტიკა და გადაუდებელი რეაგირების ღონისძიებები 24
   - პოლიტიკის ვარიანტები ფისკალური სივრცისთვის ან ვალის შესამცირებლად 25
   - სავალო პოლიტიკა 25
   - ფისკალური ფინანსების გასაუმჯობესებელი გზების განხილვა 27
   - საოპერაციო ხარჯები 27
   - ინვესტიცია 28
   - შემოსავლები 29
   - სახელმწიფო მფლობელობაში არსებული საწარმოების ზედამხედველობა & მართვა 31
   - ფისკალური პოლიტიკის რეკომენდაციების რეზიუმე 32

4. მონეტარული პოლიტიკა 33
   - შესავალი და ზოგადი ფონი 33
   - მონეტარული პოლიტიკა 34
   - მოკლე ვადა 34
   - საშუალო ვადა 38
   - დოლარიზაციის გამოწვევა 38
   - გამოწვევა საბანკო სექტორისთვის 41
   - ბანკები შედარებით ჯანსაღია 41
   - არასაბანკო ფინანსები 44
   - მონეტარული პოლიტიკის რეკომენდაციების რეზიუმე 44

5. დარგობრივი პოლიტიკა 46

ზოგადი ფონი და კონტექსტი 46
COVID-19-ის ტენდენციები და შესაძლებლობები 51
შეღწევა გლობალური მიწოდების ჯაჭვებში — რაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი? 57
რეკომენდაციები – შესაძლებლობების პოლიტიკად ქცევა 67
S.1 ბიზნეს ინვესტიციებისა და განვითარების ხელშეწყობა 72
S.2 აქცენტი ადამიანურ რესურსზე და პროფესიულ განვითარებაზე 77
S.3 გაციფრულების მხარდაჭერა და დაჩქარება 80
S.4 კონკურენტული აქტივების გაძლიერება 84
S.5 მასტიმულირებელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა 91
ურთიერთგადამკვეთი საკითხების მიმოხილვა 93
მყისიერი/მოკლევადიანი დარგობრივი პოლიტიკის რეკომენდაციების რეზიუმე 95

6. დანართები 100
დანართი A – გამოყენებული მასალა 100
დანართი B – ფისკალური სცენარების მეთოდოლოგია და ვარაუდები 103
დანართი C – საქართველოს მთავრობის რეაგირებისთვის რეკომენდებული პოლიტიკის და შეფასების ცხრილი 104

I. შემაჯამებელი რეზიუმე

COVID-19 პანდემია დღესდღეობით უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს საქართველოსთვის, ისევე როგორც ყველა ქვეყნისთვის მსოფლიოში. ბოლო წლებში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ფისკალური სივრცის გაუმჯობესების და ჯანსაღი მონეტარული და ფინანსური რეგულაციების შემუშავების თვალსაზრისით, თუმცა სრულყოფილი მაკროეკონომიკური პირობები არ არსებობს, განსაკუთრებით შექმნილი კრიზისის პირობებში.

საქართველო პანდემიას მტკიცედ შეხვდა, რასაც ზურგს უმაგრებდა ეფექტიანი რეფორმების დღის წესრიგი, ძლიერი საერთაშორისო რეიტინგი, მტკიცე ზრდის ტრაექტორია და მდგრადი ფისკალური ანგარიშები. ეროვნულმა ბანკმა ფინანსური სექტორის მიმართ ჯანსაღი მონეტარული პოლიტიკა, ინფლაციის თარგეთირების მიდგომა და სტრუქტურული რეფორმები აამუშავა. COVID-19-ის გავრცელების შესაჩრებელად საქართველოს მთავრობამ მყისიერი რეაგირება მოახდინა საგანგებო სიტუაციის გამოცხადებით და სოციალური თავშეყრის ადგილების და ასევე კომერციული დაწესებულებების უმეტესობის დაკეტვით. მიუხედევად აუცილებლობისა, გატარებულმა პოლიტიკამ საქართველოს ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი შემზღუდავი ზემოქმედება იქონია. საქართველოს ეკონომიკის ყველა დარგს, მათ შორის ტურიზმს, რომელსაც ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს, ზიანი მიადგა. ყველა დარგს სხვადასხვა დონის ზიანი მიადგა, რასაც შედეგად მოჰყვა სამუშაო ადგილების დაკარგვა, წარმოების შეზღუდვა, სამომხმარებლო დანახარჯის შემცირება. პანდემიის ფონზე გლობალური ეკონომიკის და საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორების დასუსტება სწრაფი ეკონომიკური აღდგენის და ჯანდაცვის კრიზისის დაძლევის პროცესს ხელს შეუშლის.

COVID გარემოში ნავიგაციისას და ეკონომიკური აღდგენის საკითხის განხილვისას პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა მოახდინონ პოლიტიკის ოპტიმიზაცია და ინტერვენციის ისეთი ფორმების შემუშავება, რაც მოქალაქეებზე, ბიზნესსა და დარგებზე ჯანდაცვისა და ეკონომიკის მხრივ ზემოქმედებას დააბალანსებს და საბოლოო ჯამში ეკონომიკის სწრაფ აღდგენასა და გაძლიერებას შეუწყობს ხელს. წინამდებარე ანგარიში განიხილავს და აფასებს ფისკალური, მონეტარული და დარგობრივი პოლიტიკის რამდენიმე ვარიანტს და რეკომენდაციებს სთავაზობს საქართველოს მთავრობას ეკონომიკური აღდგენის მიზნით საშუალოვადიანი გეგმის ჩამოყალიბების და ქვეყნის ეკონომიკაში მოქნილობის გაზრდის კუთხით. რეკომენდაციები განხილულია ქვემოთ.

ფისკალური პოლიტიკა და მართვა

პანდემიის დასაწყისში ფისკალური პოლიტიკა მდგრადი იყო და მანევრირების საშუალებას იძლეოდა. მთლიან შიდა პროდუქტის (მშპ) მოსალოდნელმა ვარდნამ და პანდემიასთან გამკლავების მიზნით განხორციელებულმა ინტერვენციამ მთავარი ფისკალური გამოწვევები განაპირობა. პანდემიის მიერ გამოწვეულ არასაიმედო გარემოში, ფისკალური მანევრირების მხრივ დიდი არჩევანი არ გვაქვს. იმ შემთხვევაში, თუ ეპიდემისს მეორე ტალღა არ იქნება, ვალის მაჩვენებელი მდგრად ნიშნულზე დარჩება, ხოლო მთავრობის მიერ შემოთავაზებული დროებითი ღონისძებები უნდა დასრულდეს. ასევე მნიშვნელოვანია, თავიდან იქნას არიდებული შერჩევითი დარგობრივი ფისკალური ინტერვენცია და მთავრობა დაუბრუნდეს კოვიდამდელ რეფორმის სტრატეგიებს, მათ შორის ძლიერ საჯარო საინვესტიციო სისტემის დანერგვას, მზარდ

ფინანსურ ზედამხედველობას და/ან სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოების რეფორმას და პრივატიზაციას.

ფისკალური პოლიტიკის რეკომენდაციები	
F.1	COVID-თან დაკავშირებული სამთავრობო ინიციატივების მონიტორინგის ანგარიშები შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა მომზადდეს და გამოქვეყნდეს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ვერ გადმოსცემს სრულყოფილ ინფორმაციას. მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობამ გააკეთოს შეაფასება და COVID-ზე საგანგებო რეაგირების პოლიტიკის ეფექტიანობასა და ეფექტურობაზე ანგარიში წარუდგინოს საზოგადოებას.
F.2	თავიდან უნდა იქნეს არიდებული დარგების მიკრო მენეჯმენტი და რეფორმის სტრატეგიების შეჩერება, რაც ასე მნიშვნელოვანი იყო საქართველოს მთავრობისთვის გასული ათწლეულის განმავლობაში.
F.3	მთავრობამ უნდა გაითავსისოს, რომ პანდემიით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენის დაძლევას ფისკალურ მაჩვენებლებსა და მშპ-ზე, დრო დასჭირდება. 2025 წლისთვის ორიენტირება უნდა გაკეთდეს 45%-იანი ვალი/მშპ თანაფარდობაზე, თუმცა ეს არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც მითითება და საქართველოს მთავრობამ ფისკალური სივრცის უზრუნველსაყოფად და/ან ვალის შესამცირებლად შესაძლოა სხვა ალტერნატივები მოიძიოს.
F.4	უნდა დაიწყოს საბიუჯეტო პროგრამების გადახედვა, განსაკუთრებით მსხვილი პროგრამების, მათი ხარჯ-ეფექტიანობის და შესაძლო ფისკალური დანაზოგების დასადგენად.
F.5	უნდა დაინერგოს ინვესტიციების მართვის გამართული სისტემა, რომელიც მოიცავს პროექტის შერჩევას, შეფასებას, ფინანსურ და არაფინანსურ ანგარიშგებას – მთავრობამ არ უნდა თქვას უარი საჯარო ინვესტირების სტრატეგიაზე.
F.6	სიფრთხილით უნდა იქნეს გამოკვლეული შემოსავლის შესაძლო წყაროები – დღგ-სგან გათავისუფლების და შეღავათების შემცირება, აქციზის გადასახადის ზრდა და მოსაკრებლების გაზრდა ან დაწესება.
F.7	სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულ საწარმოებზე ზედამხედველობის გაუმჯობესებას ფისკალური დანაზოგების (დივიდენდების საშუალებით) პოტენციალი გააჩნია, ან პრივატიზაციის გზით, ვალის დონის შემცირებას და საგადასახადო შემოსავლების დამატებით წყაროს უზრუნველყოფს.

მონეტარული პოლიტიკა

მონეტარული პოლიტიკა და ფინანსური სექტორის რეგულირება, ასევე ქართული ბანკების მდგომარეობა COVID-19 პანდემიის დასაწყისში მტკიცეა. საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციები და გეგმები საქართველოს ფინანსური სექტორის მომავალ განვითარებასა და გაძლიერებასთან დაკავშირებით უნდა გაგრძელდეს. უფრო კონკრეტულად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა დააკმაყოფილოს ბანკების ლიკვიდურობის საჭიროებები ინფლაციის 3%-იანი მიზნობრივი მაჩვენებლის გათვალისწინებით. ვალუტის გაცვლითი კურსის დაბალანსებამ ხელი არ უნდა შეუშალოს ეროვნული ბანკის ძალისხმევას, მიაღწიოს ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს. საშუალოვადიან პერსპექტივაში ეროვნულმა ბანკმა უნდა განიხილოს გაცვლითი კურსის ფიქსირება ევროზე.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა შეინარჩუნოს ლარიზაციის და საბანკო ზედამხედველობის პოლიტიკა, და აქცენტი გააკეთოს მაქსიმალურად ხარჯ-სარგებლიანი

პოლიტიკის გატარებაზე. ეროვნულმა ბანკმა ასევე უნდა დაასრულოს საბანკო რეზოლუციის გაძლიერებული რეჟიმის დაერგვა.

უნდა გაგრძელდეს დაგეგმილი და მიმდინარე პოლიტიკა, რომელიც ემსახურება სამართლებრივი და მარეგულირებელი საფუძვლების გაძლიერებას ლარის აქტივებში უფრო მასშტაბური და სიღრმისეული კაპიტალის ბაზრების განვითარებას.

მონეტარული პოლიტიკის რეკომენდაციები	
M.1	საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა განაგრძოს ბანკების ლიკვიდურობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება დროებითი ღონისძიებებით, საჭიროების შემთხვევაში, COVID-19-ის კრიზისის პერიოდში, ინფლაციის 3%-იანი მიზნობრივი მაჩვენებლის რისკის ქვეშ დაყენების გარეშე.
M.2	საქართველოს ეროვნული ბანკი მისი ძირითადი პროგნოზირების მოდელის მიხედვით, აქვეყნებს ინფლაციის პროგნოზის დიაგრამას. გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, ბანკმა ასევე უნდა გამოაქვეყნოს თავად მოდელი და მისი პარამეტრების დაშვებები და ახსნას რეფინანსირების განაკვეთის კორექტირების მიზეზები.
M.3	საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა შეინარჩუნოს რეგულაციები ლარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, რაც მნიშვნელოვნად ემყარება ლარის ღირებულების სტაბილურობისდამი საზოგადოების ნდობის გაღრმავებას (ანუ ინფლაციის სამიზნეს).
M.4	თუმცა, უფრო მკაცრი პრუდენციული მოთხოვნები უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში უფრო მაღალ რისკებს უნდა ასახავდეს.
M.5	საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა დააბალანსოს გაცვლითი კურსის მაკორექტირებელი ინტერვენციების სიხშირე, რათა შეინარჩუნოს ინფლაციის სამიზნე ორიენტირის შესრულების შესაძლებლობა.
M.6	საქართველოს მთავრობამ და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა გააგრძელონ ღონისძიებების განხორციელება ლარის ფინანსური აქტივებისთვის კაპიტალის ბაზრების გაფართოებისა და გაღრმავების ხელშესაწყობად.
M.7	საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სწრაფად უნდა გადადგას ნაბიჯები წინ, რათა დასრულდეს რისკზე დაფუძნებული საბანკო რეზოლუციის ინსტრუმენტებისა და პოლიტიკის მოდერნიზაცია და გაძლიერება. ბანკმა უნდა მიიღოს „საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები 9“ (“IFRS 9”) მარეგულირებელ მოთხოვნებთან ბანკების შესაბამისობის შესაფასებლად.
M.8	საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მუდმივად უნდა გადახედოს და შეაფასოს დაწესებული მარეგულირებელი რეჟიმი, რათა დარწმუნდეს, რომ არსებული მარეგულირებელი რეჟიმი არასაჭირო ხარჯებს არ აკისრებ საბანკო სექტორს და ამგვარად არ ქმნის ზედმეტ დაბრკოლებას ანაბრების ინვესტიციებად გარდაქმნის პროცესში.

დარგობრივი პოლიტიკა

COVID-19-მა ახალი შესაძლებლობები მისცა საქართველოს, მოახდინოს ეკონომიკური აღდგენის და გრძელვადიანი ეკონომიკური მდგრადობის სტიმულირება, გლობალურ

მიწოდების ჯაჭვებთან ინტეგრაციის გაღრმავების გზით. ამ შესაძლებლობის გამოყენების მიზნით, საქართველომ, პოლიტიკის გატარების მომდევნო ეტაპზე აქცენტი უნდა გააკეთოს მაღალპოტენციური სექტორების - მაღალი ღირებულება/დაბალი მოცულობის წარმოება და გარკვეული ბიზნეს სერვისების - კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე და ისეთი ხელშემწყობი გარემოს შექმნაზე, რომელიც ადგილობრივი ბიზნესის ახალი გარემოსადმი ადაპტაციას მაქსიმალურად შეუწყობს ხელს. ბიზნეს-ლოკაციის შერჩევის კრიტერიუმი მეტწილად უცვლელია, შესაბამისად, ძალაში რჩება დარგობრივი პოლიტიკის ის მიმართულებები, რასაც საქართველო COVID-მდე ახორციელებდა. დაჩქარებულმა სწრაფვამ ავტომატიზაციისკენ, აქცენტმა მიწოდების ჯაჭვის გამჭვირვალობაზე და ბიზნეს საქმინობის ლოკალიზების მიზნებისთვის მუდმივად მზარდმა მკაცრმა გლობალურმა კონკურენციამ ბევრი საჭიროება წარმოშვა, როგორიცაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მობილიზება, ასევე სწრაფი, თამამი ინვესტიციების განხორციელება გაციფრულებაში, ადამიანური რესურსის პროფესიულ განვითარებასა და ძირითადი ინფრაქტრუქტურის მოწყობაში.

დარგობრივი პოლიტიკის რეკომენდაციები	
S.1	**ბიზნეს ინვესტიციებისა და განვითარების ხელშეწყობა:** ბიზნესის ლიკვიდურობის და სტრატეგიული ინვესტირების ხელშეწყობა, და მკაფიო საბაზრო სიგნალების მიწოდება დაეხმარება ადგილობრივ კომპანიებს გააგრძელონ ინვესტირება ახალ საბაზრო შესაძლებლობებში, სუსტი მოთხოვნის და COVID-ით გამოწვეული შემცირებული შემოსავლების პირობებშიც კი.
S.2	**აქცენტი ადამიანურ რესურზე და პროფესიულ განვითარებაზე:** ტექნიკური და პროფესიული განათლების ტრენინგებში თამამი ინვესტირება და წახალისების იმ ზომების გაუქმება, რომელიც ადამიანურ რესურსს დაბალმწარმოებლურ სექტორებში დასაქმებისკენ უბიძგებს, იძლევა ახალი შესაძლებლობების გამოყენების საშუალებას. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დროებითი დათხოვნებისა და საწარმოების დახურვის პერიოდში უნდა მოხდეს სამუშაო ძალის გადამზადება მაღალი ღირებულების მქონე, სწრაფად მზარდ დარგებში დასაქმების მიზნით.
S.3	**გაციფრულების ხელშეწყობა და დაჩქარება:** ინვესტიციების ხელშეწყობა ციფრულ სისტემებში და მათი შესაბამისობაში მოყვანა ახალ ინფრასტრუქტურულ მოთხოვნებთან დაეხმარება საქართველოს სარგებელი მიიღოს მყიდველთა ახალი ტენდენციებისგან გაციფრულებასთან მიმართებაში, რაც COVID-ის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა გამოიწვია.
S.4	**კონკურენტული აქტივების გაძლიერება:** ინფრასტრუქტურასა და საჯარო რესურსებში ინვესტიციების პრიორეტიზაცია — ტრანსპორტი და ლოგისტიკა, ჯანდაცვა, განათლება, და ენერგეტიკა — რომლებიც საქართველოს სამიზნე დარგებისთვის მიმზიდველ ლოკაციად წარმოაჩენს და ამავდროულად, ხელს შეუწყობს ადგილობრივი ინსდუსტრიების გაძლიერებას, ინვესტიციების მოზიდვას და შემოსავლების უზრუნველყოფას გრძელვადიანი რეფორმების ხელშესაწყობად.
S.5	**მასტიმულირებელი ეფექტის მქონე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელება**: თამამი საინვესტივიო პაკეტის შემუშავება და საქართველოს შესაძლებლობების განვითარება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დროულად მოზიდვის კუთხით, დაეხმარება საქართველოს იბრძოლოს ცვალებადი მიწოდების ჯაჭვის ინვესტიციებისთვის, აღმოფხვრას განვითარებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები და დააჩქაროს მაღალი ღირებულების მქონე ინდუსტრიების ზრდა.

შესავალი

ავტორები: ლუის პანიაგა და რონალდ მაკმორანი

2. შესავალი

მაკროეკონომიკური მიმოხილვა

2020 წელს COVID პანდემიით გამოწვეული კრიზისის დასაწყისში საქართველო სტაბილური ეკონომიკური ზრდის ათწლეულის ბოლო ეტაპზე იმყოფებოდა იმ ქმედითი რეფორმების შედეგად, რითაც ქვეყანამ შეძლო ჩამოყალიბებულიყო ლიდერად ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით, იქცა ერთ-ერთ წამყვან ტურისტულ მიმართულებად და კულტურის დინამიკურ კერად. შემოსავლების ზრდამ და ცხოვრების სტანდარტის ამაღლებამ, ქვეყნისთვის საშუალოზე მაღალშემოსავლიანი სტატუსის მოპოვებას შეუწყო ხელი. ბოლო სამი წლის მანძილზე ზრდის საშუალო დონე 4.9%-ს უტოლდებოდა.[1] 2020 წელს ზრდის პროგნოზმა 5%-ს გადააჭარბა.[2]



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიში საქართველოზე No. 20/149, 2020 წლის მაისი, მე-6 მიმოხილვა

საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულმა რეფორმების ტალღამ ქვეყნის ფისკალური და დარგობრივი პოლიტიკის ეფექტიანობის გაძლიერებას შეუწყო ხელი. უფრო კონკრეტულად, გაძლიერდა სამთავრობო უწყებები და გაიზარდა გამჭვირვალობა, შედეგად გაუმჯობესდა ხარჯვის ხარისხი, გაიზარდა საგადასახდო შემოსავლები, შემცირდა კორუფცია და შეიზღუდა სახელმწიფო ვალის ზრდა. არსებითმა საოპერაციო ბალანსმა სახელმწიფოს საშუალება მისცა გაეზარდა კაპიტალური ხარჯებიც. 2019 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა ისტორიულად ყველაზე დაბალ მაჩვენებელს – მშპ-ს 5%-ს მიაღწია, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანახმად, განპირობებული იყო ექსპორტის, ფულადი გზავნილების, ტურიზმიდან შემოსავლების გაზრდით და იმპორტის შემცირებით. 2019 წელს უმუშევრობა 11, 6%-მდე დაეცა. 2012 წლის შემდეგ ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.[3]

საქართველოს ეროვნული ბანკის ქმედუნარიანი პოლიტიკის წყალობით დაფიქსირდა პროგრესი ინფლაციის შემცირების კუთხით, უფრო კონკრეტულად 90-იან წლებში არსებული ორციფრიანი მაჩვენებელი ამჟამინდელ 3%-მდე შემცირდა. წლების განმავლობაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მთელი რიგი ნაბიჯები გადადგა საკუთარი ვალუტის შიდა გამოყენების გაზრდის თვალსაზრისით იმ გარემოში, სადაც დიდი ოდენობით დანაზოგები და სესხები უცხოურ ვალუტაში (დოლარში) ფიქსირდება.

[1] ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2020 წ., ეკონომიკური ხედვა.
[2] საქსტატი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
[3] საქსტატი, 2020 წ. უმუშევრობა.

საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს მუდმივად აღიარებდა საერთაშორისო საზოგადოება მაღალი რეიტინგებით ისეთ გამოცემებში, როგორიცაა მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების სიმარტივე“ (მე-7 ადგილი, 2020 წ.), ჰერითიჯ ფაუნდეიშენის (Heritage Foundation) „თავისუფლების ინდექსი“ (მე-12 ადგილი, 2020 წ.) და საერთაშორისო საბიუჯეტო პარტნიორობის „ღია ბიუჯეტური კვლევა“ (მე-5 ადგილი, 2019 წ.).

ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი ძალები



წყარო: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 2020 წ. დარგობრივი მიმოხილვა

საქართველოს მკვეთრი ეკონომიკური ზრდა ბოლო წლებში სულ უფრო დივერსიფიცირებული ეკონომიკით იყო განპირობებული. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მშპ-ს ჩაშლა დარგების მიერ შეტანილი წვლილის მიხედვით, ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობების გაფართოების ნათელი მაგალითია. 2019 წელს საქართველოში ყველაზე სწრაფად მზარდ დარგებში მოხვდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური აქტივობები, ხელოვნება, გართობა და ჯანდაცვა. მიუხედავად მზარდი დივერსიფიკაციისა, საქართველო რჩება უმეტესწილად ადგილობრივ, სერვისებზე-ორინეტირებულ ეკონომიკად. სერვისები ეკონომიკის 2/3-ს შეადგენს, და, თუ არ ჩავთვლით ტურიზმს, უმეტესწილად არა-ექსპორტირებად საქმიანობას მოიცავს.[4] ამასობაში, საქართველოს საექსპორტო ეკონომიკაში მოწინავე ადგილი ტურიზმს უკავია, რომელსაც მოსდევს წარმოება, სადაც მადანი, შენადნობები და მინერალური პროდუქტები დომინირებს, შემდეგ სასმელები და საკვები პროდუქტები,[5] ხოლო სატრანსპორტო და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული მომსახურება ტანდემში ფართოვდება.

ტურიზმის სექტორის, როგორც ბოლო წლებში ქვეყნის წარმატებაში მთავარი წვლილის შემტანის, შემოსავლებმა 3,2 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია 2019 წელს, რამაც მშპ-ს დაახლოებით 18,4% შეადგინა.[6] ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემების თანახმად, ტურიზმის წილი მშპ-ში (პირდაპირი და არაპირდაპირი კონტრიბუცია) 2018 და 2019 წელს 11,5% იყო (გრაფიკი 1). ტურიზმთან დაკავშირებულმა ინდუსტრიებმა ქვეყანაში სამუშაო ადგილების 11,4% უზრუნველყო.

გრაფიკი 1: ტურიზმის წილი მშპ-ში (პირდაპირი და არაპირდაპირი კონტრიბუცია)



წყარო: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, დარგობრივი მიმოხილვა, 2020 წ.

[4] მსოფლიო ბანკი, “რეფორმატორიდან რეფორმატორამდე,” 2018 წ.
[5] მოიცავს დამუშავებულ და დაუმუშავებელ/სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს.
[6] ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2020 წ. დარგობრივი მიმოხილვა.

უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა, რომელიც ტურიზმის შემდეგ მუდმივად ფართოვდებოდა, მშპ-ს 11,5% შეადგინა და მშენებლობასთან ერთად ეკონომიკის მეხუთედი უკავია. სოფლის მეურნეობა, რომელიც მშპ-ს მხოლოდ 7,2%-ს, ხოლო საქონლის ექსპორტის 7%-ს უტოლდება, ოფიციალური გამოთვლებით ქვეყნის მთლიანი დასაქმების თითქმის 40%-ს უზრუნველყოფს, რეალურად კი უფრო მეტს არაფორმალური დასაქმების არსებობიდან გამომდინარე. სამთო საქმიანობა და შენადნობების წარმოება, სურსათისა და სასმელი პროდუქტების წარმოებასთან ერთად, ინდუსტრიის მიერ შექმნილი ღირებულების 50%-ს, მთლიანად საქონლის ექსპორტის 50%-ზე მეტს და ადგილობრივი საქონლის ექსპორტის თითქმის 70%-ს შეადგენდა.[7]

COVID-ით გამოწვეული ეკონომიკური შოკი და ანტიკრიზისული გეგმა

პანდემიამ ეკონომიკური აქტივობის მკვეთრი შენელება და ბოლო წლების პოზიტიური ეკონომიკური ტრაექტორიის შეწყვეტა გამოიწვია საქართველოში.[8] გლობალურად, COVID-19 პანდემიამ მწვავე ზიანი მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას, მათ შორის საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს, როგორიცაა ევროკავშირი, აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთი და სხვ. საქართველოს შესუსტებულმა საგარეო მოთხოვნამ და თანდმევმა შოკმა, რომელიც ტურიზმის სექტორმა განიცადა, ქართული ლარის გაუფასურება და ზოგადად ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია. პანდემიის შედეგად ადგილობრივ დონეზე პირადი მოხმარების, საგარეო ინვესტიციების და წმინდა ექსპორტის მასშტაბი შეიზღუდა.

კორონა ვირუსის გლობალური პანდემიის და ვირუსის აგდილობრივად გავრცელების შედეგად საქართველოს მთავრობამ დროული ღონისძიებები განახორციელა, მათ შორის ჩინეთიდან ფრენების აკრძალვა 29 იანვარს (საქართველოში პირველი შემთხვევის დადასტურებიდან ერთი თვით ადრე) და ყველანაირი მგზავრობის შეჩერება მაღალი რისკის შემცველი ქვეყნებიდან. 2 მარტს მთავრობამ დახურა საგანმანათლებლო დაწესებულებები, ხოლო 18 მარტს საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, რომელიც 22 მაისამდე დარჩა ძალაში. საგანგებო მდგომარეობა გულისხმობდა კომენდანტის საათს, საზოგადოებრივი და კერძო ტრანსპორტის გადაადგილების დროებით აკრძალვას, ბიზნეს საქმიანობების შეჩერებას, მათ შორის დაიხურა კურორტები, კაფეები, რესტორნები, და არა-სასიცოცხლო მნიშვნელობის მაღაზიები.[9] საგანგებო მდგომარეობით გამოწვეულმა შეზღუდვამ მწვავე ეკონომიკური გავლენა იქონია: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემების თანახმად რეალური მშპ წლიდან წლამდე 15%-ზე მეტით შემცირდა აპრილში. **ნაწილი 3**: **ფისკალური პოლიტიკა და მართვა** დეტალურად განიხილავს დამატებით ფისკალურ სტატისტიკას, მათ შორის ფისკალურ შედეგებს 2020 წლის პირველი ნახევრისთვის.

საქართველოს მთავრობამ პანდემიის უარყოფითი ზემოქმედების დასაკომპენსირებლად წარმოადგინა ანტიკრიზისული გეგმა, რამდენიმე სოციალური დახმარების პროგრამის პაკეტის და ეკონომიკის მასტიმულირებელი ღონისძიებების სახით. მთავრობის შეფასებით დახმარების ღონისძიებების ხარჯი 3,9 მილიარდ ლარს მიაღწევს. დაფინანსების წყარო უმეტესწილად დონორებისგან მიღებული სესხი და დაგროვილი სამთავრობო დეპოზიტები იქნება, თუ ეკონომიკურ აღდგენას გათვალისწინებულზე მეტი

[7] ადგილობრივი ექსპორტი = ექსპორტი რეექსპორტის გამოკლებით.
[8] საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიში საქართველოს შესახებ No. 20/149, 2020 წლის მაისი, მე-6 მიმოხილვა.
[9] კაფე-ბარები, რესტორნები, ფიტნეს კლუბები და საცურაო აუზები 18 მარტს საგანგებო სიტუაციის გამოცხადებამდე დაიხურა, ხოლო საცალო და საბითუმო მაღაზიები, გარდა სასურსათო მაღაზიებისა და აფთიაქებისა, 20 მარტს.

დრო დასჭირდება. საქართველომ საერთაშორისო პარტნიორებისან მიიღო 3 მილიარდიანი დახმარების დაპირება.

ანტიკრიზისული გეგმა რამდენიმე ეტაპზე გასაჯაროვდა და კონკრეტული დეტალების მოძიება მთავრობის ანტიკრიზისულ ვებ-გვერდზეა შესაძლებელი.[10] პირველ ეტაპზე:

1. **პირველი ეტაპი მოიცავდა გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას მოქალაქეებისთვის და მეწარმეებისთვის.**
   a. ოჯახებისთვის კომუნალური გადასახადების სუბსიდირება (1,2 მილიონი ოჯახი);
   b. საბანკო სესხის მქონე მოქალაქეებისთვის პროცენტის გადახდის სამი თვით გადავადება;
   c. ცხრა პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტზე და სამშენებლო მასალაზე ფასის ზრდის დაზღვევა;
   d. ტურიზმთან დაკავშირებულ ბიზნეს-სუბიექტებისთვის ქონებისა და საშემოსავლო გადასახადის გადავადება;
   e. მცირე სასტუმროებისთვის საბანკო სესხის პროცენტის გადახდის ექვსი თვით გადავადება;
   f. ავტოიმპორტიორებისთვის განბაჟების ვადის გადავადება.

2. **მეორე ეტაპი მიზნად ისახავდა დახმარებას მოქალაქეებისთვის მძიმედ დაზარალებული ეკონომიკური სექტორებიდან და სოციალურად დაუცველი ჯგუფებიდან:**
   a. დროებითი ფულადი დახმარება მოქალქეებისთვის, რომელთაც საგანგებო სიტუაციიდან გამომდინარე დაკარგეს სამსახური;
   b. ერთჯერადი დახმარება თვითდასაქმებული პირებისთვის;
   c. თვეში 1500 ლარზე ნაკლები ოდენობის ხელფასის მქონე პირებისთვის საშემოსავლო გადასახადის დროებითი შეჩერება;
   d. ამოქმედდა დღგ-ს ავტომატური დაბრუნების მექანიზმი და გაორმაგდა დღგ-ს დაბრუნება ბიზნესებისთვის;
   e. კომერციული ბანკებს წვდომა 600 მილიონი ლარის გრძელვადიან რესურსზე;
   f. ამუშავდა სასესხო გარანტიების პროგრამა ბიზნეს სესხებისთვის;
   g. გადაკეთდა ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამები, მათ შორის სესხის პროცენტის სუბსიდირების პროგრამა და მიკრო და მცირე გრანტების პროგრამა;
   h. გაიმიჯნა სასოფლო სამეურნეო საქმიანობის მხარდასაჭერი პაკეტი, რომელიც მოიცავდა შემდეგს:
      i. 80%-მდე გრანტი მერძევეობისთვის;
      ii. გრანტები ტექნიკისთვის, სათბურებისთვის და სარწყავი სისტემებისთვის;
      iii. თანადაფინანსება სესხებზე და სასოფლო სამეურნეო დაზღვევაზე;
      iv. დიზელის საწვავის ფასების სუბსიდირება;
      v. ერთჯერადი დახმარება რეგისტრირებული მიწათმესაკუთრეთათვის.
   i. გაიმიჯნა ტურიზმისა და მშენებლობა/დეველოპმენტის მხარდასაჭერი პაკეტები, რომელიც მოიცავდა შემდეგს:
      i. სასტუმროებისთვის სესხის პროცენტის სუბსიდირება და ტურ ოპერატორებისთვის საბანკო გარანტიის პროცენტის სუბსიდირება;
      ii. ქონების გადასახადისგან გათავისუფლება და საშემოსავლო გადასახადის გადავადება;
      iii. რესტორნების ჩართვა საკრედიტო საგარანტიო სქემაში;

[10] https://stopcov.ge/Content/files/COVID_RESPONSE_REPORT__ENG.pdf

iv. მშენებლობა/დეველოპმენტი;
v. იპოთეკური სესხის პროცენტის გადასახადის სუბსიდირება;
vi. გარანტია იპოთეკური სესხებისთვის;
vii. მიმდინარე მშენებლობების დასრულების უზრუნველყოფა შესყიდვის გარანტიის გაცემით საცხოვრებელი ფართის არაუმეტეს 30%-ზე;
viii. ამოქმედდა საცხოვრებელი ფართის არანაკლებ 20%-ის ესქრო (Escrow) ანგარიშის გამოყენებით რეალიზაციის ვალდებულება.

3. **მესამე ეტაპზე განხორციელდა დამატებითი ღონისძიებები, რომელიც მოიცავდა ერთჯერად გრანტებს ბავშვებისთვის, უნივერსიტეტში სწავლის საფასურს და დახმარებას თვით-დასაქმებულთათვის.**

პოსტ-COVID გარემოში გადანაცვლება

საქართველოს ეკონომიკა შეუდგა ხელახალ გახსნას და შედეგად ქვეყანა ხედავს აღდგენის გზას, რაც უმეტესწილად განპირობებულია COVID-მდე არსებული ძლიერი ადგილობრივი ეკონომიკით. 15 ივნისს მთავრობამ მოხსნა გადაადგილებაზე შეზღუდვების უმეტესობა 22 მაისს საგანგებო სიტუაციის დასრულების შემდეგ. საზოგადოებრივი ტრანსპორტი აღდგა და გაიხსნა ღია რესტორნები და გარე სავაჭრო ობიექტები. დახურულ რესტორნებსა და სასტუმროებს, რომლებიც ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ, გახსნის უფლება მიეცათ. კულტურული და სპორტული ღონისძიებები კვლავ აკრძალულია, ისევე როგორც მასობრივი თავშეყრა. 2020 წლის 27 ივლისის მონაცემებით ქვეყანაში კოვიდის 1,137 შემთხვევაა რეგისტრირებული, ფიქსირდება 16 გარდაცვალების ფაქტი, რაც რეგიონში ყველაზე დაბალი ციფრია.[11]

COVID-19 პანდემია გლობალური განვითარების კრიზისის თვალსაზრისით ისტორიული და უპრეცენდენტო მოვლენაა. თუმცა პანდემიით განპირობებული გამოწვევები და სირთულეები შეიძლება მთავრობებისთვის გადაიქცეს რეალურ შესაძლებლობებად განვითარების დასაჩქარებლად ბაზარზე არსებული ჩავარდნების სათანადოდ მართვის გზით. მთავრობებს შესაძლებლობა ეძლევათ გახდნენ ახალი შესაძლებლობების პირველი შემსრულებლები ბიზნესის კეთების კუთხით და არსებული მდგომარეობის რეფორმატორები, ამასთან დღის შუქზე გამოიტანონ და ყურადღების ცენტრში მოაქციონ მანამდე უგულველყოფილი საკითხები. ზოგიერთი მაღალი დონის ხელშემწყობი ფაქტორი საქართველოსთვის მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: წყვეტა ადამიანური რესურსის საქმიანობაში, მოთხოვნის მოდელების ცვლილება და მიწოდების წყვეტა, რასაც მივყავართ მიწოდების ჯაჭვების რე-კონფიგურაციამდე, ასევე ციფრული ტექნოლოგიების დაჩქარებული განვითარება და დანერგვა. **ნაწილი 5: დარგობრივი პოლიტიკა** დეტალურად იკვლევს შესაძლებლობებს და ბიზნესის იმპერატივებს.

თუ შევხედავთ 2020 წლის დარჩენილ პერიოდს და მომდევნო რამდენიმე წელს საქართველოს მთავრობას რამდენიმე ძირითადი არჩევანი აქვს გასაკეთებელი, რადგან მას წინასწარ უწევს გეგმის შემუშავება სწრაფად ცვალებად სამყაროში. წინამდებარე ანგარიში იკვლევს სამ ძირითად სფეროს, რომელმაც შემდეგ კითხვებს უნდა გასცეს პასუხი:

I. **როგორ უნდა მართოს საქართველოს მთავრობამ ფისკალური პოლიტიკა?** (ნაწილი 3)

[11] https://stopcov.ge/en, 2020 წლის 27 ივლისის მონაცემების თანახმად

2. **როგორ უნდა წარმართოს საქართველოს მთავრობამ და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული და ფინანსური დარგობრივი პოლიტიკა?** (ნაწილი 4)

3. **როგორ უნდა მიუდგეს საქართველოს მთავრობა დარგობრივ პოლიტიკას?** (ნაწილი 5)

ფისკალური პოლიტიკა და მართვა

ავტორი: დოქტორი სტივენ სიმანსკი

3. ფისკალური პოლიტიკა და მართვა

საქართველოს მთავრობის რეაგირება პანდემიაზე

როგორც შესავალ ნაწილში უკვე აღინიშნა, საქართველომ კრიზისში მდგრადი ფისკალური მდგომარეობით და სტაბილური ზრდის ფონზე შეაბიჯა. საქართველოს მთავრობამ კოვიდით გამოწვეულ შოკზე საკმაოდ სწრაფად მოახდინა რეაგირება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისი ქმედებებით. საერთო ჯამში საგანგებო რეაგირება 3,58 მილიარდი ლარი დაჯდა. აქედან დაახლოებით 1,5 მილიარდი ლარის რეალოკაცია მოხდა არსებული პროგრამებიდან ან შეჩერდა ხარჯვა (მაგ. ზოგიერთი საინვესტიციო პროექტი). დარჩენილი 2,08 მილიარდი ლარი (მშპ-ს 4%) ახალ ხარჯს ან საგადასახადო შეღავათს წარმოადგენდა. აქედან დიდი ნაწილი დაფინანსდა საქართველოს განვითარების პარტნიორებისგან, თუმცა ნაწილის დაფინანსება ახალი შიდა ვალით მოხდა.

პანდემიაზე ყველაზე სათანადო რეაგირების განსაზღვრა რთულია, რადგან მისი ბუნება (კერძოდ სიმწვავე და ხანგრძლივობა) იყო და არის უცნობი. ვინაიდან პანდემია ჯერ არ დასრულებულა და არც ვაქცინა შექმნილა, სათანადო რეაგირებაზე არაერთი ცვალებადი მოსაზრება გამოითქვა. ინსტიტუტები, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა საერთაშორისო უწყებები ქვეყნებს სთავაზობდნენ ღონისძიებებს, რომლებიც კრიზისით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების შესამსუბუქებლად უნდა გამოეყენებინათ, და ასევე ურჩევნდნენ ქვეყნებს გატარებული ღონისძიებების რაოდენობრივ შეფასებას. **დანართი C**-ში წარმოდგენილია ამ რეკომენდაციების უმეტესობა და საქართველოს მიერ გატარებული ღონისძიებების აღნიშნულ რეკომენდაციებთან შესაბამისობის პირველადი შეფასება.

საქართველოს ფისკალური გამოწვევა პოსტ-COVID კრიზისის დასაძლევად

პანდემიამ მრავალი პრობლემა და გამოწვევა წარმოშვა. სხვა ქვეყნების მსგავსად მშპ კლებულობს და ეკონომიკური მომავალი ბუნდოვანია. საქართველოს მთავრობამ, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად, თავიანთ პროგრამულ შეთანხმებაში 2020 წელს მშპ-ს 4%-იანი[12] შემცირება ივარაუდა. რამდენიმე ანალიტიკურმა ცენტრმა და ინსტიტუტმა გააკეთა მშპ-ს პროგნოზი, რომელიც 0-დან –5.5%-მდე მერყეობს – კონსენსუსი მიღწეულ იქნა –4%-იან დიაპაზონზე.[13] არ არის გასაკვირი, რომ პანდემიით გამოწვეული გაურკვევლობის ფონზე მშპ-ს სავარუდო შეფასებები მსოფლიოში, ისევე როგორც საქართველოში ფართო დიაპაზონში მერყეობს. ამ გაურკვევლობის გათვალისწინებით პროგრამამ მშპ-ს რამდენიმე საპროგნოზო სცენარის სიმულაცია აწარმოა. თითოეულ სცენარს, სხვადასხვაგვარი გავლენა აქვს იმ პოლიტიკურ

[12] საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიში საქართველოს შესახებ No. 20/149, 2020 წლის მაისი, მე-6 მიმოხილვა (2019 წლის 41.2%-დან 2020 წლის 61%-მდე). ეს კალკულაცია არ მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის ვალს, რომელიც შესულია საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებულ ცხრილებში.
[13] იხ. COVID-19: ზემოქმედება საქართველოს ეკონომიკაზე, 2020 წლის მაისი, თიბისი კაპიტალი, სავარაუდო დიაპაზონი ეფუძნებოდა პროგნოზს, რომელიც აპრილის დასაწყისიდან მაისის ბოლომდე შეგროვდა.

გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიმართულია როგორც ფისკალური დეფიციტის, ასევე ვალის მართვაზე.

რაც უფრო დიდია მშპ-ს შემცირება, მით მეტი იქნება კლება შემოსავლებში და მით უარესი იქნება დეფიციტი და ვალის შეფარდება მშპ-სთან მიუხედევად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის რეაგირება იყო მყისიერი და დროული, ის ასევე ძვიღდღირებულიც აღმოჩნდა. ნაადრევია, ამ ეტაპზე წლის ბოლოს ფისკალურ ანგარიშებში გაუარესების განსაზღვრა, მიუხედავად წინასწარი მშპ-სა და სწრაფი შეფასებებისა და ასევე ფისკალური შედეგების მონაცემებისა. ერთობლივ პროგრამაში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და საქართველოს მთავრობის მიერ გაკეთებული შეფასების თანახმად დეფიციტი მშპ-ს 6,5%-ით შემცირდება, ხოლო ვალი/მშპ მოსალოდნელია გაიზარდოს 2019 წლის ბოლოს არსებული 40%-იანი დიაპაზონიდან 60%-მდე 2020 წლის ბოლოს.[14] **მე-2 გრაფიკში** ჩაშლილია ვალის მოსალოდნელი ზრდა რამდენიმე ფაქტორიდან გამომდინარე. ზრდის ნახევარზე ნაკლები დაკავშირებულია დეფიციტში მოსალოდნელ ზრდასთან, მაშინ როდესაც დაახლოებით 5% კავშირშია საგარეო ვალზე სავალუტო გაცვლითი კურსის ღირებულების ცვლასთან და კიდევ 5% გამოყენებულ იქნება დეპოზიტების ბუფერების შესაქმნელად.

<u>გრაფიკი 2: ზრდის ჩაშლა (პროექტის სავარაუდო შეფასება)</u>[15]

მშპ-ს შემცირება[16] (მხოლოდ მნიშვნელის ეფექტი)	0.0 %
დეფიციტი	8.2 %
ვალუტის კურსი[17]	5.4 %
მთავრობის დეპოზიტის ზრდა	5.0 %
აუხსნელი	1.2 %
ჯამი	19.8 %

დასკვნა არის ის, რომ ვალის თანაფარდობა შესაძლოა გაუმჯობესდეს შემდეგით: i) უფრო დაბალი დეფიციტი, ii) გაცვლითი კურსის გაუმჯობესება, iii) სამთავრობო დეპოზიტის ბუფერის გამოყენება ან iv) ნომინალური მშპ-ს ზრდა.

მთავარი საკითხი: *რა ღონისძიებები ან რეგულაციებია საჭირო ფისკალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ვალის ზრდის შესამცირებლად?*

მთავარი ფისკალური გამოწვევები

სწრაფად ცვალებად გლობალურ გარემოში ფისკალურ პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება რთულია. გარდა ამისა, მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი

[14] არის სხვაობები, თუმცა მცირე მთავრობისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ წარმოდგენილ ციფრებში. მიუხედავად იმისა, რომ ისინი თანხმდებიან არსებულ თარიღზე, ეს განსხავავება ეხება დღგ-ს თანხის დაბრუნებას და საქართველოს ეროვნული ბანკის ვალს. სავალუტო გაცვლითი კურსი მომატებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და საქართველოს მთავრობას შორის მიღწეული შეთანხმების შემდეგ, ხოლო წლის ბოლოს ვალის ოდენობა სავარაუდოდ მშპ-ს 60%-ზე ნაკლები იქნება.

[15] ეს კალკულაცია არ მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის ვალს, რომელიც შესულია საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებულ ცხრილებში.

[16] რეალური მშპ 4%-ით მცირდება, თუმცა ნომინალური მშპ უცვლელი რჩება. მხოლოდ მნიშვნელის ეფექტი წარმოშობს 5%-ზე მეტს ყოველ 1%-იან ცვლილებაზე ნომინალურ მშპ-ში.

[17] ამ კალკულაციაში გამოყენებული გაცვლითი კურსი 2020 წლისთვის ასახავს საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და საქართველოს მთავრობას შორის შეთანხმების დროს არსებულ კურსს.

მაკროეკონომიკური პროგნოზების წარმოებისას, საქართველოს მთავრობას მოუწევს ორ მნიშვნელოვან ძირეულ შეკითხვას გასცეს პასუხი:

1. თუ დამატებითი ნაბიჯები გახდება საჭირო ჯანდაცვის, სოციალური უსაფრთხოების ქსელის ან ეკონომიკური და შემოსავლების ზრდის ხელშემწყობი ღონისძიებების თვალსაზრისით, რისი გაკეთება იქნება შესაძლებელი?
2. მისაღებია თუ არა ამჟამად პროგნოზირებული ვალის მშპ-სთან 60%-იანი თანაფარდობა, თუ შემაკავებელი ფისკალური პოლიტიკის გატარება უფრო მართებული იქნებოდა? თუ ასეა, შემაკავებელი ფისკალური პოლიტიკის ფარგლებში კონკრეტულად რა ნაბიჯებია რეკომენდებული?

სიტუაციის გაანალიზება რამდენიმენაირად შეიძლება. პირველი გულისხმობს იმას, რომ საქართველო უბრალოდ იზოლირებულად განვიხილოთ, ხოლო მეორე შემთხვევაში საქართველო შევადაროთ სხვა ქვეყნებს, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შედარებისთვის მართებულად, მათი განვითარების ეტაპების და მდებარეობის თვალსაზრისით, და ასევე თუ ისინი ეკონომიკურ კონკურენტებად შეიძლება მივიჩნიოთ.

შედარების დიაგრამები

შემდეგი თავი განიხილავს მთავარ შესადარებელ მონაცემებს, რაც დაგვეხმარება შევაფასოთ საქართველოს სასტარტო პოზიციები და დავადგინოთ მისი მანევრირების უნარი ფისკალური მდგრადობის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, საქართველო შედარებულია ბელორუსიასთან, ბულგარეთთან, მოლდოვასთან და რუმინეთთან.[18]



მარცხნივ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია შემოსავალი-მშპ-ს თანაფარდობა ოთხ ქვეყანასთან მიმართებაში 2019 წელს. რაც უფრო ნაკლებია ვალის კოეფიციენტი, მით მეტი მოქნილობა გააჩნია ქვეყენას განახორციელოს ინვესტიციები და შემოსავლების ზრდისკენ მიმართული ღონისძიებები და გაუმკლავდეს გაზრდილ დეფიციტს პანდემიის განმავლობაში – იმ პირობით რომ ვალი მდგრადობის ზღვარს არ ასცდება. შემოსავლის კოეფიციენტი შეიძლება ორგვარად განვიხილოთ: რაც უფრო ნაკლებია ქვეყნის საგადასახადო შემოსავალი, ის მით უფრო მიმზიდველია საინვესტიციოდ, განსაკუთრებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციის შემთხვევაში. თუმცა, ეს ასევე ნიშნავს, რომ ქვეყნის შემოსავლები ნაკლებ-პროპორციულია მშპ-ს ზრდასთან მიმართებაში, განსხვავებით იმ ქვეყნებისგან, სადაც შემოსავალი-მშპ თანაფარდობა უფრო მაღალია. უფრო დაბალი შემოსავლის კოეფიციენტი ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ვალის სამიზნე ორიენტირი ზოგიერთ ქვეყანაში უფრო დაბალია. რა თქმა უნდა, სხვა მიზეზებიც არსებობს, თუ რატომ ირჩევენ ქვეყნები უფრო დაბალი ვალის კოეფიციენტს, ამ მიზეზთაგან მხოლოდ ზოგიერთი მათგანი იქნება რელევანტური საქართველოსთვის. ვალის სათანადო ორიენტირის განსაზღვრისას საქართველოსთვის რელევანტური ფაქტორები იქნება შემდეგი: მაღალი მოწყვლადობა საგარეო შოკთან

[18] ქვეყნების შერჩევა ორ კრიტერიუმს ეფუძნებოდა: i) მთავრობებმა შემოგვთავაზეს იმ ქვეყნების სია, რომელთაც ისინი შესადარებელ ქვეყნებად მიიჩნევდნენ და ii) მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო.

მიმართებაში, გაცვლითი კურსის დიდი უარყოფითი ზეგავლენა ვალზე თუ უცხოურ ვალუტაში გამოხატული ვალი მაღალია, ფისკალური ინსტიტუტები არასათანადოდ ფუნქციონირებენ, ან მაკროეკონომიკური ცვალებადობის დონეა მაღალი.[19]

საქართველოში ფისკალური შემოსავალი, როგორც მშპ-ს წილი უფრო დაბალია, ვიდრე შესადარებელ ქვეყნებში, მაშინ როდესაც ქვეყნის ვალის კოეფიციენტი უფრო მაღალია. თუმცა ვალის საწყისმა კოეფიციენტმა, რომელიც 40-50%-მდე დიაპაზონში მერყეობს, საშუალება მისცა ქვეყანას ფისკალური დახმარება გაეწია და ამავე დროს მდგრად დიაპაზონში დარჩენილიყო. თუმცა, შემოსავლის დაბალი კოეფიციენტი ნიშნავს, რომ ქვეყანას უფრო მეტი დრო დასჭირდება ფისკალური სიტუაციის გასაუმჯობესებლად პანდემიიდან გამოსვლისას, თუ ქვეყანაში ზრდა არ იქნება უფრო მაღალი, ვიდრე მის მეზობელ ქვეყნებში, თუ არ დაფიქსირდება მნიშვნელოვანი გაუმჯობესება გაცვლითი კურსის თვალსაზრისით ან თუ ქვეყანა ვერ შეძლებს ხარჯის შემცირების ან შემოსავლების გაზრდის ღონისძიებების გატარებას.



საჯარო და მთლიანი ინვესტირების დიაგრამა პრობლემურ საკითხს წარმოაჩენს. საქართველოს საჯარო ინვესტიცია უფრო მაღალია, ვიდრე შესადარებელ ქვეყნებში და უფრო მაღალია, იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ჩაატარა კვლევა. შესაძლოა უფრო მეტად აღსანიშნავი იყოს ის, რომ მთლიანი ინვესტიცია მნიშვნელოვნად უფრო მაღალია, ვიდრე შესადარებელ ქვეყნებში.

არსებობს რამდენიმე შესაძლო ინტერპრეტაცია. ერთი ის, რომ მთავრობამ წაახალისა ინვესტირება რეფორმების მხარდასაჭერად და წაახალისა როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ინვესტიციები, საშუალო-შემოსავლიანიდან მაღალ-შემოსვლიან ქვეყანად გადაქცევის პროცესში. შედარებით მაღალი და მდგრადი ზრდა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ზურგს უმაგრებს ამ ინტერპრეტაციას. მეორე ინტერპერეტაცია ის გახლავთ, რომ საქართველოს მეტისმეტად ბევრი ინვესტიცია აქვს ან განხორციელებული ინვესტიციები დაბალეფექტიანი იყო. ინვესტიცია რომ მაღალეფექტიანი ყოფილიყო, მაშინ უფრო მაღალი ზრდის დონე იქნებოდა მოსალოდნელი. როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საჯარო ინვესტიციების მართვის შესახებ მომზადებულ ანგარიშში[20] ჩანს, ინვესტიციების უმეტესობა სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოების საშუალებით განხორციელდა, რაც ხშირად ნაკლებად ეფექტურია, ვიდრე კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიცია. ვინაიდან მთავრობამ შემოსავლების სახით ცოტა მიიღო, იქნება ეს პირდაპირი გადარიცხვების თუ დივიდენდების სახით სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოებიდან, ეს საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ პრივატიზაციას შეეძლო ფინანსური აქტივების

[19] ეს ფაქტორები ზოგადია და ზოგიერთი მათგანი არარელევანტურია საქართველოსთვის, კერძოდ, საქართველო არაერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ აღიარა ძლიერი ფისკალური ინსტიტუტების მქონე ქვეყნად.
[20] საქართველო: სახელმწიფო ინვესტირების მართვის ანგარიში 2018 წლის მაისი, იზაბელ რაიალი, დევიდ ჯენტრი, კატია ფუნკე, მერი ბეტლი, ჯონ ზოჰრაბი, ტანვირ ჰოსეინი, სანდრო ნოზაძე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფისკალურ საქმეთა დეპარტამენტი.

უზრუნველყოფა, რისი გამოყენებაც შეიძლებოდა ვალის შესამცირებლად ან მომავალში საგადასახადო შემოსავლების მისაღებად.

უფრო მეტიც, მთავრობა მიუთითებდა, რომ მას აქვს საჯარო ინვესტიციის გაზრდის გეგმები. დარგობრივ ნაწილში განხილვისას გაიჟღერა წინადადებამ იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთ სტრატეგიულ სფეროში სახელმწიფო ინვესტირების საჭიროება არსებობს. რეკომენდირებულია ქვეყნის მასშტაბით მთლიანი ინვესტიციების შეფასება, რათა დადგინდეს, არის თუ არა შესაძლებელი ინვესტიციები დაბალპროდუქტიული სფეროებიდან, მაღალპროდუქტიული სფეროებისკენ გადამისამართდეს.

ფისკალური შედეგები 2020 წელს

საქართველოს მთავრობის რეაგირება პანდემიის ადრეულ ეტაპზე განხორციელდა. ფისკალური შედეგი მარტის განმავლობაში საკმაოდ მდგრადი იყო. აპრილამდე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა (წინა წელთან შედარებით) და ეს ტენდენცია მთელი ივნისის განმავლობაში შენარჩუნდა. 2020 წლის პირველი ექვსი თვის მონაცემებზე დაყრდნობით გაკეთებული რამდენიმე სასარგებლო დაკვირვება მოცემულია ქვემოთ. საერთო ჯამში, მონაცემები მთავრობის მიერ გაკეთებული განცხადებების და მათი პროგრამებისა და გეგმების შესახებ თანმიმდევრულია და ცხადყოფს, რომ საქართველოს მთავრობამ დახმარების აღმოსაჩენად სწრაფად იმოქმედა, განსაკუთრებით სოციალური დახმარების საჭიროების მქონე მოქალაქეებისთვის.[21]

- 2020 წლის პირველ ნახევარში მიმდინარე ხარჯები 17%-ით მაღალი იყო 2019 წლის პირველ ნახევართან შედარებით — ხარჯის უმეტესობა პირველ კვარტალში დაფიქსირდა (21,1%).
- სოციალური დახმარების საჭიროების მქონე მოქალაქეებისთვის ადრეულ ეტაპზე გაწეული დახმარება:
    - სუბსიდიები პირველ კვარტალში 37,2%-ით გაიზარდა. თუმცა 2019 წელთან შედარებით მეორე კვარტალში შემცირდა 9,6%-ით და 12%-ით მაღალია 2020 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში.
    - სოციალური შეღავათები 30%-ით გაიზარდა 2020 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში: 34.2% პირველ კვარტალში, მცირე ზრდა დაფიქსირდა მეორე კვარტალში.
- სოციალურ ხარჯში და სხვა მხარდამჭერ ღონისძიებებში ზრდის ნაწილობრივ ხელშესაწყობად მოხდა შემდეგი:
    - სახელმწიფო ხარჯები დაეცა 3,0%-ით მეორე კვარტალში, მას შემდეგ რაც პირველ კვარტალში 8,2%-ით ზრდა ფიქსირდებოდა.
    - საინვესტიციო ხარჯი იყო უცვლელი 2020 წლის პირველ ნახევარში 2019 წელთან შედარებით. თუმცა მეორე კვარტალში 10%-ით შემცირდა პირველი კვარტალის განმავლობაში 30%-იანი ზრდის შემდეგ. ეს მოდელი დიდი ალბათობით ასახავს მთავრობის სურვილს, მომხდარიყო საჯარო ინვსეტიციების ზრდა, მაგრამ პანდემიის დადგომისას, მოხდა გაანალიზება, რომ საჯარო ინვესტიციები იყო ერთ-ერთი ის წყარო, რომელსაც არსებითი

[21] ამ ნაწილში მოცემული ყველა შედარება დაკავშირებულია წინა წლის იმავე პერიოდთან (2020 წელი შედარებულია 2019 წელთან).

ფისკალური დანაზოგების მოტანა შეეძლო და შესაბამისად მოხდა შემცირება ამ მიმართულებითაც.

- ბევრად უფრო რთულია შემოსავლების მონაცემების ლოგიკურად დაკავშირება დანარჩენ მონაცემებთან:
    - შემოსავალი მხოლოდ 1,8%-ით შემცირდა 2020 წლის პირველ ნახევარში — იგი პირველ კვარტალში 9,3%-ით გაიზარდა, თუმცა მეორე კვარტალის განმავლობაში 11,3%-ით დაეცა. გასაკვირი არ არის, რომ ეს მოძრაობა უმეტესწილად გადასახადებით იყო განპირობებული.
- რთულია შემოსავლების მონაცემების მშპ-ს საპროგნოზო მონაცემებთან ლოგიკური ბმა.[22]
    - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ეკონომიკის ზრდის წინასწარი შეფასების დოკუმენტზე დაყრდნობით, მშპ 2020 წლის პირველი ნახევრის თვეებში 5.8%-ით დაეცა მაშინ, როდესაც შემოსავლები მცირედით შემცირდა.
    - უფრო მეტიც, ლოგიკურად მოსალოდნელი იყო, რომ სხვადასხვა საშეღავათო ინიციატივა შემოსავლებს მშპ-ზე მეტად შეამცირებდა. სავარაუდოდ, ზოგიერთმა პანდემიასთან დაკავშირებულმა საგანგებო ღონისძიებამ (მაგ. გადასახადის გადახდის გადავადებამ) მცირე გავლენა იქონია შემოსავლებზე, ვინაიდან კრიზისის პერიოდში ამ შემოსავლებზე გათვლა ისედაც არ კეთდებოდა.

პირველი ექვსი თვის ფისკალური მონაცემების შესაძლო ინტერპრეტაციები

COVID-ზე ფაქტობრივი ფისკალური რეაგირება იყო დროული და გაცხადებულ პოლიტიკასთან შესაბამისი. ვინაიდან ფისკალური შეღავათების უმეტესობა პანდემიის ადრეულ ეტაპზე განხორციელდა, მათ მიერ გამოწვეული უარყოფითი გავლენა მხოლოდ ახლა იწყებს ასახვას საწელმწიფო შემოსავლებზე, თუმცა აღსანიშნავია, რომ ის კლება რასაც ამჟამად ვაკვირდებით უფრო მცირეა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. მთლიანობაში, მიმდინარე წლის მონაცემები - ივნისის ჩათვლით -გვაძლევს საშუალებას დავუშვათ, რომ საბოლოო ფისკალური შედეგი პროგნოზირებულზე უკეთესი იქნება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ ეკონომიკის კლება იმაზე მცირე გამოდგა, ვიდრე ამას საერთაშორისო სავალუტო ფონდი და საქართველოს მთავრობა თავიანთ პროგრამაში პროგნოზირებდა.

ფისკალური რეაგირება შოკზე

საქართველოს მთავრობის რეაგირება COVID-ზე დროული იყო და მთლიანობაში საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისი. თუმცა, მისი **ეფექტიანობის გაზომვა ჯერ ძალიან ნაადრევია**. ადრეულ ეტაპზე არსებული მტკიცებულება ისაა, რომ საქართველოში ინფიცირება მსუბუქი ფორმით მოხდა, სიკვდილიანობის მაჩვენებელი იყო დაბალი და ქვეყანა იწყებს ეკონომიკის გადატვირთვას, თუმცა ფისკალური ხარჯი იყო მნიშვნელოვანი და წინასწარი მონაცემების მიხედვით, სავარაუდოდ მეტი, ვიდრე სხვა ქვეყნებში. როგორც მე-3 გრაფიკზეა ნაჩვენები, მიუხედავად რამდენიმეწლიანი სტაბილური ფისკალური პოზიციისა, საქართველოსთვის ფისკალური მდგომარეობის გაუარესება უფრო საგრძნობი იქნება, ვიდრე ზოგიერთ შესადარებელ ქვეყანაში. გარდა ამისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფისკალურ საქმეთა დეპარტამენტმა დაიწყო

[22] https://www.geostat.ge/media/32817/Rapid-Estimates-of-Economic-Growth%2C-June-2020.pdf, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

COVID-19-ზე ფისკალური რეაგირების გარკვეულ მონაცემთა წარდგენა, რაც ამჟამად მოიცავს 80 ქვეყანას, მათ შორისაა საქართველო. სხვა არაინდუსტრიულ ქვეყნებთან შედარებით საქართველოს მიერ განხორციელებული ფისკალური რეაგირება ერთ-ერთი ყველაზე მოცულობითია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის 26 განვითარებადი ბაზრის ქვეყნის კლასიფიკაციაში მხოლოდ ექვსთან დაფიქსირდა საქართველოზე მეტად მასშტაბური რეაგირება მშპ-ს პროცენტის სახით.[23] როდესაც ყოვლისმომცველი მსოფლიო მონაცემები ხელმისაწვდომი გახდება, უფრო ნათელი იქნება, თუ როგორ შეფასდეს საქართველოს მიერ განხორციელებული ფისკალური ძალისხმევა.



ქვეყნის მიერ წინასწარ გატარებული მასშტაბური ძალისხმევის მიზეზი ნაწილობრივ იყო ის, რომ ქვეყანას ყოვლისმომცველი სოციალური უსაფრთხოების სისტემა არ აქვს. ეს ნაწილობრივ ხსნის, თუ სუბსიდიები და სოციალური დახმარება რატომ უსწრებს წინ ვარდნას ეკონომიკაში.[24] რომ არსებობდეს სოციალური უსაფრთხოების საფუძვლიანი სისტემა, ბუნებრივია, სპონტანური დახმარების გაწევის საჭიროება ნაკლებად დადგებოდა. გარდა სოციალური დახმარებისა, მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ კონკრეტული დარგები (როგორიცაა ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, განათლება, მშენებლობა) მნიშვნელოვანი მხარდაჭერით ისარგებლებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ დარგზე მორგებული დახმარების წახალისება ხშირად არ ხდება, გაწეული დახმარების ნაწილი სწორედ სოციალური უსაფრთხოების ქსელის არარსებობის სანაცვლოდ იქნა გაწეული. მაგალითად, გარკვეული დახმარება მშენებლობის სექტორში მიმართული იყო დაბალშემოსავლიანი საცხოვრებლების მშენებლობაზე. ოფიციალურ მონაცემებში რთულია დარგზე მორგებული დახმარების მოძიება და დიდი ნაწილი ალბათ ასახავს ბიუჯეტით უკვე გათვალისწინებული ხარჯების გადანაწილებას.

მონიტორინგისა და შეფასების საკითხი

ყველაზე სათანადო საშუალება მთავრობის მხრიდან პანდემიის დროს გაწეული დახმარების წარმატების ან წარუმატებლობის შესაფასებლად არის მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების ვალდებულება, ბიუჯეტის პროგრამული სტრუქტურის ნაწილი უნდა გახდეს და პერიოდულად განხორციელდეს ყველა პროგრამასთან მიმართებაში. ეს განსაკუთრებით ეხება არსებულ სიტუაციას, სადაც

[23] COVID-19 პანდემიის საპასუხოდ ქვეყნის მიერ მიღებული ფისკალური ზომების შესახებ ფისკალური მონიტორის მონაცემთა ბაზა, 2020 წლის ივნისი, www.imf.org/en/Topics/imf-and-covid19/Fiscal-Policies-Database-in-Response-to-COVID-19.
[24] სოციალურ ხარჯებში დიდი ზრდის კიდევ ერთი მიზეზი იყო პენსიების გაზრდა 2020 წელს, რომელიც პანდემიამდე განხორციელდა.

ახალი პროგრამები ან რეფოკუსირებული ხარჯვა გადაუდებელი საჭიროებების დაძლევის მიზნით ძალიან სწრაფად ხორციელდება.

ამის გაკეთების ორი მიზეზი არსებობს. პირველი, თუ გავითვალისწინებთ იმ ნეგატიურ გავლენას, რომელიც პანდემიამ საქართველოზე და მის ფისკალურ ფინანსებზე იქონია და პოტენციურ გრძელვადიან შედეგებს ქვეყნისთვის, მნიშვნელოვანია გამოქვეყნდეს ინფორმაცია, რომელიც ამცნობს საზოგადოებას, თუ რამდენი დაიხარჯა, როგორ დაიხარჯა, და რა იქნა პროგრამებით მიღწეული. მეორე, არაერთი ექსპერტი მსოფლიოში მიანიშნებდა, რომ გასათვალისწინებელია ვირუსის მეორე ტალღა, რამაც შესაძლებელია პირველთან შედარებით კიდევ უფრო მძიმე შედეგები მოიტანოს, როგორც ეს მოხდა 1918 წლის პანდემიის დროს. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს მთელი რიგი მიმდინარე პროგრამების შეფასება და იმის გაგება, თუ რამ იმუშავა, რამ ვერ იმუშავა და დღის წესრიგში დადგეს ცვლილებების ან დამატებების განხილვა. განსაცდელი ხშირად იქცევა ახალი და წარმატებული ძალისხმევის საწყისად. ეს განსაკუთრებით ეხება საქართველოს, რომელსაც ყოვლისმომცველი სოციალური უსაფრთხოების ქსელი არ გააჩნია.

მონიტორინგი და შეფასება უნდა პასუხობდეს შემდეგ კითხვებს:

- *მიაღწია თუ არა მიზნობრივმა პოლიტიკამ შესაბამის პირებამდე?*
- *რამდენი დაიხარჯა კონკრეტულ პროგრამაზე/პოლიტიკაზე?*
- *პროგრამებით მიღწეულ იქნა თუ არა განცხადებული მიზნები?*
- *ხომ არ მოხდა პროგრამებს შორის ურთიერთგადაფარვა?*
- *არსებობს თუ არა მომავლისთვის სხვა ვარიანტები, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელი იქნებოდა იგივე მიზნების მისაღწევად?*

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ამ პროგრამათაგანი ჯერ ისევ განხორციელების პროცესშია, გარკვეული პირველადი მონიტორინგი და შეფასებითი ანგარიშები უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. იმედია, თითოეული ინიციატივა, რომელიც განხორციელდა, შესაძლებელია ნათლად გამოიკვეთოს ქვეყნის პროგრამულ ბიუჯეტში და ფინანსური მენეჯმენტის სისტემებში. როგორც ამ ეტაპზე ჩანს, ბევრი პროგრამის აშკარა იდენტიფიცირება შეუძლებელია. მთავრობამ მოამზადა ანგარიში COVID-ზე რეაგირების განხორციელებაზე და მასში არის გარკვეული მონაცემები ამ პროგრამების სამიზნე დაფარვასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს დოკუმენტი სრულყოფილი მონიტორინგის და შეფასების ანალიზს არ წარმოადგენს.[25]

რეკომენდაცია:

F.I	**COVID-თან დაკავშირებული სამთავრობო ინიციატივების მონიტორინგის ანგარიშები შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა მომზადდეს და გამოქვეყნდეს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ვერ გადმოსცემს სრულყოფილ ინფორმაციას. მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობამ გააკეთოს შეაფასება და COVID-ზე საგანგებო რეაგირების პოლიტიკის ეფექტიანობასა და ეფექტურობაზე ანგარიში წარუდგინოს საზოგადოებას.**

ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებული ხედვა

ზრდასთან დაკავშირებული ხედვა როგორც მსოფლიო ეკონომიკის, ისე საქართველოს შემთხვევაში ძალიან გაურკვეველია. გაურკვევლობის დონე იმდენად მაღალია როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, რომ მშპ-ს პროგნოზები საკმაოდ დიდ დიაპაზონში მერყეობს. მოცემულ ნაშრომში შესადარებლად გამოყენებულ ქვეყნებთან

[25] საქართველოს მთავრობის მიერ COVID 19-ის წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებები, STOPCOV.GE-ის მიხედვით, https://stopcov.ge/Content/files/COVID_RESPONSE_REPORT__ENG.pdf.

მიმართებაში სამი რამ შეიმჩნევა: i) მშპ-ს ზრდა იყო უფრო სტაბილური ვიდრე სხვა ქვეყნებში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში; ii) მშპ-ში კლება უფრო დიდი ჩანს, ვიდრე სხვა ქვეყნებში და iii) საერთაშორისო სავალუტო ფონდის აპრილის თვის გამოცემაში „მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივა“ საერთაშორისო სავალუტო ფონდი ვარაუდობს, რომ თითოეული ქვეყნის შემთხვევაში მშპ-ს ზრდის კუთხით საქმე გვექნება „V-ფორმის” აღდგენასთან. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამაში ჩართულმა ქვეყანამ უნდა შეძლოს აჩვენოს, რომ გატარებული პოლიტიკა და გამიზნული შედეგები მიაღწევს პოზიტიურ შედეგს და რომ ქვეყანა შეძლებს ვალების დაფარვას. ეს ნაწილობრივ ხსნის საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გაკეთებეულ პროგნოზს მშპ-ს სწრაფი გაუმჯობესების შესახებ. თუმცა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ბოლო დროს გაკეთებული განცხადებებიდან ჩანს, რომ „V-ფორმის” ეკონომიკური აღდგენა 2021 წელს ნაკლებად სავარაუდო ხდება.

ნახ 4: მშპ-ს რეალური ზრდის დონეები



როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში მოსალოდნელი ფისკალური სურათის პროგნოზირების და პოლიტიკასთან დაკავშირებული რეკომენდაციების უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა მაკროეკონომიკური პერსპექტივის ხედვა. თუ გავითვალისწინებთ გარშემო არსებულ გაურკვევლობას არა მხოლოდ მშპ-სთან, არამედ ასევე გაცვლით კურსთან მიმართებაში, განიხილება რამდენიმე სხვადასხვა სცენარი და ხდება მათი შედარება საერთაშორისო სავალუტო ფონდის/საქართველოს მთავრობის მაკროეკონომიკურ ხედვასთან, რომელიც მათ შეთანხმებაში/პროგრამაშია მოცემული. ეს შეთანხმება ვარაუდობს მშპ-ს 4%-იან შემცირებას 2020 წელს და 4%-იან ზრდას 2021 წელს, და ზრდა გრძელდება 2025 წლის ჩათვლით. ეს სცენარი მოიხსენიება როგორც „V-ფორმის” აღდგენა. ასევე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზებში სტანდარტული პრაქტიკის შესაბამისად ივარაუდება, რომ გაცვლითი კურსი უცვლელია. ამას აქვს არსებითი მნიშვნელობა ვალისთვის, ვინაიდან ვალი დიდწილად უცხოურ ვალუტაშია გამოხატული, როგორც ეს ნაჩვენები იყო ვალის ჩაშლის ცხრილში.

როგორი ფორმა ექნება აღდგენას?

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამა „V-ფორმის” აღდგენს პროგნოზირებს. როგორც ქვეყნების შედარებაშია ნაჩვენები, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ვარაუდობს, რომ ყველა შესადარებელ ქვეყანაში „V-ფორმის“ აღდგენა გვექნება. მიუხედევად იმისა, რომ შესაძლოა ეკონომიკამ უფრო მცირე ან უფრო დიდი ვარდნა

განიცადოს, „V- ფორმა” - ის აღდგენის იმედის ქონა, ალბათ ზედმეტად ოპტიმისტურია. ბოლო დროს საერთაშორისო სავალუტო ფონდის და საერთაშორისო ექსპერტების მიერ გაკეთებული განცხადებებში გამოითქვა ეჭვი „V-ფორმის” აღდგენასთან დაკავშირებით. პროექტის სცენარებში ნავარაუდებია „U- ფორმის” აღდგენა. პროგრამის დასკვნა, რომ „U-ფორმის” აღდგენა უფრო სავარაუდოა ვიდრე „V-ფორმის” აღდგენა ქვემოთ მოცემულ დაკვირვებებს ეფუძნება:

- როგორც ფიზიკური პირების, ისე ფირმების საბალანსო ანგარიშები გაუარესდა და ამგვარად ნაკლებად სავარაუდოა, რომ ფიზიკური პირები ან ფირმები დახარჯავენ იმდენივეს, რამდენსაც წარსულში. ეს გაუარესება საბალანსო ანგარიშებში ნიშნავს ზოგადად სიმდიდრის და სესხების მიღების უნარის შემცირებას.
- როგორც ჩანს, სამომხმარებლო პრეფერენციებში მუდმივი ხასიათის ცვლილებები მოხდება. არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ მოგზაურობა, ტურიზმი და მასთან დაკავშირებული სერვისები რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეფერხდება. გარდა ამისა, დიდი ალბათობაა, რომ გაიზრდება ფულის კონცენტრაცია დანაზოგებში და შესაბამისად შემცირდება სამომხმარებლო ხარჯვა და ინვესტირება.
- მთავრობა წარმოების, და შედეგად ეკონომიკის გაზრდის ახალი წყაროების მოძიების შესაძლებლობებს განიხილავს, და გამოსავლის პოვნის შემთხვევაშიც კი, ახალი წყაროების განვითარებას დრო დასჭირდება.
- მთავრობას იმედი აქვს, რომ საქართველო გახდება ახალი მიწოდების ჯაჭვების ნაწილი, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბიზნესებს მსოფლიოს მასშტაბით სურთ ჩინეთისგან, როგორც საქონლის წყაროსგან ჩამოშორება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არაერთი სავაჭრო ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, სავაჭრო ხელშეკრულებების შესაძლებლობების რეალიზაცია ზოგადად გრძელვდიანი პროცესია.
- მოსალოდნელია, რომ ქვეყნები, განსაკუთრებით ინდუსტრიული ქვეყნები უფრო საკუთარ თავზე დამოკიდებულები გახდებიან, რადგან, როგორც პანდემიამ აჩვენა, იმპორტზე დამოკიდებულება პრობლემატურია.

ოფიციალური პროგნოზის („V- ფორმა”) ან პროექტის სცენარებში ნავარაუდევი „U-ფორმის” აღდგენის საპირისპიროდ, “L-ფორმის” აღდგენა შესაძლებელი ან მოსალოდნელია, რაც საგანგაშოა. როგორც ქვემოთ ნახავთ, “L-ფორმის” აღდგენა პრობლემატურია, მაგრამ სავარაუდოა, თუ ზრდა მსოფლიოში არ ღდგება. ეს შეიძლება მოხდეს, თუ პანდემია, მეორე, უფრო მძლავრი ტალღით დაგვიბრუნდება. ეს მოსალოდნელია, რადგან წინა გლობალურ პანდემიას 1918 წელს მოჰყვა მეორე , უფრო მძლავრი ტალღა, ამ ალბათობას ემატება ისიც, რომ ვირუსის ვაქცინა ჯერ არ შექმნილა. ამგვარად, იმ შემთხვევაში თუ საერთაშორისო ეკონომიკა ვერ დაუბრუნდება პანდემიამდე არსებულ ზრდის დონეს, საქართველოში მშპ-ს, რომელიც მნიშვნელოვანწილად ექსპორტზე (ტურიზმი) და ფულად გზავნილებზეა დამოკიდებული, დონის აღდგენა შეიძლება დიდი ხანი ვერ მოხერხდეს. სავარაუდოდ პანდემიის მეორე ტალღის მართვა ნაკლებად ხარჯიანი იქნება, ვინაიდან მსოფლიომ მიმდინრე პანდემიიდან უკვე მიიღო გაკვეთილი. მიუხედავად ამისა, „L-ფორმის“ შედეგი შესაძლებელია დადგეს და ეს პრობლემატური იქნება.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკებზე განვიხილავთ მშპ-ს სხვადასხვა სცენარებს, მაგრამ სრულყოფილი სურათისთვის შევეხებით საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ

საქართველოს პროგრამის მეხუთე მიმოხილვაში მშპ-ს პროგნოზს, რომელიც COVID-მდე გაკეთდა. გამოყენებული დაშვებები და პროგნოზირების მეთოდოლოგია მოცემულია **დანართში B**. დეფიციტის და ვალის შედეგები ოთხი სხვადასხვა სცენარისთვის მოცემულია **მე-6 გრაფიკზე**. ეს სცენარები საკმაოდ მარტივია, ვინაიდან მშპ და გაცვლითი კურსი მხოლოდ ვარაუდებია. მათი განსხვავებული დაშვებული სიდიდეები ზემოქმედებას ახდენს შემოსავლებზე, პროცენტის გადახდებზე, ვალზე და მოცემულ კოეფიციენტებზე.

ოთხიდან ორი სცენარი პროექტის მიერ გაკეთებული ვარაუდებია. პროექტის უფრო ოპტიმისტურ სცენარში A, მშპ-ს უფრო ნაკლები შემცირებაა ნავარაუდევი, ვიდრე საერთაშორისო სავალუტო ფონდის/საქართველოს მთავრობის პროგრამაში (მშპ-ს 2%-იანი შემცირება), მაგრამ ნავარაუდევია „U-ფორმის" და არა „V-ფორმის" აღდგენა. 2025 წლისთვის მშპ-ს დონე დაახლოებით იგივე ნიშნულზეა, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის/საქართველოს მთავრობის პროგრამაშია ნავარაუდევი. თუმცა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის/საქართველოს მთავრობის პროგნოზისგან განსხვავებით ასევე ნავარაუდევია, რომ გაცვლითი კურსი აღდგება 2018 წლის დონის დაახლოებით სამ მეოთხედამდე. არსებობს რამდენიმე ინდიკატორი, რომელიც 2020 წლის მშპ-ს უფრო ოპტიმისტურ შედეგს ამყარებს. ეს მოიცავს შემდეგს i) საშემოსავლო შედეგები დღემდე საკმაოდ დადებითია და წლის განმავლობაში მშპ-ს 4%-იან შემცირებას არ შეესაბამება; ii) საბანკო სესხების მოცულობა საკმაოდ მაღალია; iii) ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ მეორე კვარტალი უარესი იქნებოდა, ვიდრე ეს ნაჩვენებია ეკონომიკის ზრდის წინასწარი შეფასების დოკუმენტში iv) ფისკალური დახმარების მასშტაბი, როგორც ზემოთ განვიხილეთ, იყო არსებითი და მიმართული იყო იმ მოქალაქეებზე, რომლებიც, დიდი ალბათობით, დაზოგვის ნაცვლად დახარჯავდნენ; და v) ინფექციისა და სიკვდილიანობის დაბალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, ეკონომიკა აშკარად იწყებს გამოცოცხლებას. აღდგენის სხვა მინიშნებები მოიცავს ზრდას იპოთეკურ სესხებში, უნაღდო ხარჯებში ზოგიერთ სფეროში როგორიცაა ტანსაცმელი, სამომხმარებლო პროდუქტები, საწვავი და ტრანსპორტი, გართობა, რესტორნები, ფიტნესი და სულ ბოლო დროინდელი ზრდა სასტუმროების ჯავშნებში (მიუხედევად იმისა, რომ ეს მაჩვენებლი ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია).[26]

პროექტის მეორე სცენარი, სცენარი B უფრო ნეგატიურია, ვიდრე საერთაშორისო სავალუტო ფონდის/საქართველოს მთავრობის ოფიციალური სცენარი. ეს სცენარიც განიხილავს „U- ფორმის" აღდგენას, მაგრამ მშპ-ს შემცირება უფრო დიდია ვიდრე 4% 2020 წელს და არანაირი გაუმჯობესება გაცვლითი კურსის თვალსაზრისით. ლოგიკური დასაბუთება ამ სცენარისთვის ის გახლავთ, რომ მშპ-ს ვარდნა მეორე კვარტალის პირველ ორ თვეში საკმაოდ დიდი იყო, და გლობალური მშპ-ს აღდგენის მხოლოდ მოკრძალებული ნიშნები არსებობს, რადგან ზოგიერთ ქვეყანაში პანდემიის მეორე ტალღა დაიწყო, ხოლო ის ქვეყნებიც კი, სადაც მეორე ტალღა არ დაფიქსირებულა, ეკონომიკის თავიდან გახსნას დიდი სიფრთხილით ეკიდებიან.

პროექტის ერთ-ერთ სცენარში გაცვლითი კურსის შესახებ უფრო ოპტიმისტური ვარაუდის მიზეზი ის არის, რომ მონეტარული/ინფლაციის კონტროლი საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან ზედმიწევნით მკაცრი და წარმატებული იყო და უცხოური ვალუტის მოცულობა ადექვატურია. თუმცა, არის მიზეზები ვივარაუდოთ, რომ გაცვლითი კურსი ვერ შეინარჩუნებს გაუმჯობესების ტრაექტორიას, ვინაიდან

[26] იხ. თიბისი კაპიტალის ბოლო ანგარიშები, COVID-19: აღდგენის დინამიკა, 2020 წლის ივლისი და აგვისტო, https://tbccapital.ge/ka/publications/COVID-19--Tracking-the-Recovery-3

მდგომარეობა სავაჭრო ბალანსის (ტურიზმის მკვეთრი შემცირება) და ფულადი გზავნილების თვალსაზრისით გაუარესდა.

ოთხი განსხვავებული სცენარი მოიცავს შემდეგს:

1. საერთაშორისო სავალუტო ფონდის/საქართველოს მთავრობის „V-ფორმის“ აღდგენა, როგორც ეს ნაჩვენები იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მე-6 მიმოხილვაში.
2. „L-ფორმის“ შედეგი, სადაც მშპ-ს ზრდის მაჩვენებელს რამდენიმე წელი დასჭირდება, რომ დაუბრუნდეს COVID-მდე არსებულ დონეს და გაცვლითი კურსის გაუმჯობესება არ ფიქსირდება.
3. პროექტის სცენარი A უფრო ოპტიმისტური შედეგით, როგორც ზემოთ იყო განხილული.
4. პროექტის სცენარი B უფრო პესიმისტური შედეგით.
5. საერთაშორისო სავალუტო ფონდის/საქართველოს მთავრობის მშპ-ს კურსი მე-5 მიმოხილვაში.

<u>გრაფიკი 5: რეალური მშპ-ს ალტერნატიული კურსები (2017=100)</u>



რაც შეეხება მშპ-ს, მიუხედავად იმისა, რომ ზრდის დონე ყველა სცენარში გრძელვადიან ნიშნულს უბრუნდება, ყველა შემთხვევაში გვაქვს მშპ-ს მუდმივი დანაკარგი, მე-5 მიმოხილვაში COVID-მდე გაკეთებულ პროგნოზებთან შედარებით. როგორც ზემოთ იყო ნახსენები, 2020 წელს ეკონომიკის მთლიანი გამოშვების შემცირება A სცენარში ოფიციალურ პროგნოზზე ნაკლებია, მაგრამ მშპ-ს იმავე დონეზე დაბრუნებას წლები დასჭირდება ნავარაუდევი „U” ფორმის აღგენიდან გამომდინარე. მიუხედევად იმისა, რომ სცენარი B განიხილავს 2020 წელს მთლიანი გამოშვების უფრო დაბალ დონეს, ყველაზე უარეს „L-ფორმის” აღდგენასთან შედარებით მასში ნაჩვენებია საქართველოს ეკონომიკური ზრდის ისტორიულ კურსთან უფრო სწრაფად დაბრუნება, რაც საბოლოო ჯამში გამოიხატება მშპ-ს უფრო მაღალი დონით „L-ფორმის” აღდგენასთან შედარებით.

<u>გრაფიკი 6: ვალის და ფისკალური ბალანსის სცენარები, როგორც მშპ-ს %</u>



სცენარები გამოხატავს შემდეგს ფისკალური შედეგებისთვის:[27]

- ფისკალური დეფიციტის გაუმჯობესების სცენარი საერთაშორისო სავალუტო ფონდის/საქართველოს მთავრობის შედეგის მსგავსია. მიუხედავად იმისა, რომ სცენარ A-ში გაცვლითი კურსის ნავარაუდევ გაუმჯობესებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საპროცენტო გადახდებზე და ვალზე, საერთო დეფიციტი ოდნავ უარესად გამოიყურება სცენარ A-ში, ვინაიდან მთლიანი გამოშვების აღდგენა ასე სწრაფად არ ხდება.
- ფისკალური გაუმჯობესება მნიშვნელოვნად უფრო შესუსტებულია სცენარ B-ში, მაგრამ არ არის ისეთი პრობლემური, როგორც „L-ფორმის“ მშპ-ს ზრდის კურსი. ამ შედეგს მშპ-ში განსხვავება განაპირობებს.
- ვალში ყველაზე დიდი გაუმჯობესება (სცენარი A) გაცვლით კურსთან დაკავშირებული დაშვების შედეგია – გაცვლითი კურსი 2018 წელს არსებული დონის 75%-ს უბრუნდება. ამ შედეგს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის დიდი მოცულობა განაპირობებს.
- რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ არ ჩავთვლით ყველაზე უარეს „L-ფორმის“ აღდგენის სცენარს, ძირეული ცვლილებები მდგრადი შედეგის მისაღწევად აშკარად არ არის საჭირო. ეს სცენარ B-საც ეხება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთავრობამ თავი უნდა აარიდოს პოლიტიკის განხილვას ფისკალური დეფიციტის ან ვალის შესამცირებლად, რადგან ჯერ კიდევ არის სხვა ფაქტორები, რამაც შეიძლება ვალს არამდგრადი დონისკენ უბიძგოს. მაგალითად, გაცვლითი კურსის უფრო ხანგრძლივი და მკვეთრი გაუარესება პრობლემატური გახდება.

მართებულია თუ არა ის ფისკალური პოლიტიკის ინიციატივები რომლებსაც საქართველოს მთავრობა უჭერს მხარს?

სცენარები შესაძლო შედეგების გარკვეულ წარმოდგენას გვთავაზობს. ამ სცენარების საბოლოო მიზანია განისაზღვროს სათანადო პოლიტიკა მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. მაგრამ, ისინი უბრალოდ შეისწავლიან არსებული ან შეთანხმებული პოლიტიკის სავარაუდო შედეგებს სხვადასხვა მაკროეკონომიკური

[27] ეს გრაფიკი საერთაშორისო სავალუტო ფონდის/საქართველოს მთავრობის სცენარისთვის ასახავს საერთაშორისო სავალუტო ფონდის/საქართველოს მთავრობის შეთანხმებაში მოცემულ ცხრილებს, მაგრამ გაცვლითი კურსის თვალსაზრისით ბოლო დროს მიღწეული გაუმჯობესებით, ვალის ოდენობა 2020 წელს აქ უკვე 60%-ზე ნაკლებია ნაჩვენები.

პირობებისთვის. პირველი შეკითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს შემდეგში მდგომარეობს: არის თუ ამჟამინდელი პოლიტიკა ზრდის ხელშემწყობი და ადეკვატური პანდემიასთან გასამკლავლებლად? და თუ არა, რა არის რეკომენდებული? მეორე და პირველთან დაკავშირებული კითხვა არის, თუ არსებულ პირობებში რამდენად განხორციელებადია მთავრობის მიერ პანდემიამდე დაგეგმილი ინიციატივები, როგორიცაა საჯარო ინვესტიციების ზრდა.

აღსანიშნავია, რომ სცენარში გამოყენებული შეთანხმებული პროგრამა და დაშვებები ითვალისწინებს სახელმწიფო ინვესტიციების შემცირებულ დონეს მშპ-სთან მიმართებაში. აქვს თუ არა საქართველოს ფისკალური სივრცე დამატებითი ხარჯების მხარდასაჭერად? ეს საკითხი ნაწილობრივ დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად მდგრადია მოსალოდნელი ვალის დონე. გარდა ამისა, ვალის დონე უნდა იყოს მისაღები, რადგან უარყოფითი მაკროეკონომიკის პირობებში, ვალის დონე შეიძლება არამდგრად ნიშნულამდე ავიდეს. და ბოლოს, რომელია პოლიტიკის ის ვარიანტები, რომელიც მთავრობამ უნდა განიხილოს ფისკალური სივრცის უზრუნველსაყოფად ფისკალური პრიორიტეტების განხორციელების და/ან დეფიციტისა და ვალის შემცირების მიზნით? საკვლევ სფეროებს შორის არის ვალის მართვა, შემოსავლების ზრდის პოტენციალი და ხარჯების შემცირების შესაძლებლობები.

ფისკალური პოლიტიკა და გადაუდებელი რეაგირების ღონისძიებები

ეკონომიკური აღდგენისკენ მიმართული გადაუდებელი რეაგირების ღონისძიებები, როგორც ჩანს, საუკეთესო პრაქტიკას შეესაბამება. თუმცა, ეს ყველაფერი დიდ ფისკალურ ხარჯთან იყო დაკავშირებული, რასაც ამჟამად საქართველოს მთავრობა განვითარების პარტნიორების დახმარებით მართავს. ამ ეპიზოდში წარმოიშვა რამდენიმე საკითხი, რომელთა განხილვაც წინსვლისთვის აუცილებელია. ეს პროგრამები დაიგეგმა როგორც დროებითი და შესაბამისად მათში გათვალისინებულია მათი ამოწურვის ვადები. მიუხედევად იმ დიდი ხარჯისა რაც საგანგებო რეაგირების პროგრამებთან იყო დაკავშირებული, თუ პანდემიის მეორე ტალღა არ იქნება, მთავრობამ უნდა შეწვიტოს მხარდაჭერის პროგრამები იმ ვადების შესაბამისად რაც გათვალისწინებული იყო.

მთავრობის პროგრამული ბიუჯეტის სისტემა მონიტორინგს და შეფასებას უკვე მოიცავს. თუმცა, როგორც ეს ზემოთ იყო რეკომენდებული, საქართველოს მთავრობა პანდემიაზე რეაგირების თითოეულ ზომას ზედამხედველობას უნდა უწევდეს, აფასებდეს და ანალიზის ანგარიშს აქვეყნებდეს. რამდენიმე მიზეზი არსებობს, რაც ამ ანგარიშებს ჩვეულებრივზე უფრო დროულ გამოქვეყნებას კიდევ უფრო აუცილებელს და მნიშვნელოვანს ხდის. პირველი, თუ გავითვალისწინებთ დიდ ფისკალურ ხარჯს, მთავრობას აქვს ამ პროგრამების ხარჯებისა და სარგებლის ჩვენების ვალდებულება. მეორე, თუ პანდემია გამეორდება, მთავრობა შეძლებს დაეყრდნოს მონიტორინგისა და შეფასების ანალიზს, იმის განსასაზღვრად, თუ რომელი ღონისძიება იყო ეფექტური, და შეძლოს განსაზღვროს, უნდა მოხდეს, თუ არა მათი შემგდომში გამოყენება. მომავალი გადაუდებელი რეაგირების პროგრამების შექნისას მათ შეეძლებათ, თავი აარიდონ წინა შეცდომებს და აქცენტი წარმატებულ ინტერვენციებზე გააკეთონ.

არის რემდენიმე სფერო, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. მთავრობა აღიარებს, რომ მას არ გააჩნია ყოვლისმომცველი სოციალური უსაფრთხოების ქსელი. ამ გამოცდილებიდან ბევრი რამის სწავლა შეიძლება. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია, რომ სოციალური უსაფრთხოების ქსელმა მოიცვას საჭიროების მქონე მოქალაქეები და ამავდროულად არ უნდა იყოს ზედმეტად რთული და გამორიცხავდეს

არამიზნობრივი გამოყენების რისკებს. პანდემია და თანმდევი მონიტორინგი და შეფასება შესაძლებლობას გვთავაზობს დავინახოთ, თუ რამ იმუშავა წარმატებით და რამ განიცადა მარცხი, მაგრამ ამავე დროს განვიხილოთ სხვა ვარიანტებიც (მაგ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET): დახმარების უნივერსალური სქემის უპირატესობები).

COVID-ზე საგანგებო რეაგირების ზოგიერთი პაკეტი კონკრეტული დარგის, მაგალითად ტურიზმის, სოფლის მეურნეობის და მშენებლობის/უძრავი ქონების მხარდაჭერას ისახავდა მიზნად. გარკვეულწილად ეს ეწინააღმდეგება საქართველოს მიდგომას, რომელიც ქვეყანას ბოლო ათწლეულის მანძილზე ჰქონდა არჩეული. მთავრობამ უნდა შეინარჩუნოს ბოლო 10 წლის განმავლობაში გატარებული ის დადებითი რეფორმები, რამელმაც ხელი შეუწყო მაღალი რეიტინიგის მოპოვებას ისეთი ინსტიტუტების მხრიდან, როგორიცაა მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების სიმარტივის“ რეიტინგი. საუკეთესო პრაქტიკად ითვლება ყველა დარგისთვის თანაბარი პირობების ხელშეწყობა და არა მთავრობის მიერ „გამარჯვებულებისა“ და „დამარცხებულების“ არჩევა.

კონკრეტული დარგის მხარდაჭერა ძვირადღირებული და ხშირად არაეფექტურია. ზოგადად, საუკეთესო პრაქტიკაა თავის არიდება არასიცოცხლისუნარიანი ბიზნესების მხარდაჭერისგან. სასურველია კორპორაციულ და საგადასახადო სამართალში ისეთი წესების შემუშავება, რომელიც ბიზნესის რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების შეუფერხებელ პროცესებს დაადგენს. ეს არ უარყოფს სექტორის მხარდაჭერის ყველა ფორმას. სინამდვილეში, ქვემოთ მოცემული დარგობრივი პოლიტიკის განხილვა გვთავაზობს ზოგიერთი დარგის მხარდაჭერის შესაძლო პოლიტიკას, მაგრამ ის გონივრულად უნდა განხორციელდეს. მთავრობა ამბობს, რომ სექტორზე მორგებული პოლიტიკა იყო აუცილებელი, რადგან ზოგიერთი მათგანი ნაწილობრივ სოციალური უსაფრთხოების ქსელის ნაცვლად შემუშავდა, ვინაიდან ეს იყო ერთადერთი გზა გარკვეული დარგების თანამშრომლებისთვის დახმარების გასაწევად (მაგ., ტურიზმი). სამშენებლო სფეროში დახმარება ძირითადად დაბალშემოსავლიან საცხოვრებელ სახლებს ეხებოდა. გარკვეული დახმარება იყო იმ სექტორებისთვის, რომლებიც ძალიან დაუცველი აღმოჩნდნენ პანდემიის წინაშე და მჭიდრო კავშირში იყვნენ ეკონომიკის სხვა დარგებთან. ეს არგუმენტები სარწმუნოდ ჟღერს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ამ პოლიტიკის ზემოქმედებას ფისკალურ ანგარიშებზე და ამასთან ბაზარზე არათანაბარი პირობების შექმნის შესაძლებლობას, ანგარიშვალდებულება მონიტორინგისა და შეფასების გზით აუცილებელია.

რეკომენდაცია:

F.2	**თავიდან უნდა იქნეს აცილებული დარგების მიკრო მენეჯმენტი და რეფორმის სტრატეგიების შეჩერება, რაც ასე მნიშვნელოვანი იყო საქართველოს მთავრობისთვის გასული ათწლეულის განმავლობაში.**

პოლიტიკის ვარიანტები ფისკალური სივრცისთვის ან ვალის შესამცირებლად

სავალო პოლიტიკა

როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის/საქართველოს მთავრობის პროგრამის, ისე პროექტის შეფასებით, პოლიტიკაში ცვლილების განხორციელების გარეშე სესხი 2025 წლისთვის 40-იდან 50%-ის შუალედში იქნება. თუმცა, ყველაზე არასასურველმა „L-ფორმის“ აღდგენამ, რომელიც არარეალიზებულ გლობალურ აღდგენას ასახავს შეიძლება 60% -ზე მაღალი სესხის კოეფიციენტი მოიტანოს შედეგად. საქართველოს

კანონმდებლობაში ჩადებული ამჟამინდელი ფისკალური წესის თანახმად ვალი/მშპ 60% -ზე ნაკლები უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ 60% არის სესხის მიღებული ნიშნული, რომელსაც მრავალი ქვეყანა იყენებს, რამდენიმე ფაქტორის გამო, შეიძლება ეს სამიზნე ძალიან მაღალი იყოს. საქართველოს მთავრობა, როგორც ჩანს, აცნობიერებს, რომ 60% არის ზედა ზღვარი რომლამდე მისვლასაც თავი უნდა ავარიდოთ, და მთავრობა აქამდე ვალის დონე 40%-ის ფარგლებში შენარჩუნებას ახერხებდა. უფრო დაბალი სამიზნე დონე შესაფერისია საქართველოსთვის რამდენიმე მიზეზის გამო:

i) გაცვლითი რისკის ძალიან მაღალი ხარისხი, რომელიც დაკავშირებულია უცხოურ ვალუტაში გამოხატული სესხის დაახლოებით 80%-თან. ეს ნიშნავს, რომ გაცვლითი კურსის ნებისმიერი გაუფასურება ვალზე და პროცენტის გადახდაზე დიდ გავლენას ახდენს.

ii) დაბალი შემოსავლი/მშპ თანაფარდობა და შესადარებელ ქვეყნებთან შედარებით დაბალი საგადასახადო განაკვეთები ნიშნავს იმას, რომ ფისკალური ანგარიშების შემოსავლები არ არის გაუმჯობესებული ზრდის პირდაპირპროპორციული.

iii) ექსპორტისა და ფულადი გზავნილების შედარებით მაღალი წილი, მსოფლიო მაკროეკონომიკური გარემოს ცვლილებების მიმართ ეკონომიკის დაუცველობას ზრდის.

ამ მოსაზრებების გათვალისწინებით ვალი/მშპ-ს კოეფიციენტისთვის 45% -ის მიზნობრივ ნიშნულად არჩევა უფრო მიზანშეწონილია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების ანგარიში საქართველოს ფისკალურ წესთან დაკავშირებით ასევე ამტკიცებს, რომ 45%, ალბათ, სათანადო მიზნობრივი დონეა.[28]

მთავრობის შესაძლებლობა შეამციროს ვალი ვალის მართვის ინსტრუმენტების გამოყენებით საკმაოდ შეზღუდულია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ მიიღო რეკომენდაცია შეემცირებინა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის წილი, საერთო ვალში, ეს არ არის რეალისტური ვარიანტი, განსაკუთრებით ამჟამინდელ გარემოებაში. უცხოურ ვალუტაში სესხის უდიდესი ნაწილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან არის და საპროცენტო განაკვეთი ძალიან დაბალია და ზოგადად შეღავათიანი პირობებით სარგებლობენ. ამგვარად, ამ ტიპის ვალის ჩანაცვლება ეროვნული ვალუტის სესხზე, საპროცენტო გადასახადის მნიშვნელოვან ზრდას გამოიწვევს. ეს შეიძლება პრაქტიკული იყოს როგორც გრძელვადიანი გამოსავალი, მაგრამ არა მოკლევადიანი.

მიუხედავად იმისა, რომ ვალის პროგნოზირებული დონე იდეალურად არ შეიძლება ჩაითვალოს ის ფისკალური წესის ფარგლებშია და, დიდი ალბათობით, მდგრადია. ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ 45% სასურველი სამიზნეა, ეს არ არის ის, რისი მიღწევაც შეიძლება მოკლევადიან პერიოდში და არც სავალდებულოდ უნდა განვიხილოთ.

[28] "საქართველო: ფისკალური კანონების ჩარჩოს გაძლიერება," ტორბენ ჰანსენი, შტეფან ფარინგტონი, ჯოაო ჯალესი, იზაბელ რაიალი, სამი ილოუტინენი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფისკალურ საქმეთა ტექნიკური დახმარების ანგარიში, 2017 წლის ნოემბერი.

რეკომენდაცია:

F.3	**მთავრობამ უნდა გაითავისოს, რომ პანდემიით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენის დაძლევას ფისკალურ მაჩვენებლებსა და მშპ-ზე, დრო დასჭირდება. 2025 წლისთვის ორიენტირება გააკეთეთ 45%-იანი ვალი/მშპ თანაფარდობაზე, მაგრამ ეს არ უნდა იყოს აღქმული სავალდებულოდ და საქართველოს მთავრობამ ფისკალური სივრცის უზრუნველსაყოფად და/ან ვალის შესამცირებლად სხვა ალტერნატივები უნდა მოიძიოს.**

ფისკალური ფინანსების გასაუმჯობესებელი გზების განხილვა

ამჟამინდელი ფისკალური ვითარება მოითხოვს შესაძლო ფისკალური ღონისძიებების შესწავლას ფინანსების გაუმჯობესების მიზნით მოკლევადიან, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. არ არსებობს მარტივი გამოსავალი, რომელიც ფისკალურ მდგომარეობას დაუყოვნებლივ გააუმჯობესებს. უფრო მეტიც, საქართველომ ეკონომიკური ზრდისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება. მაშინაც კი, თუ არ არსებობს აშკარა მყისიერი შესაძლებლობები, ზოგიერთი ფისკალური ღონისძიების უკვე შესწავლა და განხორციელება ხელს შუწყობს ვალის შემცირებას საშუალო და გრძელვადიან ჭრილში და საქართველოს მთავრობას მეტ ფისკალურ სივრცეს მისცემს მანევრირებისთვის, განსაკუთრებით თუ მსოფლიოს და შესაბამისად საქართველოს ეკონომიკა ზრდის ტრაექტორიას არ დაუბრუნდება.

საოპერაციო ხარჯები

2020 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში მთავრობამ უკვე შეამცირა ხარჯები თავდაპირველად დაგეგმილთან შედარებით. ეს გაკეთდა იმისათვის, რომ პანდემიასთან დაკავშირებული საგანგებო ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობი გაჩენილიყო.

- *სახელფასო ფონდი:* ბიუჯეტის გადახედვისას ცხადი ხდება, რომ სახელფასო ფონდი საკმაოდ მცირეა და, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი დანაზოგისთვის მცირე შესაძლებლობა რჩება. იმ დროს, როდესაც მთავრობა მთავარ როლს უნდა თამაშობდეს, შესაფერისი დრო არ არის საჯარო სამსახურების ან ხელფასების შესამცირებლად.
- *სახელმწიფო შესყიდვები:* როგორც ხელფასების შემთხვევაში, შესაძლებლობები აქაც შეზღუდულია, რადგან ამ სფეროში ხარჯების ფარდობითი მასშტაბი როგორც ჩანს სათანადოა. მთავრობამ თავი უნდა აარიდოს იმას, რაც ზოგიერთ ქვეყანაში მოხდა, კერძოდ, შესყიდვების შემცირება, განსაკუთრებით, კაპიტალური პროექტების ოპერირებასა და მომსახურებაზე, რაც ამცირებს ამ ძვირადღირებული პროექტების ღირებულებას.
- *სოციალური დანახარჯები:* პანდემიამ მნიშვნელოვანი დამატებითი ხარჯები მოითხოვა ამ სფეროში, რადგან ქვეყანას ყოვლისმომცველი სოციალური უსაფრთხოების ქსელი არ გააჩნია. ნაკლებად სავარაუდოა, ამ მიმართულებით დაზოგვის შესაძლებლობა არსებობდეს. ამის ნაცვლად, საჭიროა სოციალური უსაფრთხოების ქსელის საერთო სისტემის შეფასება. მთავრობამ უნდა იმუშაოს განვითარების პარტნიორებთან, მაგალითად, მსოფლიო ბანკთან, ამ სფეროში გარკვეული დახმარების მისაღებად.
- *პროგრამული მიდგომა და დანახარჯების გადახედვა:* იმის ნაცვლად, რომ ძალისხმევა მიიმართოს ისეთ პუნქტებზე როგორიცაა სახელფასო ფონდი და შესყიდვები, ქვეყანამ უნდა გამოიყენოს თავისი პროგრამული მიდგომით მოცემული შესაძლებლობა და შეისწავლოს ზოგიერთი უფრო დიდი პროგრამა

ხარჯების შემცირების და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა პანდემიის პირობებში იმყოფება მსოფლიო ბანკმა რამდენიმე წლის წინ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ხარჯების მიმოხილვა ჩაატარა და მიუთითა მნიშვნელოვან შესაძლო გაუმჯობესებებსა და დანაზოგებზე ჯანმრთელობის სფეროში.[29] ეს ასევე უნდა გავრცელდეს განათლების სფეროსა და სოციალური უსაფრთხოების ქსელზე.

რეკომენდაცია:

F.4	**დაიწყოს საბიუჯეტო პროგრამების გადახედვა, განსაკუთრებით მსხვილი პროგრამების, მათი ხარჯ-ეფექტიანობის და შესაძლო ფისკალური დანაზოგების დასადგენად.**

ინვესტიცია

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს საჯარო ინვესტიციების მოცულობა ოდნავ მეტია, ვიდრე მის შესადარებელ ქვეყნებში. თუმცა, უფრო გასაკვირია ის, რომ მთლიანი ინვესტიცია, როგორც მშპ-ს პროცენტი, ყველაზე მაღალია საქართველოში მეზობელ ქვეყნებთან შედარებით. გარდა ამისა, მთავრობა პანდემიის დაწყებამდე გეგმავდა საჯარო ინვესტიციების გაზრდას. ამ დოკუმეტის დარგობრივ ნაწილში, ინვესტიციების მისამართად რამდენიმე სფეროა შემოთავაზებული ზრდის ახალი სტრატეგიების მხარდასაჭერად, მათ შორისაა ინფრასტრუქტურა და ტრენინგები.

ბევრი ქვეყანა ხშირად მიმართავს შემცირებულ სახელმწიფო ინვესტიციებს ფისკალური ზეწოლის ფონზე. საქართველოს მთავრობის/საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის ბიუჯეტში ნაჩვენებია სახელმწიფო ინვესტიციების შემცირება და, როგორც ჩანს, მთავრობა ამ კურსს მიჰყვა აპრილსა და მაისში, რათა გამოეყენებინა თანხები ქვეყნის საგანგებო პოლიტიკის მხარდასაჭერად. მთლიანი ინვესტიციების მაღალი დონე წარმოშობს კითხვებს საერთო ინვესტიციის ეფექტურობის შესახებ, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს სახელმწიფო მფლობელობაში არსებული საწარმოებში ინვესტირებით. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მფლობელობაში არსებული საწარმოების ინვესტიცია საჯარო ინვესტიციად არ იდენტიფიცირდება, ერთ-ერთი გზა, რითიც შეიძლება გაიზომოს სახელმწიფო მფლობელობაში არსებული საწარმოების ინვესტიციის ეფექტურობა, არის სახელმწიფო საწარმოების მიერ გადმორიცხული დივიდენდების ან მოგების ტრანსფერების შეფასება. როგორც ჩანს მსგავსი ტრანსფერები, ან უკიდურესად მცირე იყო, ან საერთოდ არ ყოფილა.

ზემოთ ხსენებულ საჯარო ინვესტიციების მართვის შესახებ ტექნიკური დახმარების ანგარიშში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო საწარმოების ინვესტიციების მოცულობა საკმაოდ დიდია, ზედამხედველობა კი საკმაოდ შეზღუდულად ხორციელდება. ზემოთ ხსენებულ აგნარიშში მოცემულია რეკომენდაცია დაინერგოს გაუმჯობესებული საჯარო ინვესტიციების მართვის სისტემა, რომელიც მოიცავს პროექტის შერჩევას, შეფასებას, ფინანსურ და არაფინანსურ ანგარიშგებას. წინამდებარე დოკუმენტი იზიარებს მთავრობის გეგმას - გაზარდოს საჯარო ინვესტიციები, და არ ამტკიცებს, რომ უნდა მოხდეს საჯარო

[29] საქართველოს სახელმწიფოებრივი ხარჯების მიმოხილვა, მდგრადი მომავლის მშენებლობა, მსოფლიო ბანკი, 2017 წლის ივნისი. documents1.worldbank.org/curated/en/630321497350151165/pdf/114062-PER-P156724-PUBLIC-PERFINAL.pdf and the recent loan agreement, documents1.worldbank.org/curated/en/678361591985509652/pdf/Georgia-Economic-Management-and-Competitiveness-Development-Policy-Operation-COVID-19-Supplemental-Loan.pdf June 2020

ინვესტიციების შემცირება ან უკუგდება, არამედ, უნდა მოხდეს ინვესტიციების რელოკაცია და გაუმჯობესებული მართვა.

მთავრობამ დაიწყო ინფრასტრუქტურის მართვის გაძლიერება საჯარო ინვესტიციების მართვის გაუმჯობესების გზით და ცოტა ხნის წინ მიიღო კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის (PPP) შესახებ. იგი ასევე მონაწილეობდა ხელშეკრულებებში ენერგეტიკის სექტორში. ეს ძალისხმევა არის დროული და ამასთან მნიშვნელოვანი. საჯარო ინვესტიციების სტრატეგია განსაკუთრებით აქტუალურია საჯარო და კერძო თანამშრომლობების აქტიურ ფაზაში გადასვლასთან ერთად. ბოლო დროს, ბევრი ქვეყანა მიმართავს საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფორმას. ამასთან, საჭიროა მათი ძალიან ფრთხილად გაანალიზება. საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებებს აქვს ძალიან დაბალი ან თითქმის არარსებული საწყისი ღირებულება პირდაპირ საჯარო ინვესტიციებთან შედარებით, მაგრამ, როგორც წესი, მათ გააჩნიათ მაღალი მიმდინარე ხარჯები და მნიშვნელოვანი ფისკალური რისკი. ზოგადად, საჯარო ინვესტიციები შეიძლება საკმაოდ ძვირი და არაეფექტური იყოს (თუ სათანადოდ არ განხორციელდება).

რეკომენდაცია:

F.5	**უნდა დაინერგოს ინვესტიციების მართვის გამართული სისტემა, რომელიც მოიცავს პროექტის შერჩევას, შეფასებას, ფინანსურ და არაფინანსურ ანგარიშგებას – არ უნდა ითქვას უარი საჯარო ინვესტირების სტრატეგიაზე.**

შემოსავლები

შემოსავლების არსებული სისტემა ხელს უწყობს ინვესტიციებს, განსაკუთრებით კი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. ბოლოდროინდელმა რეფორმებმა საგადასახადო სისტემა გაამარტივა. ქვეყანას აქვს შედარებით დაბალი განაკვეთები და საკმაოდ მარტივი საგადასახადო სისტემა. მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება მხოლოდ დივიდინდების განაწილების დროს დგება. ქვეყანას მხოლოდ რამდენიმე სახის გადასახადი აქვს. მსოფლიო ბანკის რეიტინგის თანახმად დაბეგვრის სიმარტივის მიხედვით საქართველო მე-14 ადგილზეა მსოფლიოში. გარდა ამისა, გადასახადის განაკვეთები შემოსავლის წყაროების უმეტეს ნაწილზე მხოლოდ კონსტიტუციური ცვლილების საფუძველზე შეიძლება შეიცვალოს. ეს უზრუნველყოფს ინვესტორებისთვის სტაბილურობის ბევრად მაღალ ხარისხს, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში.

საქართველოში შემოსავალი/მშპ-ს თანაფარდობა ერთ-ერთი ყველაზე დაბალია მსოფლიოში (იხ. გრაფიკი 7 ქვემოთ.) ასევე, მის შესადარებელ ქვეყნებთან შედარებით განაკვეთებიც საკმაოდ დაბალია. არსებული სისტემა, რომლის თანახმადაც კორპორატიული გადასახადების გადახდა ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება დივიდენდების გაცემა, საქართველოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის მიმზიდველ გარემოდ წარმოაჩენს და, იმედია, მნიშვნელოვანი იქნება მომავალი ზრდის შესაძლებლობების თვალსაზრისითაც. თუმცა, ამ დაბალ მაჩვენებლებს მეორე მხარეც აქვს – ზრდის ტემპის მომატებასთან ერთად, ზოგიერთ სხვა ქვეყანასთან შედარებით, შემოსავალი გაიზრდება დაახლოებით იგივე ტემპით, როგორც მშპ, მაგრამ უფრო შეზღუდული იქნება. ამრიგად, არსებული საგადასახადო სისტემა ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას და საქართველოს დასჭირდება უფრო მაღალი ზრდის ტემპი ვიდრე მის ზოგიერთ შესადარებელ ქვეყანას, რათა მათი მსგავსი შემოსავლები მიიღოს.

ნახ 7: შემოსავლების შედარების დიაგრამები (წყარო: IDEA-ს მონაცემთა ბაზა, USAID)



გამოითქვა მოსაზრება, რომ შემოსავლების დაბალი მოცულობისა (და განაკვეთების) და დეფიციტისა და ვალის მოსალოდნელი ზრდისა და ხარჯვის შეზღუდული ვარიანტების გათვალისწინებით, საჭიროა შემოსავლების ზრდისკენ მიმართული ზომების მიღება. პირველ რიგში, ვიტყვით, რომ არსებული საგადასახადო სისტემა ახლახან იქნა რეფორმირებული და მიიჩნევა, რომ იგი დაეხმარა საქართველოს ზრდასა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში და საერთაშორისო დონეზე ძალიან პოზიტიური აღიარება აქვს. **წინამდებარე დოკუმენტი არ სთავაზობს მთავრობას რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებას შემოსავლების სისტემაში, განსაკუთრებით ისეთ ქმედებებს, რომლებიც კონსტიტუციურ ცვლილებას მოითხოვს.** თუმცა, შემოსავლის ზრდის ოთხი შესაძლო გზა არსებობს, რომელიც დამატებით შესწავლას მოითხოვს:

- **დღგ-ს ბაზის გაფართოება:** დღგ-ს დღევანდელი განაკვეთი შეესაბამება სხვა ქვეყნებისას და დღგ-ს ამოღების კოეფიციენტი და დაბეგვრის შესაძლო ზღვარი უფრო მაღალია, ვიდრე შესადარებელ ქვეყნებში. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია დღგ-დან დამატებითი შემოსავლები მივიღოთ შეღავათების გაუქმების გზით. მთავრობამ სავალუტო ფონდს ტექნიკური დახმარება სთხოვა არსებული შეღავათების ღირებულების შესაფასებლად. ხელისუფლებამ აღნიშნა, რომ არსებობს შეღავათების შემცირების შესაძლებლობა და სავარაუდოდ აქედან მიღებული დამატებითი შემოსავლები მშპ-ს 2%-მდე შეადგენს.
- **აქციზის გადასახადი:** არსებობს აქციზის და ეგრეთწოდებული "ცოდვის გადასახადების" (მაგ., თამბაქო და ალკოჰოლი) გაზრდის შესაძლებლობა. ეს არის ის სფერო, რომელიც მთავრობამ უნდა შეისწავლოს, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ის არაელასტიურ საქონელს შეეხება და თუ ამ საქონლის გამოყენება შემცირდება, ეს ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესებას და, შესაძლოა, ჯანმრთელობის ხარჯების შემცირებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს გადასახადები რეგრესული ხასიათისაა და მათი გავლენა სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე გათვალისწინებული უნდა იქნეს, სანამ მთავრობა რამე ზომებს მიიღებს.
- **სამომხმარებლო ტარიფებისა და მოსაკრებლის ზრდა:** მსგავსი შემოსავლები ადგილობრივ (თვითმმართველობების, მუნიციპალიტეტების) დონეზე

აკუმულირდება. გააუმჯობესებს თუ არა ამ ტარიფებისა და მოსაკრებლების ზრდა მთავრობის ზოგად ფისკალურ ფინანსებს, დამოკიდებულია იმაზე, შეამცირებს თუ არა ცენტრალური მთავრობა გრანტებს ადგილობრივი ხელისუფლებისთვის. ან, თუ გრანტებში ცვლილება არ იქნება, ადგილობრივი ხელისუფლება არ გამოიყენებს დამატებით შემოსავალს ხარჯვის გასაზრდელად. ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივი მოსაკრებლები, ხარჯვითი ნაწილის პირდაპირპროპორციულ ზრდას იწვევს. ასეთ შემთხვევაში, მოსაკრებლების ზრდა ზოგად ფისკალურ მდგომარეობას ვერ გააუმჯობესებს.

- **დეცენტრალიზაცია:** დეცენტრალიზაცია ქმნის შესაძლებლობებს ადგილობრივი მთავრობისთვის მეტი საგადასახადო უფლებამოსილების მინიჭებით. მოსაკრებლებზე ზემოთ მოყვანილი დისკუსიის მსგავსად, ამან შეიძლება შეამციროს ცენტრალური მთავრობის დეფიციტი (თუ გრანტები შემცირდება), მაგრამ არა ზოგადად მთავრობის, თუ ადგილობრივი ხელისუფლება დამატებით შემოსავალს ადგილობრივი მთავრობის ხარჯების გასაზრდელად გამოიყენებს. ნებისმიერ შემთხვევაში, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის მინიჭებული უფრო მეტი საშემოსავლო უფლებამოსილება, მოითხოვს მკაცრ მონიტორინგს, რათა არ მოხდეს ბოლო ათწლეულის განმავლობაში შექმნილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშემწყობი ბიზნეს გარემოს გაუარესება.

შესაძლებელია ვიფიქროთ შემოსავლების გაზრდის სხვადასხვა გზებზე, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს ბოლოდროინდელი წარმატებული ეკონომიკური ზრდა დიდწილად ეფუძნება სამართლიან და გამჭვირვალე საგადასახადო სისტემას, რომელიც ხელს უწყობს ინვესტიციებს. აქედან გამომდინარე, მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში შემოსავლების ზრდაზე აქცენტის გაკეთება, შესაძლოა კონტრპროდუქტიული გამოდგეს. შემოსავლების უდიდესი წყარო იქნება ეკონომიკის მატებით მიღწეული გაზრდილი შემოსავლები.

რეკომენდაცია:

F.6	სიფრთხილით იქნეს გამოკვლეული შემოსავლის შესაძლო წყაროები – დღგ-სგან გათავისუფლების და შეღავათების შემცირება, აქციზის გადასახადის ზრდა და მოსაკრებლების გაზრდა ან დაწესება.

სახელმწიფო მფლობელობაში არსებული საწარმოების ზედამხედველობა & მართვა

მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტში განსაზღვრული სახელმწიფო მფლობელობაში არსებულ საწარმოებთან დაკავშირებული ხარჯები საკმაოდ მცირე მოცულობისაა (ჩვეულებრივ, ისინი ასახულია ტრანსფერების სახით), სახელმწიფო საწარმოებს მაინც გააჩნიათ ფისკალური დაზოგვის პოტენციალი. სახელმწიფო მფლობელობაში არსებული საწარმოები ხშირად დაცულია და მთავრობას მათგან დივიდენდები მცირე ოდენობით ან საერთოდ არ აქვს მიღებული (კვაზი-ფისკალური ხარჯები). სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოების გაუმჯობესებულმა მართვამ შეიძლება მთავრობას შემოსავალი მოუტანოს დივიდენდების სახით. გარდა ამისა, სახელმწიფო საწარმოების პრივატიზებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ეკონომიკის ზრდას და საგადასახადო შემოსავლების მატებას, ხოლო საწარმოების გაყიდვიდან მიღებული თანხა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვალის შესამცირებლად. როგორც მსოფლიო ბანკის ისე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ფისკალური დანაზოგების ერთ-ერთ წყაროდ სწორედ სახელმწიფო საწარმოების გაუმჯობესებული მართვა იქნა მიჩნეული.

რეკომენდაცია:

F.7	სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულ საწარმოებზე ზედამხედველობის გაუმჯობესება ფისკალური დანაზოგების (დივიდენდების საშუალებით) პოტენციალს გვთავაზობს ან პრივატიზაციის გზით ვალის დონის შემცირებას და საგადასახადო შემოსავლების დამატებითი წყაროს უზრუნველყოფას.

ფისკალური პოლიტიკის რეკომენდაციების რეზიუმე

პანდემიის დასაწყისში ფისკალური პოლიტიკა მდგრადი იყო და მანევრირების საშუალებას იძლეოდა. მშპ-ს მოსალოდნელმა ვარდნამ და პანდემიასთან გამკლავების მიზნით განხორციელებულმა ინტერვენციამ მნიშვნელოვანი ფისკალური გამოწვევები განაპირობა. პანდემიის მიერ გამოწვეულ არასაიმედო გარემოში, ფისკალური მანევრირების მხრივ დიდი არჩევანი არ გვაქვს. იმ შემთხვევაში, თუ ეპიდემისს მეორე ტალღა არ იქნება, ვალის მაჩვენებელი მდგრად ნიშნულზე დარჩება. შემოთავაზებული სტრატეგიაა მოხდეს დროებითი რეგულაციების განსაზღვრულ ვადაში დასრულება, თავი ავარიდოთ შერჩევითი დარგობრივ ფისკალურ ინტერვენციას და დავუბრუნდეთ კოვიდამდელ რეფორმის სტრატეგიებს, მათ შორის ძლიერი საჯარო საინვესტიციო სისტემის დანერგვას.

F.1	COVID-თან დაკავშირებული სამთავრობო ინიციატივების მონიტორინგის ანგარიშები შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა მომზადდეს და გამოქვეყნდეს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ვერ გადმოსცემს სრულყოფილ ინფორმაციას. მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობამ გააკეთოს შეაფასება და COVID-ზე საგანგებო რეაგირების პოლიტიკის ეფექტიანობასა და სარგებლიანობის ანგარიში წარუდგინოს საზოგადოებას.
F.2	თავიდან უნდა იქნეს აცილებული დარგების მიკრო მენეჯმენტი და რეფორმის სტრატეგიების შეჩერება, რაც ასე მნიშვნელოვანი იყო საქართველოს მთავრობისთვის გასული ათწლეულის განმავლობაში.
F.3	მთავრობამ უნდა გაითავისოს, რომ პანდემიით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენის დაძლევას ფისკალურ მაჩვენებლებსა და მშპ-ზე დრო დასჭირდება. 2025 წლისთვის ორიენტირება უნდა გაკეთდეს 45%-იანი ვალი/მშპ თანაფარდობაზე, მაგრამ ეს არ უნდა იყოს აღქმული სავალდებულოდ და საქართველოს მთავრობამ ფისკალური სივრცის უზრუნველსაყოფად და/ან ვალის შესამცირებლად სხვა ალტერნატივები უნდა მოიძიოს.
F.4	დაიწყოს საბიუჯეტო პროგრამების გადახედვა, განსაკუთრებით მსხვილი პროგრამების, მათი ხარჯ-ეფექტიანობის და შესაძლო ფისკალური დანაზოგების დასადგენად.
F.5	უნდა დაინერგოს ინვესტიციების მართვის გამართული სისტემა, რომელიც მოიცავს პროექტის შერჩევას, შეფასებას, ფინანსურ და არაფინანსურ ანგარიშგებას – მთავრობამ არ უნდა თქვას უარი საჯარო ინვესტირების სტრატეგიაზე.
F.6	სიფრთხილით უნდა იქნეს გამოკვლეული შემოსავლის შესაძლო წყაროები – დღგ-სგან გათავისუფლების და შეღავათების შემცირება, აქციზის გადასახადის ზრდა და მოსაკრებლების გაზრდა ან დაწესება.
F.7	სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულ საწარმოებზე ზედამხედველობის გაუმჯობესებას ფისკალური დანაზოგების (დივიდენდების საშუალებით) ან პრივატიზაციის გზით ვალის დონის შემცირების პოტენციალი გააჩნია და ამგვარად საგადასახადო შემოსავლების დამატებით წყაროს წარმოადგენს.

მონეტარული პოლიტიკა

ავტორი: დოქტორი უორენ ქოუტსი

4. მონეტარული პოლიტიკა

შესავალი და ზოგადი ფონი

საქართველოს ეროვნული ბანკი მისდევს ინფლაციის ტარგეტირების მონეტარულ პოლიტიკას. ინფლაციამ დროებით გადააჭარბა 3%-იან სამიზნე ნიშნულს (საშუალო წლიური 6,3% 2020 წლის პირველ კვარტალში. 2019 წლის ბოლოს წლიური ინფლაცია 7% იყო). პირველ რიგში ეს გამოწვეული იყო რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურებით 2019 წლის შუა პერიოდში. ინფლაციის ასეთი ზრდის საპირისპიროდ, ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (რეფინანსირების ერთკვირიანი ინსტრუმენტის განაკვეთი) 2019 წლის მარტში არსებული 6,5%-დან 2019 წლის დეკემბრისთვის 9,0%-მდე გაზარდა. ინფლაციური ზეწოლის შესუსტებასთან ერთად, 2020 წლის მარტში პოლიტიკის მაჩვენებელი შემცირდა, პირველ ეტაპზე 8,5%-მდე 2020 წლის 30 აპრილს, შემდეგ კი 8,25%-მდე ივნისში - 2021 წელს ინფლაციის 3,0%-იან ნიშნულზე დაბრუნების მიზნით.

საქართველოს ეროვნულ ბანკს ფინანსური სექტორის ლიკვიდურობის მართვის სტანდარტული ინსტრუმენტები გააჩნია (მუდმივმოქმედი დეპოზიტები და საკრედიტო ინსტრუმენტები, ერთდღიანი, ერთკვირიანი და ერთთვიანი რეფინანსირების სესხები, ღია საბაზრო ოპერაციები და მინიმალური სარეზერვო დეპოზიტები ლარში გაკეთებული დეპოზიტებისთვის). გარდა ამისა, ეროვნული ბანკი უფრო მეტ სარეზერვო მოთხოვნას აწესებს უცხოურ სავალუტო დეპოზიტებზე, რომლებიც იბლოკება რეზერვის შენარჩუნების პერიოდის განმავლობაში. 15 აპრილს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაამატა უცხოური ვალუტის სვოპის ინსტრუმენტი, რომლითაც იგი გარკვეული ფიქსირებული პერიოდით ყიდულობს ჭარბ უცხურ სავალუტო ლიკვიდურობას იმ ბანკებისაგან, რომელთაც სურთ ლარში ლიკვიდურობის გაზრდა. ინფლაციის ტარგეტირების რეჟიმი ბაზრის მიერ განსაზღვრულ გაცვლით კურსებს საჭიროებს, მაგრამ ეროვნული ბანკს შეუძლია და ერევა კიდეც მოკლევადიანი გაცვლითი კურსის ჭარბი ცვალებადობის დასარეგულირებლად. მონეტარული პოლიტიკის ნებისმიერ რეჟიმს, და განსაკუთრებით ინფლაციის ტარგეტირების რეჟიმს, ხელს უწყობს მაქსიმალური გამჭვირვალობა პოლიტიკის გადაწყვეტილებებისა და ამ გადაწყვეტილებების გამომწვევი მიზეზების შესახებ. საქართველოს ეროვნულ ბანკს მაღალი შეფასება აქვს მონაცემების, ანგარიშების და საზოგადოებასთან კომუნიკაციის ხარისხის თვალსაზრისით.

ბანკი ასევე არეგულირებს საბანკო სექტორს და მნიშვნელოვანი პროგრესი აქვს ეფექტური საბანკო ზედამხედველობის ბაზელის ძირითადი პრინციპების „ბაზელ III“ სტანდარტების დანერგვის მიმართულებით. 2018 წლის 1 იანვრიდან ბანკებმა დაიწყეს ფინანსური ანგარიშგების, მათ შორის, სესხების კლასიფიკაციისა და უზრუნველყოფის სტანდარტების შეცვლა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით – IFRS 9; ხოლო ეროვნული ბანკი ბანკების მარეგულირებელი მოთხოვნების შესრულების ზედამხედველობის ღონისძიებებს მარეგულირებელ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანს. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გამოაქვეყნა რისკის შეფასების ზოგადი პროგრამის (GRAPE) სახელმძღვანელო მითითებები, სადაც აღწერილია მისი რისკზე

დაფუძნებული ზედამხედველობის ზოგადი პრინციპები, მათ შორის კაპიტალის ანტიციკლური ბუფერები და ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტები (LCR). ფულის და საგადახდო მომსახურების მიწოდებაში კრიტიკული როლის გამო, ბანკების უსაფრთხოებასა და სიჯანსაღეს დიდი მნიშვნელობა აქვს და საქართველოს ეროვნული ბანკი მაღალ სტანდარტებს აწესებს. მეორეს მხრივ, მარეგულირებელი მოთხოვნები არ უნდა იყოს ზედმეტად მძიმე, რითაც შეიზღუდება ბანკების შუამავლობით მიღებული კრედიტის ნაკადი და ხელი შეეშლება ეკონომიკურ ზრდას.

COVID-19 პანდემიის დაწყებამდე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში რეალური მშპ-ს ზრდის მაჩვენებელი 3%-დან 5%-მდე მერყეობდა. ეროვნულმა ბანკმა ეროვნული ვალუტის შიდა ღირებულების მართვის მხრივ პროგრესი განიცადა ინფლაციის დაწევის თვალსაზრისით, კერძოდ 1990 წელს არსებული დაბალი ორნიშნა მაჩვენებლიდან ამჟამინდელ 3%-იან სამიზნე ნიშნულამდე, თუმცა წლიური მაჩვენებელი -0,2% -დან 7,1%-მდე მერყეობდა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში და ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში 6,9% -მდე გაიზარდა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ქართული ლარის საგარეო ღირებულება უმნიშვნელოდ იცვლებოდა, სანამ პანდემიის დაწყებისთანავე მკვეთრად გაუფასურდებოდა. ბოლო 15 წლის განმავლობაში ლარიზაციის პროცესი სტაბილურად ვითარდებოდა, თუმცა დოლარიზაციის დონე მნიშვნელოვანი რჩება. ქართული ბანკების პრუდენციულმა რეგულირებამ საერთაშორისო სტანდარტებს მიაღწია. ამ ფონზე, საქართველოს საბანკო სექტორი პანდემიას ჯანსაღ მდგომარეობაში შეხვდა. **ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი, რაც ეროვნულ ბანკს შეუძლია შეიტანოს საქართველოს ეკონომიკურ აღდგენაში, უწყვეტ ზრდაში და ლარიზაციაში, იქნება პანდემიამდე არსებული პოლიტიკის ფართოდ შენარჩუნება და ქმედებების გაგრძელება ინფლაციის სამიზნე მაჩვენებლამდე დასაყვანად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება ამჟამინდელ გაურკვეველ ვითარებაში.**

მონეტარული პოლიტიკა

მონეტარულ პოლიტიკას შეუძლია ეკონომიკის აღდგენასა და გრძელვადიან ზრდას ყველზე მეტად საბანკო სისტემისთვის საჭირო ლიკვიდურობის უზრუნველყოფით შეუწყოს ხელი, იმ პირობით, რომ ეროვნული ბანკი შეინარჩუნებს გეზს ინფლაციის ნიშნულის 3% - მდე დასაყვანად. შემოთავაზებები მარეგულირებელი რეჟიმის მცირედით კორექტირების თაობაზე მოცემულია ქვემოთ.

მოკლე ვადა

საქართველოს ეროვნული ბანკი მოწოდებულია შეინარჩუნოს ინფლაციის უცვლელი 3%-იანი სამიზნე და ეყრდნობა გარკვეული პრუდენციული სტანდარტის შემსუბუქებას საბანკო სესხებისა და ფინანსური სექტორის ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად (იხ. საბანკო სექტორის ნაწილი ქვემოთ). მონეტარული პირობების შემსუბუქება ხელს ვერ შეუწყობს ეკონომიკის სტიმულირებას, რომელიც განიცდის საწარმოების სავალდებულო დახურვას და უცხოეთიდან მოთხოვნის შემცირებას (ტურიზმი). მონეტარული პირობების შემსუბუქება შეიძლება მოხდეს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთის უფრო სწრაფი შემცირებით, ვიდრე ამჟამად დაგეგმილი ინფლაციის 3%-იანი მაჩვენებელია. მაგრამ ასეთი ნაბიჯის გაზრდის საზოგადოებაში ინფლაციურ მოლოდინებს, რაც თავის მხრივ გამოიწვევს საპროცენტო განაკვეთების გაზრდას მომავალში. ინფლაციის სამიზნე მაჩვენებლის გაზრდა შეამცირებს საზოგადოების ნდობას ლარის სტაბილურობის მიმართ რაც დააზიანებს ლარიზაციის მიღწეულ პროგრესს და გაზრდის ფინანსური სექტორის მოწყვლადობას.

პანდემიით გამოწვეული მთლიანი გამოშვების მკვეთრი შემცირება საქართველოში, არათანაბრად ამცირებს შემოსავლებს. მთავრობის მიერ გატარებული ზომები მათ დასაცავად, ვინც დროებით დაკარგა შემოსავალი ბიზნესის სავალდებულო დახურვის ან ტურისტული შემოსავლის დაკარგვისა და ფულადი გზავნილების გამო, იწვევს შემოსავლის გადადინებას იმ პირებიდან ვინც ჯერ კიდევ დასაქმებულია იმ პირებზე ვინც არ მუშაობს, შემცირებული მთლიანი გამოშვების და შემოსავლების პირობებში. თუ, მაგალითად, პანდემიიდან გამომდინარე უმუშევრად დარჩენილი პირების სესხების გადახდის დაფინანსება მთავრობის მიერ ფინანსდება გაზრდილი სახელმწიფო ვალიდან, სავარაუდოა, რომ ნეიტრალური საპროცენტო განაკვეთი – უმნიშვნელოვანესი, დადგენილი ცვლადი ინფლაციის პროგნოზირების მოდელებში – გაიზრდება და საჭირო იქნება ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთის კორექტირება ინფლაციის ტარგეტირების მიზნებისთვის. მაგრამ თუ ბანკები და სხვა გამსესხებლები თავის თავზე აიღებენ სესხის გადასახადის გადახდების დროებით შეჩერებით გამოწვეულ ფინანსურ დარტყმას, მათ საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან ლიკვიდურობის მხარდაჭერა დასჭირდებათ, რათა გააგრძელონ მათი კრედიტორებისთვის გადახდა (მეანაბრეები და ფონდების სხვა მიმწოდებლები) და ნეიტრალური კურსი დაეცემა. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს ის ლიკვიდურობა რასაც ბანკები ითხოვენ, იმ რეფინანსირების განაკვეთით, რასაც ეროვნული ბანკის ინფლაციის სამიზნე საჭიროებსა. ეს ასეც მოხდა, რადგან ეროვნული ბანკის სარეზერვო ფული (M0) ზოგადად განაგრძობდა ზრდას და საბანკო კრედიტების მოცულობა პანდემიის დაწყებიდან მაისის ჩათვლით, უმნიშვნელოდ შემცირდა.

<u>გრაფიკი 8: სარეზერვო ფული (ათასობით ლარი)</u>



გრაფიკი 9: საბანკო სესხების წლიური ზრდის დონე (მილიონობით ლარი)



რეკომენდაცია:

M.1	**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა განაგრძოს ბანკების ლიკვიდურობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება დროებითი ღონისძიებებით, საჭიროების შემთხვევაში, COVID-19-ის კრიზისის პერიოდში, ინფლაციის 3%-იანი მიზნობრივი მაჩვენებლის რისკის ქვეშ დაყენების გარეშე.**

COVID-19-ის ზემოქმედება შემოსავლებზე, დანაზოგების და ინვესტიციების მოთხოვნაზე რთული და მრავალმხრივია. ნეიტრალური პროცენტის სწორად შეფასება და პროგნოზირება რთული იქნება და მნიშვნელოვანია პოლიტიკის განაკვეთის დასადგენად. ეროვნულმა ბანკმა ინფლაციის პროგნოზის ტარგეტირების რეჟიმის საზოგადოებისთვის ახსნას თავი კარგად გაართვა. საქართველოს ეროვნული ბანკი აქვეყნებს ინფლაციის პროგნოზების დიაგრამას მისი ძირითადი პროგნოზირების მოდელის მიხედვით (გრაფიკები 10 და 11). მან ასევე უნდა გამოაქვეყნოს თავად მოდელი და მათი პარამეტრების დაშვებები. მიუხედავად იმისა, რომ მისი ინფლაციის პროგნოზები და ქვემდებარე დაშვებები წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ანგარიშში, მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის დადგენისას გათვალისწინებული ფაქტორების სრული განმარტება დაეხმარება საზოგადოების მოლოდინებს ინფლაციასთან დაკავშირებით, მაშინაც კი, და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საჭიროა პროგნოზირების შეცდომების გამოსწორება.

გრაფიკი 10: სებ-ის ინფლაციის სამიზნე



გრაფიკი 11: სებ-ის პოლიტიკის განაკვეთი



რეკომენდაცია:

M.2	**ბანკმა გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით ასევე უნდა გამოაქვეყნოს თავად მოდელი და მისი პარამეტრების დაშვებები და ახსნას რეფინანსირების განაკვეთის კორექტირების მიზეზები**

მიუხედავად იმისა, რომ ინფლაციის ტარგეტირების რეჟიმი ბაზრით განსაზღვრულ გაცვლით კურსებს მოითხოვს, საქართველოს ეროვნული ბანკისთვის მიზანშეწონილი და სასურველია თავიდან აიცილოს გაცვლითი კურსის გადაჭარბებული ცვალებადობა. დოლარიზაციის ჯერ კიდევ შედარებით მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, გაცვლითი კურსის სწრაფმა და მოულოდნელმა გაუფასურებამ (ან რევალვაციამ) შეიძლება ფინანსური სექტორის სტაბილურობა შეარყიოს. ამგვარად, ეროვნული ბანკისთვის მიზანშეწონილია, შეამციროს გაცვლითი კურსის კორექტირების ტემპი ტურიზმიდან და ფულადი გზავნილებიდან უცხოური ვალუტის შემოდინების უეცარი მკვეთრი ვარდნის შესაბამისად. სესხები საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან ამ მიზანს ემსახურება, მაგრამ საბოლოოდ მათი გადახდა იქნება საჭირო (იხ. დოლარიზაციის ნაწილი ქვემოთ). გარდა ამისა, საბოლოო ჯამში, გაცვლითმა კურსმა უნდა მიაღწიოს დონეს, რომელიც შესაბამისი იქნება იმ ეკონომიკისა, რომელიც მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში განვითარდება 3% -ზე ფიქსირებული ინფლაციის მოლოდინით.

ეკონომიკის აღდგენასთან ერთად, დროებითი დახმარების ზომები დასრულდება და კომპანიებს და დასაქმებულებს, რომლებიც სამუშაო ადგილებს დაუბრუნდებიან დროთა განმავლობაში სესხის დავალიანების დაფარვა მოუწევთ. ზოგიერთი მათგანის სამსახურში აღდგენა არ მოხდება და დავალიანების გადახდას ვერ მოახერხებს (იხ. საბანკო სექტორი ქვემოთ). დროებითი ჭარბი ლიკვიდურობა, რომელიც შექმნილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, უნდა შემცირდეს, რადგან საბაზრო პირობები შემსუბუქდება და სახელმწიფო ვალის დროებითი ზრდა ანაზღაურდება.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა განაგრძოს ინფლაციის მიზნის შესრულება და ამავდროულად დაარეგულიროს გაცვლითი კურსის კორექტირების ტემპი. მისი მთავარი გამოწვევა იქნება ნეიტრალური საპროცენტო განაკვეთის შეფასება ამ ცვალებად პირობებში, რათა დადგინდეს მისი რეფინანსირების განაკვეთის ის მაჩვენებელი, რომელიც მისი ინფლაციის სამიზნეს შეესაბამება. საქართველოს ეროვნული ბანკის გამჭვირვალობა და რეფინანსირების განაკვეთის კორექტირების მიზეზების საჯაროდ გაცხადება ხელს შეუწყობს ინფლაციის მოლოდინის დასტაბილურებას ამ გაურკვეველ ვითარებაში.

საშუალო ვადა

ეროვნულმა ბანკმა თანდათან გააძლიერა კონტროლი ინფლაციაზე, თუმცა სრულ წარმატებას ვერ მიაღწია. გასული წლის განმავლობაში (2019 წლის ივნისიდან 2020 წლის მაისამდე) ინფლაციამ საშუალოდ 6,1% შეადგინა, წინა თორმეტი თვის პერიოდში არსებულ 2,8%-თან შედარებით. მან შეამცირა ინფლაციის სამიზნე 2015 წელს 6%-მდე, 2016 წელს 5%-მდე, 2017 წელს 4%-მდე და 2018 წელს 3%-მდე. ფულადი მასის მართვა გაცვლითი კურსის ფიქსირების გარეშე რთულია და ინფლაციის პროგნოზის თარგეთირება თანამედროვე მიდგომაა გაცვლითი კურსის ფიქსირების (ანუ წესის) უზრუნველსაყოფად. მაგრამ ეს რეჟიმი ასევე საკმაოდ რთულია სამართავად. ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოს 12-თვიანი ინფლაციის მაჩვენებელი -3,3%-დან 14,5%-მდე მერყეობდა. საშუალოვადიან პერსპექტივაში საქართველომ უნდა განიხილოს ფიქსირებული გაცვლითი კურსის მიღება ევროსთან მიმართებაში, როგორც მონეტარული ფიქსაციის საშუალება და ბაზარს მიანდოს მისთვის საჭირო ფულადი მასის შექმნა ფიქსირებული გაცვლითი კურსით (მაგ., სავალუტო საბჭო აწესებს წესებს რომელიც არეგულირებს ფულადი მასის პასიურად მიწოდებას ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, ფიქსირებული გაცვლითი კურსით).

დოლარიზაციის გამოწვევა

უცხოურ ვალუტაში სესხის აღება და ინვესტიცია, ასევე შიდა ტრანზაქციების უცხოურ ვალუტაში ფასწარმოქმნაც კი შეიძლება სასარგებლო გამოსავალი იყოს ისეთ ეკონომიკაში, რომელსაც საკუთარი სტაბილური ვალუტა არ აქვს. თუმცა, დოლარიზაციის მნიშვნელოვანი დონე ამცირებს ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკის შედეგების ასახვას ეკონომიკაში და მსესხებლებს და გამსესხებლებს უქმნის გაცვლითი კურსის მოულოდნელი ცვლილებისგან გამოწვეული მოგების ან ზარალის რისკს. სავალუტო და ფინანსური არასტაბილურობა პოსტსაბჭოთა ადრეულ პერიოდში (1990-იანი წლების დასაწყისში) უბიძგებდა ქართველებს, გარიგებები უფრო სტაბილურ უცხოურ ვალუტებში ეწარმოებინათ. ამან გამოიწვია შედარებით მაღალი რისკის პრემია ადგილობრივი ვალუტის სესხზე უცხოური ვალუტის სესხთან შედარებით, შედეგად საქართველოში ძალიან მაღალი დოლარიზაცია მივიღეთ. იმ ვითარებაში, შესაძლებლობამ დანაზოგები და ინვესტიციები უფრო სტაბილურ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებულიყო პოტენციურად ხელი შეუწყო საქართველოს ეკონომიკურ ზრდას.

სასურველია, ქვეყნებმა თავიანთი ეკონომიკისთვის საკმარისად სტაბილური ვალუტა უზრუნველყონ, რათა ამ ქვეყნის მაცხოვრებლებმა მის გამოყენებაზე გააკეთონ არჩევანი. დაბალი ინფლაციის მიზნის მიღწევის ვალდებულების მიღმა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და მთავრობამ არაერთი ნაბიჯი გადადგა საკუთარი ვალუტის შიდა გამოყენების გაზრდის მიზნით (ლარიზაციის 10-პუნქტიანი გეგმა). 2017 წლის იანვრიდან მარტის ჩათვლით ფიზიკურ პირებს შეეძლოთ ადრე უცხოურ ვალუტაში აღებული საყოფაცხოვრებო სესხები ხელსაყრელი გაცვლითი კურსით ლარში გადაეტანათ. უცხოურ

ვალუტაში გაკეთებული დეპოზიტები ექვემდებარება უფრო მაღალ სარეზერვო მოთხოვნებს, რომლებიც დამატებით გაყინულია მოთხოვნის ორკვირიანი შენარჩუნების პერიოდისთვის. სავალდებულოა დამატებითი კაპიტალის ბუფერები, უცხოურ ვალუტაში აღებული სესხების გაცვლითი კურსის რისკის ასახვის მიზნით. 100,000 ლარზე ნაკლები საბანკო სესხი ადგილობრივი ვალუტით უნდა იყოს წარმოდგენილი. რაც მთავარია, ლარის შიდა ღირებულება უფრო სტაბილური გახდა. შედეგად, დოლარიზაცია სტაბილურად შემცირდა. ბოლო 15 წლის განმავლობაში უცხოურ ვალუტაში სესხების წილი შემცირდა 90%-დან 55%-მდე, ხოლო დეპოზიტების წილი უცხოურ ვალუტაში უფრო მოკრძალებულად შემცირდა 80%-დან 62%-მდე.

გარდა ამისა, მთავრობა და საქართველოს ეროვნული ბანკი აფართოებენ ლარის აქტივების სპექტრს, რომელშიც ქართველებს შეუძლიათ საბანკო დეპოზიტების მიღმა დაზოგონ. მთავრობა იწყებს კანონმდებლობისა და რეგულაციების მიღებას ლარის კაპიტალის ბაზრების განვითარების გაფართოებისა და გაღრმავების მიზნით. პროცესი მოიცავს საინვესტიციო ფონდების ფორმირების იურიდიულ და მარეგულირებელ საფუძვლებს, ინვესტორთა უფლებების დაცვის განმტკიცებას და კორპორაციული გამჭვირვალობის გაძლიერებას, არამატერიალური ფასიანი ქაღალდების ფლობის იურიდიული საფუძვლების ჩათლვლით. საქართველოს ეროვნული ბანკი ფინანსთა სამინისტროსთან ერთად აყალიბებს პირველად სადილერო სისტემას ლარის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ლიკვიდურობის ასამაღლებლად.

ლარში ფინანსური აქტივების ხელმისაწვდომობისა და ლიკვიდურობის გაუმჯობესებით, და ამავდროულად ბანკებისთვის უცხოური ვალუტის აქტივებით და ვალდებულებებით ვაჭრობისთვის ხარჯების გაზრდით, ლარიზაციის პროცესი უნდა გაგრძელდეს. ამ პროცესისთვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს თვით ლარის სტაბილურობის მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცებას. საქართველოს ეროვნული ბანკის ვალდებულებამ ინფლაციის სამიზნის მიმართ და მისმა მზარდმა შესაძლებლობამ დროულად მიაღწიოს ამ სამიზნეს სულ უფრო უნდა შეამციროს რისკის პრემია, რომელიც საზოგადოებამ შიდა ვალუტას დააკისრა. საქართველოს რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ხანგრძლივი ფარდობითი ცვალებადობა აგრეთვე ხელს უშლის უცხოურ ვალუტაში არაჰეჯირებული სესხის აღებას ან გაცემას (**გრაფიკი 12**).

გრაფიკი 12: რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი უცხოური ვალუტა/ლარი



გრაფიკი 13: უცხოურ ვალუტასა და ლარში სესხების წლიური ზრდის დონე



ფიზიკურ პირებსა და ფირმებს უნდა მიეცეთ გარიგების შესაძლებლობა მათთვის სასურველ ნებისმიერ ვალუტაში, მაგრამ საკუთარ თავზე უნდა აიღონ თავიანთ არჩევანთან დაკავშირებული ხარჯები. გონივრული რეგულაციები უცხოურ ვალუტაში სესხის აღებისა და სესხის გაცემის გაზრდილ რისკებს სრულად უნდა ასახავდეს, და ამგვარად ამცირებდეს მათზე რაიმე ხელოვნურ მოთხოვნას. თუმცა, ზოგიერთი ახლანდელი ღონისძიება სცილდება წმინდა გონივრულ მოსაზრებებს უცხოურ ვალუტაში გარიგებისას დამატებითი ხარჯების დაწესების თვალსაზრისით. ეს პოლიტიკა უნდა ასახავდეს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გარიგების დამატებით რისკებს. მაგალითად, 200,000 ლარზე ნაკლები მოცულობის სავალუტო სესხის აღების აკრძალვა უნდა შემცირდეს საკმარისი უცხოური სავალუტო შემოსავლის მქონე მსესხებლებისთვის. უცხოური სავალუტო დეპოზიტების სათანადო ლიკვიდურობისთვის, რომელსაც არ უნდა უზრუნველყოფდეს საქართველოს ეროვნული ბანკი, მიზანშეწონილია მათზე მეტი სარეზერვო მოთხოვნის დაწესება. ამასთან, ასეთი რეზერვები არ იძლევა ლიკვიდურობას, თუ ისინი გაყინულია რეზერვის შენარჩუნების პერიოდში. უფრო მიზანშეწონილი იქნება სარეზერვო მოთხოვნა, რომელიც შენარჩუნებული უნდა იყოს საშუალო მოცულობით შენარჩუნების პერიოდში, ისევე როგორც ლარის რეზერვის შემთხვევაში. ლარის გამოყენების ყველაზე მნიშვნელოვანი წახალისება იქნება საზოგადოების ნდობის ამაღლება მისი შიდა ღირებულების სტაბილურობის მიმართ. **ის ქმედებები, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნული ბანკს 3%-იანი ინფლაციის სამიზნეს მიღწევაში იქნება**

ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები ლარიზაციის მიმდინარე პროგრესის მხარდასაჭერად.

რეკომენდაციები:

M.3	საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფართოდ უნდა შეინარჩუნოს რეგულაციები ლარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, რაც მნიშვნელოვნად ემყარება ლარის ღირებულების სტაბილურობისდამი საზოგადოების ნდობის გაღრმავებას (ანუ ინფლაციის სამიზნეს).
M.4	თუმცა, უფრო მკაცრი პრუდენციული მოთხოვნები უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში უფრო მაღალ რისკებს უნდა ასახავდეს.
M.5	საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა დააბალანსოს გაცვლითი კურსის მაკორექტირებელი ინტერვენციების სიხშირე რათა შეინარჩუნოს ინფლაციის სამიზნე ორიენტირის შესრულების შესაძლებლობა.

გამოწვევა საბანკო სექტორისთვის

ბანკები შედარებით ჯანსაღია

პანდემიის მიერ გამოწვეული ბიზნესის წარუმატებლობის და სესხის დავალიანებისა და დეფოლტის ზემოქმედება შეეხება საქართველოს ბანკებს და პირველ ეტაპზე მათ მიერ უნდა მოხდეს გამოწვეული ზარალის ათვისება. ბანკებმა 2019 წელი კარგი მაჩვენებლებით დაასრულეს: მაღალი კაპიტალიაციით, მომგებიანი, და ჯანსაღი აქტივებით (ანუ პრობლემური სესხების შედარებით დაბალი პროცენტი). ეს წარმატება განპირობებულია ეროვნული ბანკის მიერ გატარებულ პრუდენციური ნორმების განმტკიცების გაბედული პროგრამით და შესაბამისი ზედამხედველობით. პრუდენციული საბანკო ზედამხედველობა და რეგულაციები მეტწილად შეესაბამება ეფექტური საბანკო ზედამხედველობის უახლეს სტანდარტებს (ბაზელ III). თუმცა, საქართველოს ეროვნულ ბანკს ყოველთვის სჭირდება იმის უზრუნველყოფა, რომ ახალი რეგულაციების პრუდენციული სარგებელი აღემატებოდეს მათი შესაბამისობის ხარჯებს.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მოგება, ზარალმა შეცვალა, ბანკებს კვლავ გააჩნიათ კაპიტალის მნიშვნელოვანი ბუფერი, თუმცა მათი მოლოდინი საზოგადოების მიერ დეპოზიტების ვალუტად კონვერტაციის თაობაზე ბანკის ლიკვიდურობის შემცირებას მოასწავებს მარტში. მთავრობამ ლიკვიდურობის შესაძლო შემცირებაზე რამდენიმე გზით მოახდინა რეაგირება. მთავრობამ განაცხადა, რომ აპირებს გამოუშვას სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომელთა შემოსავალი ბანკებში ვადიან დეპოზიტებში შეიძლება განთავსდეს, რაც ბანკებს მისცემს კარგ უზრუნველყოფას, რომლითაც ისინი საჭიროების შემთხვევაში ეროვნული ბანკისგან სესხის აღებას შეძლებენ.

გარდა ამისა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შემოიღო უცხოური ვალუტის სვოპის ინსტრუმენტი, რომლითაც იგი გარკვეული ფიქსირებული პერიოდით ყიდულობს ჭარბ უცხურ სავალუტო ლიკვიდურობას იმ ბანკებისაგან, რომელთაც სურთ ლარში ლიკვიდურობის გაზრდა. დღეისათვის ეს საშუალება ფართოდ არ გამოუყენებიათ, მაგრამ მისმა ხელმისაწვდომობამ საბანკო ლიკვიდურობასთან დაკავშირებული მღელვარება შეამსუბუქა. COVID-19-ის გამო ბიზნესების დახურვისა და დროებით სამსახურიდან დათხოვილი პირების მიერ ვალის მომსახურების გადასახადების (მოსალოდნელი) დროებითი შეჩერების პასუხად ბანკებმა გამოიყენეს კაპიტალის ბუფერები და ჭარბი

ლიკვიდურობა კრედიტების გაცემის შესანარჩუნებლად. ამრიგად, საქართველოს ეროვნულ ბანკს დღემდე არ დასჭირვებია ლიკვიდურობის უჩვეულო ოდენობით ინექცია. ეს ასევე ასახავს საბანკო სესხების მცირედით შენელებას საკრედიტო მოთხოვნის შემცირების და დეპოზიტების ვალუტაში გარდაქმნის მოლოდინის არასრულების გამო. გარდა ამისა, მარტში ლარის მკვეთრი გაუფასურების საპასუხოდ ლარიდან უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების გადანცვლების პროცესი შეჩერდა, რადგან გაცვლითი კურსი დასტაბილურდა და გარკვეულწილად აღდგა.

ბანკის კაპიტალის და ლიკვიდურობის დარეზერვება ხდება ზარალის ასათვისებლად. შესაბამისად, უნდა მოხდეს მათი გამოყენება, როდესაც საქმე გვაქვს ზარალთან (მაგ., ნორმალური კაპიტალი) და დასაშვებია ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) ნორმალური პრუდენციული ნიშნულის ქვემოთ ჩამოსვლა. იგივე მიდგომა ასევე და მით უმეტეს დასაშვებია კონტრციკლური ბუფერებისთვის. ეროვნულმა ბანკმა გაზარდა ამ ბუფერების წვლილი სავალდებულო კოეფიციენტების დროებით შემცირებით. მაგალითად, ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უმეტესობამ სესხის ძირის და პროცენტის გადახდაზე სამთვიანი საშეღავათო პერიოდი მისცა ფიზიკური პირებს და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებს. საქართველოს ეროვნული ბანკი მხარს უჭერს ბანკებს ამ პროცესში და საშუალებას აძლევს გადავადებული სესხები განიხილონ როგორც რეფინანსირებული და არა რესტრუქტურიზებული სესხები, რაც თავის მხრივ ნიშნავს, რომ ეს სესხები არ იმოქმედებენ საკრედიტო რისკის დონეზე და შესაბამისად არ დადგება უფრო მაღალი მოთხოვნები კაპიტალთან მიმართებაში. **სესხის გამცემები და მსესხებლები ერთმანეთში უნდა შეთანხმნდნენ გადავადებული გადახდების დაფარვის გრაფიკზე. მართალია, ამ შეთანხმების მისაღწევად საუკეთესო მიდგომა შეიძლება ორ მხარეს შორის მოლაპარაკება იყოს, მაგრამ ზოგადი სტანდარტული ნორმების შემოღება, რითიც მხარეები იხელმძღვანელებენ, შეიძლება ასევე სასარგებლო იყოს.**

საქართველოს ეროვნული ბანკი ადმინისტრაციული თვალსაზრისით უფრო მძიმედ სამართავ წესებზე-დაფუძნებული ზედამხედველობიდან, პრინციპებზე-დაფუძნებულ სისტემაზე გადასვლის პროცესშია. ბანკმა ეს ცვლილება რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაასრულოს. რეგულაციები უნდა ეხებოდეს მხოლოდ საბანკო პროდუქტებისა და ოპერაციების უსაფრთხოებას და სიჯანსაღეს და არა მათი დიზაინის სხვა ასპექტებს, როგორიცაა ფასწარმოქმნა.

თუ ამჟამინდელი მკვეთრი ეკონომიკური შემცირება შედარებით ხანმოკლეა და აღდგენა სწრაფად მოხდება, ბანკები სიმდგრადეს შეინარჩუნებენ. ბანკების მიერ ჩატარებული სტრეს ტესტის შედეგები დამაიმედებელია. მაგრამ გასათვალიწინებელია, რომ განსაკუთრებით მძიმე დარტყმა ტურიზმმა განიცადა და უცნობია, რამდენად სწრაფად ან სრულად აღდგება ეს დარგი. ტურიზმის შემცირება, იწვევს უცხოური სავალუტო შემოდინებების მნიშვნელოვან დანაკარგს და ტურისტებზე ორიენტირებული ბიზნესების და მათი თანამშრომლების შემოსავლებში მკვეთრ ვარდნას. მსოფლიო მასშტაბის ეკონომიკური კრიზისი ასევე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ფულადი გზავნილების მოცულობაზე, რომელიც საქართველოსთვის უცხოური ვალუტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს და ღარიბი ოჯახების შემოსავალს წარმოადგენს. დაეცემა გლობალური მოთხოვნა სხვა ქართულ საექსპორტო პროდუქციაზეც. საერთაშორისო სავალუტო ფონდის და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ საქართველოსთვის უცხოურ ვალუტაში გაღებული სესხები აღმოფხვრის და შეარბილებს უცხოური ვალუტის ზემოთ აღნიშნული წყაროებიდან შემცირებული შემოდინების მიერ გამოწვეულ წნეხს გაცვლით კურსზე და შესაბამისად შეამცირებს უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების დეფოლტის რისკს. უცხოური ვალუტის სესხებს მთავრობა ეროვნულ

ბანკს მიყიდის მთავრობისთვის ლარის დეპოზიტების შესაქმნელად. ეს საშუალებას მისცემს ეროვნულ ბანკს გაყიდოს უცხოური ვალუტა ბაზარზე, რაც თავისთავად ამცირებს ლარის ლიკვიდურობას, მაგრამ არ იწვევს ლიკვიდურობის წმინდა შემცირებას (განსაკუთრებით თუ მთავრობის დეპოზიტები კომერციულ ბანკებშია).

საბოლოოდ საჭირო იქნება თუ არა გაცვლითი კურსის უფრო დიდი და უფრო მუდმივი კორექტირება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იქნება მსოფლიო და საქართველოს ეკონომიკა მომავალში. დროებითი ჩარევების დაბალანსება სავალუტო კურსის გადაჭარბებული ცვალებადობის თავიდან ასაცილებლად, "საგანგებო" ლიკვიდურობის დროებითი მომარაგება და ამავდროულად ინფლაციის 3%-იან სამიზნის შენარჩუნება, ერთობლიობაში საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს. **უცხოურ ვალუტაში სესხის აღება და ლარის ლიკვიდურობის ინექციები გაზრდის საქართველოს საგარეო სესხს, რომელიც საბოლოოდ უნდა დაიფაროს და ლარის საბაზისო თანხა უნდა იქნას გამოყენებული. სამომავლოდ, კაპიტალის, ლიკვიდურობის და სხვა პრუდენციულ ნორმებთან დაკავშირებული შემსუბუქებული დროებითი რეგულაციები უნდა მოიხსნას და დაუბრუნდეს ჩვეულ ნორმებს.**

მოკლედ რომ ვთქვათ, ქართული ბანკები მიმდინარე რთულ გარემოში შედიან ძლიერი პოზიციით, რამაც მათ საშუალება უნდა მისცეს შეინარჩუნონ კრედიტის ნორმალური დინება. თუ ეკონომიკის აღდგენა შენელდება, გაკოტრების და სესხის დეფოლტის შემთხვევები გაიზრდება. ამ გარემოებამ შეიძლება ზოგიერთი ბანკი კრიტიკულ ფინანსურ შედეგებამდე მიიყვანოს. ამრიგად, **საქართველოს ეროვნული ბანკი მზად უნდა იყოს შედარებით უმტკივნეულოდ ჩაატაროს გადახდისუუნარო ბანკების რეზოლუციის პროცესი.**

გასულ წელს პარლამენტმა მიიღო გაკოტრების თანამედროვე კანონი. მისი ზოგიერთი აღმასრულებლი რეგულაციის სამუშაო ვერსია შედგენილია და დაგზავნილია კომენტარებისთვის. სრული პაკეტი 2021 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება. პანდემიის ამ ფაზაში იძულებით დახურული ფირმების დროებითი მხარდაჭერის მართვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მხოლოდ საბოლოოდ სიცოცხლისუნარიანი ფირმების დახმარება. ასეთმა დახმარებამ ხელი არ უნდა შეუშალოს სიცოხლისუუნარო ფირმებს საქმიანობიდან თანიმდევრულად გასვლაში. ყველა დახურული სასტუმროს ან რესტორანის ხელახლა გახსნა ვერ მოხდება. სიცოცხლისუუნარო ფირმებისთვის ხელოვნურად სიცოცხლის შენარჩუნება შეანელებს ეკონომიკის აღდგენას და შემდგომ ზრდას. ისტორიულად, ბევრ ქვეყანაში, არასათანადო რეზოლუციის რეჟიმმა გამოიწვია გადახდისუუნაროდ ქცეული ბანკების „გირაოთი დახსნის“აუცილებლობა. ასეთი დახმარებები იწვევს ასეთ ბანკებში ცუდი მენეჯმენტის შენარჩუნებას და/ან გადაჭარბებულ რისკზე წასვლას, რაც საბოლოო ჯამში მთლიანად საფინანსო სექტორს აზიანებს. საქართველომ გონივრულად აარიდა თავი მსგავს პრაქტიკას. **საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად უნდა მიჰყვეს რეზოლუციის რეჟიმის დანერგვის პროცესს, რათა მზად იყოს შედარებით უმტკივნეულოდ ჩაატაროს რეზოლუციის პროცესი საჭიროების დადგომის შემთხვევაში.**

ჩვენ გვესმის, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ყურადღებით აფასებს პრუდენციული რეგულაციების სარგებელს, რეგულაციასთან შესაბამისობის ხარჯებთან და ფინანსური მომსახურების არეალის შეზღუდვის პოტენციალთან მიმართებაში. რეკომენდირებულია ამ შეფასებების გამოქვეყნება თითოეული ასეთ რეგულაციის შემოღებასთან ერთად.

რეკომენდაცია:

M.6	საქართველოს მთავრობამ და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა გააგრძელონ ლარის ფინანსური აქტივებისთვის კაპიტალის ბაზრების გაფართოებისა და გაღრმავების ხელშემწყობი ღონისძიებები.
M.7	საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სწრაფად უნდა გადადგას ნაბიჯები, რათა დასრულდეს რისკზე დაფუძნებული საბანკო რეზოლუციის ინსტრუმენტებისა და პოლიტიკის მოდერნიზაცია და გაძლიერება. ბანკმა უნდა მიიღოს „საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები 9“ (“IFRS 9”) მარეგულირებელ მოთხოვნებთან ბანკების შესაბამისობის შესაფასებლად.
M.8	საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მუდმივად უნდა გადახედოს და შეაფასოს დაწესებული მარეგულირებელი რეჟიმი, რათა დარწმუნდეს, რომ არსებული მარეგულირებელი რეჟიმი არასაჭირო ხარჯებს არ აკისრებს საბანკო სექტორს და ამგვარად არ ქმნის ზედმეტ დაბრკოლებას ანაბრების ინვესტიციებად გარდაქმნის პროცესში.

არასაბანკო ფინანსები

საქართველოს საკრედიტო და კაპიტალის ბაზრები ბანკების მიღმა ჯერ კიდევ შედარებით განუვითარებელია. მათი შემდგომი განვითარება არა მხოლოდ ხელს შეუწყობს ლარიზაციას, არამედ ხელს შეუწყობს ლარში ახალი ინვესტიციების დაბანდებას, პოტენციურად ისეთ ახალ სფეროებში, რომლებზეც ახლა არ ვფიქრობთ. ასეთი ინვესტიციები თავისთავად უფრო მაღალი რისკების მატარებელია, ვიდრე ეს ბანკებისთვის იქნებოდა მისაღები. საქართველომ შედარებით სტაბილურ წინსვლას მიაღწია ამ ბაზრების სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცებისა და მათი დაფინანსების ხარჯების შემცირების მხრივ (იხ. ნაწილი დოლარიზაციის შესახებ). **ეს ძალისხმევა უნდა გაგრძელდეს.**

მონეტარული პოლიტიკის რეკომენდაციების რეზიუმე

მონეტარული პოლიტიკისა და საფინანსო სექტორის რეგულირება და ქართული ბანკების მდგომარეობა COVID-19 პანდემიის დასაწყისისთვის მდგრადი იყო. ეროვნული ბანკის პოლიტიკა და გეგმები საქართველოს ფინანსური სექტორის შემდგომი განვითარებისა და გაძლიერებისთვის უნდა გაგრძელდეს, კერძოდ შემდეგი:

M.1	საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა განაგრძოს ბანკების ლიკვიდურობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება დროებითი ღონისძიებებით, საჭიროების შემთხვევაში, COVID-19-ის კრიზისის პერიოდში, ინფლაციის 3%-იანი მიზნობრივი მაჩვენებლის რისკის ქვეშ დაყენების გარეშე.
M.2	საქართველოს ეროვნული ბანკი მისი ძირითადი პროგნოზირების მოდელის მიხედვით აქვეყნებს ინფლაციის პროგნოზის დიაგრამას. ბანკმა ასევე უნდა გამოაქვეყნოს თვითონ მოდელი და მისი პარამეტრების დაშვებები გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით და ახსნას რეფინანსირების განაკვეთის კორექტირების მიზეზები.
M.3	საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფართოდ უნდა შეინარჩუნოს რეგულაციები ლარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, რაც მნიშვნელოვნად ემყარება ლარის ღირებულების სტაბილურობისდამი საზოგადოების ნდობის გაღრმავებას (ანუ ინფლაციის სამიზნეს).

M.4	თუმცა, უფრო მკაცრი პრუდენციული მოთხოვნები უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში უფრო მაღალ რისკებს უნდა ასახავდეს.
M.5	საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა დააბალანსოს გაცვლითი კურსის მაკორექტირებელი ინტერვენციების სიხშირე რათა შეინარჩუნოს ინფლაციის სამიზნე ორიენტირის შესრულების შესაძლებლობა.
M.6	საქართველოს მთავრობამ და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის ფინანსური აქტივებისთვის კაპიტალის ბაზრების გაფართოებისა და გაღრმავების ხელშესაწყობად ღონისძიებების განხორციელება უნდა გააგრძელონ.
M.7	საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სწრაფად უნდა გადადგას ნაბიჯები წინ, რათა დასრულდეს რისკზე დაფუძნებული საბანკო რეზოლუციის ინსტრუმენტებისა და პოლიტიკის მოდერნიზაცია და გაძლიერება. ბანკმა უნდა მიიღოს „საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები 9“ (“IFRS 9”) მარეგულირებელ მოთხოვნებთან ბანკების შესაბამისობის შესაფასებლად.
M.8	საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მუდმივად უნდა გადახედოს და შეაფასოს დაწესებული მარეგულირებელი რეჟიმი, რათა დარწმუნდეს, რომ არსებული მარეგულირებელი რეჟიმი არასაჭირო ხარჯებს არ აკისრებს საბანკო სექტორს და ამგვარად არ ქმნის ზედმეტ დაბრკოლებას ანაბრების ინვესტიციებად გარდაქმნის პროცესში. საქართველოს ეროვნული ბანკის მარეგულირებელი ხარჯ-სარგებლიანობის შეფასების ანგარიშის საზოგადოებასთან გაზიარება უნდა მოხდეს.

დარგობრივი პოლიტიკა

ავტორი: ჯესიკა მაინო

5. დარგობრივი პოლიტიკა

ზოგადი ფონი და კონტექსტი

2020 წელს COVID პანდემიით გამოწვეული კრიზისის დასაწყისში საქართველო სტაბილური ეკონომიკური ზრდის ათწლეულის ბოლო ეტაპზე იმყოფებოდა იმ ქმედითი რეფორმების შედეგად, რითაც ქვეყანამ შეძლო ჩამოყალიბებულიყო ლიდერად ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით, იქცა ერთ-ერთ წამყვან ტურისტულ მიმართულებად და კულტურის დინამიკურ კერად. შემოსავლების ზრდამ და ცხოვრების სტანდარტის ამაღლებამ, ქვეყნისთვის საშუალოზე მაღალშემოსავლიანი სტატუსის მოპოვებას შეუწყო ხელი. 2020 წლის ზრდის პროგნოზმა 5%-ს გადააჭარბა.[30]



მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმი განაგრძობს ქვეყნის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას, 2019 წელს საქართველოს ყველაზე სწრაფად მზარდმა სექტორებმა - მათ შორის ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა, პროფესიულმა, სამეცნიერო და ტექნიკურმა საქმიანობამ, ხელოვნებამ და გართობამ და ჯანდაცვამ, ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის ფართო სპექტრი წარმოაჩინა.

თუნდაც სულ უფრო მრავალფეროვანი ბაზით, საქართველო ძირითადად ადგილობრივ, მომსახურებაზე დაფუძნებულ ეკონომიკად რჩება. მომსახურება ეკონომიკის ორ მესამედს შეადგენდა და, ტურიზმის გარდა, მეტწილად არაექსპორტირებად საქმიანობას მოიცავდა.[31] საქონლისა და მომსახურების ექსპორტი სტაბილურად იზრდებოდა 2008 - 2019 წლების პერიოდში, თუმცა მათი ღირებულება, როგორც მშპ-ს წილი, უფრო დაბალი იყო ვიდრე მსგავსი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, ისევე როგორც წარმოებით შექმნილი დამატებითი ღირებულების წილი მშპ-ში.[32] მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა სტაბილურად იზრდებოდა, მთლიან ფაქტორულ პროდუქტიულობასა (TFP) და მის ზრდის ტემპში იყო სტაგნაცია და მისი წილი მშპ-ში მცირდებოდა.[33]

[30] საქსტატი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.
[31] მსოფლიო ბანკი, "რეფორმატორიდან რეფორმატორამდე," 2018 წ.
[32] მსოფლიო ბანკის ინდიკატორები – 2018 წ, 2019 წ.
[33] მსოფლიო ბანკი, "რეფორმატორიდან რეფორმატორამდე," 2018 წ.

საქართველოს ექსპორტირებადი ეკონომიკა ძალზედ კონცენტრირებული იყო. ექსპორტირებადი ეკონომიკა ძირთადად კონცენტრირებულია ტურიზმში, შემდეგ მოდის წარმოება (ძირითადად მადნეული, შენადნობები და მინერალური პროდუქტები, სასმელები და სურსათი) და მოყვება ტრანსპორტისა და უძრავი ქონების დარგები, რომლებიც ტანდემში ფართოვდება. 2019 წლის მონაცემებით ტურიზმი მშპ-ს 12%-ს შეადგენდა,[34] რაც მომსახურების ექსპორტის ღირებულის 70%-ს და მთლიანი ექსპორტის თითქმის 40%-ია, რაც სხვა შესადარებელი ქვეყნების ეკონომიკასთან შედარებით ორჯერ მეტი მაჩვენებელია.[35] უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა, რომელიც ტურიზმის ზრდასთან ერთად სტაბილურად იზრდებოდა, მშპ-ს 11,5% -ს შეადგენდა და მშენებლობასთან ერთად წარმოადგენდა ეკონომიკის მეხუთედზე მეტს. სოფლის მეურნეობამ, მიუხედავად იმისა, რომ მშპ-ს მხოლოდ 7.2% და საქონლის ექსპორტის 7% შეადგინა, ოფიციალური მონაცემებით, ქვეყნის მთლიანი დასაქმების თითქმის 40% უზრუნველყო, ხოლო რეალურად უფრო მეტი, არაფორმალური დასაქმების არსებობიდან გამომდინარე. სამთომოპოვებითი და შენადნობების წარმოება, საკვებისა და სურსათის წარმოებასთან ერთად ინდუსტრიის მიერ დამატებული ღირებულების 50%-ს წარმოადგენდა, მთლიანი საქონლის ექსპორტის — 50% -ს და ადგილობრივი საქონლის ექსპორტის — თითქმის 70% -ს.[36]

COVID-19-ის ეპიდემიამ და თანმდევმა გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა საქართველოს ეკონომიკის დიდი ნაწილი შეაჩერა. მარტისა და აპრილის თვეებში, საკარანტინო პერიოდის პიკის პერიოდში, მთლიანად სამომსახურეო და სავაჭრო ბიზნესებმა დიდი საშემოსავლო დანაკარგი და სამუშაო ადგილებიდან მასობრივი გათავისუფლებები განიცადეს. „ფრაის უოთერჰაუს კუპერსის“ (PWC) მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად სასტუმროების და კვების ბიზნესების თითქმის 80%-ს წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 50%-ზე მეტით შეუმცირდა შემოსავალი, მსგავსი ტენდენცია დაფიქსირდა ტრანსპორტირებისა და საწყობებით მომსახურების (69%), საბითუმო და საცალო ვაჭრობის (68%) და სხვა მომსახურებებში (68%). ამ დარგებში პერსონალის დათხოვის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა, სასტუმრო და კვების ბიზნესის წარმომადგენლების 46% - ის განცხადებით მათთან კადრების 100% -იანი შემცირება მოხდა, 28% ტრანსპორტირებასა და დასაწყობებაში, 25% საბითუმო და საცალო ვაჭრობაში და 40% მომსახურების სხვა სექტორებში.[37]

ტურიზმმა და უძრავმა ქონებამ განსაკუთრებულად მძიმე დარტყმა განიცადა. ტურისტების შემოდინება 70%-ით შემცირდა მარტში, ხოლო თითქმის 100%-ით აპრილსა და მაისში, რაც მნიშვნელოვნად აისახა სასტუმროს ინდუსტრიაზე, რომლის შემოსავლის 90% საერთაშორისო ვიზიტორებზეა დამოკიდებული.[38] მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სასტუმრო მთავრობასთან თანამშრომლობდა კუთვნილი ფართების საკარანტინო სივრცეებად გადასაკეთებლად, უმეტესობა დახურული დარჩა, ფუნქციონალური აქტივობის მიღმა. უძრავი ქონების აქტივობამ აპრილში 98%-ით დაიკლო, რასაც დაემატა გახშირებული ვადაგადაცილებული ან გამოტოვებული გადახდები იმ ბიზნესებიდან და ოჯახებიდან რომლებიც ეკონომიკურ კრიზისში

[34] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.
[35] ექსპორტთან დაკავშირებული კალკულაცია გაეროს სტატისტიკური დეპარტამენტის (Comtrade) ბაზის მონაცემებს ეფუძნება, ავტორისეული ანალიზი.
[36] ადგილობრივი ექსპორტი = ექსპორტი რეექსპორტის გამოკლებით.
[37] PWC, “ქართული ბიზნესი COVID-19 პანდემიის პირისპირ,” 2020 წლის ივნისი.
[38] თიბისი კაპიტალი, “COVID-19-ის ეკონომიკაზე გავლენის გაზომვა,” 2020 წლის მაისი.

აღმოჩნდნენ. სამშენებლო საქმიანობის თანმდევმა აკრძალვამ გავლენა იქონია როგორც ზოგადად დარგის საქმიანობაზე, ასევე მასალების მომწოდებლებზე.

უარყოფითად ზემოქმედება სხვა სექტორებსაც შეეხო, თუმცა ნაკლები სიმწვავით. წარმოების, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და სოფლის მეურნეობის სფეროებში ბიზნესების 44%, 50% და 53%-მა (ზემოთ-ჩამოთვლილი მიმდევრობით), 50%-ზე მაღალი ვარდნა განიცადეს შემოსავლებში და სამსახურიდან დათხოვნის ან უფასო შვებულებების შედარებით დაბალი მაჩვენებლები დააფიქსირეს. ამ და სხვა სექტორებში, მცირე და საშუალო საწარმოებმა (SME) უფრო მწვავე დარტყმა განიცადეს შემოსავლის დაკარგვის, სამუშაო ადგილებიდან გათავისუფლების და ბიზნესების დახურვის თვალსაზრისით, რაც ძირითადად გამოწვეული იყო იმ რეზერვების არარსებობით, რომელთა საშუალებითაც ისინი შეძლებდნენ დახურვის პერიოდში ოპერაციების შენარჩუნებას ან საჭირო ინვესტიციების გაკეთებას საკარანტინო და სოციალური დისტანცირების მოთხოვნების შესაბამისად ოპერაციების ადაპტირების მიზნით. მხოლოდ სასურსათო, ყოველდღიური მოხმარების პროდუქტების და ფარმაციის სეგმენტებმა განიცადეს ნეიტრალური ზემოქმედება ან ზრდა COVID-ზე რეაგირების საწყისი პერიოდის განმავლობაში, და სარგებელი ნახეს კარანტინის მიერ გამოწვეული სამომხმარებლო ქცევის ცვლილების შედეგად.

<u>გრაფიკი 14: COVID-ის გავლენა ქართულ ბიზნესზე — წინასწარი კვლევები</u>[39]



მთავრობის COVID ანტიკრიზისულმა გეგმამ, რომელიც აპრილში იქნა შემოღებული, საგანგებო დახმარებია გაუწია ეკონომიკის ყველაზე დიდ და მეტად დაზარალებულ სექტორებს. ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, უძრავი ქონების და სამშენებლო სექტორებმა მიიღეს სუბსიდირების მორგებული პაკეტები, რომლებიც მიზნად ისახავდა COVID-ით გამოწვეული დახურვის ფინანსური ტვირთის შემსუბუქებას; ამავე დროს „აწარმოე საქართველოში"-ს საკრედიტო თანადაფინანსების და სესხების საგარანტიო პროგრამების გაფართოებამ მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა ხელმისაწვდომი გახადა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ნაადრევია მთლიანი შედეგის შეფასება, პროგრამის მონაწილეთაგან მოწოდებული ზოგიერთი საწყისი ინფორმაცია მიუთითებს, რომ ამ ინტერვენციამ შეიძლება ხელი შეუწყოს კრიზისის უშუალო შოკის განმუხტვას,

[39] PWC, "ქართული ბიზნესი Covid-19-ის პანდემიის პირისპირ," 2020 წლის ივნისი.

სამსახურებიდან დათხოვნის შემცირებას და სიცოცხლისუნარიანი ბიზნესების დახურვა შეამსუბუქოს.[40]

ხელახალი გახსნის ადრეული ფაზები იძლევა იმის ნიშანს, თუ როგორ შეიძლება მოხდეს დარგების აღდგენა საქართველოს ეკონომიკაში და მათგან ზოგიერთი ინდიკატორი პოზიტიურია. ადგილობრივი მოთხოვნა მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა: 2020 წლის ივნისის ბოლოს, მოსახლეობის უნაღდო ხარჯები კრიზისამდელ დონეს დაუბრუნდა, ოდნავ მაღალია ფარმაცევტულ და სასურსათო პროდუქტებზე დანახარჯი სხვა პროდუქტებთან შედარებით. წლიდან-წლამდე გაზრდილი უნაღდო ხარჯები სამშენებლო მასალებზე და ექიმებთან ვიზიტებზე მიუთითებს დადებით ტენდენციებზე სამშენებლო და ჯანდაცვის სექტორებში. აქტივობა უძრავი ქონების სფეროში, მიუხედავად იმისა, რომ შედარებით მოდუნებულია, კრიზისის პერიოდში ყველაზე დაბალ დონესთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ბინებთან დაკავშირებულმა ტრანზაქციებმა 2020 წლის ივლისში და აგვისტოში, 2019 წლის ნიშნულის დაახლოებით 85%-ის მიაღწია.[41]

მაკროეკონომიკური შეფასებების თანახმად, ინდუსტრიული და სოფლის მეურნეობის სექტორები აგრძელებენ საქმიანობას, თუმცა უმეტეს შემთხვევაში წარმოება ჩვეულებრივ დაგეგმილ დონეზე დაბალია. ივნისის მდგომარეობით ენერგეტიკის სექტორში დასაქმების და წარმოების საერთო სტანდარტული დონის ზრდა ფიქსირდება.[42] მრეწველობის სექტორებმა სამუშაო ადგილების შემცირების შედარებით დაბალი დონე შეინაჩუნეს მომსახურების და სავაჭრო სექტორებთან შედარებით, თუმცა ზოგადად განიცდიან ექსპორტისა და მოხმარების შემცირებას. მსოფლიოს მასშტაბით, გლობალური შესყიდვების მენეჯერების ინდექსის (PMI) და სპილენძის ფასების ზრდა – ორივე ეკონომიკური საქმიანობის წინამორბედ ინდიკატორებად მიიჩნევა – მიუთითებს, რომ წარმოების აღდგენის დინამიკა სავარაუდოდ შენარჩუნდება.[43] სოფლის მეურნეობის სექტორმა, როგორც ჩანს, კრიზისის სიღრმიდან ამოსვლა შედარებით შეზღუდული დანაკარგებით შეძლო.[44]

სტუმარ-მასპინძლობის და ტურიზმთან დაკავშირებული სექტორები კვლავ რჩება ყველაზე პრობლემატურ დარგებად. მაშინ, როდესაც უნაღდო ხარჯებში ზოგადი ზრდის ტენდენცია ფიქსირდება, სასტუმროებში და გართობაზე უნაღდო ხარჯები 2019 წელზე ნაკლებია. ისევე როგორც ხარჯები რესტორნებსა და კვებით მომსახურებაზე, თუმცა შიდა მოხმარებამ ამ სეგმენტის უფრო სწრაფად გამოცოცხლებას შეუწყო ხელი.

საზღვრის გახსნის შეფერხებამ და ჯავშნების მიმდინარე სტატისტიკამ ტურიზმის ინდუსტრიის არსებული პროგნოზების გადახედვა და უფრო პესიმისტურით ჩანაცვლება გახადა აუცილებელი. მიმდინარე პროგნოზების მიხედვით, ტურიზმის აქტივობა 2019 წლის მაჩვენებელს ნელ-ნელა დაუბრუნდება და 2022 წლის ბოლოსთვის გაუთანაბრდება.

როგორი დარგობრივი პოლიტიკა უნდა აწარმოოს საქართველომ მომავალში? მაისსა და ივნისში გაუმჯობესებული მოხმარების ტენდენციები მიუთითებს, ძირითადად ადგილობრივ, მომსახურებაზე-დაფუძნებული ეკონომიკის პოზიტიურ მხარეებზე, რადგან ეკონომიკურმა აქტივობამ გამოცოცხლება დაიწყო სოციალური დისტანცირების

---

[40] როგორც ფისკალური პოლიტიკის ნაწილშია აღწერილი, ყოვლისმომცველი მონიტორინგის და შეფასების სისტემის განხორციელება კრიტიკული მნიშვნელობისაა ანტიკრიზისული გეგმის ეფექტიანობის შესაფასებლად დღემდე.
[41] თიბისი კაპიტალი, "აღდგენის დინამიკა – 14 აგვისტო," 2020 წლის ივლისი.
[42] თიბისი კაპიტალი.
[43] ამრიტ რამკუმარი, "სპილენძზე ფასების გაძვირება გლობალური ზრდის ოპტიმისტური ნიშანია, "*უოლ სტრიტ ჯორნალი*", 2020 წლის 15 ივლისი.
[44] თიბისი კაპიტალი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

შეზღუდვების შესუბუქებისთანავე. მიუხედავად ამისა, ეს დინამიკა, რომელიც პირველ რიგში დამოკიდებულია ოჯახების და ბიზნესების ლიკვიდურობაზე, არამდგრადია, რადგან გაჭიანურებული შენელება ტურიზმსა და სხვა სექტორებში, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ საქართველოს ეკონომიკაში, დიდ გავლენას მოახდენს ბიზნესების შემოსავლებზე, დასაქმებასა და სამომხმარებლო ხარჯებზე.

როგორც მოცემული ანგარიშის ფისკალურ ნაწილშია ნაჩვენები, COVID-ის გლობალური კრიზისის ხასიათი გულისხმობს, რომ საეჭვოა ამ დარგების სწრაფად აღდგენა მოხდეს. 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ, საერთაშორისო შემოსავლები ტურიზმიდან მსოფლიოში 6%-ით შემცირდა და 2010 წლამდე ვერ აღდგა.[45] ამჟამინდელ კრიზისის ფონზე, სადაც პირდაპირი შეზღუდვებია დაწესებული მოგზაურობისა და ზოგადი მობილობისთვის, შედეგები, რა თქმა უნდა, უფრო მძიმე იქნება. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) პროგნოზით, გლობალური ტურიზმის შემოსავლები 60%-დან 80% -მდე შემცირდება 2020 წელს[46], ხოლო „ოქსფორდ ეკონომიკსის" კვლევის თანახმად, საერთაშორისო ტურიზმი ქალაქებში შეიძლება სრულად ვერ აღდგეს 2024 წლამდე.[47] უძრავი ქონების სფეროს პრობლემას უქმნიან ისეთი ფაქტორები, როგორიც არის შინამეურნეობების შეზღუდული ლიკვიდურობა და შემცირება საერთაშორისო მგზავრობებსა და ინვესტორთა ნდობის ხარისხში. 2019 წლის უძრავის ქონების გაყიდვებში 10% სწორედ საერთაშორისო მყიდველებზე მოდიოდა.

<u>გრაფიკი 15: საქართველოს დარგობრივი ლანდშაფტი — COVID-ის შემდგომი აღდგენა</u>[48]



აღდგენის პროცესში საქართველოს ძირითად გამოწვევას ზრდისთვის ახალი სფეროების მოძიება წარმოადგენს ტურიზმის გახანგრძლივებული ვარდნის კომპენსაციის მიზნით, რომელიც ქვეყნის შიდა ლიკვიდურობის მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო. შესაბამისად, შიდა ეკონომიკაც კრიზისში გადადის; მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკის ფარგლებში გადადგმულმა ნაბიჯებმა შეიძლება გავლენა იქონიოს ტურიზმის აღდგენის ტემპზე, სრული აღდგენა დამოკიდებული იქნება საგარეო ბაზრების ფაქტორებზე, რომლებიც საქართველოს კონტროლს არ ექვემდებარება.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს თავდაპირველი რეაგირება კრიზისზე გულისხმობდა ისეთი ფორმის ეკონომიკის მხარდაჭერას, როგორის ის კრიზისამდე იყო,

[45] გაეროს გლობალური პულსი, „ეკონომიკური კრიზისი, ტურიზმი და მისი გავლენა ღარიბ მოსახლეობაზე," 2011 წ.
[46] OECD, "ტურიზმის პოლიტიკის რეაგირება კორონა ვირუსზე (COVID-19)," 2020 წლის ივნისის განახლებული ვერსია.
[47] ოქსფორდ ეკონომიქსი, "საქალაქო ტურიზმის პერსპექტივა და კლასიფიცირება: კორონავირუსის ზემოქმედება და აღდგენა," 2020 წლის 15 აპრილი.
[48] COVID-ის გავლენა შეფასებულია შესაბამის დასაქმებასა და მშპ-ს გავლენაზე დაყრდნობით, 2020 წლის ივნისის მდგომარეობით. წყაროები: ეკონომიკის სამინისტრო, თიბისი კაპიტალი, ISET-ის კვლევა, ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან, ინდუსტრიის ანალიზი.

პოლიტიკის შემდეგი ეტაპი უნდა მიიმართოს ზრდის ახალი შესაძლებლობების შექმნისკენ ტურიზმის ფართო სუბსიდირების მცდელობა სექტორის კრიზისდან გამოსაყვანად, უძრავი ქონებისა და სოფლის მეურნეობის პარალელურად, ძვირი, არამდგრადი და სავარაუდოდ წარუმატებელი იქნება გლობალურ ბაზრებზე არსებული უარყოფითი ტენდენციებიდან გამომდინარე. უფრო მეტიც, მგსავსი ქმედება უბიძგებს ეკონომიკას "გაიყინოს" COVID-მდელ მდგომარეობაში, და გამოტოვოს განვითარების ის ახალი შესაძლებლობები რასაც სწრაფად ცვალებადი გლობალური ეკონომიკური ლანდშაფტი იძლევა. შეზღუდული რესურსების სიცოცხლისუუნარო ბიზნესებში კონცენტრირება, გვიზღუდავს შესაძლებლობას ინვესტიციები ზრდაზე ორიენტირებული დარგებისკენ მივმართოთ.

მიდგომის ძირეული ცვლილება მოითხოვს დარგობრივი პოლიტიკის ისე მიმართვას, რომ ხელი შეეწყოს ეკონომიკის ახალი გარემოსადმი ადაპტირებას. ეს ნიშნავს მიზანმიმართული, მაგრამ მოქნილი და სწრაფი პოლიტიკის საშუალებით პროაქტიულ იდენტიფიკაციას და შესაძლებლობების მიცემას ეკონომიკის იმ სფეროებისთვის, რომელთაც შეუძლიათ განვითარდნენ COVID-ის მიერ შექმნილ ახალ გარემოში. საბედნიეროდ, საქართველოს წარმატებამ COVID-ის ფართოდ გავრცელების თავიდან აცილებაში და ქვეყნის საგანგებო სიტუაციების რეაგირების მენეჯმენტში, ქვეყანა მომგებიან მდგომარეობაში ჩააყენა, იმისთვის რომ მოახდინოს ძალისხმევის სწორად მიმართვა. თუმცა, ეკონომიკური ზრდის ახალი მიმართულებების განვითარება, საუკეთესო პირობებშიც კი რთული პროცესია. წარმატების მისაღწევად, აუცილებელია დარგობრივი პოლიტიკის ოპტიმიზაცია, იმისთვის, რომ მოხდეს COVID-ის მიერ შექმნილი შესაძლებლობების გამოყენება და ძალისხმევის ისეთი სფეროებისკენ მიმართვა, რომლებსაც მოკლევადიან ჭრილში წარმატების მიღწევის ყველაზე მეტი შანსი აქვთ.

COVID-19-ის ტენდენციები და შესაძლებლობები

მიუხედავად გამოწვევებისა, COVID-მა მთელ რიგ ტენდენციებს ჩაუყარა საფუძველი, რომლებიც ეკონომიკური ზრდის ახალ შესაძლებლობებს გვთავაზობს. ეპიდემიის როგორც ხასიათმა, ისე მასშტაბმა და მასზე გლობალურმა რეაგირებამ ბიზნესზე გავლენა არა მხოლოდ კრიზისის პერიოდში მოახდინა, არამედ, სავარაუდოდ, გრძელვადიან პერსპექტივაში გავლენას იქონიებს გლობალური ეკონომიკაზეც და შეცვლის ჩვეულ მიდგომებს. ეს ცვლილებები ხელს შეუწყობს ახალი გამარჯვებულების – ბიზნესების და მთლიანად ეკონომიკების – გამოვლენას, რომლებიც ყველაზე უკეთ შეძლებენ მოერგონ ახალ გარემოებებს და ბიზნესის შეცვლილ მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ.

საქართველოს შემთხვევაში ორი ტენდენციაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი:

1) გლობალური მიწოდების ჯაჭვების გადაწყობა

COVID-მა გამოააშკარავა მიწოდების გლობალური ჯაჭვების დიდი მოწყვლადობა და უნარები გადარჩენ ბაზრის რღვევის პირობებში. ჩინეთში ძირითადი საწარმოო ცენტრების ადრეულმა დახურვამ და თანმდევმა შედეგებმა ბიზნესსა და განსაკუთრებით ინდუსტრიაში, გამოავლინა ჩინეთის ბაზარზე გლობალური დამოკიდებულების მასშტაბი და რისკი, რომელიც თან სდევს მომწოდებლებისა და აქტივების კონცენტრირებას ერთ გეოგრაფიულ არეალში. ამის გამოვლენამ, შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის სავაჭრო დაძაბულობის მოსალოდნელ საფრთხესთან ერთად, გლობალურ ბიზნესში აქამდე არნახული იმპულსი გამოიწვია, რომ ძირეულად მოხდეს მათი მიწოდების ჯაჭვების რესტრუქტურიზაცია და უფრო დივერსიფიცირებულ, რეგიონალურ,

გამჭვირვალე მოდელზე გადართვა, რომელიც შემოსავლის უზრუნველყოფას ხარჯების დაზოგვაზე მაღლა აყენებს.

ამ ტენდენციის ზუსტი მასშტაბი და გავლენა უცნობია, მაგრამ კვლევები და ექსპერტთა მოსაზერებები თანხდებიან იმაზე, რომ მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში იმატებს ისეთი ბიზნესების რაოდენობა, რომლებიც ეძებენ ახალ მომწოდებლებს და ლოკაციას ოპერირებისთვის. მათი მიზანია უზრუნველყონ ბიზნეს საქმიანობების უწყვეტობა ახალი პანდემიის ან სხვა კრიზისის პირობებში. ბევრისთვის ამის წინაპირობა იქნება რეგიონალიზაციის სტრატეგია, რომელიც უპირატესობას არა ერთ-ცენტრიან გლობალური მიწოდების მოდელს , არამედ ნაწილობრივ ან სრულად თვითკმარ რეგიონალურ მიწოდების ცენტრებს ანიჭებს. რეგიონალიზაციის ხარისხი და ამ მოდელზე გადასვლის ვადა სფეროების მიხედვით სხვადასხვაგვარი იქნება. ინდუსტრიებმა, რომლებსაც უფრო გრძელი საწარმოო დრო აქვთ, შეიძლება ჩინეთის გარდა აირჩიონ კიდევ ერთი რეგიონალური ცენტრი – "ჩინეთი +1" სტრატეგია, ხოლო სხვა, უფრო "კვანძოვანი" (ნოდალური) ინდუსტრიები, რომლებისთვის ბაზართან სიახლოვე მნიშვნელოვანია, სავარაუდოდ უფრო მეტ, მცირე ზომის რეგიონალურ ცენტრებზე გააკეთებენ აქცენტს.

მოხმარების ტენდენციების შეცვლა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მიწოდების ჯაჭვის ცვლილებებს. არის სფეროები, რომლებმაც ჩინელ მომწოდებლებზე დამოკიდებულების გამო მწვავე ნეგატიური გავლენა განიცადეს, მაგალითად: ფარმაცევტული საშუალებების, სამედიცინო აღჭურვილობის, საწმენდი საშუალებების და პირადი ჰიგიენის საშუალებების სფეროები. მოსალოდნელია, რომ მათ მიერ წარმოებულ პროდუქციაზე პანდემიის შემდგომაც შენარჩუნდება მზარდი მოთხოვნა, ვინაიდან ჯანდაცვის დაწესებულებები, ბიზნესები და შინამეურნეობები შეეცდებიან შეინარჩუნონ მზადყოფნა შესაძლო მომავალი ეპიდემიისთვის. შესაძლოა ასევე გაიზარდოს ეროვნული რეგულირება ამ ინდუსტრიების მიმართ, რათა უზრნველყოფილ იქნეს მარაგებზე შუფერხებელი წვდომა საჭიროების შემთხვევაში.

სხვა სფეროებს, მაგალითად როგორიცაა ენერგეტიკა, გაგრილების სისტემები და ეკოლოგიური სამშენებელო მასალები, ხელი შეეწყობა ისეთი სახელმწიფო პროგრამებისგან, რომლებიც ორიენტირებულია მდგრად აღდგენა-განვითარებაზე. ისეთი სფეროები როგორიცა ელექტრონული მოწყობილობების და პროგრამული უზრუნველყოფის წარმოება სარგებელს დისტანციური მუშაობის გაზრდილი ტენდენციიდან ნახავენ. საპირისპიროდ, ისეთი დარგები რომლებმაც მძიმე დარტყმა მიიღეს COVID-ის გამო, მაგალითად ავტო და აეროკოსმოსური წარმოება, სვარაუდოდ კონსოლიდაციისკენ წავლენ, რაც თავის მხრივ გავლენას იქონიებს პოტენციურ საინვესტიციო სტრატეგიებსა და ბიზნეს ლოკაციის შერჩევაზე.

2) ელექტრონული კომერციის, დისტანციური მუშაობისა და სხვა ციფრული ბიზნეს-მოდელების დანერგვა

ბიზნესის მიერ კარანტინის პირობებთან ადაპტაციამ, ბევრი ისეთი ფუნქცია, რომელიც პირისპირ ხორციელდებოდა ინტერნეტ სივრცეში გადაიტანა. ამ ცვლილებამ დრამატულად დააჩქარა ციფრულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ახალი ბიზნეს-მოდელების დანერგვა. ისეთმა ტენდენციებმა, როგორიცაა ელექტრონული კომერცია, დისტანციური მუშაობა, უკონტაქტო გადახდები და სახლში მიწოდების სერვისები, ძირეული გავლენა იქონია იმაზე თუ სად და როგორ ვმუშაობთ და შესაბამისად შექმნა შესაძლებლობები შემუშავდეს ახალი, დამატებითი ღირებულების შემქმნელი სერვისები. მოსალოდნელია, რომ COVID-თან დაკავშირებული შეზღუდვების შემსუბუქების და

მოხსნის შედეგად, ზემოთ-აღნიშნული ტენდენციები შენელდება. მიუხედავად ამისა, ეს მიდგომები უფრო მნიშვნელოვან ადგილს შეინარჩუნებენ ეკონომიკის ფუნქციონირებაში, ვიდრე ეს პანდემიის დადგომამდე იყო. წინასწარი კლვევების მიხედვით, ელექტრონული კომერციის გავრცელება 2020 წლის ბოლოსთვის ორჯერ უფრო მეტი იქნება, ვიდრე ეს COVID-მდე იყო. გარდა ამისა, გამოკითხული ბიზნეს მმართველების 50-დან 75%-მდე გეგმავს, რომ დასაქმებულებს მუდმივად შეუნარჩუნოს დისტანციურად მუშაობის არჩევანი.

როგორ უნდა გაითვალისწინოს საქართველომ ზემოთ-აღნიშნული ტენდენციები ეკონომიკური აღდგენის სტრატეგიის შემუშავებისას? პირველ რიგში, ორივე ტენდენცია მიგვანიშნებს, რომ აუცილებელია აქცენტი გავაკეთოთ გლობალურ ინტეგრაციაზე და ხელი შევუწყოთ ისეთი ბიზნესების და დარგების განვითარებას, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნებიან საერთაშორისო ბაზრებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ეკონომიკა, COVID-ზე ადგილობრივი ინდუსტრიისკენ შემობრუნებით და იზოლირებით რეაგირებს, ეს სტრატეგია ნაკლებად სავარაუდოა, რომ მომგებიანი იყოს საქართველოსთვის. დღეს საქართველოს არ გააჩნია ძლიერი საწარმოო და ტექნოლოგიური ბაზა, რაც ქვეყანას საშუალებას მისცემდა ესარგებლა იზოლაციონისტური მიდგომით. პირიქით, საქართველომ მაქსიმალურად უნდა იმოძრაოს გლობალური ინტეგრაციისკენ, რათა გამოიყენოს ის შესაძლებლობები რასაც ტექნოლოგიის გადაცემის პროცესი, საერთაშორისო ბაზრებზე გაზრდილი წვდომა და სტრატეგიული ალიანსები გვთავაზობს. მოსალოდნელი ცვლილებები მიწოდების ჯაჭვებში და ბიზნესის გაციფრულება, ქართულ ბიზნესებს გლობალურ ბაზრებთან წვდომას და ინტეგრაციას გაუადვილებს. საქართველოს, მის მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, გააჩნია რიგი უპირატესობებისა (ბიზნესის კეთების სიმარტივე, საერთაშორისო სავაჭრო ხელშკრულებები და COVID-ზე წარმატებული რეაგირება) რაც მას აძლევს შესაძლებლობას გახდეს რეგიონალური საინვესტიციო ცენტრი. ეს ის შესაძლებლობები და უპირატესობებია, რომლებიც საქართველომ წინსვლისთვის უნდა გამოიყენოს.

გლობალურ მიწოდების ჯაჭვებში ინტეგრაციის გაღრმავებას საქართველოს ეკონომიკისთვის, გარდა მოკლევადიანი აღდგენის შესაძლებლობისა, გრძელვადიანი სარგებელიც აქვს. ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით ადგილობრივ ინდუსტრიაში ინოვაციების განვითარებაა, რაც ადგილობრივ, რეგიონალურ და გლობალურ ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის გაზრდის საშუალებას იძლევა და არსებითია მდგრადი განვითარებისთვის. ადგილობრივი ბიზნესების კონცენტრაცია მხოლოდ ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ინოვაციების ფართომასშტაბიანად დანერგვის ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორია. მსგავსი მიდგომა არ უბიძგებს ბიზნესებს ინოვაციების და ძირეული ინვესტიციების განხორციელებისკენ არამედ ისინი მათთვის კარგად ნაცნობი და შეზღუდული ბაზრისთვის, ნაკლებად დახვეწილი პროდუქციის შეთავაზებით შემოიფარგლებიან. შედეგად, ადგილობრივი ბიზნესებისთვის რთულია რეგიონალურ და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენციაში ჩართვა, რაც თავის მხრივ, მათი ფოკუსის ადგილობრივ ბაზარზე შენარჩუნებას იწვევს. ეს წრიული სტაგნაცია ამცირებს საქართველოს გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივებს. გლობალურ მიწოდების ჯაჭვებში შეღწევა გამოიწვევს ადგილობრივ ბაზარზე უფრო დახვეწილ პროდუქციაზე და ტექნოლოგიებზე მოთხოვნის გაჩენას, რაც თავის მხრივ არსებულ უარყოფით სტატუს-კვოს დაარღვევს და საქართველოს გრძელვადიანი განვითარების გეგმებს გაამყარებს.

გლობალური მიწოდების ჯაჭვებში შეღწევა: საქართველოს პროდუქტიულობისა და ინოვაციების სტატუს-კვოს დარღვევა



პროდუქტიულობაზე აქცენტირებული განვითარების სტიმულირებისთვის აუცილებელია, არსებული, ადგილობრივ-ბაზარზე კონცენტრირებული სტატუს-კვოს დარღვევა. *ბაზრის არსებული სტრუქტურა, ზომა და მოთხოვნის ხასიათი, არ ახდენს ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირებას ინვსტირება გააკეთონ პროდუქციის დახვეწასა და გაუმჯობესებაში. მსგავსი მიდგომა, თავის მხრივ იწვევს პროდუქტიულობის სტაგნაციის ციკლს და ამცირებს ადგილობრივი ბიზნესების კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზრებზე. ცვლილებები საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვებში და ახალი ციფრული ბიზნეს მოდელის გავრცელება საქართველოს საშუალებას აძლევს დაარღვიოს არსებული სტატუს-კვო საერთაშორისო ბაზრებში ინტეგრაციის ხარისხის გაზრდით.*

გლობალურ მიწოდების ჯაჭვებში წარმატებული ინტეგრაციისთვის აუცილებელია ისეთ დარგებზე კონცენტრირება, რომლებშიც საქართველო ბუნებრივად მაღალკონკურენტულია. ინტეგრაციაზე კონკურენცია ძალზედ მაღალი იქნება და მიუხედავად COVID-ის შემდგომ მიწოდების ჯაჭვებში ცვლილებებისა, მათში წარმატებული ინტეგრაციისთვის საჭირო ნაბიჯები და ძალისხმევა უცვლელი რჩება. კომპანიები კვლავ ისეთ ლოკაციებს შეარჩევენ, რომლებიც დიდ ბაზრებთან არიან ახლოს, სადაც ხელმისაწვდომია დიდი რაოდენობით მაღალი ხარისხის ადამიანური რესურსები და სადაც მოქმედებს მიმზიდველი საგადასახადო და სავაჭრო რეჟიმი. შესაბამისად, უკვე ნაცადი ინდუსტრიული ცენტრები, როგორიცაა მაგალითად მექსიკა, ბრაზილია,

ინდოეთი, ინდონეზია და ა.შ. ბევრისთვის კვლავ პირველ პრიორიტეტად დარჩება. საიმედო ლოგისტიკა, გაციფრულების მაღალი დონე და გამჭვირვალე მმართველობა კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს, ვინაიდან კომპანიები შეეცდებიან მიწოდების ჯაჭვების სრული ციკლი მაქსიმალურად გამჭვირვალე გახადონ.

მიწოდების ჯაჭვების ცვლილების პროცესი უკვე დაწყებულია, თუმცა ამავდროულად მოსალოდნელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 40%-იანი ვარდნა 2020 წელს[49]. უცხოური ინვესტიციების შემცირება პირველ რიგში გამოწვეულია ეკონომიკური რეცესიის შედეგად შეზღუდული კაპიტალით. უცხოური ინვესტიციების ეს უარყოფითი დინამიკა, სამწუხაროდ ზღუდავს მიწოდების ჯაჭვებში მიმდინარე ცვლილებების შედეგად შექმნილი შესაძლებლობების მოკლევადიან პერიოდში ათვისების პოტენციალს. ამავე დროს, ქვეყნებს, რომლებიც მიწოდების ჯაჭვში ადგილის მოსაპოვებლად იბრძვიან, ასევე მოუწევთ განვითარებულ ქვეყნებთან კონკურენცია, რომლებიც გეგმავენ თავიანთი წარმოებების სამშობლოში დაბრუნებას ან რელოკაციას, იმისთვის რათა მოახდინონ ეროვნული ეკონომიკის სტიმულირება და შიდა წარმოების გაზრდა (მაგალითად აშშ, გერმანია). ჩრდილოეთ ამერიკაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ჩრდილო ამერიკული საწარმოების ორი მესამედი მათი წარმოების ნაწილის აშშ-ში დაბრუნებას გეგმავს[50]. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტენდენცია შეიძლება ყველა ინდუსტრიას თანაბრად არ შეეხოს, აუცილებელია, რომ ისეთმა ბაზრებმა, როგორიც საქართველოა მეტი ძალისხმევა გაწიონ თავიანთი კონკურენტული უპირატესობების წარმოსაჩენად.

ასევე აუცილებელია, თამამი ნაბიჯების გადადგმა ქვეყანაში გაციფრულების მასშტაბების გასაზრდელად. გაციფულება მნიშვნელოვანია როგორც საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევისთვის, ასევე ეროვნული ეკონომიკის სტიმულირებისთვის. გარდა ამისა, გლობალურ ეკონომიკაში წარმატებული მონაწილეობისთვის, დღიდითღე უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს იმ შესაძლებლობების გამოყენება რომელსაც ელექტრონული კომერცია და გაციფრულება იძლევა. საერთაშორისო ბიზნესები, წარმოების ჯაჭვების რეგიონალიზაციის პროცესში, მეტ ყურადღებას აქცევენ საწარმოო ჯაჭვის გამჭვირვალობას, საპროგნოზო ანალიტიკის წარმოების და მომწოდებლების მყისიერი შეცვლის შესაძლებლობას. ციფრული ტექნოლოგია პასუხობს ამ მოთხოვნებს, ვინაიდან მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება ინფორმაციის მოგროვება და მართვა, მაგალითად ისეთი მეთოდების გამოყენებით როგორიც არის ხელოვნური ინტელექტი, საოპერაციო სისტემების ინტეგრაცია და ა.შ. COVID-მა ასევე ავტომატიზაციის პროცესის დაჩქარებაც გამოიწვია, რაც ციფრული ტექნოლოგიების კიდევ უფრო მასშტაბურად გავრცელებას შეუწყობს ხელს. ფრაის ვოთერჰაუს კუპერსის (PWC) კვლევის თანახმად ბიზნეს აღმასრულებლების 44% თვლის, რომ COVID-თან დაკავშირებული დისტანცირების შეზღუდვების შედეგად დაჩქარდება ავტომატიზაცია და სამუშაოსადმი სხვა, ახლებური მიდგომების შემოღება[51]. ძირეული ციფრული შესაძლებლობების ქონა და ბაზრის პლატფორმებთან მუშაობის და ინტეგრირების ცოდნა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება მიწოდების ჯაჭვში ჩართული ყველა რგოლისთვის.

ამავე დროს, საქართველოში ციფრული ბიზნესის გაფართოება ადგილობრივი ბაზრისთვის მნიშვნელოვან შესაძლებლობას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ინფრასტრუქტურა არსებობს და მობილური მოწყობილობები ფართოდაა გავრცელებული, გლობალურ სტანდარტებთან შედარებით დაბალია მომსახურების,

[49] UNCTAD-ის მსოფლიო საინვესტიციო ანგარიში, 2020 წ.
[50] Thomas-ის ინდუსტრიული კვლევა "COVID-19-ის გავლენა ჩრდილოეთ ამერიკის წარმოებაზე," 2020 წლის აპრილი.
[51] PWC CFO Survey, June 15, 2020.

პროგრამული უზრუნველყოფის და სხვა დამხმარე მოწყობილობების გავრცელების მასშტაბი და მოხმარება.[52] მოთხოვნის სტიმულირებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) ინდუსტრიის ზრდას, ისევე როგორც ისეთი ტრადიციული ეკონომიკური აქტივობების განვითარებას, რომლებზეც ICT-ს განვითარება პირდაპირ ან ირიბად, დადებითად აისახება. შექმნილი გარემო, რომელიც შესაძლებელს ხდის და ხელს უწყობს დისტანციურ მუშაობას, ასევე ქმნის გარკვეულ შესაძლებლობებს ისეთი ინდივიდებისთვის და შინამეურნეობებისთვის, რომლებიც ტრადიციულად შემოსავლის წყაროსთან იყვნენ გეოგრაფიულად მიჯაჭვულები, თავიანთი დრო და ფული სხვაგან დახარჯონ. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს რეგიონებისთვის, სადაც ეკონომიკური აქტივობა ისტორიულად საკმაოდ დაბალია.

ექსპორტირებადი დარგებიდან მიღებული შემოსავლების გარეშე, რთული იქნება შინამეურნეობების ლიკვიდურობის გაზრდა, რის გარეშეც ზემოთ-აღწერილ ტენდენციებს მხოლოდ შეზღუდული სარგებელის მოტანა შეეძლებათ. ციფრული ტექნოლოგიების განვითარება ინვესტიციებს მოითხოვს, რომელთა განხორციელება, მხოლოდ მუდმივი ეკონომიკური გაფართოების შედეგად მიღებულ ლიკვიდურ ბაზრებშია შესაძლებელი. ასე რომ, საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევა და ციფრული ტექნოლოგიების მასშტაბური დანერგვა, ერთიანი, ინტეგრირებული სტრატეგიის ნაწილი უნდა იყოს. 2019 წელს, ICT-ს დარგი ყველა სხვა ქვე-სეგმენტზე მეტად განვითარდა და 15.4% - იან ზრდას მიაღწია, რაც ამ სექტორში ზრდის პოტენციალზე მიუთითებს[53].

აღნიშნული მიმართულებების გასავითარებლად აუცილებელია არსებული ეკონომიკური განვითარების ხელშემშლელი გამოწვევების გადალახვა და პანდემიამდე არსებული პრიორიტეტული პოლიტიკის მიმართულებების გაძლიერებული მხარდაჭერა. ეს გამოწვევები კარგად არის აღწერილი არაერთ ანგარიშსა თუ ეკონომიკური სტრატეგიის დოკუმენტში რომელიც ბოლო ათწლეულის განმავლობაში გამოქვეყნებულა. ძირითადი გამოწვევებია: შესაბამისად კვალიფიციური ადამიანური რესურსი; საიმედო სატრანსპორტო და ლოგისტიკური მომსახურება; დივერსიფიცირებულ ფინანსებზე წვდომა და რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელშემწყობი საკანონმდებლო დოკუმენტი (მაგ. გაკოტრება). აღნიშნული გამოწვევების გადალახვა მიმდინარე რეფორმების მიზანია და მიუხედავად არსებული პროგრესისა, ამ მიმართულებებზე მუშაობა უნდა გაგრძელდეს.

საბედნიეროდ COVID-მა ტრადიციული მიდგომები დაარღვია და თამამი რეფორმების წარმატებით განსახორციელებლად უპრეცედენტო შესაძლებლობები გააჩინა, კერძოდ:

- **შეცვალა განათლებისადმი ტრადიციული მიდგომა და დააჩქარა ცენტრალიზებულ, ციფრული სწავლის მოდელზე გადასვლა.** ამ ცვლილებამ ბუნებრივად შექმნა წინაპირობა იმისთვის, რომ მოხდეს საქართველოს საგანმათლებლო ინფრასტრუქტურის და სასწავლო პროგრამების ძირეული განახლება და განვითარდეს მასწავლებლის პროფესია.
- **გამოათავისუფლა ადამიანური რესურსები დაბალ-პროდუქტიული საქმიანობებიდან** (მაგალითად, დაბალ-ფასიანი/ხარისხიანი სტუმარ-მასპინძლობის და მომსახურების სფეროებიდან). შედეგად, ხელმისაწვდომი გახდა ადამიანური რესურსი, რომელიც შეიძლება დასაქმდეს უფრო მაღალ-

[52] მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, 2020 წ.
[53] ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ეკონომიკური ხედვა, 2020 წლის მაისი.

პროდუქტიულ დარგებში და უფრო თავისუფლად ჩაერთოს უნარ-ჩვევების განვითარების პროგრამებში.

- **დაიწყო სიცოცხლისუუნარო ბიზნესების გაფილტვრა, რის შედეგადაც მხოლოდ ის ბიზნესები დარჩებიან ბაზარზე, რომლებიც მომხმარებელს მაღალი სტანდარტის მომსახურებას სთავაზობს.** ეს მოცემულობა დაეხმარება საქართველოს მოიზიდოს უფრო მაღალშემოსავლიანი მომხმარებლები და გაუმარტივებს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების (DCFTA) და სხვა სტანდარტების მოთხოვნების შესრულებას.
- **სწრაფად გაზარდა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მასშტაბი ბიზნესებსა და შინამეურნეობებში,** რაც თვისთავად ხელს შეუწყობს გაციფრულების მხარდამჭერი პოლიტიკის შემუშავებას და დანერგვას.
- **განაახლა საზოგადოების ინტერესი სახელმწიფო ხელმძღვანელობის, მმართველობის და მხარდაჭერის მიმართ** რაც მთავრობას საშუალებას აძლევს ეფექტურად გაუძღვეს COVID-ის შემდგომ რეაბილიტაციის პროცესს, მართოს საზოგადოების მოლოდინები და უზრუნველყოს მათი ჩართულობა.

აუცილებელია ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებების მიერ შექმნილი შესაძლებლობების სწრაფად გამოყენება. კრიზისი კარგი მომენტია ეკონომიკაში ცვლილებების შესატანად. თუ ეს შესაძლებლობა დროულად არ იქნა გამოყენებული, დიდი ალბათობაა იმისა, რომ ადამიანური რესურსი და ზოგადად ეკონომიკა ტრადიციულ დარგებს და მიდგომებს დაუბრუნდება, შესაძლოა უფრო ფართო მასშტაბითაც კი. მაგალითად, თუ ვერ მოხდა გამოთავისუფლებული ადამიანური რესურსის მაღალ-პროდუქტიულ დარგებში დასაქმება, ისინი დაბალ-პროდუქტიულ, ნახევრად-საარსებო საქმიანობას მიჰყოფენ ხელს, მაგალითად სოფლის-მეურნეობას, რაც თავის-მხრივ გაზრდის ამ დარგში სუბსიდირების მოთხოვნას და შეამცირებს ადამიანური რესურსის დაინტერესებას და შესაძლებლობას შეიძინონ ახალი უნარები და მოახდინონ საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლება. შესაბამისად, პოლიტიკა უნდა იყოს თამამი და სწრაფად უნდა დაინერგოს.

შეღწევა გლობალური მიწოდების ჯაჭვებში — რაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი?

რომელ დარგებზე უნდა გააკეთოს აქცენტი საქართველომ ამ შესაძლებლობების თავის სასარგებლოდ გამოყენების მიზნით? საქართველოს ერთ-ერთი აქტივია მისი ეკონომიკის მზარდი დივერსიფიკაცია, რაც გამოიხატა COVID ეპიდიემიამდე პერიოდში ზრდის და ვაჭრობის ტენდენციებში. მართალია საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურაში რამდენიმე დიდი დარგი დომინირებს, მაგრამ უფრო და უფრო იზრდება სხვა დარგების წვლილი ეკონომიკაში. ამ დარგების ჩამონათვალიდან შეგვიძლია გამოვარჩიოთ ხელოვნება და გართობა, ინდუსტრიული მასალების წარმოება და ციფრული მარკეტინგის სერვისები. ამ დარგების საკმაოდ ბევრი წარმომადგენელი რეგიონალურ და საერთაშორისო ბაზრებზეც აქტიურია. **შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური ზრდა სხვადასხვა მიმართულებებიდან მოხდება. ზრდაზე ორიენტირებული დარგებისთვის და ბიზნესებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა COVID-ის შემდგომი სარეაბილიტაციო სტრატეგიის მთავარი სვეტი უნდა იყოს.**

მნიშვნელოვანია შეზღუდული რესურსების მიზანმიმართული დაბანდება, წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგის მიღწევა ვერ მოხერხდება. საერთაშორისო ბაზრებზე გასვლა და ზრდის ახალი შესაძლებლობების გაღვივება, საუკეთესო ეკონომიკურ გარემოშიც კი, საკმაოდ რთული წამოწყებაა. ამიტომ, აუცილებელია, რომ საქართველომ აქცენტი მაღალპოტენციური სექტორების ხელშეწყობაზე გააკეთოს და ამავდროულად მაქსიმალურად თანაბარი თამაშის წესები შეინარჩუნოს ყველა დარგისთვის. ეს მიდგომა

არ გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან „გამარჯვებული დარგების შერჩევას“ და მხოლოდ მათ მხარდაჭერას, არამედ გულისხმობს საბაზრო სიგნალების დროულად გააანალიზებას და მათზე რეაგირებას ურთიერთგადამკვეთი პოლიტიკის დანერგვის და მიზანმიმართული ინვესტიციების და რესურსების დაბანდების საშუალებით.

ის მაღალპოტენციური დარგები, რომელთა საშუალებითაც საქართველო გლობალურ მიწოდების ჯაჭვებში შეძლებს ჩართვას და ამავდროულად რომლებსაც გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა შეუძლიათ, ოთხი კრიტერიუმის ერთობლიობას უნდა აკმაყოფილებდეს:

1) **სარგებლობდეს განმასხვავებელი კონკურენტული უპირატესობებით:** საქართველოს ძირითადი უპირატესობებია:
    - კარგი მმართველობა და კრიზისის ეფექტურად მართვის გამოცდილება
    - განათლებული და ამავდროულად შედარებით იაფი ადამიანური რესურსი
    - გლობალური იმიჯი და მომგებიანი სავაჭრო რეჟიმები
    - მზარდი ჰარმონიზაცია ევროკავშირის და სხვა გლობალურ სტანდარტებთან
    - წვდომა იაფ, „მწვანე“ ენერგო რესურსებზე
    - ბიზნესის წარმოების სიმარტივე
    - მიმზიდველი ბუნებრივი გარემო და ღია საზოგადოება

ეს უპირატესობები, გარკვეულწილად მიანიშნებენ, რომ აქცენტი უმჯობესია ფიზიკური პროდუქციის წარმოებაზე გაკეთდეს, ვიდრე ინტელექტუალურ (ცოდნაზე-დაფუძნებულ) სერვისებზე, ვინაიდან ფიზიკურ წარმოებას ხელს უწყობენ იაფი ენერგო-რესურსები, საქართველოს გლობალური პოზიციონირება და საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებები.

2) **დარგი უკვე უნდა არსებობდეს ქართულ ბაზარზე და უნდა შესწევდეს ადგილობრივ ბაზარზე წილის გაზრდის უნარი:** გლობალურ ბაზრებზე შეღწევას დრო სჭირდება და ისეთ გარე ფაქტორებზეა დამოკიდებული, რომლებიც საქართველოს კონტროლს არ ექვემდებარება. ისეთ დარგებზე ფოკუსირება, რომლებიც უკვე არსებობენ ბაზარზე და რომლებსაც შეუძლიათ კონკურენტულობის ამაღლება და ადგილობრივ ბაზარზე წილის გაზრდა ეკონომიკისთვის სარგებლის მოტანის მოკლე გზაა. გარდა ამისა, არსებულ ბიზნესებზე კონცენტრირება ასევე გლობალურ მიწოდების ჯაჭვებში ჩართვის მეტ შესაძლებლობას იძლევა, ვინაიდან შესაძლებელია არსებული ბიზნესის დამოუკიდებელ მიმწოდებლად ჩართვა, ან ბიზნესში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

3) **დარგს უნდა ახასიათებდეს ზრდის აღმავალი ტრაექტორია (COVID-ის შემდგომ პერიოდში) და გააჩნდეს მოკლე ვადაში სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალი:** დარგს უნდა ახასიათებდეს გრძელვადიანი ზრდის ტენდენციები, რომელიც მას მიმზიდველს გახდის ახალი ბიზნესებისთვის. იმ დარგებს, რომლებმაც შეძლეს საქმიანობის მეტწილად ან სრულად გაგრძელება და შენარჩუნება კრიზისის პერიოდში, მეტი შესაძლებლობა ექნებათ მყისიერად მოახდინონ მიწოდების ჯაჭვში ცვლილებებზე რეაგირება და განახორციელონ საქართველოში მოქმედი ბიზნესის ხელშემწყობი ინვესტიციები.

4) **დარგს უნდა შეეძლოს წვლილი შეიტანოს ინკლუზიური, მაღალი ღირებულების ინდუსტრიების განვითარებასა და ეკონომიკის მდგრადობის ხარისხის გაზრდაში.** COVID-ის მიერ გამოწვეული ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლა და აღდგენა უმთავრესი პრიორიტეტია, მაგრამ ამავდროულად, შეძლებისდაგვარად უნდა განხორციელდეს ისეთი ინვესტიციები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს მისწრაფებას გაზარდოს მისი მაცხოვრებლების ცხოვრების სტანდარტი. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მაღალი ღირებულების, მაღალპროდუქტიულ ეკონომიკურ აქტივობებზე კონცენტრირებით.

თუ ქვეყნის ეკონომიკას ამ გადმოსახედიდან შევხედავთ, საქართველოს ორ ძირითად მიმართულებას შეუძლია დაეყრდნოს მოკლე ვადაში შედეგების მისაღწევად: 1) მზარდი რაოდენობს ინდუსტრიული საქმიანობების ტიპები, რომლებიც შეგვიძლია დავახასიათოთ როგორც მაღალი ღირებულების/მცირე მოცულობის წარმოება და 2) ახლახან წამოწყებული ბიზნეს პროცესების აუთსორსინგი (BPO) და შემოქმედებითი მომსახურების დარგი.

მაღალი ღირებულების /მცირე მოცულობის წარმოება

საქართველოს ადგილობრივი წარმოების და ექსპორტის ტენდენციები მზარდი რაოდენობის წარმოების ისეთ ტიპებზე მიგვანიშნებს, რომლებშიც საქართველო კონკურენტუნარიანია: შედარებით მცირე რაოდენობის და მაღალი ღირებულების ფიზიკური საქონლის წარმოება. მაღალ ღირებულებას შემდეგი ფაქტორები განაპირობებს: დამოკიდებულება სპეციალიზებულ ადამიანურ რესურსზე და განსხვავებულ უნარებზე, მოითხოვს რთულადმოსაპოვებელ ან მცირე რაოდენობით ხელმისაწვდომ რესურსებს წარმოებისთვის, ან გააჩნია რთული საწარმოო პროცესი არსებული რეგულაციების გამო. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი საწარმოების ინდივიდუალური წილი ექსპორტში სხვა ძირითად საქონელთან, სასმელებთან და სოფლის მეურნეობის პროდუქტებთან შედარებით მცირე იყო, მათ ჯამში მთლიანი ექსპორტის 11% და შიდა წარმოების ექსპორტის 20% შეადგინეს 2019 წელს და ხშირ შემთხვევებში იმავე საქონლის რეგიონალური ექსპორტის ზრდას გაუსწრეს.[54].

საქართველოს ზოგადი ეკონომიკური სურათის მსგავსად, ამ დარგში არსებული შესაძლებლობები მრავალფეროვანია და ჯერ კიდევ ჩასახვის ეტაპზეა. როგორც მომდევნო სექციაშია აღწერილი, ამ დარგის ისეთ სეგმენტებზე უნდა გაეკთდეს აქცენტი, რომელთაც შეუძლიათ ისეთ დარგებს შეუწყონ ხელი, რომლებიც COVID-ის შემდგომ მზარდ განვითრების ტრაექტორიაზე იმყოფებიან. ასევე მნიშვნელოვანია, ისეთ სეგმენტებზე გაკეთდეს აქცენტი, სადაც მთავრობის პოლიტიკის ღონისძიებების და ინვესტიციების შედეგად საერთაშორისო ბაზრებზე გასვლა იქნება შესაძლებელი. ხსენებულ პოლიტიკის ღონისძიებებში ძირითადად იგულისხმება ისეთი საბაზრო სტანდარტების დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს DCFTA-ს და გლობალურ მოთხოვნებთან და სტანდარტებთან ჰარმონიზაციას. ასევე იგულისხმება შესყიდვების რეფორმები და წვდომის უზრუნველყოფა ისეთ პრიორიტეტულ რესურსებზე, როგორიცაა ინტელექტუალური რესურსები და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა.

[54] ავტორისეული ანალიზი Comtrade-ის მონაცემებზე დაყრდნობით.

წარმატების შემთხვევაში, წარმოების დარგს უფრო დიდი მულტიპლიკატორის ეფექტი ექნება ვიდრე მომსახურების დარგებს და მულტიპლიკატორის ეფექტი კიდევ უფრო გაიზრდება ბაზრის მომწიფებისთანავე. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ISET-ის მიერ ჩატარებული ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე, წარმოების პროდუქტებზე გაზრდილი მოთხოვნა ყველაზე დიდ პირდაპირ გავლენას ახდენს ეკონომიკის საერთო გამოშვებასა ყველა დარგის შემოსავლებზე.[55] ინდუსტრიული ეკონომიკების, მათ შორის ევროკავშირის, შეერთებული შტატების და იაპონიის, ანალიზი აჩვენებს, რომ მულტიპლიკატორის ეფექტი შეიძლება გაიზარდოს სხვა დარგებთან შედარებით, დამხმარე ინდუსტრიების გავნივითარებასთან და ეკონომიკური კავშირების გაღრმავებასთან ერთად.[56]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ დარგის საქმიანობა საქართველოში მრავალფეროვანია, მრავალი სეგმენტი ჯერ კიდევ ახალია და მცირე მასშტაბის. საბოლოო ჯამში, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს მოქნილი პოლიტიკის სწრაფად შემუშავების აუცილებლობას, რომელიც ძალზედ ვიწროდ არ იქნება ფოკუსირებული. ამის მიუხედავად, შეიძლება ხუთი ძირითადი სეგმენტის გამორჩევა, რომელსაც მოკლე ვადაში შედეგის მოტანის პოტენციალი გააჩნია:

- ***ფარმაცევტული და პირადი ჰიგიენის საშუალებები:*** ფარმაცევტულმა და პირადი ჰიგიენის საშუალებებმა 2019 წელს საქართველოს ექსპორტის 6% შეადგინა[57] და ადგილობრივი მოხმარების იმპორტის მესამე უმსხვილეს კატეგორიაში მოხვდა სპილენძისა და ნავთობპროდუქტების შემდეგ. ადგილობრივი ინდუსტრია მოიცავს ადგილობრივი მწარმოებლების მზარდ და მრავალფეროვან ჯგუფს, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან უპატენტო მედიკამენტების, მცენარეული მედიკამენტების და პარფიუმერული და კოსმეტიკური პროდუქტების წარმოებაში. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ამ საქმიანობის მნიშვნელოვანი წილი მოიცავს მზა პროდუქციის შეფუთვას ადგილობრივი ბაზრისთვის და რეექსპორტისთვის, მწარმოებლები აქტიურად ეძებენ შიდა წარმოების გაფართოების გზებს და ქმნიან შესაძლებლობას გამოიყენონ არსებული სავაჭრო მარშრუტები უფრო მეტი ადგილობრივი და რეგიონული ბაზრების დასაპყრობად. საქართველოს აქვს გამოცდილება ფარმაცევტული კომპანიების მიერ ადგილობრივი ბაზრისთვის ლოგისტიკაში და ინფრასტრუქტურაში ინვესტირების კუთხით[58], დარგის განვითარებას ასევე ხელს უწყობს საქართველოს იმიჯი როგორც ბიოფაგების კვლევის და მკურნალობის ცენტრი.

  COVID-მა ნოყიერი ნიადაგი შექმნა ამ დარგის განვითარებისთვის. პანდემიის განმავლობაში მოთხოვნა ფარმაცევტულ პროდუქციაზე შენარჩუნდა და სავარაუდოდ ეს ტენდენცია პანდემიის შემდგომაც გაგრძელდება, ვინაიდან გაიზრდება ყურადღება პირადი ჯანმრთელობის და ჯანდაცვის სისტემების მიმართ. ასევე, დარგმა დიდი დარტყმა მიიღო პანდემიის დროს მიწოდების ჯაჭვის ჩამოშლის მხრივ, რადგან თითქმის მთლიანად იყო დამოკიდებული აქტიური ფარაცევტული ინგრედიენტების ჩინელ და ინდოელ მომწოდებლებზე. რეგულაციების გამო საბოლოო წარმოებისთვის ხელსაყრელია ადგილობრივ

[55] ''ეკონომიკური კოეფიციენტების ცხრილი,'' ISET-ის მიერ, USAID-ის სახელით, გაკეთებული ანგარიში, 2020 წ.
[56] UNIDO, " მდგრადი მოხმარების მულტიპლიკატორული ეფექტები," 2018 წ.
[57] ავტორისეული ანალიზი, 2019 წლის საგარეო ვაჭრობის მონაცემების შესახებ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით.
[58] USAID G4G საქართველოში, "ტრანსპორტისა და ლოგისტიკის დამატებული ღირებულების და წარმოების სერვისების კვლევა," 2019 წლის თებერვალი.

ბაზრებთან სიახლოვე. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ მსხვილი მწარმოებლები მიწოდების ჯაჭვის მოქნილობის და საიმედოობის გაზრდას, შედარებით მცირე ზომის და მეტი რაოდენობის რეგიონალური მოწოდების ცენტრების მოდელზე გადასვლით შეეცდებიან.

ფარმაცევტული საშუალებების წარმოების დარგი ადგილობრივ მწარმოებლებს საშუალებას აძლევს მოიპოვონ ადგილობრივი ბაზრის მეტი წილი და აწარმოონ ექსპორტი. ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე წარმატების მისაღწევად აუცილებელია მთავრობამ მხარი დაუჭიროს ადგილობრივ ბიზნესებს DCFTA-ს და GMP-ს სტანდარტების დანერგვაში. ასევე COVID-ით დაჩქარებული ტელემედიცინის განვითარება, ხელსაყრელ გერმოს შექმნის ამბულატორიული და პირველადი სამედიცინო დახმარების სეგმენტების რეფომებისა და ფარმაკოლოგიური პროდუქტების დაფინანსებისათვის, რაც ადგილობრივი წარმოების სწრაფი განვითარების პერსეპქტივას იძლევა.

- ***ხანგრძლივი სარგებლობის ელექტრონული ტექნიკა, ინსტრუმენტები და მოწყობილობები:*** ხანგრძლივი სარგებლობის ელექტრონული ტექნიკის, ინსტრუმენტების და მოწყობილობების წარმოება მოიცავს ინდუსტრიულ და საყოფაცხოვრებო ტექნიკას და ელქტრონული კომპონენტების შემცველ მოწყობილობებს, გარდა მასშტაბზე დამოკიდებული სამომხმარებლო ტექნიკისა (მაგალითად მობილური ტელეფონი, ტელევიზორი). საქართველოში ამჟამად არსებული წარმოება მცირე მასშტაბისაა და დანაწევრებულია. აქტივობა სამი ძირითადი სეგმენტის გარშემო კონცენტრირდება, რომლებსაც COVID-ის შემდგომ ეტაპზე განვითარების პოტენციალი გააჩნიათ. ეს სეგმენტებია: სამედიცინო ტექნიკა და მოწყობილობები, ენერგო და ჰაერის გაგრილების დანადგარები და ტექნიკა და სატელეკომუნიკაციო დანადგარები. ყველა ამ სეგმენტის განვითარებას, ხელი შეეწყობა პანდემიის შემდგომ ჩამოყალიბებული ისეთი ტენდენციებით, როგორიცაა ჯანდაცვისადმი გაზრდილი ყურადღება, შენობების გაუმჯობესება ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით და გაციფრულებასა და დისტანციურ მუშაობაზე მზარდი აქცენტით გამოწვეული მოთხოვნა და დამოკიდებულება ICT-ზე. ამ სეგმენტში მოქმედი კომპანიების მხარდაჭერა DCFTA-ს მოთხოვნების დაკმაყოფილებაში, დაეხმარება მათ ჩაერთონ რეგიონალური და გლობალური მიწოდების ჯაჭვებში.
- ***დამუშავებული საკვები და სასმელი პროდუქტები:*** სასმელები და ალკოჰოლური სასმელები უკვე წარმოადგენენ საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს საექსპორტო კატეგორიას და ადგილობრივი წარმოების სეგმენტებს, რომლებმაც 2019 წლის შიდა წარმოების ექსპორტის 20%-ს შეადგინეს. ქართული ღვინის მზარდი პოპულარობა და პანდემიის პერიოდში საკვები და სასმელი პროდუქტების მოხმარების დონის შენარჩუნება, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამ სეგმენტებს გაფართოების პოტენციალი აქვთ და მათი საშუალებით შესაძლებელია სხვა, შედარებით მცირე ზომის მზა და დამუშავებული სკავები პროდუქტების სეგმენტების განვითარება. საქართველოს თხილის სეგმენტი, უკვე კარგად არის ინტეგრირებული საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვებში. ამ სეგმენტის საშუალებით შესაძლებელია საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის გაზრდა და წარმოების პროცესის სხვადასხვა რგოლის საქართველოში განვითარება. გრძელვადიან

პერსპექტივაში, განვითარებულ დამუშავებული საკვების დარგს შეუძლია ხელი შეუწყოს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის განვითარებასაც, ვინაიდან გაიზრდება შიდა მოთხოვნა, გაუმჯობესდება მიწოდების ჯაჭვის ინფრასტრუქტურა და გაიხსნება რეგიონალურ და საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის არხები. მოკლევადიან პერსპექტივაში, მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ბიზნესს ცვალებად გარემოსთან ადაპტაციაში დაეხმარება და ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილებაში, რაც, თავის მხრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო ბაზრებზე ფეხის მოკიდებას გაამარტივებს.

- ***ავეჯი, ტექსტილი და ტანსაცმელი:*** ავეჯი, ტექსტილი და ტანსაცმელი წარმოადგენდა საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ წარმოებასა და საექსპორტო სეგმენტს, ბოლო წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის წარმატებულ სამიზნეს და ერთ-ერთ ყველაზე დიდ საიმპორტო კატეგორიას. საქართველოს შეუძლია ეს ინერცია გამოიყენოს გლობალურ მიწოდების ჯაჭვებში შესაღწევად, სადაც პანდემიის შედეგად მიმდინარეობს ძირეული ცვლილებები და მწარმობლები ცდილობენ მიწოდების ცენტრების დივერსიფიკაცია მოახდინონ და არ იყვნენ მხოლოდ ჩინეთსა და ინდოეთზე დამოკიდებულები. ძირითადი სამიზნე მაღალი ღირებულების ბრენდები და სპეციალიზებული სამოსის (პროფესიული უნიფორმა, სპორტული ტანსაცმელი) სეგმენტები უნდა იყოს, სადაც ადგილობრივ მწარმოებლებს წარმატებისთვის უკვე მიუღწევიათ. ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივ ავეჯის და მწარმოებლებთან და მიმწოდებლებთან კავშირის გაღრმავება რათა ხელი შეეწყოს სახლის და სამშენებლო ტექსტილის სეგმენტების განვითარებას. ზოგიერთმა ბიზნესმა ალღო აუღო ბაზარზე გაჩენილ ახალ შესაძლებლობებს, განსაკუთრებით სამოსის სეგმენტში, სადაც რამდენიმე მწარმოებელმა ნიღბების წარმოება და ექსპორტზე გატანა დაიწყო ევროპაში და აშშ-ში. თუმცა, დარგის ფრაგმენტაციის გათვალისწინებით, ბიზნესებს მხარდაჭერა დასჭირდებათ განვითარებისთვის და ბაზრის შესაძლებლობების იდენტიფიცირებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მოძიებაში. USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მიერ განხორციელებული მიმდინარე მხარაჭერა იმის მაგალითია თუ როგორ შეუძლია ბიზნესებთან პროაქტიულ თანამშრომლობას მათ ახალ ბაზრებზე გასვლას შეუწყოს ხელი.

- *სპეციალიზებული სამშენებლო მასალები:* მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მეზობლების მხრიდან მკაცრი კონკურენციის პირობებში იმყოფება დაბალი ღირებულების სასაქონლო მასალების წარმოების მხრივ, ქვეყანაში არსებობს ადგილობრივი მწარმოებლების ნიშა, რომლებიც ადგილობრივ და საექსპორტო ბაზრებს ემსახურებიან სხვადასხვა პროდუქციით, მათ შორის გზების მშენებლობისთვის საჭირო ბოჭკოთი, ხის მასალებით და მოწყობილობებით. ინვესტიციები ინფრასტრუქტურის სფეროში, როგორც ჩანს, ცენტრალურ როლს ასრულებს COVID-ის აღდგენის გეგმებში მთელს მსოფლიოში და მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოშიც. რიგმა ევროპულმა ქვეყნებმა უკვე განაცხადეს, რომ გეგმავენ მილიარდობით ინვესტიციის განხორციელებას ინფრასტრუქტურის განვითარებაში ევროკავშირის მრავალტრილიონიანი (დოლარში) "ახალი მწვანე გარიგების" მხარდასაჭერად, რომელსაც შეუძლია გაზარდოს მოთხოვნა ისეთ მასალებსა და ინფრასტრუქტურაზე, რომლებიც ხელს უწყობს მდგრად განვითარებასთან და ემისიების შემცირებასთან დაკავშირებულ მიზნების შესრულებას. ადგილობრივი ბაზრის განვითარების და ზრდის ხელშესაწყობად, მნიშვნელოვანია საქართველოს და ქართული საწარმოების პოტენციალის წარმოჩენა ამ მიმართულებით. ამ დარგში არსებული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოსაყენებლად, აუცილებელია შესყიდვების პოლიტიკის იმგვარად რეფორმირება, რომ მოხდეს ინოვაციური, ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის შესყიდვის წახალისება.

წარმოების სხვა სეგმენტები მონიტორინგისთვის

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ამ სფეროებში საქართველოს შედარებით შეზღუდული სამრეწველო საქმიანობა აქვს, ქიმიკატები, საღებავები და ტანინები და ავტო/აერო ნაწილები სიცოცხლისუნარიან სფეროებს წარმოადგენენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის. COVID-ის შედეგად ორივე ინდუსტრიამ მნიშვნელოვანი რღვევა განიცადა და, სავარაუდოდ, მიწოდების ჯაჭვის ცვლილების მომსწრე ვიქნებით. საქართველო გვთავაზობს მიმზიდველ მახასიათებლებს ორივე კატეგორიაში და ამასთან ძლიერ მონათესავე ინდუსტრიებს (მაგ., ავტოვაჭრობა, მოდა და ქსოვილები). მიუხედავად იმისა, რომ მათი განვითარების მოკლევადიანი გზა ნაკლებად არსებობს, ისინი უნდა დარჩნენ ყურადღების ცენტრში საქართველოსთვის ინვესტიციების მოზიდვის ფუნქციის შესასრულებლად.

წარმოების ამ დარგების განვითარება, მოკლე ვადაში ეკონომიკური აქტივობის ამაღლებას შეუწყობს ხელს და ამავდროულად მნიშვნელოვან როლს ითამაშებს საქართველოს ეკონომიკის მდგრადობის ხარისხის გაზრდაში. როგორც COVID კრიზისმა ცხადყო, მიუხედავად აქტივობის შემცირებისა, წარმოება ბევრად კარგად გაუმკლავდა სირთულეებს ვიდრე მომსახურების დარგი. გარდა ამისა, ძლიერი საწარმოო ბაზის მქონე ქვეყნებმა შეძლეს თავისი საწარმოო შესაძლებლობების კრიტიკული მნიშვნელობის პროდუქციის (ნიღბები, სასუნთქი აპარატები) წარმოებაზე მიმართვა. მნიშვნელოვანია COVID-ის შედეგად წარმოშობილი შესაძლებლობის გამოყენება და ინვესტიციების დაბანდება საქართველოს საწარმოო ბაზის გაფართოებაში, რათა ეკონომიკამ უკეთ შეძლოს მომავალ კრიზისებთან გამკლავება და გახდეს მეტად თვითკმარი და მდგრადი.

გრაფიკი 16: რეგიონული ექსპორტის შედარება[59][60]



ბიზნეს სერვისები

მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში პროფესიული და ბიზნეს მომსახურების ინდუსტრია შედარებით მცირე და მეტწილად ადგილობრივია, უცხოური ინვესტიციების ბოლოდროინდელი წარმატება ბიზნეს პროცესების აუთსორსინგის (BPO) ინდუსტრიაში ამ სექტორში საქართველოს გაფართოების პოტენციალს წარმოადგენს. COVID-მა ერთის მხრივ, გააძლიერა იმპულსი BPO-ს მიმართ, მაგრამ ამავდროულად, გამოავლინა მისი სისუსტეები. დისტანციური მუშაობის ტენდენციები, ეკონომიკური კრიზისის პარალელურად, სავარაუდოდ, წაახალისებს კომპანიებს, შეამცირონ ფიქსირებული ხარჯები და მესამე მხარისთვის უფრო მოქნილი და მასშტაბური გადაწყვეტილებები მიიღონ გარკვეული ფუნქციების შესასრულებლად. ორივე ხელს შეუწყობს BPO-ს ბაზრის წახალისებას, განსაკუთრებით, ინფორმაციული ტექნოლოგიების ნაწილში. ამასთან, COVID-მა მნიშვნელოვანი გამოწვევები შექმნა BPO კომპანიებისთვის, რომელთაც მოუხდათ დისტანციურ მუშაობაზე გადასვლა. შედეგად, გაჩნდა მესამე მხარის მომსახურების მიმწოდებლებზე დამოკიდებულების რისკი ძირითადი ფუნქციების შესრულების მიზნით. ასევე, მოსალოდნელია, რომ წმინდა ეფექტი ხელს შეუწყობს აუთსორსინგის სტრატეგიის დივერსიფიკაციასა და BPO-ს პროვაიდერებისა და მათი ბაზრების გაძლიერებას.

ფიზიკური საქონლის მიწოდების ჯაჭვების გადანაცვლების შედეგად შექმნილი შესაძლებლობის მსგავსად, საქართველოც შესაბამისად ისარგებლებს ბაზრის ამ ტენდენციებით. წარმატებული ინვესტიციების შედეგად ბოლო ოთხი წლის განმავლობაში შეიქმნა 4000-ზე მეტი სამუშაო ადგილი. ქვეყანამ მნიშვნელოვანი სარგებელი მიიღო მომსახურებაზე ორიენტირებული და მრავალენოვანი სამუშაო

[59] ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით ქვეყნები მოიცავს შემდეგს: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა, რუმინეთი, უკრაინა (არასკმარისი მონაცემებია ხელმისავწდომი უზბეკეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთისთვის). წყარო: Comtrade-ის სავაჭრო ანალიზი.

[60] ასახავს მთლიან ექსპორტს (ადგილობრივი ექსპორტი და რე-ექსპორტი ერთობლივად)

ძალისგან.[61] საქართველოს წარმატება COVID-ის კრიზისის მართვაში კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის მას, როგორც აუთსორსინგის საიმედო ბაზარს, განსაკუთრებით, იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ალტერნატივებს ეძებენ BPO-ს ძირითადი ბაზრების გარეთ, ინდოეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო საუკეთესო მდგომარეობაშია BPO ბაზარზე გაფართოებისთვის ძირითადი ფუნქციების საშუალებით, როგორც ეს განსაზღვრულია მისი ამჟამინდელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრატეგიაში,[62] ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სწრაფ გადაადგილებას უფრო მოწინავე შემოქმედებითი ფუნქციებისკენ მეტად კრიტიკულია პოსტ-COVID გარემოში. ინდუსტრიაზე მდგრადი ზემოქმედების გარდა, COVID-მა დააჩქარა საქმიანობის ავტომატიზაცია, როგორც საკარანტინო მოთხოვნების, ისე ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ხარჯების გაზრდის მოლოდინის გამო. BPO-ს ძირითადი ფუნქციები საკმაოდ მოწყვლადი ჩანს „ჩათბოქსის“ და მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის სხვა ტექნოლოგიების განვითარების ფონზე. ინდუსტრიის ზოგიერთი ექსპერტი ფიქრობს, რომ 2022 წლისთვის ამ ფუნქციების ავტომატიზირება შეიძლება ინდუსტრიის ნორმა გახდეს.

ამ გარდამავალი პროცესის მხარდაჭერა არა მხოლოდ გააძლიერებს საქართველოს კონკურენტუნარიანობას, არამედ უზრუნველყოფს მისი შემოსავლების შენარჩუნებას გრძელვადიან პერსპექტივაში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგია, რომელიც უნდა განხორციელდეს მოიცავს კომპანიების წახალისებას სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებაში ინვესტირების მიზნით, რათა განავითარონ ავტომატიზაციისთვის ნაკლებად მოწყვლადი ფუნქციები. ასევე მნიშვნელოვანია, თუმცა სხვა დატვირთვა აქვს შემოქმედებითი მომსახურების მომწოდებლებთან კავშირს. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს BPO-ს გაფართოებას ბიზნეს სერვისებში, რომლებიც ორიენტირებულია დიზაინსა და სხვა შემოქმედებით ფუნქციებზე.

მეორე შესაძლებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს ბიზნეს მომსახურების ინდუსტრიის განვითარებას და გაფართოებას, არის დისტანციურად მომუშავე ფრილანსერებისა და მომსახურების ინდუსტრიაში მოღვაწეთა მოზიდვა ქვეყანაში. ცხოვრების მაღალმა ხარისხმა, თუმცა, დაბალმა ღირებულებამ და ბიზნესის კეთების გამარტივებამ ქვეყანა უკვე აქცია მიმზიდველ ადგილად დამოუკიდებელი, დისტანციურად მომუშავე სპეციალისტებისთვის. ქვეყნის საზღვრების გახსნისთანავე, ამ ადამიანების მოზიდვა ხელს შეუწყობს ადგილობრივ ეკონომიკაში დამატებითი ინტელექტუალური რესურსის შემოსვლას, რაც სწორი გარემოს შექმნის შემთხვევში შეიძლება პრაქტიკოსთა საზოგადოებაში გადაიზარდოს. საერთო მოხმარების რესურსებისა და პლატფორმების განვითარებაში ინვესტირების შედეგად გაიზრდება თანამშრომლობა დამოუკიდებელ და დისტანციურად მომუშავე სპეციალისტებსა და ადგილობრივი პროვაიდერებსა და ბიზნესს შორის, ადგილობრივი მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი გახდება ახალი კატეგორიის მომსახურება, ახალი ცოდნა და ტექნოლოგიები დაინერგება ს ადგილობრივ ინდუსტრიებში და განვითარდება საგარეო კავშირები. ყოველივე ეს, გააძლიერებს ქვეყნის ინდუსტრიას მთლიანობაში.

საქართველომ ეს დარგები უნდა მიიჩნიოს „წამყვან“ დარგებად. თითოეულ მათგანს აქვს უპირატესობა და ბუნებრივი განვითარების იმპულსი, რაც მათში მოქმედ ბიზნესებს სთავაზობს უნიკალურ შესაძლებლობას, დაიმკვიდრონ ადგილი როგორც ადგილობრივ,

[61] „აწარმოე საქართველოში,“ “წარმატების ისტორიები,” ნანახია 2020 წლის 16 ივლისს.
[62] „აწარმოე საქართველოში,“ „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრატეგია 2020-2021 წწ.”

ისე საგარეო ბაზრებზე უახლოეს პერიოდში. მთავრობის ინვესტიცია, აღნიშნულ უპირატესობათა ეფექტიანად გამოყენების მიზნით, შეიძლება მოიცავდეს როგორც ცალკეული კომპანიების, ისე, მთლიანად სექტორის მხარდაჭერას ამ პოტენციალის რეალიზებისთვის. ინვესტიციები, შემოსავლებისა და დასაქმების ზრდა გამოიწვევს ეკონომიკის ზრდას მოკლევადაიან პერიოდში, ხოლო სწორი მართვის შედეგად, აღნიშნული სექტორების პოტენციურ წარმატება შეიძლება ჰქონდეს „გადასხმის ეფექტი," რაც სტიმულს მისცემს სხვა ინდუსტრიების განვითარებასაც: ახალი არხების გახსნა გარე სივრცისთვის, ახალი პროგრესული მოთხოვნების შემოღება ადგილობრივ მიმწოდებლებს შორის ინოვაციებისა და საერთო აქტივებში ინვესტირების სტიმულირებისათვის. საქართველოს დივერსიფიცირებულ საბაზრო ეკონომიკას გააჩნია ამის საფუძველი. შესაბამისად, ადრეულ ეტაპზე აქცენტირება შექმნას მდგრად ეკონომიკურ ზრდას გრძელვადიან პერსპექტივაში.

ამ სექტორებზე ფოკუსირება არ ნიშნავს სხვების უგულველყოფას.
კერძოდ, საქართველომ უნდა მიიღოს ზომები ტურიზმის სექტორის მდგრადი, საბაზარო პრინციპებზე დაფუძნებული აღდგენის ხელშეწყობისთვის, ასევე გადადგას ნაბიჯები სოფლის მეურნეობის სექტორის ცენტრალიზაციისა და მოდერნიზაციისთვის (იხ. ჩარჩო "ტურიზმი და საქართველოს აღდგენა"). თითოეული ამ სექტორის პრიორიტეტი უნდა იყოს „ბორკილების" მოხსნა COVID-მდე აქტივობისთვის (მაგ., სტრატეგიული ფრენების განახლება) და სექტორში მოქმედი ბიზნესებისთვის დახმარების აღმოჩენა ადაპტირების თვალსაზრისით. თუმცა ზოგიერთი ბიზნესი ვერ შეძლებს ან არ მოისურვებს ადაპტაციას. COVID-ის სავარაუდო განგრძობითი ეფექტის გათვალისწინებით, იმ ბიზნესებს, რომლებიც სიცოცხლისუუნარო აღმოჩნდებიან უნდა მიეცეთ მარცხის, და არა ხელოვნურად დარჩენის საშუალება. ეს რესურსები უნდა გადამისამართდეს ზრდის ახალი სფეროების შექმნისკენ.

სხვა სექტორებს, მათ შორის ტრანსპორტს და ლოგისტიკას, განათლებას, ჯანდაცვას, ენერგეტიკასა და ფინანსებს, ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ, განსაკუთრებით როგორც საზოგადოებრივი ინვესტიციების არხებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოკლევადიანი მოთხოვნის ზრდას, რაც ეკონომიკურ საქმიანობას და დასაქმებას წაახალისებს. ამ სექტორების ამჟამინდელი განვითარების დონე და გასატარებელი რეფორმების საჭიროება ზღუდავს მათ შესაძლებლობას მოკლე ვადაში მიაღწიონ მნიშვნელოვან სექსპორტო პოტენციალს ან გაზარდონ შექმნილი ღირებულება ეკონომიკაში. ამის მიუხედავად, ისინი კრიტიკულად მნიშვნელოვანია საქართველოს კონკურენტუნარიანობისთვის. ამ დარგებში ინვესტიციების შენარჩუნება და მათი ორიენტირება უახლოეს მომავალში კონკურენტუნარიანი პოტენციალის მქონე სექტორების საჭიროებებზე, ხელს შეუწყობს აღდგენას, მაგრამ ასევე ამ სექტორების გაფართოების ზრდით სარგებლის მიღებას.

ტურიზმი და საქართველოს ეკონომიკური აღდგენა

ტურიზმი არის და დარჩება საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილად და აღდგენისკენ მიმავალ გზად. ალტერნატიულ დარგებზე ფოკუსირება არ გულისხმობს ტურიზმის, როგორც საქართველოს აღდგენის გეგმის ნაწილის უკუგდებას. საქართველომ უნდა გააგრძელოს ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც ტურიზმის ინდუსტრიას სწრაფი, მაგრამ უსაფრთხო აღორძინების საშუალებას მისცემს. ეს მოიცავს ამ ინდუსტრიის ბიზნესების პოზიციონირებას ისე, რომ ისარგებლონ მრავალმხრივი რეფორმებით და გააგრძელონ მიზნობრივი ზომები, რომლებიც უკვე ხორციელდება:

- ადგილობრივი ტურიზმის მხარდაჭერა;
- იმ ფრენის მარშრუტების გახსნა, რომლებიც საქართველოს იმ პრიორიტეტულ სამიზნე ბაზრებთან აკავშირებს, რომლებმაც შეძლეს COVID-ის შემთხვევების კონტროლი;
- საქართველოს, როგორც მუშაობისა და დასვენებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი დანიშნულების ადგილის მარკეტირება და რეკლამირება;
- COVID გარემოზე მორგებული ნიშური ტურისტული მომსახურების მხარდაჭერა - მაგ., აგროტურიზმი, სამედიცინო ტურიზმი, კონფერენციები, დისტანციური სამუშაო
- ლატენტური ტურიზმის ინფრასტრუქტურის ჩართვა COVID რეაგირების მიზნებისთვის (მაგ., საკარანტინო ზონები).

მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმის განმეორებით გახსნა უნდა განხორციელდეს რაც შეიძლება მიზანშეწონილად, მან ფრთხილად უნდა დააბალანსოს ქვეყნის შესაძლებლობები COVID-ის გავრცელების კონტროლის თვალსაზრისით. დაავადების შეკავების ხარჯზე დაჩქარებული გახსნა საბოლოოდ უფრო მეტ ზიანს მიაყენებს ეკონომიკას, ვიდრე მოგებას.

COVID-ს, სავარაუდოდ, ხანგრძლივი გავლენა ექნება ტურიზმისა და სტუმარ-მასპინძლობის სექტორების მუშაობაზე, რაც ბიზნესის ადაპტაციას მოითხოვს. მთავრობის პოლიტიკას შეუძლია და მან ხელი უნდა შეუწყოს ამ რეფორმას ბიზნესის და დარგობრივ დონეზე. ტურიზმის ბიზნესის ფინანსური და საკონსულტაციო მხარდაჭერის სამიზნე უნდა იყოს გაციფრულება, ინოვაციები და სხვა ისეთი ინვესტიციების ხელშეწყობა, რაც საშუალებას მისცემს ბიზნესებს უკეთ დააკმაყოფილონ მომხმარებელთა შეცვლილი მოთხოვნები.

სექტორის ხელმძღვანელობასთან მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელება გამოწვევების მონიტორინგისა და მათზე რეაგირების მიზნით პრიორიტეტად უნდა დარჩეს. სექტორმა უკვე აჩვენა ამის კარგი მაგალითი. კომუნიკაციის ღია ხაზების შენარჩუნება, საბოლოო ჯამში, ინდუსტრიის ლიდერებს საუკეთესო შესაძლებლობას მისცემს ადაპტაცია მოახდინონ გლობალური აღდგენის კვალდაკვალ.

რეკომენდაციები – შესაძლებლობების პოლიტიკად ქცევა

რა ნაბიჯები უნდა გადადგას მთავრობამ ამ შესაძლებლობის განსახორციელებლად? ეფექტური საბაზრო რეაგირება იწყება ოთხი სახელმძღვანელო პრინციპით:

პირველი, საქართველოს წარმატება, საბოლოო ჯამში, დამოკიდებულია იმაზე, რომ ბიზნესებმა გააკეთონ არჩევანი ბაზრის ახალი შესაძლებლობების მისაღწევად – მთავრობას აკისრია მნიშვნელოვანი როლი იმ გარემოს შესაქმნელად, რომელიც ამ არჩევანის საშუალებას მისცემს, მაგრამ სექტორების მიკრო მენეჯმენტს არ უნდა

შეეცადოს. კერძოდ, წარმოებაზე დაფუძნებული ინდუსტრიების ხელშეწყობაზე ორიენტირების განხორციელება არ ნიშნავს ტრადიციული ინტერვენციონისტული ინდუსტრიული პოლიტიკის მიღებას. გადაწყვეტენ თუ არა ბიზნესები ამის გაკეთებას, იმაზე იქნება დამოკიდებული, ექნებათ თუ არა წვდომა მათთვის საჭირო აქტივებზე წარმატების მისაღწევად – მაგალითად, ინტელექტუალური რესურსი, კაპიტალი, ინფრასტრუქტურა – და სწორი სტიმულები ამის გასაკეთებლად – მაგალითად, ისეთი პოლიტიკის გატარება, როგორიცაა გადახდისუუნარობის სისტემის რეფორმა, ბაზრის ცოდნა ან შემოავლების სტიმულირება. მთავრობის პოლიტიკისა და ინვესტიციების აქცენტი უნდა გაკეთდეს აქტივებზე ხელმისაწვდომობისა და წახალისების მექანიზმების შექმნაზე, ხოლო შემდგომ კერძო სექტორს უნდა მიეცეს შესაძლებლობა წარუძღვეს პროცესს.

თუმცა, ეს მიდგომა – ბიზნესს მიეცეს არჩევანის უფლება – არ გულისხმობს დერეგულაციის პოლიტიკას ან პასიურ მმართველობას. პირიქით, იმ გამოწვევების ხასიათი, რომლის წინაშეც საქართველო დგას და COVID კრიზისი გარკვეულწილად ითვალისწინებს სტრატეგიულ რეგულირებას. რეგულირება პირველ რიგში ფოკუსირებული უნდა იყოს სტანდარტებზე, რომლებიც დიფერენცირებას აკეთებს ხარისხის და სპეციფიკური ინდუსტრიულ მოთხოვნების შეასაბამისად; ასევე მთავრობას უფრო აქტიური როლი ენიჭება, როგორც ბიზნესის ხელშემწყობს, პირველ რიგში, ინფორმაციული ხარვეზების შევსებით და კრიტიკულ რესურსებზე წვდომისა და ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფით. მთავრობა უნდა შეეცადოს, გააღრმავოს ურთიერთობა კერძო სექტორთან და ითანამშრომლოს მასთან ეკონომიკური აღდგენის გზაზე. ამ თვალსაზრისით, რეფორმები სწრაფი ტემპით უნდა წავიდეს, განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს გამჭვირვალობა და თავიდან აიცილოს ზედმეტად დამამძიმებელი მოთხოვნები, რომლებიც ამახინჯებს ბაზრებს, ხელს უშლის ბიზნესების მიერ განვითარებადი ბაზრის შესაძლებლობებზე მყისიერ რეაგირებას, ან სიცოცხლისუნარიან ბიზნესებს განდევნის ბაზრიდან. ეს მოიცავს ისეთი სტრუქტურების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები და ორგანოები საკმარისად მოტივირებული არიან საწარმოს მუშაობას ხელი შეუწყონ და არა პირიქით.

მეორე, წარმატება დამოკიდებულია ისეთი ფუნდამენტური გარემოს შექმნაზე, რაც ზრდაზე ორიენტირებულ ბიზნესს წარმატების მიღწევის საშუალებას მისცემს. საქართველოში არაერთი ინდუსტრიაა, რომლებსაც აქვთ პოტენციალი იყვნენ პიონერები ბაზარზე, მაგრამ ჯერ კიდევ ახლები არიან. ეს საშუალებას მისცემს საქართველოს ისარგებლოს არა მხოლოდ თავისი დივერსიფიცირებული ეკონომიკით და გამოიყენოს განვითარებადი შესაძლებლობები, არამედ „გადასხმის ეფექტი“ მოახდინოს შიდა ინდუსტრიებში, რომელთაც შეუძლიათ ისარგებლონ „ლიდერი“ ბიზნესების წარმატებით. საქართველომ უნდა დაასრულოს ტურიზმის, სოფლის მეურნეობის და უძრავი ქონებისა და სამშენებლო სექტორის ამჟამინდელი ანტიკრიზისული სუბსიდირება. მაშინ როდესაც ზოგიერთ შემთხვევაში სუბსიდიები შეიძლება იყოს პროდუქტიული ინსტრუმენტი, ამჟამინდელი სუბსიდიები საფრთხეს ქმნის, რომ ისედაც შეზღუდული სამთავრობო რესურსები მზარდად სიცოცხლისუუნარო ბიზნესების შესანარჩუნებაზე მიემართოს, და არა ისეთი გარემოს შექმნაზე, რომელიც უბიძგებს მათ სხვა, მათ შორის ზემოთ ჩამოთვლილ სექტორებში ადაპტირებისა და ახალი შესაძლებლობების გამოყენებისაკენ.

მესამე, სექტორებს შორის არჩევანის გაკეთებისას, მართალია სამიზნე სექტორებში ინვესტიციების პრიორიტეტიზაცია საჭირო და გამართლებულია – ეს არ უნდა მოხდეს ზოგადად ბიზნესის ხელშემწყობი გარემოს დაზიანიების ხარჯზე, თუმცა ამ სექტორების საჭიროებები ყურადღების ცენტრში უნდა დარჩეს. დარგებში არსებული ვარიაციის

მიუხედავად, როგორც წესი, სხვადასხვა სექტორში მყოფ ბიზნესებს მსგავსი კატეგორიის მხარდაჭერა სჭირდება. და მაინც, ამ კატეგორიების შიგნით მათი კონკრეტული საჭიროებები ხშირად უნიკალურია. აღდგენის პოლიტიკის შემდეგმა ეტაპმა უპირატესობა უნდა მიანიჭოს კრიტიკულ ინვესტიციებს ამ სექტორებში, სადაც ინვესტიციის ხასიათი და შესაბამისი ვარიანტები კონკრეტულ სექტორზე მორგებულ შედეგებს მოიტანს. ამის მაგალითებია ინვესტიციები პროფესიულ ტრენინგში, ინფრასტრუქტურის განვითარება და სამთავრობო ფუნქციების გაძლიერება და სხვ.

და ბოლოს, ამ ხელშემწყობი გარემოს შექმნისას, საქართველომ უნდა შეიმუშაოს მექანიზმები, რომლებიც ბაზრის რეაგირებას აქტიურად გააკონტროლებს და მზად ამყოფებს ახალ შესაძლებლობებთან ადაპტაციისათვის. ეს ცალსახად მნიშვნელოვანია იმ გარემოში, სადაც ტენდენციები სწრაფად იცვლება, ინდუსტრიები კვლავ რეაგირებენ კრიზისით გამოწვეულ შოკზე და აღდგენისკენ მიმავალი გზა ჯერჯერობით უცნობია. მაშინ, როდესაც ყურადღება გამახვილებულია ინდუსტრიის განვითარებაზე, საექსპორტო ბიზნეს მომსახურება და გაციფრულება იძლევა გარკვეულ მიმართულებას არსებულ პირობებში. ეგზოგენურმა შოკებმა, რომლებიც გავლენას ახდენენ გლობალურ აღდგენაზე, ან ახალი შესაძლებლობების გაჩენამ შეიძლება კურსის კორექტირება მოითხოვოს.

<u>პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი</u>

საქართველოს ძირითადი იარაღი აღდგენის დაჩქარების მიზნით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებია (FDI). ადგილობრივი ბიზნესის, როგორც მიმწოდებლის, პოზიციონირება მიწოდების გლობალურ ჯაჭვებთან დასაკავშირებლად, COVID-ით განპირობებუილი ზრდის შესაძლებლობის გამოყენების ძირითად გზას წარმოადგენს. ამის მიუხედავად, ეს პროცესი შეიძლება იყოს ნელი და მცირემასშტაბიანი და ხშირ შემთხვევაში არ გამოიწვიოს ადგილობრივი შესაძლებლობების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც აამაღლებდა პროდუქტიულობას ან დასაქმებას მოკლე ვადაში. ალტერნატიული და დამატებითი გზა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მაღალ-მომგებიან ინდუსტრიებში მრავალი ისეთი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის ცენტრალური კომპონენტი იყო, რომელიც დღეს ნახტომისებური განვითარებისა და ინოვაციებში ჩამორჩენის დაძლევის კუთხით წარმატებულ მაგალითებად ითვლება (მაგალითად, ირლანდია, სინგაპური, კოსტა რიკა). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი მხარეა, რომელიც ბოლო წლებში მთავრობის ინვესტიციების შედეგად კიდევ უფრო გაუმჯობესდა და საქართველოს აღდგენის სტრატეგიის ნაწილი უნდა იყოს.

საქართველომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრატეგიის განხორციელებისას ყურადღება უნდა მიაქციოს „სწორი ტიპის“ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. გრძელვადიანი ზრდისათვის საქართველომ უნდა მოიზიდოს ისეთი კომპანიები, რომელთაც გააჩნიათ ოპერირების ქვეყნებში ადგილობრივი მოსახლეობისა და ბიზნესების განვითარების კარგი ისტორია. ასეთი კომპანიები რესურსებს ხარჯავენ ადგილობრივი თანამშრომლების მომზადებაზე, ადგილობრივ შესყიდვებზე და საშუალებას აძლევენ ადგილობრივ ბიზნესებს განვითარდნენ, რთავენ რა მათ თავიანთი მიწოდების ჯაჭვში და აძლევენ რა წვდომას მსოფლიო დონის ტექნოლოგიებზე; ისინი თავიანთი თანამშრომლების კეთილდღეობაში ინვესტირებას ახდენენ და აქტიურად თანამშრომლობენ ადგილობრივ მთავრობასთან, სამეცნიერო საზოგადოებასთან და სხვა ბიზნესებთან, რათა შექმნან გარემო, რომელიც კერძო სექტორს გრძელვადიანი წარმატების მიაღწევის საშუალებას მისცემს. საქართველოში არის რამოდენიმე წარმატებული მაგალითი ამ ტიპის პირდაპირი უცხოური ინვესტიციისა. მათ შორისაა

ინდუსტრიული კომპანია, რომელიც ახალ თანამშრომლებს მუშაობის დაწყებამდე ერთი წლით საზღვარგარეთ ტრენინგზე აგზავნის და BPO კომპანია, რომელმაც მსგავსი ინვესტიციები განახორციელა ტრენინგისა და განვითარების მიმართულებით. საქართველოს მეტი ასეთი ინვესტიციის მოზიდვა სჭირდება.

<u>გრაფიკი 17: FDI-ს მივყავართ ინოვაციამდე და პროდუქტიულობის ზრდამდე – ღირებულების ნაკადი</u>



პირდაპირი უცხოური ინვესტიციიდან მოკლევადიანი შემოსავლის რეალიზება მოითხოვს, რომ ინვესტიციების მოზიდვის ფუნქციის ფარგლებში საქართველომ თამამი ნაბიჯები განახორციელოს, ხელი შეუწყოს საინვესტიციო პროცესისა და კლიმატის მიმართ ინვესტორთა ნდობის ამაღლებას და სტრატეგიული წახალისების პაკეტების შექმნას. მაშინ, როდესაც ცვლილებები მიწოდების ჯაჭვებში ხელს შეუწყობს ახალ ინვესტიციებს, ეკონომიკური ვარდნის ზეწოლა თრგუნავს ამ იმპულსს, ხოლო ქვეყნის ახალი ეკონომიკური საქმიანობისკენ სწრაფვა, სავარადუოდ, გაზრდის კონკურენციას ინვესტიციების მისაღებად. მართალია, საქართველო უკვე იღებს სარგებელს კარგი საინვესტიციო გარემოთი და იმ უპირატესობით, რომელიც მოჰყვა COVID-ეპიდემიის წარმატებულ შეკავებას, ამის მიუხედავად, ქვეყანა მზად უნდა იყოს კონკურენციისათვის სტრატეგიული ინვესტიციების მოსაპოვებლად.

მდგრადობისკენ მისასვლელი გზა

საქართველოს კონკურენტული პოზიცია უჭირავს საწარმოო და ბიზნეს მომსახურების სექტორების განვითარებისთვის როგორც ადგილობრივ, ისე საგარეო ბაზრებზე. სწორედ ამაზე ფოკუსირებით იქნება შესაძლებელი უახლოეს მომავალში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და შემოსავლის მომტანი სამეურნეო საქმიანობის სტიმულირება, რაც დაეხმარება ტურიზმს და სხვა ადგილობრივ ინდუსტრიებს კრიზისიდან გამოსვლაში.

ამ შესაძლებლობების სწორად გამოყენება უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკურ მოქნილობას ნებისმიერ კრიზისულ სიტუაციაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში COVID-ის დაძლევისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი პოზიტიური იყო, ეს და წინა ეკონომიკური კრიზისები — 2008 წლის ფინანსური კრიზისი და რუსეთის შემოჭრა, 2014 წელს ნავთობის ფასების შემცირება, რაც ჩვეულებრივ გავლენას ახდენს მეზობელ სავაჭრო პარტნიორებზე და ასოცირდება მნიშვნელოვან ეკონომიკურ არასტაბილურობასთან, ცხადყოფს ერთჯერად მომსახურებებზე ზედმეტი დამოკიდებულების საფრთხეს. უფრო ძლიერი საწარმოო ბაზა და უფრო მრავალფეროვანი, დახვეწილი მომსახურების სექტორი დაეხმარება საქართველოს ექვსი ძირითადი მიმართულებით:

1. **მეტი ეკონომიკური დივერსიფიკაცია,** ტურიზმსა და სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებულების შემცირება და ნავთობის ფასების მიმართ მოწყვლადი რეგიონული სავაჭრო პარტნიორების შეზღუდული რაოდენობა.
2. **ნაკლები ეკონომიკური არასტაბილურობა,** რადგან საწარმოო და სამრეწველო სექტორები ნაკლებად მგრძნობიარეა მკვეთრი ცვლილებების მიმართ - ამას მოწმობს მათი წარმადობა COVID 19-ის განმავლობაში.
3. **კრიტიკულ საშუალებებზე გარანტირებული წვდომა** (მაგ., სამედიცინო, საკვები, სანიტარული პროდუქტები) პირდაპირი და/ან მასთან დაკავშირებული ინდუსტრიების ადგილობრივი წარმოების შესაძლებლობათა განვითარებით.
4. **უფრო ძლიერი რეგიონული ჩართულობა** იმ ინდუსტრიების გაფართოების გზით, რომლებიც სარგებელს ნახულობენ ურბანული ცენტრების გარეთ დაბალფასიანი მიწის და სამუშაო ძალის გამოყენებით.
5. **გაუმჯობესებული ეკონომიკური სისხარტე** ადგილობრივი სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლების და იმ აქტივების განახლების შედეგად, რომლებიც სხვადასხვა ინდუსტრიაში მოქმედებს (მაგ., ციფრული უნარები, ლოგისტიკა და მიწოდების ჯაჭვის აქტივები).
6. **მეტად მდგრადი შინამეურნეობა** უფრო მომგებიანი დარგების გაფართოების და მაღალშემოსავლიანი სამუშაოების ხარჯზე.

საბოლოო ჯამში, ამ სექტორებში ინვესტირება არის საშუალება იმისთვის, რომ შიცვალოს COVID-მდე არსებული ეკონომიკის ტენდენციები, როდესაც მართალია მშპ იზრდებოდა, მაგრამ არ იზრდებოდა პროდუქტიულობა, რაც თავის მხრივ ზღუდავდა ქვეყნის მოსახლეობის შესაძლებლობას ცხოვრების უფრო მაღალ სტანდარტზე გადასულიყო. COVID-ის მიერ შექმნილი შესაძლებლობი, რომ ხელი შეეწყოს ტრადიციულად მაღალმომგებიანი ინდუსტრების განვითარებას და შეიქმნას ისეთი გარემო, რომელიც კომპანიებს ხარისხის ამაღლებისკენ უბიძგებს, აღდგენისკენ მიავალი სწრაფი გზაა. ხოლო, არსებული ეკონომიკის შენარჩუნებისკენ სწრაფვას მხოლოდ უკან მივყავართ. საქართველოს ეს შესაძლებლობა კრიზისთან ეფექტურად გამკლვებამ მისცა და მან თამამად უნდა გააგრძელოს ამ გზით სიარული.

ამ ელემენტების გაერთიანებით, საქართველომ ყურადღება უნდა მიაქციოს პოლიტიკის ხუთ ყოვლისმომცველ სფეროს, რომელთაგან თითოეული მოიცავს რეკომენდაციების ქვეჯგუფს პრიორიტეტული დარგების გათვალისწინებით. ეს რეკომენდაციები დეტალურად განმარტებულია შემდეგ ნაწილში:

S.1	**ბიზნეს ინვესტიციებისა და განვითარების ხელშეწყობა:** ბიზნესის ლიკვიდურობისთვის და სტრატეგიული ინვესტირებისთვის ხელშეწყობა, მკაფიო საბაზრო სიგნალების მიწოდება ადგილობრივ კომპანიებს დაეხმარება გააგრძელონ ინვესტირება ახალ საბაზრო შესაძლებლობებში, სუსტი მოთხოვნის და COVID-ით გამოწვეული შემცირებული შემოსავლების პირობებშიც კი.
S.2	**აქცენტი ადამიანურ რესურზე და პროფესიული განვითარებაზე:** ტექნიკური და პროფესიული განათლების ტრენინგებში თამამი ინვესტირება და წახალისების იმ ზომების გაუქმება, რომელიც ადამიანურ რესურსს დაბალმწარმოებლურ სექტორებში დასაქმებისკენ უბიძგებს, იძლევა ახალი შესაძლებლობების გამოყენების საშუალებას. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ ,დროებითი დათხოვნებისა და საწარმოების დახურვის პერიოდში უნდა მოხდეს სამუშაო ძალის გადამზადება მაღალი ღირებულების მქონე, სწრაფად მზარდ დარგებში დასაქმების მიზნით.
S.3	**გაციფრულების ხელშეწყობა და დაჩქარება:** ინვესტიციების ხელშეწყობა ციფრულ სისტემებში და მათი შესაბამისობაში მოყვანა ახალ ინფრასტრუქტურულ მოთხოვნებთან დაეხმარება საქართველოს სარგებელი მიიღოს მყიდველთა ტენდენციებისგან გაციფრულებასთან მიმართებაში, რაც COVID-ის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა გამოიწვია.
S.4	**კონკურენტული აქტივების გაძლიერება:** ინფრასტრუქტურასა და საჯარო რესურსებში ინვესტიციების პრიორიტეტიზირება — ტრანსპორტი და ლოგისტიკა, ჯანდაცვა, განათლება, და ენერგეტიკა — რომლებიც საქართველოს სამიზნე დარგებისთვის მიმზიდველ ლოკაციად წარმოაჩენს და ამავდროულად, ხელს შეუწყობს ადგილობრივი ინსდუსტრიების გაძლიერებას, ინვესტიციების მოზიდვას და შემოსავლების უზრუნველყოფას გრძელვადიანი რეფორმების ხელშესაწყობად.
S.5	**მასტიმულირებელი ეფექტის მქონე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელება**: თამამი საინვესტივიო პაკეტის შემუშავება და საქართველოს შესაძლებლობების განვითარება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დროულად მოზიდვის კუთხით, დაეხმარება საქართველოს იბრძოლოს ცვალებადი მიწოდების ჯაჭვის ინვესტიციებისთვის, აღმოფხვრას განვითარებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები და დააჩქაროს მაღალი ღირებულების მქონე ინდუსტრიების ზრდა.

S.1 ბიზნეს ინვესტიციებისა და განვითარების ხელშეწყობა

იმისთვის, რომ ბიზნესებმა ადაპტაცია მოახდინონ პოსტ-COVID გარემოსთან და ისარგებლონ პანდემიის შედეგად გაჩენილი შესაძლებლობებით, მათ უნდა შეძლონ ამ შესაძლებლობათა იდენტიფიცირება; ასევე, უნდა გააჩნდეთ სტიმული და ხელმისაწვდომობა საკმარის რესურსებზე, რათა შეძლონ ინვესტირება საჭირო ხარჯებში, შესაძლებლობებსა და სიახლეებში. თუ გავითვალისწინებთ ბაზრების ცვალებადობას და რეცესიულ გარემოს, რომელიც აფერხებს ლიკვიდურობას და შემოსავლებს, მეტად მნიშვნელოვანია მთავრობის როლი ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ბიზნესი საკმაოდ კომპეტენტურია მიწოდების ახალი ჯაჭვის მოპოვებისა და ბაზრის სხვა შესაძლებლობების გამოყენებისთვის საჭირო გეგმებისა და ღონისძიებების შემუშავებაში, ზოგადი ინფორმირებულობა

შესაძლებლობების შესახებ არაერთგვაროვანია. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ეკონომიკა ტრადიციულად აქცენტს ადგილობრივ მიმართულებებზე აკეთებდა, ბიზნესებს არ გააჩნიათ სათანადო არხები უცხოურ ბაზრებზე შესაძლებლობების დასადგენად. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში მთავრობისა და დონორების მიერ დაფინანსებულმა რამდენიმე პროგრამამ საკმაო დახმარება გასწია ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად, სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის რესურსები და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მცირე და საშუალო ბიზნესის საკონსულტაციო პროგრამირების ჩათვლით, მხარდაჭერის ამ კატეგორიაში მეტი ინვესტიციაა საჭიროა. ზოგადად, ელექტრონული კომერციის მოხმარებისა და პანდემიის განმავლობაში დისტანციური მუშაობის დაბალი დონე გარკვეულწილად, აჩვენებს, რომ ბიზნესს არ გააჩნია საკმარისი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოახდინოს ადაპტაცია.

იმ ბიზნესებისთვის, ვისაც ადაპტირება შეუძლია, ლიკვიდურობასთან დაკავშირებული მოსალოდნელი გამოწვევები შეუზღუდავს ამის შესაძლებლობას. კვლევამ და არაოფიციალურმა მონაცემებმა 2020 წლის მაისის მდგომარეობით აჩვენა, რომ პრიორიტეტულ სექტორებში ფირმების უმრავლესობა ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას მოელის 2020 წლის მეორე კვარტალში და, დაბალი შემოსავლების გამო, ეს მდგომარეობა შენარჩუნდება მესამე კვარტალშიც. ამას ემატება წარმოების გაზრდილი ხარჯები.[63] საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის (GCCI) კვლევის მონაცემების თანახმად, ქართული კომპანიების 39% აცხადებს, რომ კრიზისის შედეგად გააუქმეს ბიზნესში ინვესტირების გეგმები.[64] რესპონდენტთა უმრავლესობისთვის მხარდაჭერის ყველაზე პრიორიტეტულ საჭიროებად დასახელებული იყო კაპიტალზე ხელმისაწვდომობა და საგადასახადო შეღავათები.[65] ბიზნესების კორპორატიული ვალი – ისედაც მაღალი COVID-მდე მშპ-სთან მიმართებაში – იზრდება, რადგან ბიზნესი მთავრობის სუბსიდირებით მხარდაჭერილ საბანკო სესხებს მიმართავს საქმიანობის შესანარჩუნებლად, როგორც ეს განხილულია ნაშრომის ფისკალურ ნაწილში. კაპიტალის ალტერნატიული ფორმების არარსებობა ბიზნესებს სესხის უფრო და უფრო მაღალი წილით დატოვებს, ბანკის სესხის მიღმა კაპიტალის დაგროვების მცირე შესაძლებლობით.

კაპიტალის საჭიროება, რომელიც განპირობებულია ახალი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რეგულაციებით და ევროკავშირის ასოციერების ხელშეკრულების DCFTA-ით ნაკისრი ვალდებულებების მოახლოებული ვადები კიდევ უფრო აზიანებს ბიზნესის ნდობას და მათ შესაძლებლობას, განახორციელონ ინვესტიციები. სამიზნე საწარმოო ინდუსტრიებს - განსაკუთრებით საკვებისა და სასმელის მწარმოებელ და ფარმაცევტულ ინდუსტრიებს - DCFTA-ის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ესაჭიროებათ ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, ადამიანურ რესურსებში, ტრენინგებსა და პროცედურულ განახლებაში. COVID-ით გამოწვეული გაურკვევლობა ხელს შეუშლის კომპანიებს დაგეგმვასა და ინვესტიციების განხორციელებაში.

მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესისგან განსხვავებით, საშუალო-მსხვილმა ბიზნესმა მათ ხელთ არსებული რესურსების წყალობით შეძლეს სწრაფი რეაგირება და ადაპტაცია COVID-ის შემდგომ პერიოდში, მათი მდგომარეობა მეტი რისკის წინაშე დადგება მომავლში და პოლიტიკის ყურადღებას მოითხოვს. კვლევის

[63] ISET-ის ბიზნეს სანდოობის კვლევა 2020 წლის მე-2 კვარტალზე დაყრდნობით; ტენდენცია გამყარებულია დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებით.
[64] საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, "COVID-19 კვლევა – ბიზნეს საჭიროებების შეფასება," 2020 წლის ივლისი.
[65] იქვე.

მონაცემების თანახმად, აღმასრულებლები ელიან, რომ მსხვილი საწარმოებისთვის ფინანსები იქნება ერთადერთი ყველაზე დიდი ბარიერი 2020 წლის მეორე კვარტალში, თუ არ ჩავთვლით COVID-ის გამო დაწესებულ რეგულაციებს (მაგ., კარანტინი).[66] მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოები საქართველოში მოქმედი ფირმებისა და ბიზნესების დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ, მსხვილი საწარმოები უკეთეს მდგომარეობაში არიან, როგორც ინვესტიციებისა თუ მიწოდების ჯაჭვში ინტეგრაციის მთავარი სამიზნეები. ბაზრის შესაძლებლობებით სარგებლობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ამ ბიზნესების ხელმისაწვდომობას ფინანსებზე, საჭიროებისამებრ, სიცოცხლისუნარიანი ინვესტიციების/პროექტების განხორციელების მიზნით.

მოკლევადიანი რეკომენდაციები:

1.1 ბიზნეს საზოგადოებაში საოპერაციო მოთხოვნების შესახებ სიცხადის უზრუნველყოფა ინვესტიციების სანდოობისა და დაგეგმვის მხარდასაჭერად (მაგ., საჭირო პროცედურები, ადგილის აღჭურვა/მოწყობილობები).

- პრიორიტეტულ სექტორებში (მაგ. წარმოება) ბიზნესებთან რეგულარული კონსულტაციისთვის საჭირო მექანიზმის შექმნა რათა ბიზნესი მუდმივად ინფორმირებული იყოს პოსტ-COVID საჭიროებების, ახალი საოპერაციო მოთხოვნებისა და DCFTA-ისთან შესაბამისობაში მოსაყვანად დაწესებული მოთხოვნების შესახებ; ეს შეიძლება გულისხმობდეს მუდმივმოქმედ დარგზე მორგებულ საჯარო-კერძო საბჭოების შექმნას, რომელთა მიზანი იქნება მიმდინარე თანამშრომლობისა და კოლექტიური გადაწყვეტილებების ხელშეწყობა სტანდარტების დასანერგად. ეს დაეხმარება COVID-ის პერიოდში დაწყებული სტუმარ-მასპინძლობის მოდელების განვითარებასაც.
- განიხილეთ და დაადასტურეთ DCFTA-თან შესაბამისობის საერთო გეგმა და ვადები COVID-ის ზემოქმედების გათვალისწინებით და გაეცით მითითებები ბიზნესისთვის; დანერგვის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ეს შეიძლება მოიცავდეს მრავალდონიან გრაფიკს, რომელიც დააჩქარებს ინვესტიციებს პრიორიტეტული სექტორების (მაგ., ფარმაცია, დამუშავებულ საკვები, გრძელვადიანი მოხმარების ელექტრონიკა, მოწყობილობები და აპარატები) მიერ მოთხოვნათა დაკმაყოფილების ხელშესაწყობად, ხოლო სხვებისთვის გაახანგძლივებს ვადებს.
- გააგრძელეთ მკაფიო მითითებების გაცემა COVID-თან დაკავშირებული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ოპერაციული მოთხოვნების შესახებ.

1.2 დაეხმარეთ ბიზნესს სამომხმარებლო პრეფერენციებისა და მომარაგების ჯაჭვის ცვლილებათა გამო შექმნილი ახალ საბაზრო შესაძლებლობებში გარკვევასა და მათზე რეაგირებაში, ყურადღება გაამახვილეთ გლობალურ ბაზრთან ინტეგრაციის გაღრმავებასა და პრიორიტეტულ სექტორებზე.

- აამუშავეთ ბიზნესის საკონსულტაციო ფუნქცია, რომელიც ორიენტირებული იქნება შეავსოს საბაზრო ინფორმაციასთან დაკაშირებული ჩავარდნები და დაეხმაროს ბიზნესებს შესაძლებლობათა განსაზღვრაში შემდეგ საკითხებში:
    - DCFTA-სთან შესაბამისობა და მასთან დაკავშირებული ბაზრის შესაძლებლობები;

[66] ISET-ის ბიზნეს სანდოობის კვლევა 2020 წლის მეორე კვარტალზე-ზე დაყრდნობით; ტენდენცია გამყარებულია დაინტერსებულ მხარეებთან ინტერვიუებით.

    - ადგილობრივი ბაზრის შესაძლებლობები;
    - რეგიონული/გლობალური ბაზრისა და მიწოდების ჯაჭვის შესაძლებლობები.

  ეს ფუნქცია შეიძლება შეითავსოს პროგრამამ „აწარმოე საქართველოში“, მაგრამ დაეყრდენით სხვა სააგენტოებისა და დონორების მიერ შემოთავაზებულ პროგრამებს (მაგ., EBRD-ის მცირე და საშუალო ბიზნესის საკონსულტაციო პროგრამა); ამ შემთხვევაში, „აწარმოე საქართველოში“-მ შეიძლება აიღოს დახმარების მაძიებელი ბიზნესების დაკვალიანების ფუნქცია და საჭიროებისამებრ გადაამისამართოს ისინი საკუთარი და დონორული პროგრამებისკენ.
- გააგრძელეთ თანადაფინანსების პროგრამები სიცოცხლისუნარიანი ბიზნესებისა და ინვესტიციებისთვის, მათ შორის:
    - საგარანტიო და პროცენტის გადახდის პროგრამები;
    - გრანტები, რომელიც დაეხმარება კომპანიებს დააკმაყოფილონ DCFTA-ის მოთხოვნები ან მასთან დაკავშირებული კვლევებისა და განვითარების მიმართულებიბი (ბიზნესებთან კონსულტაციის შედეგად განსაზღვრული საჭიროებების საფუძველზე).
- შეაფასეთ, საჭიროა თუ არა მიმდინარე დაფინანსების ვალდებულებების გაფართოება ბაზრის განვითარების დინამიკის შესაბამისად;
- ინვესტიცია ჩადეთ ან ხელი შეუწყეთ დარგზე მორგებული და/ან დარგთაშორისი ცოდნის გაზიარების პლატფორმების შექმნას, სადაც ბიზნესებს შეეძლებათ მიიღონ ერთმანეთისგან ინფორმაცია ბაზრის შესაძლებლობების შესახებ და გაეცნონ COVID ბაზრის გარემოში ნავიგაციის გზებს.

1.3 გააძლიერეთ ბიზნესის მოკლევადიანი ლიკვიდურობა, რათა მოახდინოთ ტრადიციული შემოსავლის წყაროების დანაკარგის კომპენსაცია მოსალოდნელი ეკონომიკური ვარდნისა და ნელი აღდგენის გამო, რამაც ყველა მასშტაბის ბიზნესი მოიცვა.

- გადახედეთ სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკას, რათა დადგინდეს სწრაფი შედეგების მიღების შესაძლებლობები ისეთი რგულაციების დანერგვით, რომლებიც წაახალისებს აუთსორსინგს და კერძო სექტორისგან ისეთი საქონლისა და მომსახურების შესყიდვას, რომელსაც გააჩნია ხარჯ-ეფექტიანობის გაუმჯობესების პოტენციალი. ამას შეიძლება დასჭირდეს არამხოლოდ კანონმდებლობის არამედ მისი აღსრულების პრაქტიკის შეცვლა (მაგ., წახალისების მექანიზმის დანერგვა იმ საჯარო მოსამსახურეებისათვის, რომლებიც სახელმწიფო შესყიდვებისას უპირატესობას მიანიჭებენ არა ტრადიციულ მოდელებს, არამედ ახალ ტექნოლოგიებსა ან პროდუქტებს).
    - საშუალო/გრძელვადიანი მიზნების საფუძველზე, ეს პრინციპები გათვალისწინებული უნდა იყოს შესყიდვების შესახებ ახალი კანონის შემუშავებისა და განახორციელების პროცესში.
- განიხილეთ შუალედურ საქონლზე დღგ-ს გადახდის ვადის გახანგრძლივების სარგებლიანობა, რამაც შესაძლოა შეუმსუბუქოს ბიზნესებს ლიკვიდურობის პრობლემები წარმოების/წინასწარი გაყიდვების პერიოდში; ამან შეიძლება გამოიწვიოს 2019 წლამდე არსებული პოლიტიკისკენ მიბრუნება.

საშულო/გრძელვდიანი რეკომენდაციები:

1.4 დააჩქარეთ და განახორციელეთ რეფორმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ფინანსებზე დივერსიფიცირებულ წვდომას, რესტრუქტურიზაციას და შესაბამისი რისკების აღებას.

- დააჩქარეთ კაპიტალის ბაზრების რეფორმა, რათა გაფართოვდეს წვდომა დივერსიფიცირებულ (არასაბანკო სესხის) დაფინანსებაზე, შემდეგი პრიორიტეტული ნაბიჯების ჩათვლით:
    - გაფართოვდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მანდატი კაპიტალის ბაზრების რეფორმის განხორციელების მიზნით; ან შეიქმნას ალტერნატიული დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, რომელიც წარმართავს რეფორმებს.
    - განხორციელდეს კაპიტალის ბაზრების სამუშაო ჯგუფის (CMWG) ინსტიტუციონალიზაცია კერძო და საჯარო სექტორებს შორის კოორდინაციის განმტკიცების მიზნით.
    - დაჩქარდეს სექიურითიზაციის კანონისა და რეგულაციების შემუშავება და მიღება, რათა შესაძლებელი გახდეს უსაფრთხო საინვესტიციო მექანიზმების შექმნა საინვესტიციო ფონდის პორტფელისათვის.
    - გააქტიურდეს კომუნიკაცია ფინანსური სექტორის ლიდერებთან დაინტერესებული მხარეების დროული ინფორმირებისა და ეკოსისტემის მოსამზადებლად, მათ შორის, შიქმნას სასწავლო პლატფორმა, რომელიც მიზნად ისახავს კაპიტალის ბაზრის პროფესიონალებისა და კორპორაციების ფინანსური კადრების გადამზადებას.

- დააჩქარეთ გადახდისუუნარობის კანონმდებლობის რეფორმა და სასამართლოსა და აღსრულების ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება კანონის ეფექტური და გამჭვირვალე აღსრულების მიზნით.

1.5 წაახალისეთ და გააძლიერეთ უკუკავშირები ადგილობრივ მომწოდებლებთან, რათა სამიზნე ინდუსტრიების ზრდის გავლენა მთელს ეკონომიკაზე გავრცელდეს

- ჩაატარეთ ინდუსტრიული ღონისძიებები და სემინარები, რათა წარადგინოთ და მოამზადოთ კომპანიები, რომლებსაც მიზნობრივი სექტორების მომარაგების შესაძლებლობა გააჩნიათ.
- შეაფასეთ მარეგულირებელი, საგადასახადო ან პოლიტიკის სხვაგვარი წახალისებების სიცოცხლისუნარიანობა და სარგებელი, რათა წაახალისოთ ბიზნესები, რომ შესყიდვები ადგილობრივი მომწოდებლებისგან გააკეთონ, განვითარების დონისა და კონკრეტული ინდუსტრიის საჭიროებების გათვალისწინებით.
- უზრუნველყავით სოფლის განვითარების პროგრამების რეორიენტაცია, რათა მათ აქცენტი გადაიტანონ შეზღუდული სახეობის ისეთ მაღალეფექტიანი/ მაღალპოტენციური ადგილობრივი წარმოების იდენტიფიცირებასა და მხარდაჭერაზე, რომელთაც მჭიდრო კავშრები აქვთ ადგილობრივ მიმწოდებლებთან.

S.2 აქცენტი ადამიანურ რესურსზე და პროფესიულ განვითარებაზე

გარდამალ ეტაპზე საქართველოს სამუშაო ძალის ხელშეწყობა პრიორიტეტული ინდუსტრიებისა და პოსტ-COVID ეკონომიკის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ქვეყნის ეკონომიკური აღდგენისა და ფართო სოციალური კეთილდღეობისთვის გადამწყვეტია. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სამუშაო ადგილი აღდგება, COVID-ის დროს ბიზნეს მოდელის ადაპტაციის, დახურვისა, დროებითი გათავისუფლებების და გადანაცვლებების შედეგად წარმოქმნილი ცვლილებები სამუშაო ძალაში გარკვეულწილად COVID-ის მერეც შენარჩუნდება. COVID-ის ადრეულ ეტაპებზე ჩატარებული შეფასებით, საქართველოში სამუშაო ადგილების თითქმის 30% არის გადაადგილების მაღალი რისკის ქვეშ.[67] თვითდასაქმების მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ რეალური შემოსავლის გადაადგილება შეიძლება ბევრად მაღალი იყოს. გლობალური კვლევების საფუძველზე, COVID-ის პერიოდში დაკარგული ხუთი სამუშაო ადგილიდან ორი შეიძლება აღარ აღდგეს.[68]

აღდგენის პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს სამუშაო ძალის მიერ მაღალკვალიფიციური უნარ-ჩვევების მიღებას, მათ სამუშაო ადგილებზე შენარჩუნებას და გადაყვანას ზრდის ინდუსტრიებში. მიუხედავად უმუშევრობის მიერ გამოწვეული სოციალური გამოწვევებისა, სიცოცხლისუუნარო ბიზნესებიდან და დაბალღირებულებიანი ინდუსტრიებიდან სამუშაო ძალის დიდი სეგმენტის დისლოკაცია უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა „განთავისუფლებული“ სამუშაო ძალის რესტრუქტურიზაციისა და ახალი სექტორებისაკენ გადამისამართების კუთხით. ახალგანთავისუფლებულ კადრებზე ეფექტიანი ფოკუსირება და მისი დახმარება ახალ ინდუსტრიებში დასამკვიდრებლად, შესაბამისი ხარჯის გათვალისწინებით, საქართველოს ახალი შესაძლებლობის კაპიტალიზაციის შანსს აძლევს.

სამუშაო ძალის რეფოკუსირება მოითხოვს პრიორიტეტული ინდუსტრიებისკენ მიმავალი მკაფიო შესაძლებლობების შექმნას, რომლებიც ეფექტიანად გაითვალისწინებს მათი განხორციელების რეალურ და შესაძლო ხარჯებს და მოხსნის შეღავათებს, რომლებიც სამუშაო ძალას დაბალპროდუქტიულ საქმიანობაში დარჩენისკენ უბიძგებს. ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის დარგებისთვის სუბსიდიების გამოყოფა ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში ბიზნესს დაუყოვნებლივი კრიზისის დაძლევაში დაეხმარა, თუმცა საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ამ დარგების სუბსიდირების გაგრძელება უმუშევრობის წახალისების რისკს ქმნის. ალტერნატიული სამსახურის ან შემოსავლის უზრუნველეყოფის არარსებობის გამო, ისინი შეიძლება ავტომატურად დარჩნენ სუბსუდირებულ ინდუსტრიებში. პოტენციურად, ეს სოფლის მეურნეობასაც ეხება, სადაც არსებობს საფრთხე, რომ უმუშევარი მუშახელი მიუბრუნდეს გლეხურ მეურნეობას, რომელიც მას მხოლოდ საარსებო მინიმუმს დაუკმაყოფილებს, ნაცვალად იმისა, რომ დრო და ენერგია მიმართოს უნარების განვითარებაზე და ახალი კარიერული გზისკენ. მოკლევადიანი უმუშევრობის დაზღვევა ხელს შეუწყობს შრომის მობილობას. საქართველომ, ერთი მხრივ, უნდა უზრუნველყოს შინამეურნეობების ზოგადი დახმარება, რათა მათ დროებითი ფინანსური სიძნელეები გადალახონ. ხოლო, მეორე მხრივ, თავიდან უნდა აიცილოს პროგრამები, რომლებიც მუშაკებს ირიბად უბიძგებს დარჩნენ სტაგნაციაში მყოფ სექტორებში.

---

[67] ლევან ფავლენიშვილი, ანა ბურდული, მარიამ კაცაძე, გიორგი პაპავა, “COVID-19-ის სოციალური გავლენა – საქმე უნივერსალური დახმარების სქემისთვის?” ISET, 2020 წლის აპრილი.

[68] ეს ციფრი წარმოადგენს ბაზრის ადრეულ შეფასებას, რომელიც ბეკერ ფრიდმანის ინსტიტუტის მიერ აშშ-ს ბაზრის კვლევას ეფუძნება; პროგნოზები შეიძლება აგანსახვავებული იყოს საქართველოში და ექვემდებარება ცვლილებას აღდგენის პროცესის მიმდინარეობისას.

თანაბრად მნიშვნელოვანია საქართველოს ტექნიკური და პროფესიული განათლებისა და სწავლების (TVET) სწრაფი განახლება და მასშტაბის გაზრდა, რათა უკეთ მოხდეს სტუდენტების მოზიდვა და ბაზრის საჭიროებების შესაბამისად მათი შენარჩუნება. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველოში გაიზარდა სატელეკომუნიკაციო სწავლების დონე, მონაწილეობის მაჩვენებლები დაბალია და ბიზნესების ცნობით, კურსდამთავრებულები ხშირად არ ფლობენ მათი ინდუსტრიისთვის საჭირო ცოდნას. ახალი ინვესტიციები TVET-ში მიმართული უნდა იყოს პრიორიტეტულ ინდუსტრიაში ბიზნესებთან ურთიერთობის გაღრმავებისკენ, როგორც სასწავლო გეგმის შემუშავების, ისე მიწოდების პროცესში. ამასთან ერთად, გათვალისწინებული უნდა კომპანიების დახმარება, რათა მათ დამოუკიდებლად გადაამზადონ არსებული და ახალი კადრები. ICT სექტორის მიერ ჩატარებული (სამუშაოზე მისაღები კადრების) ტრენინგების მაგალითები აჩვენებს ამ მოდელის ეფექტურობასა და პოტენციურ წარმატებას. TVET-ის პროგრამა, ასევე, უნდა მოიცავდეს ჩართულობის სხვადასხვა მოდელს (მაგ., დისტანციური სწავლება, თვითრეგულირებადი კურსები, ღამის/შაბათ-კვირის გაკვეთილები), რომელიც მოერგება მონაწილეთა საჭიროებებს. გლობალური ელექტრონული სწავლების რესურსებით სარგებლობა, რომლებიც COVID-ის პერიოდში მკვეთრად გაფართოვდა, ასევე წარმოადგენს შესაძლებლობას გააძლიეროს და დივერსიფიკაცია გაუწიოს TVET შინაარსს და ხელი შეუწყოს სამუშაო ძალის გადამზადებას.

უნდა შეიქმნას მექანიზმები, რომლებიც დაეხმარება მოქალაქეებს დასაქმებასა და მასთან დაკავშირებული TVET შესაძლებლობებში ნავიგაციის კუთხით და ამავდროულად მიეცით დახმარებები ტრენინგის მონაწილეებს სწავლის პერიოდში, რაც გარდამავალ პროცესს. ციფრული TVET რეგისტრაციისა და სანავიგაციო პლატფორმის განახლება და მისი აქტიური პოპულარიზაცია სამიზნე აუდიტორიაში მონაწილეთა მოზიდვას შეუწყობს ხელს. ამასთან მონაწილეთათავის შეღავათების დაწესება, რაც მათ პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებს დაფარავს (მაგ., სტიპენდია მონაწილეობისთვის, წვდომა ბავშვზე ზრუნვზე) TVET-ს უფრო ხელმისაწვდომს გახდის.

მოკლევადიანი რეკომენდაციები:

2.1 სამუშაო ძალის წახალისება პრიორიტეტული სექტორების საჭიროებათა შესაბამისად, რათა მოხდეს მუშახელის მოწყვეტა დაბალი პროდუქტიულობის/ნახევრად საარსებო პროფესიებიდან და გაიზარდოს მათი მონაწილეობა ტრენინგისა და უნარების განვითარების პროგრამებში.

- სექტორულ დახმარების პაკეტებს უნდა მიცეთ ვადის ამოწურვის საშუალება (მაგ., სუბსიდიები ტურიზმის, უძრავი ქონების და სოფლის მეურნეობის სექტორებისათვის).
- შეისწავლეთ და შეაფასეთ მიმდინარე (COVID-მდე) სექტორზე მორგებული სუბსიდიების გავლენა ადამიანური რესურსის მობილობაზე (მაგ., ახდენს თუ არა სოფლის მეურნეობის პროგრამები მუშახელის სტიმულირებას დარჩნენ ნახევრად საარსებო სოფლის მეურნეობაში, ნაცვლად იმისა რომ ეძებონ ახალი საქმიანობები). ჩაატარეთ კვლევები და მიგნებების საფუძველზე განახორციელეთ რეფორმები. შეაფასეთ ზოგადი შემოსავლის დანამატების სქემები, რომლებიც ტრენინგისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებში მონაწილეობას ახალისებს. მაგალითად:
    - TVET პროგრამებში მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერა საშემოსავლო დანამატების პაკეტების სახით – თუმცა არ დაუშვათ, რომ TVET-ში

მონაწილეობა შემოსავლის დანამატის მიღების ძირითად კრირეტიუმად იქცეს.
    - მონაწილეობისთვის სუბსიდირება, როგორიცაა ბავშვის მოვლა ან ტრანსპორტირება.

2.2 დააჩქარეთ TVET პროგრამის განახლება და გაფართოება პრიორიტეტულ სექტორებზე და საჭიროებებზე ფოკუსირებით, აქცენტი უნდა გაკეთდეს ხარისხის გაუმჯობესებისა და ბიზნესის/დამსაქმებლის ჩართულობის გაღრმავებისკენ მიმართულ ზომებზე:

- ჩაატარეთ მიმდინარე პროგრამების სწრაფი მიმოხილვა სამიზნე სექტორებში მოქმედ ბიზნესებთან თანამშრომლობით, პროფესიული და მოზრდილთა სასწავლო პროგრამების ინდუსტრიის საჭიროებებთან შესაბამისობისა და დასაქმების მკაფიო შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით.
- მოიძიეთ ბიზნეს პარტნიორები სამიზნე ინდუსტრიაში, რათა მათ თანაინვესტირება განახორციელონ TVET პროგრამის განახლებაში, რაც მოიცავს წვდომის უზრუნველყოფას აღჭურვილობასა და დარგის სპეციალისტებზე, ასევე პროგრამების შინაარსში წვლილის შეტანას.
- გამოკითხეთ მიმდინარე/პოტენციური TVET მონაწილეები, რათა შეაფასოთ ტრადიციული საკლასო სწავლების ალტერნატიული მოდელების უპირატესობები (მაგ., საღამოს სწავლება, ნახევარ განაკვეთზე, ონლაინ რეჟიმში, თვითრეგულირებადი) და TVET უფრო მეტი ადამიანისთვის გახადოთ ხელმისაწვდომი; როგრამების დანერგვა ან გაფართოება განახორციელეთ მიგნებათა საფუძველზე.
- გააფართოვეთ არსებული TVET სავაუჩერო პროგრამა, რათა მასში შევიდეს გლობალურ დონეზე შემუშავებული კვალიფიციური ელექტრონული პროგრამები; ისარგებლეთ საერთაშორისო კონტენტით.
- იმუშავეთ სამიზნე ინდუსტრიებთან სასერთიფიკატო და საკვალიფიკაციო პროგრამების სტანდარტიზაციისა და განახლების მიზნით.

2.3 ჩადეთ ინვესტიციები ალტერნატიულ ტრენინგებსა და კვალიფიკაციის ამაღლების მოდელებში, რომლებიც ხორციელდება ინდუსტრიის მიერ, სამუშაო ადგილზე კვალიფიციის ამაღლებისა და დამსაქმებელთა მიერ სამუშაო ძალის განვითარებაში უფრო ღრმა ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

- შეაფასეთ ბიზნესის ინტერესები სამუშაო ადგილზე ტრენინგის პოტენციური მოდელების მიმართ, როგორიცაა შეგირდობა, ვადიანი სუბსიდიები ახალდაქირავებული თანამშრომლებისთვის, დაფინანსება/გადასახადების შემცირება ტრენინგისთვის. *შენიშვნა: აღნიშნული ეყრდნობა ICT ინდუსტრიაში დამკვიდრებულ მოდელებს.*
- განახორციელეთ მცირემასშტაბიანი საპილოტე პროექტები ბიზნესებთან, რომლის ფარგლებშიც მოხდება მონაწილეთა კმაყოფილების შეფასება. პოზიტიური შედეგების შემთხვევაში, მასშტაბის გაზრდის საშუალებებზე იმსჯელეთ.
- შეაფასეთ ასეთი სასწავლო პროგრამების სარგებელი და სიცოცხლისუნარიანობა, და დადებითი შედეგის შემთხვევაში, საკლასო TVET ტრენინგებისთვის

გამოყოფილი ბიუჯეტის ნაწილი სამუშაო ადგილებზე სასწავლო პროგრამებზე გადაამისამართეთ.

2.4 მეტი ინფორმაცია მიაწოდეთ საზოგადოებას დასაქმების შესაძლებლობების შესახებ, რათა დაეხმაროთ სამუშაოს მაძიებლებს გაერკვნენ არსებული და სამომავლო დასაქმების პერსპექტივებში და შესაბამისი უნარების განვითარების შესაძლებლობებში.

- შექმენით ახალი პლატფორმა ან გააუმჯობესეთ არსებული TVET ვებ-გვერდი, რომელიც სამუშაო ძალის განვითარების პრიორიტეტებისა და შესაძლებლობების ცენტრალური საცავის ფუნქციას შეასრულებს. ჩართეთ ბიზნესი ამ პლატფორმის შემუშავებაში.
- განახორციელეთ პროაქტიული ურთიერთობა სამიზნე მოსახლეობასთან, რათა მათ რესურსებთან წვდომასა და ჩართულობის ბარიერების დაძლევა გაუადვილდეთ.

საშუალო/გრძელვადიანი რეკომენდაციები:

2.5) შეაფასეთ შემოსავლებზე დანამატების განგრძობითი სქემის სარგებლიანობა და სიცოცხლისუნარიანობა ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით, და აღნიშნულის გავლენა სამუშაო ძალის მობილობას და ტრენინგში მონაწილეობაზე.

- შეაფასეთ არსებული შემოსავლის დანამატების სქემების გავლენა და მათი ათვისება (მაგ., გაფართოებული პირდაპირი გადახდები დაბალშემოსავლიანი/ სოციალურად დაუცველი პირებისა და შინამეურნეობებისთვის, პირდაპირი გადახდები თვითდასაქმებულებისთვის, კომუნალური სუბსიდიები, საწვავისა და საკვების ფასების ზედა ზღვარი).
- გადახედეთ შემოსავლებზე დანამატების უნივერსალური და არჩევითი (opt-in, opt-out) სქემების პოტენციურ ხარჯებს, სარგებლიანობასა და სიცოცხლისუნარიანობას ეკონომიკის აღდგენის მოსალოდნელ ტრაექტორიაზე დაყრდნობით.

S.3 გაციფრულების მხარდაჭერა და დაჩქარება

ტენდენციები ციფრული განვითარებისკენ – ბიზნესის და სოციალური ცხოვრების გადაწყობა ციფრული ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე (მაგ., ონლაინ გაყიდვები და მარკეტინგი, ციფრული მონაცემების შენახვა და ანალიზი) – მკვეთრად დაჩქარდა COVID-ის შედეგად. შესაბამისად, მისი გამოყენება ბიზნესებისთვის აუცილებელ პირობად იქცა, რათა მათ შეძლონ გლობალური მიწოდების ჯაჭვებში მონაწილეობა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება შიდა და გარე ბაზრებზე. ბიზნესისთვის ციფრული ტექნოლოგიები იძლევა ისეთ შესაძლებლობებს, როგორიცაა ყოველდღიური ოპერაციების პროდუქტიულობის გაზრდა; ხოლო მომავალი პანდემიების შემთხვევაში, ბიზნესი ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით გააუმჯობესებს მიწოდების ჯაჭვის მიკვლევადობას, გამჭვირვალობასა და ადაპტაციის უნარს, აგრეთვე, მონაცემთა და ინფორმაციის ნაკადის დაჩქარებას. კომპანიები, რომლებსაც შეუძლიათ ამ ტექნოლოგიების მხარდაჭერა, უპირატეს კონკურენტულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან და შეინარჩუნებენ თავიანთ ადგილს კომპლექსური გლობალური მიწოდების ჯაჭვებში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაბიჯები აქვს გადადგმული ქვეყნის მასშტაბით გაციფრულებისკენ, რაც მოიცავს ინვესტიციებს ელექტრონული მმართველობის ეროვნულ სტრატეგიაში, პირველადი საჯარო სერვისების გაციფრულებას და ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) შექმნას, ბიზნესებისა და სამუშაო ძალის მიერ მისი ათვისება მაინც ჩამორჩება მეზობელ ქვეყნებს და კონკურენტულ გლობალურ ეკონომიკებს. საქართველოს ICT სექტორის გამოკითხვების თანახმად, გაყიდვები და ადგილობრივი მოთხოვნის სიმწიფე გამოვლინდა როგორც სექტორის განვითარების ყველაზე დიდი გამოწვევა, შემდეგია წვდომა ადგილობრივ წარმოების ძირითად საშუალებებზე და გამოცდილ ICT კადრებზე.[69] ეს საფრთხეს უქმნის ადგილობრივი ICT სექტორის განვითარებას. ასევე საქართველში არ იზრდება პროდუქტიულობა, რომელსაც მთელ რიგ სექტორებშ სწორედ გაციფრულება უზრუნველყოფს.

ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ეკონომიკებში, COVID-ი ICT-ის მოხმარების ზრდის წყაროდ იქცა. სხვადასხვა ინდუსტრიის ბიზნესებმა დანერგეს ვირტუალური მოდელები – ტელემედიცინით დაწყებული, ელექტრონული კომერციით და დისტანციური მუშაობით დამთავრებული – რისი შესაძლებლობაც ციფრულმა ტექნოლოგიებმა მოგვცა. ICT კომპანიებმა მოახდინეს რეაგირება ბიზნესის საჭირობებზე და ბაზარს ვირტუალურ ოპერაციებზე გადასასვლელად ახალი ინსტრუმენტები და პლატფორმები შესთავაზეს. ყველა დონის (დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი) სკოლების ციფრულ სწავლებაზე გადასვლამ გააფართოვა ციფრული ტექნოლოგიების ათვისება მოსწავლეებისა და მათ ოჯახების მიერ. ეს ქმნის უპრეცედენტო შესაძლებლობას, გადაილახოს ბარიერები, რათა გაფართოვდეს ციფრული მოხმარება ბიზნესებისა და სამუშაო ძალის მასშტაბით.

კომანიების ლიკვიდურობასთან დაკავშირებული სირთულეები და დაბალინფორმირებულობა ზღუდავს ციფრული მოხმარების გაფართოვების იმპულსს. გლობალურად მოსალოდნელია ICT ინვესტიციების შემცირდება ლიკვიდურობის შეზღუდვების გამო. ICT სექტორი მოელის მსგავს ტენდენციებს საქართველოშიც თუ რეცესიული ტენდენციები გრძელდება, რადგან ბიზნესების უმეტესობა კვლავ თვლის, რომ ციფრული ინსტრუმენტები ჩანაცვლებადია. მეტიც, ბიზნეს ინვესტიციები მაღალტექნოლოგიურ სისტემებში კრიზისის გამო დაბალია და, სავარაუდოდ, კიდევ უფრო შემცირდება. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის (GCCI) თანახმად, ბიზნესის 17% აცხადებს, რომ სურს გადავიდეს ონლაინ/დისტანციური სამუშაოების მოდელებზე, მაგრამ ამის შესაძლებლობები არ გააჩნია და კრიტიკულ მოთხოვნებად ასახელებს პროგრამულ უზრუნველყოფას და მასთან დაკავშირებული უნარების განვითარებას.[70]

ამ ტენდენციასთან დაპირისპირება და გაციფრულებისკენ მიმართული იმპულსის გაძლიერება საჭიროებს ICT სერვისებზე მოთხოვნის სტიმულირებას და ადგილობრივი მომწოდებლების ბაზის განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს მნიშვნელოვანია პრიორიტეტული სექტორების ბიზნესისთვის, ეფექტი მთელს ეკონომიკაზე გავრცელდება. ფართო გაციფრულება არამარტო ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის აღდგენას, რამეთუ დაეხმარება ბიზნესებს დააკმაყოფილონ მომხმარებელთა პრეფერენციები უკონტაქტო გაყიდვების მოდელების მიმართ, არამედ შესაძლებელს გახდის, რომ კომპანიებმა რომლებმაც წარმატებით შეაღწიეს მიწოდების გლობალურ

[69] EU4Business ინიციატივა "საქართველოს ICT კლასტერის პოტენციალი," 2017 წ.
[70] საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, "COVID-19-ის კვლევა – ბიზნეს საჭიროებების შეფასება," 2020 წლის ივლისი.

ჯაჭვებში გააღრმავონ კავშირები ადგილობრივ მომწოდებლებთან მათი თავიანთ მიწოდების ჯაჭვებში ჩართვით.

მოკლევადიანი რეკომენდაციები

3.1 ხელი შეუწყვეთ მოთხოვნის სტიმულირებას ისეთი პროგრამის საშუალებით, რომელიც ბიზნესებს მისცემს წვდომას დაფინანსებასა და საკონსულტაციო მომსახურებებზე და ICT ტრენინგებზე და ამით მათ გაციფრულებაში დაეხმარება.

- პრიორიტეტული მიმართულებები (მაგ., ელექტრონული კომერცია, ფინტეკი, დისტანციური სამუშაო სისტემები, კიბერუსაფრთხოება, საწარმოს და მიწოდების ჯაჭვის მართვის სისტემები) ინდუსტრიის ლიდერებთან კონსულტაციით განსაზღვრეთ.
- განსაზღვრეთ დახმარების ყველაზე ეფექტური საშუალებები ინდუსტრიის (ICT და სხვ.) ლიდერებთან კონსულტაციის გზით; სტიმულირება შეიძლება მოიცავდეს გადასახადების შემცირებას კვალიფიციური ინვესტიციების ღირებულების, სასწავლო კურსების ან საკონსულტაციო მომსახურების, უფასო ICT ტრენინგებისთვის და ა.შ.
- მხარი დაუჭირეთ ინდუსტრიის ღონისძიებებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიასა და ადვოკატირებას, რათა ბიზნესისთვის მეტად ცხადი გახდეს ახალი ტექნოლოგიებისა და საქართველოში ხელმისაწვდომი ინსტრუმენტებისა და სერვისების სარგებელი.
- შექმენით ცოდნის გაზიარების ფორუმები, სადაც მოხდება მთავრობის გამოცდილების გაზიარება ICT-ის გამოყენებასა და მასთან დაკავშირებული ინოვაციების შესახებ მთავრობიდან ბიზნესისთვის ტექნოლოგიის გადაცემის და ცოდნის გაცვლის მიზნით.

3.2 შეამსუბუქეთ მიწოდების მხარეს არსებული ბარიერები და იმუშავეთ ადგილობრივ ICT ინდუსტრიასთან, რათა გადაილახოს ადგილობრივი მოთხოვნის მომსახურებასთან დაკავშირებული დაბრკოლებები.

- ICT შეიტანეთ TVET პრიორიტეტებში, განახორციელეთ ინვესტიციები კვალიფიციური კადრების განვითარებაში ადგილობრივი მოთხოვნის შესაბამისად; ეს უნდა მოიცავდეს სახელმწიფოს, ბიზნესების, სამეცნიერო წრეებისა და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერების თანაინვესტირებას ტრენინგებში, რათა გარდამავალ პერიოდში გადამზადდეს არსებული კადრები, ხოლო უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა შეიქმნას საუნივერსიტეტო პროგრამებიდან ICT კარიერისკენ მიმავილი მკაფიო მოდელი.
- მხარი დაუჭირეთ ადგილობრივ ინდუსტრიას მოიზიდონ კადრები ძლიერი ICT სექტორის მქონე მეზობლები ქვეყნებიდან (მაგ., ბელორუსია, უკრაინა). ეს შეიძლება მოიცავდეს ქვეყანაში შესვლის და დასაქმების გამარტივებას.

3.3 დააჩქარეთ მაღალმოთხოვნადი საზოგადოებრივი სერვისების გაციფრულება (მაგ. ჯანდაცვა, განათლება და საბაჟო მონიტორინგი და მიკვლევა), „ელექტრონული საქართველოს“ სტრატეგიის შესაბამისად, რათა ხელი შეეწყოს ბიზნესებისა და მოქალაქეების მიერ ICT ტექნოლოგიების ფართოდ ათვისებას და კონკურენტუნარიანობის ზრდას.

- გამოავლინეთ სწრაფი შედეგის მომცემი შესაძლებლობები ბიზნესისა და საზოგადოების შეხების წერტილების გასაზრდელად, და ამასთან, უზრუნველყავით ძირითადი ციფრული ტრენინგის შესაძლებლობების ფართო წვდომა ინოვაციებისა და ახალი სერვისების გაციფრულების საშუალებით.
- განსაზღვრეთ ინვესტიციების დაჩქარებული პროგრამა, პრიორიტეტული საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის გაციფრულების გაფართოების მიზნით, პირველ რიგში, ჯანდაცვისა და საერთაშორისო სავაჭრო დინებების მონიტორინგის და მოკვლევის სფეროებში.

საშუალო/გრძელვადიანი რეკომენდაციები:

3.4 პოლიტიკაში ჩავარდნები დააკომპენსირეთ ისეთი გარემოს შექმნით, რომელიც ხელს შეუწყობს ძირითადი ტექნოლოგიების ათვისებას და საერთაშრისო სტანდარტებთან შესაბამისობას.

- შეაფასეთ და გადაჭერით ნებისმიერი ხარვეზი პოლიტიკის და/ან სტანდარტების კუთხით, რომელიც ხელს უშლის ციფრული ტექნოლოგიების, განსაკუთრებით, ელექტრონული კომერციის, ფინტეკის, კიბერუსაფრთხოების, საწარმოს და მიწოდების ჯაჭვის მართვის სისტემების გაფართოებას და საჯარო და კერძო სისტემების თავსებადობას. გამოავლინეთ "სწრაფი მოგების" შესაძლებლობები და და პრიორიტეტად დასახეთ მათი რეალიზაცია.
- გადახედეთ და განაახლეთ 2014-2018 წლების „ელექტრონული საქართველოს" სტრატეგია არსებულ რეალობასთან შესაბამისობაში მოსაყავანად. მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს ბიზნესებში და ფათო საზოგადოებაში ციფრული ტექნოლოგიების მოხმარების გაფართოებაზე (მთავრობის გარეთ).
- დარწმუნდით, რომ საქართველოს აქვს მკაცრი პოლიტიკის ჩარჩო ეროვნული კიბერუსაფრთხოებისა და პირადი ინფორმაციის დასაცვად. ასევე, დააჩქარეთ 2020-2022 წწის საქართველოს კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის მიღება და განხორციელებას.

3.5 გადახედეთ და ბიზნესის პრიორიტეტებთან შესაბამისობაში მოიყვანეთ ტელეკომუნიკაციების განახლება. გააკეთეთ აქცენტი პრიორიტეტულ სექტორებზე და განსაზღვრეთ მოკლევადიანი წარმატების შესაძლებლობები იმპულსის შენარჩუნების მიზნით.

- გააგრძელეთ ინტერნეტის ქსელის ხელმისაწვდომობის ზრდა ქვეყნის მასშტაბით და კავშირის ხარისხის გაუმჯობესება;
- სწორად განსაზღვრეთ იმ ნაბიჯების ვადები და საბოლოო სარგებელი, რომლებიც მიართულია მობილური ქსელის ოპერატორის/ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის სექტორში კონკურენციის შემოტანაზე, ასევე პოტენციური გავლენა მოკლევადიან ლიკვიდურობასა და ინფრასტრუქტურის გაფართოების პროექტებზე განსაკუთრებით COVID-ის ფონზე; მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები, რათა თავიდან აიცილოს სატელეკომუნიკაციო ინდუსტრიისა და ინფრასტრუქტურის განვითარების შეფერხება მოკლევადიან პერსპექტივაში. აქედან გამომდინარე შეიძლება გადაიხედოს მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის შესახებ ახალი კანონმდებლობის ამოქმედების ვადები.

- მოერიდეთ მობილური საცალო ვაჭრობის ბაზრის ზედმეტად რეგულირებას, რაც ხელს უშლის სწრაფ ინოვაციებს და ახალი პროდუქციის გამოშვებას, რათა ბაზარმა დროული რეაგირება მოახდინოს ახალ შესაძლებლობებზე.

S.4 კონკურენტული აქტივების გაძლიერება

საქართველოს უნარი განავითაროს, მოიზიდოს და შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანი ინდუსტრიები, გარკვეულწილად დამოკიდებულია საერთო მოხმარების ინფრასტრუქტურისა და აქტივების ხასიათსა და ხარისხზე, რომლებიც ქმნიან საოპერაციო გარემოს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არის შესაძლებლობები, რომლებიც მის კონკურენტუნარიანობას აძლიერებს – მიმზიდველი ბუნებრივი გარემო, ღია საზოგადოება, დაბალფასიანი მწვანე კომუნალური მომსახურება – ქვეყანას ბევრი სუსტი მხარეც აქვს, რაც გავლენას ახდენს მის ახლო და გრძელვადიან პოტენციალზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ინტელექტუალური რესურსი და საიმედო ლოგისტიკური სერვისები და ინფრასტრუქტურა; კომუნალური და ძირითადი სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობა ზოგიერთ სფეროებში, როგორიცაა ჯანდაცვა ბევრად უფრო კრიტიკული გახდა COVID-ის ფონზე. შეზღუდული რესურსების პირობებში, საქართველომ უნდა მოახდინოს ინვესტიციების ფოკუსირება ისეთ სფეროებში, რომლებიც დაეხმარებიან პრიორიტეტულ სექტორებს ხარვეზების დაძლევაში და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. უფრო მეტიც, ეს ინვესტიციები შეიძლება მოემსახუროს მოკლევადიანი ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებას. შედეგად, გაჩნდება საბაზრო მოთხოვნა, რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებას ქვეყნის გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად.

ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განახლებამ პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს სამიზნე ინდუსტრიების საჭიროებებს და გაზარდოს მონიტორინგი, მიკვლევადობა და მომსახურების ხარისხი. მიუხედავად იმისა, რომ მუდმივად უმჯობესდება საქართველოს სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა და შესაძლებლობები, ქვეყნის სამუშაო მაჩვენებელი მაინც დაბალია რეგიონულ და გლობალურ კონკურენტებთან შედარებით. 2018 წელს საქართველომ მსოფლიო ბანკის ლოგისტიკური მაჩვენებლების ინდექსში გამოკითხული 160 ქვეყნიდან 119 ადგილი დაიკავა. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი საქართველოს მომსახურების ხარისხსა და კომპეტენციასთან დაკავშირებულ, ასევე მონიტორინგის და მიკვლევის ინდიკატორებში აქვს.[71] ეს ქმნის ბარიერს მაღალი ღირებულების, მცირე მოცულობის ინდუსტრიების (მაგ., ფარმაცია, სინთეზური საკვები პროექტები) განვითარებისთვის, რომელთათვისაც საჭიროა მაღალი ხარისხის, საიმედო და სპეციალიზებული ლოგისტიკა პროდუქციის ბაზარზე გასატანად. ბიზნესები ყველაზე ხშირად აცხადებენ, რომ გამოწვევები არსებობს ხარისხიანი სასაწყობო სივრცის ან ცივი ჯაჭვის მომსახურებებისა და ინფრასტრუქტურაზე წვდომის მხრივ.

მიუხედავად იმისა, რომ ინფრასტრუქტურა ერთ ღამეში ვერ განვითარდება, საქართველოს უნდა განახორციელოს ფოკუსირებული ინვესტიციები, რომელიც ხელს შეუწყობს პრიორიტეტულ ინდუსტრიებს და გააძლიერებს ქვეყნის პოზიციონირებას ინვესტიციების მოსაზიდად. თუ გავითვალისწინებთ იმ წარმოების ხასიათს, რომელშიც საქართველოს კონკურენტული პოზიცია უკავია (მაგ., მაღალი ღირებულება, დაბალი მოცულობა), ინფრასტრუქტურისა და სერვისების შეუფერხებელი მიწოდება, მონიტორინგისა და მიკვლევადობის გაუმჯობესება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

[71] მსოფლიო ბანკის ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსი, 2018-2019 წწ.

აღნიშნული უნდა გაკეთდეს პრიორიტეტულ ინდუსტრიებში მოქმედ ბიზნესებთან და პოტენციურ უცხოელ ინვესტორებთან მჭიდრო თანამშრომლობით, რომლებიც შესაძლოა თანადამფინანსებლებადაც კი მოგვევლინონ ასეთ პროექტებში საჯარო-კერძო თანამშრომლობის გზით. ეს შეიძლება მოიცავდეს როგორც ტრადიციულ საჯარო-კერძო პარტნიორობებს (PPP), რომლებიც სათანადო ვიზირებას გადიან და სამომავლო რისკებიც სრულად დაზღვეულია; ისე სხვა მექანიზმების გამოყენებას, როგორიცაა საგრანტო დაფინანსება, საგადასახადო შეღავათები ან კოორდინირებული სახელმწიფო ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში კერძო ინვესტიციების წახალისების მიზნით. ეს შეამსუბუქებს მთავრობის ხარჯებს ინფრასტრუქტურის შექმნაზე.

გარდა ამისა, პოლიტიკის ძალისხმევა უნდა განხორციელდეს სტანდარტების შემუშავებაზე, რაც ხელს შეუწყობს სატრანსპორტო და ლოგისტიკური ბიზნესების, აგრეთვე, მათი მომხმარებლების დიფერენცირებას, შეთავაზებული სერვისის ხარისხის მიხედვით. ამჟამად სტანდარტების არარსებობა ახალისებს ფასზე დამყარებულ შესყიდვის ჩვევებს, ნაცვლად იმისა, რომ ეს ხარისხზე ან სპეციალიზაციაზე იყოს დამყარებული, რაც უფრო მაღალხარისხიანი სერვისის მიმწოდებლების კონკურენტუნარიანობას ამცირებს. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ არ უნდა დაავალდებულოს ბიზნესი დანერგოს სტანდარტები – ყოველ შემთხვევაში პირველ ეტაპზე სტანდარტები, გარდა ჯანმრთელობისა და საბაზისო უსაფრთხოების სტანდარტებისა, ნებაყოფლობითი უნდა იყოს – მან თავისი როლი უნდა ითამაშოს ბიზნესების ცნობიერების ამაღლების კუთხით იმ შესაძლებლობების შესახებ, რომელსაც სტანდარტებთან შესაბამისობას მოაქვს. უფრო მეტიც, ბიზნესებს, რომელთაც სტანდარტებთან შესაბამისობა აინტერესებთ, უნდა ჰქონდეთ წვდომა რესურსებზე, რომელიც ფართოდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ზრდაზე ორიენტირებული საწარმოებისთვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს ბიზნესებს საჭირო ინვესტიციებისა და რესურსების მოზიდვაში და დაეხმარება მათ მოთხოვნების მართვაში.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მდგრადობის, ხელმისაწვდომობის და რეაგირების უზრუნველსაყოფაზე მიმართული რეფორმები გადაუდებელ ფინანსურ პრიორიტეტს წარმოადგენს, თუმცა უნდა დაბალანსდეს COVID საფრთხის მართვის საჭიროებები. COVID-ის დაწყებისთანავე ჯანდაცვის სისტემის რეორგანიზაციის მიმართულებით გადადგმულმა ნაბიჯებმა, რომელთა მიზანს პოტენციური ეპიდემიის გავრცელებით გამოწვეული საჭიროებების დაკმაყოფილება და სხვა პაციენტების უზრუნველყოფა წარმოადგენდა, ხელი შეუწყო ქვეყნის რეაგირების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას და შეაჩერა მისი გავრცელება; თუმცა, ამასთან ერთად, მთავრობას დააწვა დიდი ფინანსური ტვირთი და სექტორის მდგრადობას და საზოგადოების ჯანდაცვაზე წვდომას საფრთხე შეექმნა. შეძლებისდაგვარად ახლო-საშუალოვადიან პრიორიტეტად უნდა იქცეს ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც მთავრობის ფინანსური ტვირთის შესამსუბუქებლად ოპერაციების კონფიგურაციას მოახდენს, და კერძო სამედიცინო პროვაიდერებს შემოსავლებისკენ მიმავალი გზის აღდგენაში დაეხმარება. გრძელვადიან პერსპექტივაში, სისტემის მასშტაბით უფრო ფართო რეფორმების გატარება საქართველოში ხარისხიან ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, როგორც ეს COVID-მდე იყო დაგეგმილი, ხელს შეუწყობს ქვეყნის, როგორც ბიზნესის კეთებისათვის უსაფრთხო ადგილის პოზიციონირებას.

COVID-ის ეპიდემიის ერთ-ერთი დადებითი შედეგი საქართველოში ტელემედიცინის გამოჩენა იყო. ვირტუალური ჯანდაცვის სხვა ფორმებთან ერთად ტელემედიცინა წარმოადგენს შესაძლებლობას, შემცირდეს ხარჯები და გაუმჯობესდეს ხარისხიან

ჯანდაცვაზე წვდომა. ამ ტენდენციის მხარდაჭერა შესაბამისი რეგულაციების, გადახდების სისტემისა და სადაზღვევო უზრუნველყოფის შემუშავების გზით, საქართველოს რეფორმის სტრატეგიის ნაწილად უნდა იქცეს და ხელი შეუწყოს ამბულატორიული და პირველადი ჯანდაცვის გაფართოებას, უფრო ფართო ღონისძიებების გატარებას ციფრული განვითარებისკენ, ასევე, ადგილობრივი ფარმაცევტული ინდუსტრიის განვითარებას.

განათლების სექტორის რეფორმა უნდა გაგრძელდეს მოკლევადიანი აქცენტით TVET-სა და უმაღლეს განათლებაზე. კადრები მუდმივად რჩება საქართველოში ბიზნესის მიერ დასახელებულ მთავარ გამოწვევად და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთავარ პრიორიტეტად; არაერთხელ აღინიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო სისტემის კურსდამთავრებულებს ინდუსტრიის მომსახურებისთვისთვის საჭირო უნარები არ გააჩნიათ. აღდგენის პროცესისთვის უმნიშვნელოვანესი იქნება სამუშაო ძალის ახალ და ამჟამინდელ წევრთა დახმარება COVID-ის შემდგომი გარემოს ცვალებად მოთხოვნებთან და პრიორიტეტული ინდუსტრიების სამომავლო საჭიროებებთან ადაპტირებისათვის. ამასთან, COVID-ის მიერ შექმნილი შესაძლებლობის გამოყენება დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლების გაბედული რეფორმების განსახორციელებლად, ბაზარს მიანიშნებს, რომ საქართველოს განზრახული აქვს შექმნას მუშახელის უნარები, რომლებიც საჭიროა ინდუსტრიის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, რაც გააძლიერებს საქართველოს პოზიციას ინვესტიციების მოსაზიდად.

დაწყებითი და საშუალო განათლების გაციფრულების მიმართულებით საქართველოს მიერ COVID-მდე გადადგმული ნაბიჯები, რომლებმაც მნიშვნელოვნად განაპირობა სწრაფი გადასვლა დისტანციურ სასწავლო პროცესზე, სასწავლო პროგრამისა და მასწავლებლის პროფესიის განახლების ძალისხმევასთან ერთად მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. განათლების სფეროს ხელმძღვანელობას შეუძლია და უნდა გამოიყენოს შესაძლებლობა, რომ COVID-იდან მიღებული გამოცდილება სისტემის უფრო ფართო რეფორმირებისა და განახლების ძალისხმევას შეუსაბამოს. ციფრული სწავლისკენ იმპულსი უნდა იყოს პრიორიტეტი, რაც ხელს შეუწყობს მაღალხარისხიან, ადაპტაციურ სწავლებას.

უმაღლესმა განათლებამ ასევე უნდა გამოიყენოს COVID-ით გამოწვეული რღვევა, როგორც შესაძლებლობა, რომ საგნები გათვლილი იყოს სამიზნე ინდუსტრიებთან თანამშრომლობაზე, რათა შეინარჩუნოს არსებული და მოიზიდოს ახალი სტუდენტები. მთავრობას შეუძლია ხელი შეუწყოს ამას როგორც პირდაპირი ინვესტიციების საშუალებით, ასევე უნივერსიტეტის სისტემაზე სწორად მორგებული წახალისების მექანიზმებით, რომელიც სტუდენტთა ნაკადებს მიმართავს ისეთ პროფესიებზე, რომელზეც არსებობს მოთხოვნა ინდუსტრიების მხრიდან, სტუდენტების რაოდენობის მაქსიმალურად გაზრდის ნაცვლად.

დაბალფასიანი, მაღალი ხარისხის ეელექტროენერგიაზე, წყალზე და სხვა კომუნალურ საშუალებებზე ხელმისაწვდომობის შენარჩუნება შიდა ბიზნესისთვის და გრძელვადიანი ამონაგები საჯარო სექტორისათვის პრიორიტეტი უნდა იყოს. დაბალფასიან, "მწვანე" ჰიდროელექტრონერგიაზე, წყალზე და სხვა კომუნალურ საშუალებებზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ ძლიერ მხარეს და საწარმოო ბიზნესების დიფერენცირების მნიშვნელოვან გასაღებს. ამის მიუხედავად, ზოგიერთ ბიზნესს პრობლემები აქვს მომსახურების ხარისხისა და მიწოდების საიმედოობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით დედაქალაქის და მსხვილი ეკონომიკური ზონების

გარეთ. ექტრონერგიაზე ხელმისაწვდომობის შენარჩუნება და უწყვეტი ზრდა კრიტიკული მნიშვნელობისაა, განსაკუთრებით, მაღალი ღირებულების ინდუსტრიებისთვის, რომლებსაც, როგორც წესი, ესაჭიროებათ საიმედო ენერგო მომსახურება; ასევე არსებითია საქართველოს კონკურენტუნარიანობისთვის ევროკავშირის მიწოდების ჯაჭვების მოზიდვის თვალსაზრისით, რაც უფრო და უფრო აქტუალური ხდება ნახშირბადის ემისიის შემცირების მიზნებიდან გამომდინარე.

მიუხედავად იმისა, რომ ენერგოუსაფრთხოება საქართველოსთვის პრიორიტეტად რჩება, COVID-ის გამო ეკონომიკური აქტივობის შემცირება, სავარაუდოდ, მოკლევადიან პერიოდში შეამსუბუქებს იმპორტზე მზარდი დამოკიდებულების საფრთხეს შიდა მოხმარების დასაკმაყოფილებლად. COVID-მდე ივარაუდებოდა, რომ კრიპტო ბიზნესის მიერ ელექტროენერგიის მოხმარების შემცირება ჩანაცვლდებოდა ტურიზმის და მასთან დაკავშირებული ბიზნესების მხრიდან მზარდი მოთხოვნით.[72] თუ გავითვალისწინებთ, რომ ტურიზმში მოსალოდნელია დაბალი მაჩვენებლის შენარჩუნება, ამ ტენდენციის განხორციელებას უფრო მეტი დრო დასჭირდება. შედეგად, საქართველოს ენერგოსექტორი მოიგებს დროს საბაზრო რეფორმების განსახორციელებლად, რაც გაზრდის მის მიმზიდველობას ადგილობრივ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების განსახორციელებლად. მოკლევადიან პერსპექტივაში რეცესიულ გლობალურ ბაზარს შეუძლია გახსნას ენერგიის იმპორტის წყაროების დივერსიფიკაციის შესაძლებლობები, რაც მეტ მოქნილობას შესძენს სექტორს, ენერგიის იმპორტზე დამოკიდებულების შემთხვევაში.

პრიორიტეტად უნდა დარჩეს ენერგობაზრის რეფორმა. ამავდროულად, საქართველომ უნდა მოიძიოს ინვესტიციები ამ სექტორში, მაგრამ უნდა განახორციელოს მხოლოდ ის შეთანხმებები, რომლებიც ქვეყანაში გრძელვადიან შემოსავალს უზრუნველყოფენ. გრძელვადიან პერსპექტივაში საჯარო და კერძო თანამშრომლობის (PPP) კონტრაქტებმა, ხშირად, შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი უკუგება და ფინანსური ტვირთი მწარმოებელი ქვეყნებისათვის თუ რისკები სათანადოდ არ იქნა შეფასებული. საქართველომ ფრთხილად უნდა იმოქმედოს, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ ელექტროენერგიაზე ფასები შეიძლება შემცირდეს, მით უმეტეს, თუ მხედველობაში შემცირებულ გლობალურ მოთხოვნას, და გააფორმოს მხოლოდ საინვესტიციო შეთანხმებები ხელსაყრელი პირობებით და რისკის გათვალისწინებით. ინვესტიციის მოთხოვნების სტანდარტიზაცია ხელს შეუწყობს ამ დღის წესრიგს და დაეხმარება საქართველოს მოიზიდოს უმაღლესი ხარისხის ინვესტიციები, რომლებიც ამ მიზანს ემსახურება.

ენერგოსექტორისა და ფართო ინდუსტრიული განვითარებისთვის, საქართველომ უნდა შეაფასოს და მართოს წყლის რესურსები, რომლებიც არა მხოლოდ ქვეყნის ხარისხიანი გარემოსთვისაა მნიშვნელოვანი, არამედ ინდუსტრიის წარმატებისთვისაც. წყლის რესურსების მართვა ქვეყნის მასშტაბით ამჟამად ფრაგმენტულია, რის გამოც რესურსები მოწყვლადია არასათანადო მენეჯმენტის მიმართ, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ქვეყანა ცდილობს გააფართოოს შიდა წარმოება. ქვეყნის წყლის რესურსებსა და მართვის სისტემებზე ინდუსტრიის ამჟამინდელი ზემოქმდების უკეთ გააზრება პარალელური პრიორიტეტი უნდა იყოს მომავალი ინვესტიციების და პოლიტიკის შემუშავების ინფორმირებისთვის.

[72] თიბისი კაპიტალი, "ენერგოსექტორის მიმოხილვა: დამუხტვა წინასწარ," 2019 წლის ივლისი.

საშუალო/მოკლევადიანი რეკომენდაციები:

4.1 დააჩქარეთ მიზნობრივი რეფორმები ტრანსპორტისა და ლოგისტიკის, ჯანდაცვის, განათლების, ენერგეტიკის და კომუნალური მომსახურების სფეროებში ლატენტური მოთხოვნის და ეკონომიკური საქმიანობის განბლოკვის მიზნით.

- (ტრანსპორტი და ლოგისტიკა): ინვესტიცია განახორციელეთ სასაზღვრო ფუნქციების განახლებაში, აქცენტი უნდა გაკეთდეს საბოლოო საბაჟო დამუშავების გაციფრულებაზე, რათა შესაძლებელი გახდეს უკეთესი კონტროლი და მიკვლევა; დაეხმარეთ სისტემებს ინფორმაციის ნაკადის ავტომატიზაციისა და დაჩქარების მიზნით.
- (ტრანსპორტი და ლოგისტიკა): მოკლევადიანი ინვესტიციების აქცენტი გადაიტანეთ ისეთ ინფრასტრუქტურაზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამიზნე ინდუსტრიებისთვის, მათ შორის ცივი ჯაჭვი, სასაწყობო და ინტერმოდალური ინფრასტრუქტურა; იმუშავეთ სპეციალიზირებულ კერძო დეველოპერებთან და ოპერატორებთან სადაც ეს შესაძლებელია.
- (ჯანდაცვა): პრიორიტეტი მიანიჭეთ მოკლევადიან რეფორმებს, რაც საშუალებას მისცემს ტელემედიცინას გაზარდოს წვდომა პირველად და ამბულატორიულ მომსახურებაზე; შეაფასეთ რეფორმების დაწყვილების შესაძლებლობა, ამბულატორიული პაციენტებისთვის ფარმაცევტული პროდუქტების გაფართოებული თადაფინანსების ხელშესაწყობად, ნაღდი ფულით გაწეული ხარჯების შესამცირებლად (როგორც ადგილობრივი ინდუსტრიის მხარდაჭერის გზა), საჭიროებების შესაბამისად დაბალანსებით სახელმწიფო ხარჯების შესაზღუდად.
- (განათლება): შეაფასეთ საკარანტინო პერიოდში ციფრული დისტანციური სწავლების შედეგად მიღებული გაკვეთილები და განსაზღვრეთ დისტანციური და/ან შერეული სასწავლო მოდელების ჩართვის შესაძლებლობები, რათა დაჩქარდეს სასწავლო პროგრამების განახლება, გაუმჯობესდეს სწავლების ხარისხი და მიიღოთ შემოსავლის ეფექტურობა; მოახდინეთ რეფორმების პილოტირება და/ან განხორციელება ანალიზზე დაყრდნობით (უზრუნველყავით კოორდინაცია TVET-ის რეფორმებთან).
- (განათლება): დაამყარეთ პარტნიორული ურთიერთობები საერთაშორისო საუნივერსიტეტო პროგრამებთან, რათა ქართველ სტუდენტებს შესთავაზოთ მსოფლიო კლასის პროგრამები ინდუსტრიის მიერ მოთხოვნილ პრიორიტეტულ საგნებში (ისარგებლეთ დისტანციური სწავლების შესაძლებლობებით და ჩარიცხვების დაბალი მაჩვენებლით, პირობებზე მოლაპარაკებებისას). *შენიშვნა: ადგილობრივ უნივერსიტეტებთან ერთად გაცვლითი ან ერთობლივი პროგრამების შემუშავება.*

- (ენერგეტიკა და კომუნალური მომსახურება): განახორციელეთ ენერგოსექტორის საინვესტიციო მოთხოვნების სტანდარტიზაცია მოკლევადიანი ინვესტიციების ხელშესაწყობად, იმის მიუხედავად, რომ უფრო ფართო საბაზრო რეფორმები მიმდინარეობს.

საშუალო/გრძელვადიანი რეკომენდაციები:

4.2 გააძლიერეთ ძირითადი ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა, აქცენტი გადაიტანეთ ინდუსტრიის მოთხოვნებზე

- მოიზიდეთ კერძო ინვესტიციები სატრანსპორტო და ლოგისტიკურ ინფრასტრუქტურაში; ეს შეიძლება მოიცავდეს ბიზნესების იდენტიფიცირებას და მხარდაჭერას, რომლებიც დაინტერესებულნი არიან თავიანთი საწარმოსთვის საჭირო ინფრასტრუქტურაში ინვესტირებით და კოორდინირებული დაგეგმვის საშუალებით ამ ინვესტიციების განხორციელებას ცდილობენ.
- გაატარეთ პოლიტიკის რეფორმები ინდუსტრიის სტანდარტების დანერგვის მიზნით, ლოგისტიკური მომსახურების მიმწოდებლების დიფერენციაციისთვის ხარისხისა და სპეციალიზაციის საფუძველზე:

    - შეაფასეთ კერძო სექტორის ინტერესი სტანდარტებს დანერგვის კუთხით და ასევე შესაბამისობის ბარიერები; გააძლიერეთ ან/და შექმენით საკონსულტაციო ფუნქცია მთავრობაში იმ ბიზნესების მხარდასაჭერად, რომლებიც ცდილობენ სტანდარტებთან შესაბამისობას, რათა მათ ჰქონდეთ წვდომა საჭირო რესურსებზე საჭირო ინვესტიციების შესავსებად.
- შეიტანეთ ტრანსპორტი და ლოგისტიკა TVET-ის პროგრამაში, ასევე უზრუნველყავით ინდუსტრიის ლიდერებთან მუშაობა მოთხოვნადი უნარების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

4.3) უზრუნველყავით საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და კრიზისების მართვის სისტემების მოქნილობა და მზადყოფნა

- დარწმუნდით, რომ კლინიკები და ექიმის კაბინეტები (და მათი თანამშრომლები), რომლებიც გამოვლენილი COVID/ცხელების ცენტრებად არ გადაიქცნენ, სათანადო წახალისება და მხარდაჭერა გაეწიოთ, რათა გააგრძელონ პაციენტების მიღება და მკურნალობა ბაზრის განახლების მიზნით.
- უარი თქვით უახლოეს პერიოდში ჯანდაცვის მომსახურებაზე სახელმწიფო გადასახადების გაზრდაზე, სანამ არ მოხდება მოთხოვნის სტაბილიზაცია. შემდეგ გადახედეთ საკითხს.
- გაატარეთ ჯანდაცვის უფრო ფართო რეფორმები მდგრადი ფინანსური მდგომარეობის დასაბრუნებლად და ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, რაც დააბალანსებს რეფორმის ტემპს და COVID-თან დაკავშირებული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საჭიროებებზე რეაგირების უნარის შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

4.4) გააორმაგეთ ინვესტიციები დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლების რეფორმირებაში,[73] ინდუსტრიის საჭიროებების შესაბამისად

- შექმენით გლობალურად კონკურენტუნარიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები ინდუსტრიებში, რომლებიც შესაბამისობაშია სექტორის საჭიროებებთან:
    - განახორციელეთ დაფინანსების და სხვა წამახალისებელი სქემების ადაპტირება, ისე რომ წაახალისოთ ადგილობრივი უნივერსიტეტების მიერ სასწავლო პროგრამების შემუშავებაში ინვესტირება და სტუდენტების დაინტერესება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით, რომლებიც

[73] იხ. "სამუშაო ძალაზე ფოკუსირება და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება" ნაწილში TVET-სთან დაკავშრებული რეკომენდაციები.

კავშირშია სამიზნე კონკურენტუნარიან ინდუსტრიებთან (მაგ., მოწინავე წარმოება, რობოტიკა, სამრეწველო დიზაინი).
    - გადახედეთ დაფინანსების სქემებსა და წამახალისებელ პროგრამებს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვის საერთაშორისო პროგრამების აკრედიტაციის მისაღებად პრიორიტეტულ ტექნიკურ ინდუსტრიებში.
- განაახლეთ დაწყებითი და საშუალო საგანმანათლებლო პროგრამები, რათა უნარ-ჩვევების განვითარება შესაბასობაში იყოს მრეწველობის საჭიროებებთან, აქცენტი გააკეთეთ იმ საგნებზე, რომელიც კავშირშია ქვეყნის კონკურენტუნარიან სექტორებთან:

    - განაგრძეთ მუშაობა ინდუსტრიის ლიდერებთან სასწავლო გეგმის მიზნების განსაზღვრის მიზნით, რომლებიც მოიცავს ციფრულ ტექნოლოგიებს, მუშაობას მანქანებთან, კრიტიკულ აზროვნებას და დიზაინს და უცხო ენების სწავლას (მაგ., ინგლისური, გერმანული).
    - გააფართოეთ კომპიუტერული ტექნიკისა და ჭკვიანი საკლასო ოთახის აღჭურვილობის ხელმისაწვდომობა საჯარო სკოლებში, იმუშავეთ საყოველთაო წვდომის და ადგილობრივი ICT სექტორის ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
    - დააწესეთ დამსახურებაზე დაფუძნებული კომპენსაციის სქემა, რომელიც სტიმულს აძლევს კვალიფიციურ მასწავლებლებს გახდნენ პროფესიის ნაწილი და მიმდინარე პროფესიულ განვითარებაზე იმუშაონ.

4.5) შეინარჩუნეთ დაბალფასიანი, ეკოლოგიურად სუფთა ენერგეტიკა და კომუნალური წახალისებები

- გააგრძელეთ ენერგეტიკის სექტორის რეფორმები, რაც ხელს შეუწყობს ქმედითუნარიანი, გამჭვირვალე ენერგობაზრის განვითარებას და შიდა წარმოების შესაძლებლობების გაფართოებისთვის მიმზიდველ გარემოს უზრუნველყოფს ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად:
    - ეცადეთ შესაბამისობაში მოხვიდეთ ენერგოვაჭრობის მექანიზმთან და ბაზრის ზოგად სტრუქტურასთან და იმუშავეთ ამის განხორციელებაზე.
    - დაასრულეთ გადადგმული ნაბიჯები შესაბამისი დერეგულაციისკენ (მაგ. განმხოლოება).
- გაახორციელეთ საჯარო-კერძო პარტნიორობები (PPP) ენერგიის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების და გრძელვადიანი შემოსავლების პოტენციალის (რისკის გათვალისწინებით) საფუძველზე.
- გააგრძელეთ მოწყვლადი ოჯახებისთვის კომუნალურ მომსახურებაზე წვდომის მხარდაჭერა მიზნობრივი სუბსიდირების ან ვაუჩერების საშუალებით.
- შეაფასეთ COVID-ის გავლენა წყლის მენეჯმენტზე, ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე. წყლის რესურზებზე მოთხოვნა გაიზრდება ახალი შეზღუდვების გათვალისწინებით, რაც განპირობებულია გაზრდილი სანიტარული ძალისხმევით, ამავდროულად ინვესტიციებით სასოფლო სამეურნეო და ელექტროენერგიის წარმოებაში. შესაბამისად მნიშვნელოვანია განისაზღვროს წყლის რესურსების მართვის შესაბამისი გეგმა.

S.5 მასტიმულირებელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა

თამამი საინვესტიციო პაკეტის ჩამოყალიბება და საქართველოს შესაძლებლობების განვითარება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და დაჩქარების მიზნით, დაეხმარება საქართველოს იბრძოლოს მომარაგების ჯაჭვში ინვესტიციების მოსაზიდად, განვითარების ხელშემშლელი ფაქტორების აღმოფხრისთვის და მაღალი ღირებულების ინდუსტრიის ზრდის დასაჩქარებლად. გლობალური ინვესტიციების მოზიდვაზე განსაკუთრებით გაზრდილია კონკურენცია, ვინაიდან 2020 წლისთვის ცოტა ინვესტიციაა დაგეგმილი და მეტი ქვეყანა იბრძვის მათ მოსაზიდად რათა შეარბილონ კრიზისის მიერ გამოწვეული უარყოფითი გავლენა და წაახალისონ წარმოების დაბრუნება მათ ქვეყნებში. მოცემულ გარემოში, ზომიერი მიდგომა, სავარაუდოდ, ვერ იქნება წარმატების მომტანი.

ინტელექტუალური რესურსი, საბაზრო რისკის აღქმა და მიწის შეძენასთან დაკავშირებული სირთულეები კვლავ რჩება კორპორატიული ლიდერების და ობიექტების შერჩევაზე პასუხისმგებელი პირების მიერ ყველაზე ხშირად დასახელებულ ბარიერებად საქართველოში ინვესტიციების განხორციელებისთვის. შესაბამისად ეს ფაქტორები აუცილებლად უნდა იყოს აქცენტირებული მხარდაჭერის პაკეტებში. ინვესტორებისთვის ტრადიციულად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ადამიანურ რესურსებზე ხარჯების შემცირების შესაძლებლობა, თუმცა ამ მიმართულებაზე აქცენტი ნელ-ნელა მცირდება. დაფინანსება ინტელექტუალური რესურსის განვითარების წასახალისებლად ხელს შეუწყობს ამ დეფიციტის აღმოფხვრას. რისკის შემამსუბუქებელი ინვესტიციების მხარდაჭერა (მაგ., რისკის დაზღვევა) შეამცირებს რისკის აღქმას. ამავდროულად უნდა დავეხმაროთ ინვესტორებს პირადი კავშირების გაღრმავებასა და საინვესტიციო გარემოს შეცნობაში. საქართველომ ასევე უნდა იმუშაოს მიწის შეძენისთვის გამარტივებული შუალედური გამოსავლის საპოვნელად, ვიდრე მიწის რეგისტრაციის პროცესი მიმდინარეობს.

გარდა ამისა, საქართველომ უნდა მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ მას შეუძლია დაეხმაროს კომპანიებს მიწოდების ჯაჭვის სრული გამჭვირვალობისთვის აუცილებელი ციფრული ინფრასტრუქტურის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში, შეუძლია საიმედო და მრავალფეროვანი სატრანსპორტო მარშრუტების შეთავაზება, რომლებიც კრიზისის შემთხვევაში საზღვრების დახურვის გამო არ შეფერხდება და რომ მას შეუძლია ინტელექტუალური რესურსის შეთავაზება. ამასთან, გასათვალისწინებელია დამხმარე პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს ინფრასტრუქტურის შექმნას და ინვესტიციებს, „ცივი ჯაჭვის“ და სასაწყობო ინფრასტრუქტურაში. საქართველოს შეთავაზება უნდა პასუხობდეს ბაზრის ცვალებად მოთხოვნებს. ამავდროულად, ზემოთ აღწერილ გრანტის ტიპის წამახალისებელ პროგრამებს შეუძლიათ უკეთესად დააბალანსონ ინვესტორებისა და მთავრობის საშემოსავლო მოთხოვნები ვიდრე საგადასახადო შეღავათებს, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ისედაც ხელსაყრელ საგადასახადო გარემოს.

საქართველოს წარმატება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში დამოკიდებული იქნება მისი ინვესტიციების მოზიდვის ფუნქციის (სააგენტოს) სიძლიერესა და მის უნარზე მოახდინოს მთავრობის სტიმულირება გადადგას ქმედითი ნაბიჯები პრიორიტეტული ინვესტიციების მოზიდვის პროცესის ხელშესაწყობად. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგრამ სააგენტოსთან დაახლოებული ბიზნეს ლიდერების აზრით, კიდევ უფრო მეტად შეიძლება განვითარდეს და დაიხვეწოს. შესაბამისად, შესაძლოა საჭირო იყოს გუნდის შესაძლებლობების და უნარების განვითარება და

გაფართოება, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრატეგიის ფარგლებში.

მოკლევადიანი რეკომენდაციები

5.1) შეიმუშავეთ მოქნილი მარკეტინგის სტრატეგია და საინვესტიციო პაკეტი. სწრაფად განავითარეთ შიდა შესაძლებლობა ჩამოაყალიბოთ და დაგეგმოთ ინვესტიციების მოსაზიდი აქტივობები საბაზრო სიგნალებზე, კონკურენტული შეთავაზებების შესახებ ინფორმაციასა და ინდუსტრიის პრიორიტეტებზე დაყრდნობით.
მოსინჯეთ და შეათანხმეთ „აწარმოე საქართველოში“ს მიერ შემუშავებული წინასწარი პაკეტები ადგილობრივ ბიზნეს მრჩეველებთან და არსებულ და პოტენციურ ინვესტორებთან.

- ○ თავდაპირველი ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ წამახალისებელ ღონისძიებებზე, რომლებიც ხელს უწყობს ინტელექტუალური რესურსის განვითარებას, რისკის დაზღვევასა და მიწის შესყიდვის გამარტივებას.
- ○ *შენიშვნა: შეაფასეთ კომპრომისების სრული დიაპაზონი, რომელიც დაკავშირებულია საგადასახადო შეღავათებთან. ეს ხშირად არ წარმოადგენს ობიექტის შერჩევის მთავარ მამოძრავებელ ფაქტორს ისეთ სხვა ფაქტორებთან შედარებით როგორიცაა ინტელექტუალური რესურსი. ამასთან, საქართველოს საგადასახადო რეჟიმი ინვესტორებისთვის ისედაც ხელსაყრელია და და დამატებითმა შეღავათებმა შეიძლება ვერ მოგვცეს შემცირებული შემოსავლების საპირწონე სარგებელი.*

- გააგრძელეთ აქტიური ურთიერთობა მთავარ ინფლუენსერებთან: ობიექტების შემრჩევები, საკონსულტაციო ფირმები, ბიზნეს ჯგუფები.
- განიხილეთ და განაახლეთ მარკეტინგის საერთო სტრატეგია COVID-ის შედეგებზე დაყრდნობით და დაადგინეთ მოკლევადიანი სამიზნე შედეგების სია, რომლის მისაღწევადაც უნდა დაიგეგმოს შესაბამისი მარკეტინგული აქტივობები.

5.2) უზრუნველყავით საინვესტიციო სტანდარტებისა და მოთხოვნების სიცხადე და აღქმადობა

- ჩაატარეთ ადგილობრივი ბიზნესის, ობიექტების შემრჩევების და პოტენციური ინვესტორების სწრაფი გამოკითხვა გასაძლიერებელი სფეროების გამოსავლენად ან უფრო გასაგები კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად.
- საჭირო ცვლილებები შეიტანეთ პოლიტიკისა და კომუნიკაციის არხებში (მაგ., ვებგვერდი, სარეკლამო მასალები, წარმომადგენლები საელჩოებში და ა.შ.).

5.3) შექმენით დროებითი მხარდაჭერის მექანიზმები ინვესტორთა გამოწვევების გადასაჭრელად რეფორმების გატარების პროცესში:

- **გაამარტივეთ მიწის შესყიდვის გზები პრიორიტეტული ინვესტიციებისთვის და ბიზნესის გაფართოების პროექტებისთვის:**
  - ○ დააჩქარეთ მიწის რეგისტრაციის მიმდინარე პროცესი; დაადგინეთ უახლოეს ვადაში მიწის შესყიდვის შესაძლებლობები მიმდინარე პროგრესზე დაყრდნობით;
  - ○ განახორციელეთ მიწათმესაკუთრეობის პოლიტიკის და კვალიფიკაციის რეფორმა, რომელიც პასუხისმგებლიანი ინვესტიციების განხორციელებაზე იქნება ორიენტირებული.

- შეიმუშავეთ გადაწყვეტილებები, რათა ინვესტორებს ადგილობრივ ინტელექტუალურ რესურებზე მოთხოვნის დაკმაყოფილებაში დაეხმაროთ:
    - განავითარეთ პლატფორმა, რომელიც ბიზნესებს დაეხმარება კვალიფიციური ადგილობრივი კადრის პოვნაში ხელმძღვანელი პოზიციებისთვის სამიზნე დარგებში.
    - შეარჩიეთ და შექმენით სამიზნე ინდუსტრიებისთვის კვალიფიციური კადრების სია.

საშუალო/გრძელვადიანი რეკომენდაციები

5.4) გააძლიერეთ სააგენტოს ინვესტიციების მოზიდვის ფუნქცია და მიეცით საშუალება მოახდინოს მოკლევადიანი შესაძლებლობების გამოყენება:

- იმუშავეთ „აწარმოე საქართველოში"-ს ამჟამინდელ გუნდთან ინტელექტუალურ რესურსთან დაკავშირებული პრობლემების გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად.
- განსაზღვრეთ შესაძლებლობები, სადაც ღრმა უწყებათაშორისი კავშირები და/ან „აწარმოე საქართველოში" გაზრდილი უფლებამოსილება, გააადვილებს ინვესტიციების მოზიდვის პროცესს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების გამარტივებით.
- გადახედეთ სტრატეგიას და საგარეო ბაზარზე არსებულ პოზიციას და შეუსაბამეთ COVID-ით გამოწვეულ ცვლილებებს.

ურთიერთგადამკვეთი საკითხების მიმოხილვა

ამ მიმართულებების სისრულეში მოყვანისას პოლიტიკის შემქნელებმა უპირველეს ყოვლისა უნდა გაითვალისწინონ ოთხი ურთიერთგადამკვეთი საკითხი:

არ არსებობს მარტივი გამოსავალი: საქართველომ უნდა მიმართოს ფოკუსირებულ, მაგრამ დივერსიფიცირებულ და ოპორტუნისტულ მიდგომას. იგულისხმება ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ფართო შესაძლებლობებს მისცემს ბიზნესს და მოახდენს საქართველოს ადაპტირებას ინდუსტრიის ცვალებად საჭიროებებთან. ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან გლობალური აღდგენის ტრაექტორია ჯერ კიდევ უცნობია.

სამოქმედო დრო შეზღუდულია - მთავრობამ სწრაფად უნდა გადადგას თამამი ნაბიჯები. მიწოდების ჯაჭვში და სამომხმარებლო ტენდენციებში მიმდინარე ცვლილებების და საქართველოს შედარებით იაფი ადამიანური რესურსის მიერ შექმნილი შესაძლებლობების გამოყენების ვადა შეზღუდულია. შესაბამისად, აუცილებელია სწრაფად მოქმედება; ამასთან, ამას ასევე ექნება შედეგები ქვეყნის ფისკალური სტრატეგიისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსთვის ძალზედ მნიშვნელოვანია ფისკალური შედეგების მართვა, შეიძლება ღირდეს ფისკალური მიზნების მისაღწევად უფრო გრძელვადიანი კურსის არჩევა, მოკლევადიან პერიოდში სტრატეგიული ინვესტიციების განხორციელების ხელშესაწყობად.

ელოდეთ უმუშევრობის მაღალ დონეს და მოემზადეთ შესაბამისად. არასიცოცხლისუნარიანი ბიზნესების სუბსიდირებამ შეიძლება შეამსუბუქოს მოკლევადიანი სოციალური სტრესი, მაგრამ საბოლოოდ საფრთხე შეუქმნას ეკონომიკის აღდგენას და ზრდას. მთავრობას შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს ადამიანური რესურსის სიცოცხლისუნარიან ინდუსტრიებში მიგრაციაში და დახმარება გაუწიოს მათ

გადასვლის პროცესში. სოციალური დახმარების მოქნილი სისტემის დანერგვა (მაგ. შემოსავლის დანამატები), დაეხმარება საქართველოს ტრანზიციის ამ პროცესში.

შეაფასეთ სავაჭრო რეჟიმებთან შესაბამისობის მოთხოვნები და მართეთ მოლოდინები. ეკონომიკური სტრესის პერიოდში სავაჭრო რეჟიმის შესაბამისობისკენ მიმართულმა აქტიურმა ბიძგმა – სწორი მხარდაჭერის მექანიზმების გარეშე – შეიძლება ინვესტიციების შეჩერების და სიცოცხლისუნარიანი ბიზნესების დახურვის საფრთხე შექმნას. პოლიტიკის შემქმნელებმა უნდა იმუშაონ ბიზნესებთან და სავაჭრო პარტნიორებთან, რათა შეიმუშავონ ოპტიმალური ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკის აღდგენას და გრძელვადიანი შემოსავლების მიღებას.

მყისიერი/მოკლევადიანი დარგობრივი პოლიტიკის რეკომენდაციების რეზიუმე

S.1 ბიზნეს ინვესტიციებისა და განვითარების ხელშეწყობა
1.1. ბიზნეს საზოგადოებაში საოპერაციო მოთხოვნების შესახებ სიცხადის უზრუნველყოფა ინვესტიციების სანდოობისა და დაგეგმვის მხარდასაჭერად (მაგ., საჭირო პროცედურები, ადგილის აღჭურვა/მოწყობილობები).
1.1.1 აწარმოეთ კონსულტაციები ბიზნესებთან პრიორიტეტულ დარგებში (მაგ., წარმოება) პოსტ-COVID საჭიროებების და ახალი საოპერაციო მოთხოვნებისა და DCFTA-ისთან შესაბამისობაში მოსაყვანად დაწესებული შეზღუდვების გასაგებად.
1.1.2 გადახედეთ და დაადასტურეთ DCFTA- ს შესაბამისობის ზოგადი გეგმა და ვადები COVID- ის გავლენის გათვალისწინებით და გაეცით მითითებები ბიზნესისთვის.
1.1.3 გააგრძელეთ COVID-თან დაკავშირებული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ოპერაციული მოთხოვნების მკაფიო მითითება.
1.2. დაეხმარეთ ბიზნესს სამომხმარებლო პრეფერენციებისა და მომარაგების ჯაჭვის ცვლილებათა გამო შექმნილი ახალ საბაზრო შესაძლებლობებში გარკვევასა და მათზე რეაგირებაში, ყურადღება გაამახვილეთ გლობალურ ბაზრთან ინტეგრაციის გაღრმავებასა და პრიორიტეტულ სექტორებზე.
1.2.1 აამუშავეთ ბიზნესის საკონსულტაციო ფუნქცია, რომელიც ორიენტირებულია საბაზრო ინფორმაციასთან დაკაშირებული ხარვეზების აღმოფხვრასა და ბიზნესების მხარდაჭერაზე შესაძლებლობების განსაზღვრაში DCFTA-სთან შესაბამისობის და მასთან დაკავშირებული ბაზრების კუთხით.
1.2.2 გააგრძელეთ თანადაფინანსების პროგრამირება სიცოცხლისუნარიანი ბიზნესებისადა ინვესტიციებისთვის, მომხმარებლებთან კონსულტაციების საფუძველზე მოახდინეთ მექანიზმების ადაპტირება.
1.2.3 გააგრძელეთ დაკვირვება, საჭიროა თუ არა მიმდინარე დაფინანსების ვალდებულებათა გაფართოება ბაზრის განვითარების დინამიკის საფუძველზე.
1.2.4 ინვესტიცია ჩადეთ ან ხელი შეუწყეთ დარგზე მორგებული და/ან დარგობრივი ცოდნის გაზიარების პლატფორმების შექმნას, სადაც ბიზნესებს შეეძლებათერთმანეთისგან მიიღონ ინფორმაცია ბაზრის შესაძლებლობების შესახებ და გაეცნონ COVID ბაზრის გარემოში ნავიგაციის გზებს.
1.3 გააძლიერეთ ბიზნესის მოკლევადიანი ლიკვიდურობა, რათა ტრადიციული შემოსავლის წყაროების დანაკარგის კომპენსაცია მოახდინოთ მოსალოდნელი ეკონომიკური ვარდნისა და ნელი აღდგენის გამო, რამაც ყველა მასშტაბის ბიზნესი მოიცვა.
1.3.1 გადახედეთ სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკას, რათა დადგინდეს სწრაფი შედეგების მიღების შესაძლებლობები ისეთი რგულაციების დანერგვით, რომლებიც წაახალისებს აუთსორსინგს და კერძო სექტორისგან ისეთი საქონლისა და მომსახურების შესყიდვას, რომელსაც გააჩნია ხარჯ-ეფექტიანობის გაუმჯობესების პოტენციალი.
1.3.2 განიხილეთ შუალედურ საქონლზე დღგ-ს გადახდის ვადის გახანგრძლივების სარგებლიანობა, რამაც შესაძლოა შეუმსუბუქოს ბიზნესებს ლიკვიდურობის პრობლემები წარმოების/წინასწარი გაყიდვების პერიოდში; ამან შეიძლება გამოიწვიოს 2019 წლამდე არსებული პოლიტიკისკენ მიბრუნება
S.2 აქცენტი ადამიანურ რესურსზე და პროფესიულ განვითარებაზე
2.1 სამუშაო ძალის წახალისება პრიორიტეტული სექტორების საჭიროებათა შესაბამისად, რათა მოხდეს მუშახელის მოწყვეტა დაბალი

პროდუქტიულობის/ნახევრად საარსებო პროფესიებიდან და გაიზარდოს მათი მონაწილეობა ტრენინგისა და უნარების განვითარების პროგრამებში.
2.1.1 სექტორულ დახმარების პაკეტებს უნდა მიცეთ ვადის ამოწურვის საშუალება.
2.1.2. შეისწავლეთ და შეაფასეთ მიმდინარე (COVID-მდე) სექტორზე მორგებული სუბსიდიების გავლენა ადამიანური რესურსის მობილობაზე
2.1.3 შეაფასეთ ზოგადი შემოსავლის დანამატების სქემები, რომლებიც ტრენინგისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებში მონაწილეობის მასტიმულირებელია.
2.2 დააჩქარეთ TVET პროგრამის განახლება და გაფართოება პრიორიტეტულ სექტორებზე და საჭიროებებზე ფოკუსირებით, აქცენტი უნდა გაკეთდეს ხარისხის გაუმჯობესებისა და ბიზნესის/დამსაქმებლის ჩართულობის გაღრმავებისკენ მიმართულ ზომებზე:
2.2.1 ჩაატარეთ მიმდინარე პროგრამების სწრაფი მიმოხილვა სამიზნე სექტორებში მოქმედ ბიზნესებთან თანამშრომლობით, პროფესიული და მოზრდილთა სასწავლო პროგრამების ინდუსტრიის საჭიროებებთან შესაბამისობის და დასაქმების მკაფიო შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით.
2.2.2 მოიძიეთ ბიზნეს პარტნიორები სამიზნე ინდუსტრიაში, რათა მათ თანაინვესტირება განახორციელონ TVET პროგრამის განახლებაში, რაც მოიცავს წვდომის უზრუნველყოფას აღჭურვილობასა და დარგის სპეციალისტებზე, ასევე პროგრამების შინაარსში წვლილის შეტანას.
2.2.3 გამოკითხეთ მიმდინარე/პოტენციური TVET მონაწილეები, რათა შეაფასოთ ტრადიციული საკლასო სწავლების ალტერნატიული მოდელების უპირატესობები (მაგ., საღამოს სწავლება, ნახევარ განაკვეთზე, ონლაინ რეჟიმში, თვითრეგულირებადი) და TVET უფრო მეტი ადამიანისთვის გახადოთ ხელმისაწვდომი; პროგრამების დანერგვა ან გაფართოება განახორციელეთ მიგნებათა საფუძველზე.
2.2.4. გააფართოვეთ არსებული TVET სავაუჩერო პროგრამა, რათა მასში შევიდეს გლობალურ დონეზე შემუშავებული კვალიფიციური ელექტრონული პროგრამები; ისარგებლეთ საერთაშორისო კონტენტით.
2.2.5 იმუშავეთ სამიზნე ინდუსტრიებთან სასერთიფიკატო და სანდოობის პროგრამების სტანდარტიზაციისა და განახლების კუთხით.
2.3. ჩადეთ ინვესტიციები ალტერნატიულ ტრენინგებსა და კვალიფიკაციის ამაღლების მოდელებში, რომლებიც ხორციელდება ინდუსტრიის მიერ, სამუშაო ადგილზე კვალიფიციის ამაღლებისა და დამსაქმებელთა მიერ სამუშაო ძალის განვითარებაში უფრო ღრმა ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
2.3.1 შეაფასეთ ბიზნესის ინტერესები სამუშაო ადგილზე ტრენინგის პოტენციური მოდელების მიმართ, როგორიცაა შეგირდობა, ვადიანი სუბსიდიები ახალდაქირავებული თანამშრომლებისთვის, დაფინანსება/გადასახადების შემცირება ტრენინგისთვის.
2.3.2 განახორციელეთ მცირემასშტაბიანი საპილოტე პროექტები ბიზნესებთან, რომლის ფარგლებშიც მოხდება მონაწილეთა კმაყოფილების შეფასება. პოზიტიური შედეგების შემთხვევაში, მასშტაბის გაზრდის საშუალებებზე იმსჯელეთ.
2.3.3 შეაფასეთ ასეთი სასწავლო პროგრამების სარგებელი და სიცოცხლისუნარიანობა, და დადებითი შედეგის შემთხვევაში, საკლასო TVET ტრენინგებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ნაწილი სამუშაო ადგილებზე სასწავლო პროგრამებზე გადაამისამართეთ.
2.4 მეტი ინფორმაცია მიაწოდეთ საზოგადოებას დასაქმების შესაძლებლობების შესახებ, რათა დაეხმაროთ სამუშაოს მაძიებლებს გაერკვნენ არსებული და სამომავლო დასაქმების პერსპექტივებში და შესაბამისი უნარების განვითარების შესაძლებლობებში.

2.4.1. შექმენით ახალი პლატფორმა ან გააუმჯობესეთ არსებული TVET ვებ-გვერდი, რომელიც სამუშაო ძალის განვითარების პრიორიტეტებისა და შესაძლებლობების ცენტრალური საცავის ფუნქციას შეასრულებს. ჩართეთ ბიზნესი ამ პლატფორმის შემუშავებაში.
2.4.2 განხორციელეთ პროაქტიული ურთიერთობა სამიზნე მოსახლეობასთან, რათა მათ რესურსებთან წვდომასა და ჩართულობის ბარიერების დაძლევა გაუადვილდეთ.
S.3 გაციფრულების ხელშეწყობა და დაჩქარება
3.1 ხელი შეუწყვეთ მოთხოვნის სტიმულირებას ისეთი პროგრამის საშუალებით, რომელიც ბიზნესებს მისცემს წვდომას დაფინანსებასა და საკონსულტაციო მომსახურებებზე და ICT ტრენინგებზე და ამით მათ გაციფრულებაში დაეხმარება
3.1.1. განსაზღვრეთ დახმარების ყველაზე ეფექტური საშუალებები ინდუსტრიის (ICT და სხვ.) ლიდერებთან კონსულტაციის გზით; სტიმულირება შეიძლება მოიცავდეს გადასახადების შემცირებას კვალიფიციური ინვესტიციების ღირებულების, სასწავლო კურსების ან საკონსულტაციო მომსახურების, უფასო ICT ტრენინგებისთვის და ა.შ.
3.1.2 მხარი დაუჭირეთ ინდუსტრიის ღონისძიებებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიასა და ადვოკატირებას, რათა ბიზნესისთვის მეტად ცხადი გახდეს ახალი ტექნოლოგიებისა და საქართველოში ხელმისაწვდომი ინსტრუმენტებისა და სერვისების სარგებელი.
3.1.3. შექმენით ცოდნის გაზიარების ფორუმები, სადაც მოხდება მთავრობის გამოცდილების გაზიარება ICT-ის გამოყენებასა და მასთან დაკავშირებული ინოვაციების შესახებ მთავრობიდან ბიზნესისთვის ტექნოლოგიის გადაცემის და ცოდნის გაცვლის მიზნით.
3.2 შეამსუბუქეთ მიწოდების მხარეს არსებული ბარიერები და იმუშავეთ ადგილობრივ ICT ინდუსტრიასთან, რათა გადაილახოს ადგილობრივი მოთხოვნის მომსახურებასთან დაკავშირებული დაბრკოლებები.
3.2. ICT შეიტანეთ TVET პრიორიტეტებში, განახორციელეთ ინვესტიციები კვალიფიციური კადრების განვითარებაში ადგილობრივი მოთხოვნის შესაბამისად.
3.2.3 მხარი დაუჭირეთ ადგილობრივ ინდუსტრიას მოიზიდონ კადრები ძლიერი ICT სექტორის მქონე მეზობლები ქვეყნებიდან (მაგ., ბელორუსია, უკრაინა). ეს შეიძლება მოიცავდეს ქვეყანაში შესვლის და დასაქმების გამარტივებას.
3.3 დააჩქარეთ მაღალმოთხოვნადი საზოგადოებრივი სერვისების გაციფრულება (მაგ., ჯანდაცვა, განათლება და საბაჟო მონიტორინგი და მიკვლევა), „ელექტრონული საქართველოს“ სტრატეგიის შესაბამისად, რათა ხელი შეეწყოს ბიზნესებისა და მოქალაქეების მიერ ICT ტექნოლოგიების ფართოდ ათვისებას და კონკურენტუნარიანობის ზრდას.
3.3.1 გამოავლინეთ სწრაფი შედეგის მომცემი შესაძლებლობები ბიზნესისა და საზოგადოების შეხების წერტილების გასაზრდელად, და ამასთან, უზრუნველყავით ძირითადი ციფრული ტრენინგის შესაძლებლობების ფართო წვდომა ინოვაციებისა და ახალი სერვისების გაციფრულების საშუალებით.
3.3.2 განსაზღვრეთ ინვესტიციების დაჩქარებული პროგრამა, პრიორიტეტული საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის გაციფრულების გაფართოების მიზნით, პირველ რიგში, ჯანდაცვისა და საერთაშორისო სავაჭრო დინებების მონიტორინგის და მოკვლევის სფეროებში.
S.4 კონკურენტული აქტივების გაძლიერება
4.1 დააჩქარეთ მიზნობრივი რეფორმები ტრანსპორტისა და ლოგისტიკის, ჯანდაცვის, განათლების, ენერგეტიკისა და კომუნალური მომსახურების სფეროებში ლატენტური მოთხოვნის და ეკონომიკური საქმიანობის განბლოკვის მიზნით.

4.1.1 (ტრანსპორტი და ლოგისტიკა): ინვესტიცია განახორციელეთ ტრანსსასაზღვრო ფუნქციების განახლებაში, აქცენტი უნდა გაკეთდეს საბოლოო საბაჟო დამუშავების გაციფრულებაზე, რათა შესაძლებელი გახდეს უკეთესი კონტროლი და მიკვლევა; დაეხმარეთ სისტემებს ინფორმაციის ნაკადის ავტომატიზაციისა და დაჩქარების მიზნით
4.1.2 (ტრანსპორტი და ლოგისტიკა): მოკლევადიანი ინვესტიციების აქცენტი გადაიტანეთ ისეთ ინფრასტრუქტურაზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამიზნე ინდუსტრიებისთვის, მათ შორის ცივი ჯაჭვი, სასაწყობო და ინტერმოდალური ინფრასტრუქტურა; იმუშავეთ სპეციალიზირებულ კერძო დეველოპერებთან და ოპერატორებთან სადაც ეს შესაძლებელია.
4.1.3. (ჯანდაცვა): პრიორიტეტი მიანიჭეთ მოკლევადიან რეფორმებს, რაც საშუალებას მისცემს ტელემედიცინას გაზარდოს წვდომა პირველად და ამბულატორიულ მომსახურებაზე; შეაფასეთ რეფორმების დაწყვილების შესაძლებლობა, ამბულატორიული პაციენტებისთვის ფარმაცევტული პროდუქტების გაფართოებული თადაფინანსების ხელშესაწყობად, ნაღდი ფულით გაწეული ხარჯების შესამცირებლად (როგორც ადგილობრივი ინდუსტრიის მხარდაჭერის გზა), საჭიროებების შესაბამისად დაბალანსებით სახელმწიფო ხარჯების შესაზღუდად.
4.1.4 (განათლება): შეაფასეთ საკარანტინო პერიოდში ციფრული დისტანციური სწავლების შედეგად მიღებული გაკვეთილები და განსაზღვრეთ დისტანციური და/ან შერეული სასწავლო მოდელების ჩართვის შესაძლებლობები, რათა დაჩქარდეს სასწავლო პროგრამების განახლება, გაუმჯობესდეს სწავლების ხარისხი და მიიღოთ შემოსავლის ეფექტურობა; მოახდინეთ რეფორმების პილოტირება და/ან განხორციელება ანალიზზე დაყრდნობით (უზრუნველყავით კოორდინაცია TVET-ის რეფორმებთან).
4.1.5 (განათლება): დაამყარეთ პარტნიორული ურთიერთობები საერთაშორისო საუნივერსიტეტო პროგრამებთან, რათა ქართველ სტუდენტებს შესთავაზოთ მსოფლიო კლასის პროგრამები ინდუსტრიის მიერ მოთხოვნილ პრიორიტეტულ საგნებში (ისარგებლეთ დისტანციური სწავლების შესაძლებლობებით და ჩარიცხვების დაბალი მაჩვენებლით, პირობებზე მოლაპარაკებებისას). *შენიშვნა: ადგილობრივ უნივერსიტეტებთან ერთად გაცვლითი ან ერთობლივი პროგრამების შემუშავება*
4.1.6 (ენერგეტიკა და კომუნალური მომსახურება): განახორციელეთ ენერგო სექტორის საინვესტიციო მოთხოვნების სტანდარტიზაცია მოკლევადიანი ინვესტიციების ხელშესაწყობად, იმის მიუხედავად, რომ უფრო ფართო საბაზრო რეფორმები მიმდინარეობს.
S.5 მასტიმულირებელი ეფექტის მქონე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელება
5.1 შეიმუშავეთ მოქნილი მარკეტინგის სტრატეგია და საინვესტიციო პაკეტი. სწრაფად განავითარეთ შიდა შესაძლებლობა ჩამოაყალიბოთ და დაგეგმოთ ინვესტიციების მოსაზიდი აქტივობები საბაზრო სიგნალებზე, კონკურენტული შეთავაზებების შესახებ ინფორმაციასა და ინდუსტრიის პრიორიტეტებზე დაყრდნობით.
5.1.1 მოსინჯეთ და შეათანხმეთ „აწარმოე საქართველოში“-ს მიერ შემუშვებული წინასწარი პაკეტები ადგილობრივ ბიზნეს მრჩეველებთან და არსებულ და პოტენციურ ინვესტორებთან.
5.1.2 გააგრძელეთ აქტიური ურთიერთობა მთავარ ინფლუენსერებთან: ობიექტების შემრჩევები, საკონსულტაციო ფირმები, ბიზნეს ჯგუფები.
5.1.3 განიხილეთ და განაახლეთ მარკეტინგის საერთო სტრატეგია COVID-ის შედეგებზე დაყრდნობით და დაადგინეთ მოკლევადიანი სამიზნე შედეგების სია, რომლის მისაღწევადაც უნდა დაიგეგმოს შესაბამისი მარკეტინგული აქტივობები.

5.2 უზრუნველყავით საინვესტიციო სტანდარტებისა და მოთხოვნების სიცხადე და აღქმადობა
5.2.1 ჩაატარეთ ადგილობრივი ბიზნესის, ობიექტების შემრჩევების და პოტენციური ინვესტორების სწრაფი გამოკითხვა გასაძლიერებელი სფეროების გამოსავლენად ან უფრო გასაგები კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად
5.2.2 საჭირო ცვლილებები შეიტანეთ პოლიტიკისა და კომუნიკაციის არხებში (მაგ., ვებგვერდი, სარეკლამო მასალები, წარმომადგენლები საელჩოებში და ა.შ.)
5.3 შექმენით დროებითი მხარდაჭერის მექანიზმები ინვესტორთა გამოწვევების გადასაჭრელად რეფორმების გატარების პროცესში.
5.3.1 **გაამარტივეთ მიწის შესყიდვის გზები პრიორიტეტული ინვესტიციებისთვის და ბიზნესის გაფართოების პროექტებისთვის.**
5.3.2 შეიმუშავეთ გადაწყვეტილებები, რათა ინვესტორებს ადგილობრივ ინტელექტუალურ რესურებზე მოთხოვნის დაკმაყოფილებაში დაეხმაროთ. მაგალითად: განავითარეთ პლატფორმა, რომელიც ბიზნესებს დაეხმარება კვალიფიციური ადგილობრივი კადრის პოვნაში ხელმძღვანელი პოზიციებისთვის სამიზნე დარგებში. შეარჩიეთ და შექმენით სამიზნე ინდუსტრიებისთვის კვალიფიციური კადრების სია.

დანართები

6. დანართები

დანართი A – გამოყენებული მასალა

ბეკერ ფრიდმანის ინსტიტუტი, სამუშო დოკუმენტები COVID-ზე, 2020 წლის ივლისი - აგვისტო.

„აწარმოე საქართველოში“ ვებ-გვერდი, “წარმატების ისტორიები,” 2020 წლის 16 ივლისი.

„აწარმოე საქართველოში“, “პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრატეგია,“ 2020-2021 წწ.

EU4Business ინიციატივა, “საქართველოს ICT კლასტერის პოტენციალი,” 2017 წ.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, ”COVID-19-ის კვლევა – ბიზნეს საჭიროებების შეფასება,“ 2020 წლის ივლისი

საერთაშორისო სავალუტო ფონდი, „COVID-19 პანდემიის საპასუხოდ ქვეყნის მიერ მიღებული ფისკალური ზომების შესახებ ფისკალური მონიტორის მონაცემთა ბაზა,“ 2020 წლის ივნისი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ‘‘ფისკალური მონიტორი,’’ 2020 წლის აპრილი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი, “საქართველო: ფისკალური წესების გაძლიერება,“ ფისკალურ საქმეთა ტექნიკური დახმარების ანგარიში, 2017 წლის ნოემბერი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ‘‘საქართველო: სახელმწიფო ინვესტიციების მართვის შეფასება,’’ ფისკალურ საქმეთა დეპარტამენტი, 2018 წლის მაისი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ანგარიში საქართველოს შესახებ #20/149, მე-6 მიმოხილვა, 2020 წლის მაისი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი, სპეციალური სერია COVID-19-ზე” „გამოწვევები საგადასახადო შემოსავლის პროგნოზირებაში,“ „ჩეკების შენახვა: გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და ლეგიტიმურობა საგანგებო სიტუაციებში რეაგირებისას,“ „საზოგადოებრივი ინვესტიციების ხარჯვის მართვა კრიზისის დროს“ და „ფისკალური წესები, გადინების მუხლები და დიდი შოკები,“ 2020 წლის აპრილი-ივლისი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET), ბიზნეს სანდოობის კვლევა 2020 წლის, მე-2 კვარტალზე დაყრდნობით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET) USAID-ის სახელით, “ეკონომიკური კოეფიციენტების ცხრილი,” 2020 წ.

ISET, ლევან ფავლენიშვილი, ანა ბურდული, მარიამ კაცაძე, გიორგი პაპავა, “COVID-19-ის სოციალური გავლენა – საქმე უნივერსალური დახმარების სქემისთვის?”, 2020 წლის აპრილი.

მაკკინზი, ‘‘საცალო ვაჭრობაში ახალი ნორმის ადაპტირება,” 2020 წლის 14 მაისი.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, “ეკონომიკური ხედვა”, 2020 წლის მაისი.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, “დარგობრივი მიმოხილვა,” 2020 წ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, “ეკონომიკური ზრდის სწრაფი შეფასება,” 2020 წლის ივნისი.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), “ტურიზმის პოლიტიკის რეაგირება კორონა ვირუსზე (COVID-19),” 2020 წლის ივნისი

„ოქსფორდ ეკონომიკსი,“ “საქალაქო ტურიზმის პერსპექტივა და კლასიფიცირება: კორონავირუსის ზემოქმედება და აღდგენა,” 2020 წლის 15 აპრილი.

„პრაის უოთერ ჰაუს კუპერსი“ (PWC), “PWC-ს მთავარი ფინანსური ოფიცრის კვლევა,“ 2020 წლის 15 ივნისი.

„პრაის უოთერ ჰაუს კუპერსი“ (PWC), “ქართული ბიზნესი COVID-19 პანდემიის პირისპირ,” 2020 წლის ივნისი.

თიბისი კაპიტალი, ‘‘აღდგენის დინამიკა – 14 აგვისტო,” 2020 წლის ივლისი და აგვისტო.

თიბისი კაპიტალი, “ენერგოსექტორის მიმოხილვა: დამუხტვა წინასწარ,“ 2019 წლის ივლისი

თიბისი კაპიტალი, “COVID-19-ის ეკონომიკაზე გავლენის გაზომვა,” 2020 წლის მაისი.

Thomas-ის ინდუსტრიული კვლევა “COVID-19-ის გავლენა ჩრდილოეთ ამერიკის წარმოებაზე,” 2020 წლის აპრილი.

გაეროს გლობალური პულსი, „ეკონომიკური კრიზისი, ტურიზმი და მისი გავლენა ღარიბ მოსახლეობაზე,” 2011 წ.

გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია, „მდგრადი მოხმარების მულტიპლიკაციური ეფექტები,“ 2018 წ.

USAID G4G საქართველოში, “ტრანსპორტისა და ლოგისტიკის დამატებული ღირებულების და წარმოების სერვისების კვლევა,“ 2019 წლის თებერვალი.

"უოლ სტრიტ ჯორნალი“, ამრიტ რამკუმარი, “სპილენძზე ფასების გაძვირება გლობალური ზრდის ოპტიმისტური ნიშანია,“ 2020 წლის 15 ივლისი.

მსოფლიო ბანკის ინდიკატორები – 2018, 2019 წწ.

მსოფლიო ბანკის ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსი, 2018-2019 წწ.

მსოფლიო ბანკი, “რეფორმატორიდან რეფორმატორამდე,” 2018 წ.

მსოფლიო ბანკი, „საქართველოს სახელმწიფოებრივი ხარჯების მიმოხილვა, მდგრადი მომავლის მშენებლობა,“ 2017 წლის ივნისი და 2020 წლის ივნისი.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, 2020 წ.

მსოფლიო ინვესტირების ანგარიში, გაეროს კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებაზე, 2020 წ.

დანართი B – ფისკალური სცენარების მეთოდოლოგია და ვარაუდები

სცენარები შექმნილია ცხრილების გამოყენებით განსხვავებულ ვარაუდებზე დაყრდნობით სხვადასხვა ფისკალური შედეგების შესასწავლად. უფრო მეტიც, მშპ-ს და გაცვლითი კურსის განსხვავებული დაშვებები გავლენას ახდენს შემოსავლების უმეტეს ნაწილზე, პროცენტის გადახდებზე (შესაბამისად დეფიციტებზე) და ვალზე. უფრო კონკრეტულად:

1. ჩვენი ნაშრომი ეფუძნება საქართველოს მთავრობის/საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამას.
2. ძირითადი განსახილველი შემთხვევა განსაზღვრავს უპროცენტო ხარჯების ნომინალურ დონეს ყველა სცენარში. მშპ-ს ცვლილებები გავლენას არ ახდენს ამ დანახარჯებზე, მაგრამ განსხვავებულია როგორც მშპ-ს პროცენტული მაჩვენებელი. ეს დაშვება ასევე შეეხება კაპიტალის ხარჯებს.
3. შემოსავალი (გრანტების გარდა), როგორც მშპ-ს პროცენტი ითვლება ფიქსირებულად და, შესაბამისად, ნომინალური შემოსავალი იცვლება მშპ-ს ცვლილებასთან ერთად. საგრანტო შემოსავალი ნომინალურ დონეებზე ყველა სცენარში უცვლელად ივარაუდება.
4. საბაზისო საპროცენტო განაკვეთი გამოითვლება საპროცენტო გადასახადის შეფარდებით წინა წლის ლარის სესხის მოცულობასთან და საბაზისო სცენარში მოცემულ უცხოური ვალუტის სესხთან. გაცვლითი კურსის ცვლილებები გავლენას ახდენს უცხოურ ვალუტაში აღებული სესხის დონეზე და უცხოურ ვალუტაში საპროცენტო გადასახადებზე.
5. ვინაიდან დეფიციტი იცვლება გაცვლითი კურსისა და მშპ-ს ცვლილებების შესაბამისად სცენარებში, შედეგად მიღებული ცვლილება დაფინანსებაში გავლენას ახდენს შიდა ვალზე. ეს თავის მხრივ გავლენას მოახდენს ადგილობრივ საპროცენტრო გადახდებზე მომდევნო წელს.

დანართი C – საქართველოს მთავრობის რეაგირებისთვის რეკომენდებული პოლიტიკის და შეფასების ცხრილი[74]

ამ ცხრილში მოცემული პანდემიის პოლიტიკის რეკომენდაციები აღებულია 30-მდე შენიშვნის კრებულიდან, რომელიც მოწოდებულია სავალუტო ფონდის ფისკალურ საკითხთა დეპარტამენტის მიერ აპრილიდან ივლისამდე პერიოდში და მიმდინარე "საერთაშორისო სავალუტო ფონდის სპეციალური სერიიდან COVID-19-ის შესახებ."

პოლიტიკის საკითხი/რეკომენდაცია	საქართველოს განაცხადის შეფასება
შემოსავლების ადმინისტრირება და პოლიტიკა	
ხელი შეუწყეთ უკონტაქტო პროცესებსა და პროცედურებს და დიზაინის ღონისძიებებს ავტომატურად გამოსაყენებლად	მოთხოვნას ასრულებს: გადასახადების შეგროვების პროცესები მთლიანად ავტომატიზირებულია. საგადასახადო ჩანაწერების ფიზიკურად წარდგენა საჭირო არ არის.
გამოიყენეთ მეორადი ინსტრუმენტები (მაგ., რეგულაციები) ან ადმინისტრაციული ქმედებები (მაგ., მითითებები) საშემოსავლო ღონისძიებების განსახორციელებლად.	მოთხოვნას ასრულებს: არ გამოუცია ახალი საგადასახადო კანონები
დანაკარგების ჩათვლის შესახებ შეთანხმებების გახანგრძლივება.	არ შეესაბამება: ამჟამინდელი საგადასახადო კანონები ამას არ საჭიროებს
გამოიყენეთ დროებითი საშეღავათო ზომები გადახდისა და/ან ვადების შეტანის მიღმა (მაგ., საგადასახადო და სასამართლო პროცედურების შეჩერება).	მოთხოვნას ასრულებს: რამდენიმე საგადასახადო ღონისძიება, როგორიცაა ხელფასებთან დაკავშირებული საგადასახადო
დროებით შეამცირეთ (მაგრამ არ აღმოფხვრათ) აუდიტი და დავალიანების ამოღების ქმედებები და გადაამისამართეთ აღსრულება შესაბამისობის ყველაზე კრიტიკულ და მზარდ რისკებთან მიმართებაში.	უცნობია
დარწმუნდით, რომ გადასახადების წინასწარი გადახდა ასახავს სავარაუდო გასავლების შეფასებას, მხოლოდ წარსულზე ორიენტირების ნაცვლად.	სავარუდოდ ასრულებს: გადაავადა გადასახადების გადახდები
ფულადი სახსრების მოძრაობის პრობლემების მქონე გადამხდელებისთვის გადახდის ხელშეკრულებების გახანგრძლივება და ჯარიმებზე უარი ნამდვილი სირთულეების არსებობის შემთხვევებში	მოთხოვნას ასრულებს: გადაავადა გადასახადების გადახდები

[74] ცხრილში მოცემული პანდემიის პოლიტიკის რეკომენდაციები ამოღებულია 30-მდე შენიშვნის კრებულიდან, რომელიც მოწოდებულია სავალუტო ფონდის ფისკალურ საკითხთა დეპარტამენტის მიერ აპრილიდან ივლისამდე და მიმდინარე "საერთაშორისო სავალუტო ფონდის სპეციალური სერია COVID-19"-დან (https://www.imf.org/en/Publications/SPROLLs/covid19-special-notes) ნაშრომები მთელ რიგს საკითხებს მოიცავს, მათ შორის „გამოწვევები საგადასახადო შემოსავლის პროგნოზირებაში," „ჩეკების შენახვა: გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და ლეგიტიმურობა საგანგებო სიტუაციებში რეაგირებისას," „საზოგადოებრივი ინვესტიციების ხარჯვის მართვა კრიზისის დროს" და „ფისკალური წესები, გადინების მუხლები და დიდი შოკები.".

გადაავადეთ გადასახადის დეკლარაციის შევსება და გადახდის ვადები (ჯარიმის გარეშე).	მოთხოვნას ასრულებს: გადაავადა გადასახადების გადახდები
დღგ-ს და სხვა ლეგიტიმური თანხის დაბრუნების დაჩქარება, მაგრამ კრიზისის შემდეგ აღსრულება/შემოწმება; სხვა ვალდებულებების მიმართ ჯვარედინი კრედიტირების გაძლიერება.	მოთხოვნას ასრულებს: ახალი რეგულაცია
უარყოფილი პროცენტები, ქირა, ან სხვა გადასახადები არ განიხილება, როგორც დასაბეგრი შემოსავალი.	მოთხოვნას ასრულებს: სექტორზე მორგებული
უზრუნველყავით კორპორაციული გადასახადის ორმაგი შემცირება (ან სხვა მატება) შემწეობებზე ავადმყოფობის შემთხვევაში, რომელიც ნახევარ განაკვეთზე მომუშავე მუშებზე გაიცემა.	არ შეესაბამება: ამჟამინდელი საგადასახადო კანონები ამას არ საჭიროებენ.
გაითვალისწინეთ სახელფასო/სოციალური დაცვის გადასახადის შემცირება, რომელიც შესაძლოა შემოიფარგლოს დაბალი ანაზღაურების შემთხვევებით და თვითდასაქმებულებისთვის შესაძლო კომპენსაციები	არ შეესაბამება: სახელფასო გადასახადი არ არსებობს
შეამცირეთ/გააუქმეთ ბიზნესის მინიმალური გადასახადები, რომლებიც არ უკავშირდება მომგებიანობას და ბრუნვის/ გამარტივებული გადასახადები მცირე ბიზნეზისთვის.	მოთხოვნას ასრულებს: ქონების გადასახადი გადავადებულია მცირე ბიზნესისთვის და მცირე ბიზნესის გრანტებისთვის.
თავი აარიდეთ: საგადასახადო არდადეგებს, დივიდენდების/კაპიტალის მოგების შემცირებას, გარემოს გადასახადების შემცირებას და ბლანკეტურ ამნისტიებს.	მოთხოვნას ასრულებს.
თავი შეიკავეთ ძირეული შეუცვლელი რეფორმების დანერგვისგან ან არსებული საგადასახადო სამართლის სისტემების გულდასმით გადახედვისგან; თავი შეიკავოთ საგადასახადო არდადეგებისგან; არ შეამციროთ კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები.	მოთხოვნას ასრულებს.
განიხილეთ საშემოსავლო გადასახადის/უფრო მაღალი ქონების/კაპიტალის გადასახადის უფრო მაღალი მაჩვენებლების გაზრდა, ალბათ, "სოლიდარობის დამატებითი გადასახადის" საშუალებით. ამჟამად ნავთობის დაბალი ფასები იძლევა საწვავის გადასახადების გაზრდის საშუალებას.	მოთხოვნას არ ასრულებს. რეალურად შეამცირა საწვავის ფასები და არ გაზარდა შემოსავალი უფრო მაღალი საშემოსავლო გადასახადის გადამხდელებზე.
მონიტორინგი განახორციელეთ უფრო მსხვილ გადამხდელებზე, რომლებიც, სავარაუდოდ, შეძლებენ შეასრულონ შეტანისა და გადახდის სტანდარტული ვალდებულებები.	უცნობია
შეადგინეთ ბიზნესის უწყვეტობის გეგმა და განხორციელეთ/გაამლიერეთ კრიზისების	უცნობია

მართვის სტრუქტურები შემოსავლების სააგენტოებში.	
ხარჯვის პოლიტიკა	
ფისკალური დახმარება შეიძლება გაუმკლავდეს ფირმების ლიკვიდურობის მოთხოვნებს და ხელი შეუწყოს მათ, შეინარჩუნონ დასაქმება და ხელფასები.	მოთხოვნას ასრულებს: გადაავადა გარკვეული გადასახადები და პროცენტები სესხებზე ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად.
ფირმების მიმართ საზოგადოებრივი დახმარება უნდა იყოს დროული, მიზნობრივი და დროებითი.	მოთხოვნას ასრულებს.
თავი აარიდეთ გამანადგურებელ გაკოტრებას, განსაკუთრებით სისტემურად მნიშვნელოვან ფირმებსა თუ სექტორებში. მთავრობამ უნდა მოიფიქროს სწორი ნაზავი ოჯახების პირდაპირ მხარდაჭერას შორის ან ფირმების დახმარების გზით.	ნაწილობრივ: მთავრობამ ორივე მეთოდი შემოიტანა. ოჯახებს უშუალოდ გაუწიეს დახმარება (ელექტროენერგიის გადასახადები), ასევე ფირმებმა მიიღეს პირდაპირი დახმარება (სასტუმროები გამოიყენება საკარანტინო ზონებად).
ხარჯებთან დაკავშირებული ზომები ხელფასების ასანაზღაურებლად და სხვა ლიკვიდურობის სუბსიდიები საჭიროებებზე - ხელფასებზე.	ნაწილობრივ: გადაავადა გარკვეული გადასახადები ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად, მაგრამ არ მომხდარა ხელფასის სუბსიდირება.
გარანტიების ან სესხის გაცემა საბანკო სისტემის მეშვეობით, სუბსიდირებული განაკვეთების ჩათვლით.	მოთხოვნას ასრულებს: უზრუნველყო გარანტიები და საპროცენტო განაკვეთების სუბსიდირება.
გარანტიები, რომლებიც ფარავს სესხებს, შეიძლება უფრო ეფექტური იყოს, ვიდრე მთავრობის პირდაპირი დახმარება საოპერაციო ხარჯების გამო.	გარკვეულ სექტორებს უშუალო დახმარება გაუწია, მაგრამ ასევე უზრუნველყო გარანტიები.
გაითვალისწინეთ კაპიტალის ინექცია, რადგან ის დაუყოვნებლივ აუმჯობესებს ბალანსს და მთავრობას უფრო დიდი ძალა ექნება.	მოთხოვნას არ ასრულებს: მაგრამ დარწმუნებული არ ვართ, რომ ეს პოლიტიკა რეკომენდებულია, რადგან სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოები მცირდება.
ნებისმიერი სპეციფიკური დახმარება ფირმისთვის უნდა შესრულდეს გამჭვირვალედ და დამოუკიდებლად კარგი მმართველობის უზრუნველსაყოფად.	მოთხოვნას ასრულებს: ფირმაზე მორგებული სპეციფიკური დახმარება არ არსებობს.
საბიუჯეტო მხარდაჭერა უნდა განისაზღვროს, გამოითვალოს, ჩაიწეროს და შემოწმდეს და მკაფიოდ უნდა დაფიქსირდეს საბიუჯეტო დოკუმენტებში.	უმეტესწილად ასრულებს: პოლიტიკა განისაზღვრება და ფასები გამოთვლილია და ქვეყნდება, მაგრამ პროგრამით არ ხდება იდენტიფიცირება და მონიტორინგი არ ხორციელდება.
ზოგადად, ექსტრაბიუჯეტური სახსრები არ უნდა წახალისდეს.	მოთხოვნას ასრულებს: ექსტრაბიუჯეტური სახსრები არ არსებობს.
სახელმწიფო გარანტიები უნდა ჩაიწეროს და გაცხადდეს საზოგადოებრივ დომენში.	მოთხოვნას ასრულებს.

ფინანსური მართვა და ფისკალური რისკი	
PFM სერვისების შეუფერხებლად უზრუნველყოფა მთავრობის მასშტაბით პერსონალის არყოფნის მიუხედავად.	მოთხოვნას ასრულებს: გადახდები იყო დროული.
საგანგებო ასიგნებები დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში; მოთხოვნების პრიორიტეტულობის სიცხადე.	მოთხოვნას ასრულებს: დაამტკიცა ახალი ბიუჯეტი პანდემიის შემდეგ.
საგანგებო სიტუაციების ხარჯვის დებულებები: განმარტეთ დასაბუთება, ხარჯები, რისკის შემცირება და მართვა.	უმეტესწილად შეასრულა: პროგრამებისა და ფისკალური წესების საფუძვლების გამჟღავნება ამის საშუალებას იძლევა; რისკის შემსუბუქების შესწავლა ხდება, მაგრამ ამჟამად არ არსებობს მკაფიო პოლიტიკა, თუმცა იქმნება დეპოზიტების ბუფერი.
დანახარჯების ხელახალი პრიორიტეტიზაცია რეალოკაციისა და ვირემენტების საშუალებით.	მოთხოვნას ასრულებს: არსებულ ბიუჯეტში გარკვეული რეალოკაციაა
საგარეო გრანტები.	მოთხოვნას ასრულებს: მნიშვნელოვანი მხარდაჭერა განვითარების პარტნიორებისგან.
მოახდინეთ ხარჯვის ხელახალი პრიორიტეტიზაცია; მოამზადეთ დამატებითი რესურსების მოთხოვნების სწრაფი შეფასება; დარგობრივი სამინისტროებიდან მოითხოვეთ დაზოგონ თავიანთი ბიუჯეტები; ხელახალი პრიორიტეტიზაციის გავლენა საშუალოვადიან ბიუჯეტზე.	მოთხოვნას ასრულებს: სავარაუდო ხარჯები და დამატებითი რესურსების საჭიროებები და გადანაწილებულია არსებულ ბიუჯეტში; მაგრამ საშუალოვადიანი ბიუჯეტი ჯერ არ შეცვლილა.
უზრუნველყავით ლიკვიდურობა, სესხისა და ფულადი მოთხოვნების ხელახალი დაკალიბრება, და თანხის დროული გაცემა.	მოთხოვნა შესრულებულია: ახალი ვალის საჭიროებები განსაზღვრულია და თანხები დროულად გაცემულია.
ჩამოაყალიბეთ საბიუჯეტო ხაზები, რომ ხელი შეუწყოს თანხების მონიტორინგს; იქონიეთ გადაუდებელ შემთხვევებზე რეაგირების ვარიანტების კალკულაცია და ქმედებები და წარმოადგინეთ ანგარიშები.	მოთხოვნა არ შეასრულა: ფინანსურ სისტემაში საგანგებო სიტუაციების პროგრამების მკაფიო იდენტიფიკაცია არ არის დაფიქსირებული და არც ანგარიშებია წარმოდგენილი.
შექმენით უკუკავშირის ციკლი, რომელიც დროულად მიაწვდის ინფორმაციას პოლიტიკოსებს თანხების გამოყენების შესახებ.	მოთხოვნა არ შეასრულა: რადგან არ არის მკაფიო მონიტორინგი, არ ხდება ანგარიშგება საგანგებო სიტუაციების პოლიტიკის გამოყენების შესახებ.
მოქმედი მექანიზმები ფისკალური რისკის ზემოქმედების კონტროლისა და მონიტორინგისთვის.	ნაწილობრივ: ზოგადად ანგარიშგება კეთდება ყველა ფისკალური რისკის შესახებ, მაგრამ პანდემიასთან დაკავშირებული რისკები არ არის განსაზღვრული.
ეფექტური კოორდინაციის დამყარება მთავრობის ქვედა დონეებთან.	მოთხოვნა შეასრულა: შეიქმნა საკოორდინაციო რეგიონული ოპერატიული შტაბი და ადგილობრივი შტაბები.

ხარჯვითი გეგმების დაჩქარების პოტენციალის შესწავლა	მოთხოვნა შეასრულა: საქართველოს მთავრობამ ძალიან სწრაფი რეაგირება მოახდინა, როგორც ეს პირველი კვარტლის ფისკალურ ანგარიშებში ჩანს.
თვალყური ადევნეთ და გაზომეთ პოლიტიკის ღონისძიებები და მათ გავლენა, სიფრთხილით შემუშავებული შესრულების ინდიკატორების საშუალებით.	მოთხოვნა არ შეასრულა: სამუშაოს შესრულების ახალი ინდიკატორები არ შემოუღია.
დაგეგმეთ ინფორმაციის გავრცელება პოლიტიკის გავლენაზე მკაფიოდ და ლაკონურად.	მოთხოვნა არ შეასრულა: საგანგებო ღონისძიებები განმარტებულია, მაგრამ არა ზემოქმედება ან შესრულება.
აწარმოეთ ინფორმაციის განახლება სახელმწიფო ფინანსების შესახებ.	მოთხოვნა შეასრულა: ფისკალური მონაცემები ხელმისაწვდომია 30 დღის ვადაში.
მოხსენით ბარიერები აუცილებელ საგანგებო ხარჯვაზე	მოთხოვნა შეასრულა: ხარჯვა იყო დროული და აშკარა ბარიერები არ დაფიქსირებულა.